საქართველ… ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩას…

№37 … –15 სექტ… ფასი 1,50 ლარ…

www.tbiliselebi.ge



რა გაანდო ბადრი პატარკაციშვილის ძმამ ცოლს ნინასთან დაკავშირებით და ვინ გახვია ის სკანდალში

გვ. 18

რის გამოტოვებას არ აპატიებს საკუთარ თავს ლიკა ევგენიძე და რით იღებს ის სიამოვნებას

გვ. 70

გვ. 74

რა ტრავმა მიიღო ბავშვობაში ადამ ოქრუაშვილმა და როგორ სძლია ქართველმა ძიუდოისტმა უძლიერეს რუს მეტოქეს

ISSN 1987-569X



გვ. 50

ვინ ჩამოიტანა თბილისში ჰიტლერისთვის დამზადებული ოქროს უნაგირი და რის შემდეგ დარწმუნდა ნუგზარ კვაშალის ბაბუა, რომ მის შვილიშვილს შავი პურის ფული ჰქონდა



რა ოცნება ვერ აისრულა თამთა ჭელიძემ წლების განმავლობაში

გვ. 71



როგორ გარემოში უწევს ცხოვრება ირმა გიგანს და რაში უგებენ ის და მამუკა ჩარკვიანი ერთმანეთს თვალებით

გვ. 66




გვ. 68

რატომ იჭერდნენ გია კერესელიძის ვუნდერკინდობის გამო გრიშა ჩიგოგიძეს და როგორ გადაიღო მან ჯერ კიდევ 9 წლის ასაკში ანიმაციური ფილმი

მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# რა უპირატესობით გამოირჩევა სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი - 2010“, რომლის მოსწავლეებიც სასურველ უნივერსიტეტში, სასურველ ფაკულტეტზე მაღალი შედეგებით, გრანტებით ირიცხებიან

*სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი – 2010“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 2013-2014 სასწავლო წლისთვის, ერთიანი ეროვნული და სააბიტურიენტო გამოცდებისათვის მოსამზადებლად ყველა საგანში. 1 საატესტატო საგანში მომზადება: თვეში 25-50 ლარი (ჯგუფში 4-5 მოსწავლე); ეროვნული გამოცდებისთვის 1 საგანში მომზადება: თვეში 70-100 ლარი (ჯგუფში 2-3 აბიტურიენტი); საატესტატო და ეროვნული გამოცდების სრული კურსისთვის მომზადების, ასევე, 1 ოჯახიდან 2 მოსწავლის მომზადების შემთხვევაში, მოქმედებს დიდი ფასდაკლება. გარდა ამისა, სასწავლო ცენტრი „პროფესიონალი - 2010“ აცხადებს იმ აბიტურიენტების მიღებას 30-პროცენტიანი ფასდაკლებით, რომლებიც 2013 წლის ეროვნულ გამოცდებზე ჩაიჭრნენ.*

**ცირა თევდორაშვილი** *(ცენტრის დირექტორი):* „პროფესიონალი – 2010-ს“ აქვს იმის ამბიცია და შესაძლებლობა, რომ ჩვენი მოსწავლეები გამოცდებზე გავიდნენ იმ შედეგით, რომელიც მათთვის სასურველ სასწავლებელში მოსახვედრად იქნება საჭირო. ეს წლევანდელ შედეგებზეც კარგად აისახა – აბიტურიენტები ჩაირიცხნენ სასურველ ფაკულტეტებზე, სასურველ სასწავლებელში და მოიპოვეს 50-70-პროცენტიანი გრანტები. ამ შედეგმა და ჩვენთან შექმნილმა კომფორტულმა, ზუსტად შერჩეულმა სასწავლო გარემომ, განაპირობა ის, რომ 2 სექტემბრიდან უკვე საკმაოდ ბევრი მოსწავლე მოვიდა, თუმცა, მათი მიღება თვის ბოლომდე კვლავ გრძელდება. ჩვენ ყოველ წელს ეფექტური სწავლებისთვის საჭირო სიახლეებს ვნერგავთ. ამიტომ, წელს დავამატეთ 1-თვიანი სწრაფი კურსი იმ 4 საგანში, რომლებიც ოქტომბრის დასაწყისში უნდა ჩააბარონ საატესტატო გამოცდებზე მე-12 კლასის მოსწავლეებმა. ასევე, გვაქვს მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის 9-თვიანი კურსი საატესტატო გამოცდებისათვის მოსამზადებლად. ჩვენი სასწავლო ცენტრის კარგი შედეგი განპირობებულია იმითაც, რომ არც ერთ მოსწავლეს არ ვაძლევთ უფლებას, თავად შეავსოს განაცხადი, რადგან, ჩვენ, მასწავლებლებმა, უკეთესად ვიცით მათი შესაძლებლობები, სუსტი წერტილები. ამიტომ, ყველა მოსწავლეს პირადად ვუვსებ განაცხადს და ეს ძალიან ამართლებს. ასევე, ვცდილობთ, ისინი მოვამზადოთ გამოცდებისთვის ფსიქოლოგი-



ურადაც და ინტენსიური ტესტირებით ვუქმნით საგამოცდო გარემოს, ეს ყველაფერი კი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში ძალიან ეხმარებათ.

**ანი პალაგაშვილი**: ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უცხო ენების ფაკულტეტზე, 70-პროცენტიანი გრანტით. „პროფესიონალი – 2010-ში“ მოვედი ნოემბერში, მჭირდებოდა ისტორიაში მომზადება. ვემზადებოდი რუსკა შაყულაშვილთან, რომელიც არაჩვეულებრივი მასწავლებელია და ძალიან მიყვარს. საბოლოოდ, ისტორიაში 80 ქულიდან 68 ქულა ავიღე და შედეგით კმაყოფილი ვარ. ბოლო თვეებში, ასევე, დავიწყე ინგლისურსა და ქართულში მეცადინეობა, რადგან, მივხვდი, რომ, სხვაგან, სადაც ვემზადებოდი, ვერ მაძლევდნენ საჭირო ცოდნასა და მიმართულებას. „პროფესიონალი – 2010-ში“ ყველა საგანში ტესტური მეცადინეობები ტარდება, ამან კი გამოცდების ჩაბარება გამიადვილა, თან, ფსიქოლოგიურადაც კარგად მომამზადეს. აქ გარემოც ძალიან კარგი და კომფორტულია, სწავლაზეა ყველა კონცენტრირებული. ამიტომ, მათ, ვისაც სურს მომავალ წელს ეროვნული გამოცდების ჩაბარება, ვურჩევ, მოვიდნენ „პროფესიონალი – 2010-ში“.

**ბექა მარგიანი**: ჩავაბარე ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე. ამ ცენტრის დამსახურებაა ჩემი წინ გადადგმული ნაბიჯი. „პროფესიონალი – 2010-ში“ ოქტომბერში მოვედი, ყველა საგანში ვემზადებოდი. აქ, უპირველეს ყოვლისა, ოჯახური გარემოა, სწავლის მაღალი დონე და პროფესიონალი პედაგოგები არიან. რაც მთავარია, სწავლების, მუშაობის ზუსტად ისეთი გარემოა, როგორიც ეროვნულ გამოცდებზე. ამიტომ, სხვებსაც გულით ვურჩევ აქ მოსვლას.

**მიხეილ ქათამაძე**: ჩავაბარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, 50-პროცენტიანი გრანტით. ჩვენმა დირექტორმა შემივსო განაცხადი და მას ბოლომდე ვენდე, რადგან, ამ საქმის ნამდვილი პროფესიონალია. „პროფესიონალი – 2010-ში“ სწავლების მაღალი დონეა, ამიტომ, ყველა აბიტურინეტს ვურჩევ მოსვლას, რადგან, აქ მიღებულმა ცოდნამ, მუშაობის გამოცდილებამ, ფსიქოლოგიურმა მომზადებამ, შარშან გამოცდების ჩაბარება გამიადვილა.

**მისამართი: ჭოველიძის 5 (ყოფილი ბელინსკის ქუჩა, რუსთაველის მეტროსთან) ტელეფონები: 2-30-71-13; 555-63-48-01.**

**იჩქარეთ! ადგილები შეზღუდულია!**

**ნათია უტიაშვილი**

საფინანსო კომპანია „საქართველო“

გთავაზობთ: ავტოლომბარდს ყველაზე დაბალი პროცენტით, ადგილზე გადაფორმებითა და დაზღვევით 5 წუთში; ასევე, ერთდღიან საექსკურსიო ტურებს კომფორტული ავტობუსებით, საქართველოს ტერიტორიაზე ახალაღმოჩენილი, ეგვიპტის პირამიდების დროინდელი ყორღანების დასათვალიერებლად, ორჯერადი კვებით. ტურის ღირებულება ჯდება 60 ლარი. ჩვენს კომპანიას გააჩნია 12 კომფორტული ავტობუსი. შეგვიძლია, მოგემსახუროთ საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე, იაფად და ხარისხიანად.

გარდა ამისა, საფინანსო კომპანია „საქართველო“ უკვე მე-6 წელია, თქვენი საიმედო პარტნიორია, რომელიც მოსახლეობისგან იღებს სესხებს წლიური 30-პროცენტიანი სარგებლით.



მისამართი: აღმაშენებლის გამზირი №151 ტელ: * 18 18

# ს ა რ ჩ ე ვ ი




რატომ არის კლიმატური და ბუნებრივი პირობებით გამორჩეულ საქართველოში საკვების დეფიციტის ისეთივე დონე, როგორიც აფრიკის ქვეყნებში ..... 6

რატომ შენდება საქართველოში მეჩეთები და მინარეთები ძირითადად უცხო ქვეყნების მოქალაქეების ფულით და რატომ აკრძალეს შვეიცარიაში მინარეთების მშენებლობა ..... 8

რატომ დადის „ვისოლის“ ყოფილი გენდირექტორის და ფონდ „ათასწლეულის გამოწვევა – საქართველოს“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე 1997 წელს გამოშვებული ავტომანქანით ..... 9



გახდება თუ არა ახალი პრემიერ-მინისტრი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი და როგორ მოაგროვებენ პარლამენტში უმრავლესობისთვის საჭირო 51 პროცენტს..........10

რა საერთო აქვთ მერილინ მონროს, მონიკა ლევინსკისა და ვერა ბეიკერს და ამერიკის რომელი პრეზიდენტის ყოფილმა მძღოლმა გათქვა საიდუმლო რომანის ისტორია ..... 12



რომელმა მილიარდერებმა დაიწყეს საკუთარი კარიერის გაკეთება ნულიდან ..... 13

რა „გაუნაღდურა“ მეცნიერებათა აკადემიის ახალმა პრეზიდენტმა ილია ვეკუას წყნეთში და რატომ დააკავეს ის ატლანტის ოკეანეში ..... 14

რა კავშირი აქვს პარლამენტარ თემურ მაისურაძეს ცნობილ იაპონურ ჩაიდნებთან და რა გამოიგონა მან სამხედრო თვითმფრინავებისთვის ..... 15

ადვოკატი გირჩევთ ..... 16

ინტიმური საუბრები ..... 17

სადამდე მიჰყავს ქალი ქმართან დამაკავშირებელი ინტიმური „ძაფის“ გაწყვეტას ..... 20

რატომ ეძებს 32 წლის ქალი მეგობარს, რომელმაც მასთან ერთად იმშობიარა მეოთხე სამშობიარო სახლში და რა აკავშირებს მათ ერთმანეთთან ..... 21

სად მდებარეობდა „სვიმონის სასახლე“, ვინ იყო ხოჯა ბეჰბუდა და რომელი მშენებლობების დროს გამოიყენეს დანგრეული ხოჯავანქის სასაფლაოს საფლავის ქვები ..... 23



რას ვერ ასცდება ადამიანი დედამიწაზე და როგორ ახერხებს ის ძველი ცოდვების დავიწყებას ... 24

მოძღვარი გვირჩევს ..... 25

რომელი ტრანსფერი ითვლება ყველაზე ძვირადღირებულად მადრიდული კლუბის ისტორიაში ..... 26

ექიმის რჩევები ..... 29

რა ურთიერთობა ჰქონდათ ავლიპ ზურაბაშვილსა და ნიკიტა ხრუშჩოვს ..... 30

რატომ არის საშიში შურიანი მზერა და რა გავლენას ახდენს ადამიანზე წინაპართან ფიზიკური მსგავსება...........32



რის გამო უწოდებდნენ ვენსან კასელისა და მონიკა ბელუჩის ოჯახს „უცნაურს“ და რა დაუწუნეს მათ ერთმანეთს პირველი შეხვედრის დროს.........34

რა ინციდენტი მოხდა სტალინსა და როკოსოვსკის შორის ოპერაცია „ბაგრატიონის“ დაწყების წინ.........35

რომელი ფერი მოქმედებს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებსა და ვნებებზე დადებითად და მასტიმულირებლად.....36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი .... 45

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები ..... 46

კოსმეტოლოგის რჩევები ..... 47

როგორ მოახერხა შებღალული სახელის აღდგენა ცნობილმა თბილისელმა ქურდმა ..... 48

ვინ ჩამოიტანა თბილისში ჰიტლერისთვის დამზადებული ოქროს უნაგირი და რის შემდეგ დარწმუნდა ნუგზარ კვაშალის ბაბუა, რომ მის შვილიშვილს შავი პურის ფული ჰქონდა ..... 50



რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს...............51

ვეტერინარის რჩევები..................56

ფლორის სამყაროში..............56

მოტყუებულმა ცოლებმა ქმარზე ჯავრი ერთად იყარეს....................57

ქურდული ცხოვრება..............58

როგორ გარემოში უწევს ცხოვრება ირმა გიგანს და რაში უგებენ ის და მამუკა ჩარკვიანი ერთმანეთს თვალებით ..... 66

რატომ ათენებს ღამეებს ცნობილ ფრანგულ კაბარეში ელგა ფორჩხიძე და რაზე უთხრა მას უარი რონალდინიოს დაცვამ ..... 67

რატომ იჭერდნენ გია კერესელიძის ვუნდერკინდობის გამო გრიშა ჩიგოგიძეს და როგორ გადაიღო მან ჯერ კიდევ 9 წლის ასაკში ანიმაციური ფილმი ..... 68

როგორ „მოახერხა“ ქართველმა დედოფალმა, მართა-მარიამმა, ბიზანტიის ორი იმპერატორის მეუღლეობა ..... 72

როგორ აღმოაჩინეს ლაგოდეხის სამარხებში ეტლები, უძვიფასესი ქარვის მძივები, ნაქსოვი ტილოები, მუმიფიცირებული ბელადები და მათთვის შეწირული მონები და ცოლები ..... 73



გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ევრაზიული ხაფანგი

## ანუ „ბედი მომეც...“

ვიდრე ჩვენ ვარკვევდით, **რა იგულისხმა პრემიერ-მინისტრმა ჯერ არარსებულ ევრაზიის კავშირთან მიმართებაში** და, **სანამ განმარტავდა, რომ დასავლური ორიენტაციის კურსი უცვლელია, ჩვენი მეზობელი სომხეთის პრეზიდენტი თავის რუს კოლეგას შეხვდა.**

**შეხვდა, თვალებშიც ჩახედა და პრ. პუტინს შეჰპირდა,** რომ **სომხეთი მზადაა**, ჯერ ერთი, **საბაჟო კავშირში შესასვლელად** და, რაც მთავარია, **მომავალში ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნაში მონაწილეობის მისაღებად.**

ეს კიდევ **ნახევარი უბედობა იქნებოდა, რომ არა უფრო ადრე პრ. პუტინის ბაქოში ვიზიტი**, სადაც **მას ილჰამ ალიევთან ფრიად მეგობრული შეხვედრა ჰქონდა**. მეორე მხრივ,



**საპრეზიდენტო არჩევნები ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსაც კარზე უკაკუნებს**, რფ-ში კი **აზერაბიჯანელ მილიარდერთა ოპოზიციური გაერთიანებაა შექმნილი, რომელთა მიზანიც პრეზიდენტ ალიევის ჩანაცვლებაა,** მაგრამ, თუკი ამ **ჩვენი სტრატეგიული მოკავშირის ღიმილიან სახეს გავიხსენებთ პრ. პუტინთან შეხვედრის შემდეგ, სავარაუდოა, რომ ორმხრივად სარგებლიანი გარიგებასავით შედგა.**

თუ გავიხსენებთ, რომ **ამ ეტაპზე რფ-ისთვის ყველაზე საშური საქმე ევრაზიული კავშირისთვის ყოფილ საბჭოთა სივრცეში წევრების დაბევებაა,** არც ისაა გამორიცხული, **აზერბაიჯანის პრეზიდენტისგან ამაზე თანხმობაც მიელო**.

ამის გათვალისწინებით კი, გამოდის, რომ **რა კურსიც უნდა გამოცხადდეს, ხაფანგში ვართ**, რადგან, **საქართველოს დერეფნის ფუნქციას დასავლეთისთვის მხოლოდ აზერბაიჯანთან ტანდემში აქვს მნიშვნელობა**.

# „გულო, ჩადექ საგულესა“

## ანუ, სიყვარული აგვამაღლებს

**ბევრი ვიდავეთ თუ ცოტა**, ჩვენებურმა **სამართალდამცველებმა** პირადი ცხოვრების ამსახველი **ფარული ჩანაწერები, ბუნებრივია, მხოლოდ ის ნაწილი, რაც ხელში ჩაუვარდათ, გაანადგურეს,** ოღონდ, გვარწმუნებენ, რომ **გაითვალისწინეს თომას ჰამარბერგის რეკომენდაცია** (შეგახსენებთ, ამ უკანასკნელმა ჩვენებურებს ურჩია, **ერთი რომელიმე, ყველაზე თვალნათელი ჩანაწერი საქმეზე დასართველად დაეტოვებინათ, დანარჩენები კი ცეცხლისთვის მიეცათ**).

ჩვენ არ ვიცით, **რა პრინციპით შეარჩიეს ის ერთი სპეციალურად შექმნილი კომისიის წევრებმა** და **რამდენად შეძლებენ იმ ერთადერთითა და განუმეორებლით მავანთა დანაშაულის გამოვლენა-დამტკიცებას,** თუმცა, გენერალური პროკურორი **გვარწმუნებს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების განადგურება მაღალი ღირებულებებისადმი ერთგულებამ გადააწყვეტინათ** („სიყვარული აგვამაღლებს“).

სახელდობრ, ბ-ნი **კბილაშვილი ბრძანებს: „ჩვენ წავაწყდით ძალიან დიდ ღირებულებათა კონფლიქტს**. წარმოიდგენეთ სამართალდამცავ ორგანოში დაბარებული **ადამიანები, რომელთაც საკუთარ თავს აჩვენებენ ვიდეოფირზე და ამის შესახებ იციან გამომძიებელმა, პროკურორმა და მოსამართლემ. ეს გამოიწვევდა ძალიან ბევრი ადამიანის გულისტკივილს** („მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“).

ჰოდა, **ჩვენს მოქალაქეებს გული რომ არ სტკენოდათ, ჩანაწერები აღიგავა პირისაგან მიწისა**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ არავინ იცის **ამ ჩანაწერების** (იმას გარდა, რომ, შესაძლოა, სხვა ჩანაწერებიც არსებობდეს) **რამდენი ასლი არსებობს და ვის ხელშია, ვფიქრობ, უგულო სიყვარულის მოტრფიალეები გულს საგულეში კვლავაც ვერ დაიგულებენ**.

რაც შეეხება ღირებულებათა კონფლიქტს: **თუ მიწაზე დავეშვებით, აღმოვაჩენთ, რომ ამ უაპელაციო განადგურების ფაქტმა ნამუსი არა მხოლოდ ფირებზე გამოსახულებს, იმ ფირების შემქმნელებსაც მოსწმინდა**; მეტიც, **შეაგულიანა: ეს ერთი და სხვა მრავალიო** (როცა ეს ხახვივით შერჩათ, ხვალ სხვას ვითომ რატომ არ ჩაწერენ?!)!

# ჯიპუნახავები

## „... არ გაგისკდეს მუცელი“

რაკი **ძველებმა ისე დაამკვიდრეს, რომ ხალხის მსახურები ხალხზე მაძღრად უნდა ყოფილიყვნენ**, ბუნებრივია, **ამ გზას ახლებმაც უერთგულეს**. ან კი, **რატომ უორგულებდნენ, როდესაც, ნათქვამია, მუქთა იყოს, კუბო იყოსო**.




კუბოა (პირი ქვისკენ მიქნია!) თუ უკეთესი, გაირკვა, რომ, სახელდობრ, **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს TOIOTA LANDCRUISER-ის „ჯიპი“ უყიდია**, არც მეტი, არც ნაკლები, **79 551 ლარად**. ამ ინფორმაციას **გარდაბნის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელიც ადასტურებს**, თუმცა, **აი, ის კი არ იცის, თუ ვინ უნდა ისრიალოს ამ ახალი ავტოთი.**

მაგრამ, რაკი **ეს დუნია კეთილი და ინფორმირებული ადამიანების ნაკლებობას არ უჩივის**, მოარული ხმებით, **ამ 80 000-იანი „ჯიპით“ სწორედაც რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე უნდა ემსახუროს გარდაბნელებს.**

მეორე მხრივ, **2004-დან 2012 წლამდე გარდაბნის მუნიციპალიტეტს ამ ჩვენი ბიუჯეტიდან 41 ავტომანქანა შეუძენია** (ამ ფონზე რა სულმოკლეობაა ერთ „ჯიპზე“ გამოკიდება?!) მაგალითად, **2012 წელს ერთ-ერთ ავტომანქანაში 94 882 ლარიც კი გადაუხდიათ**, თუმცა, ეს ავტო იმავე წელს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსთვის გადაუციათ, სხვათა შორის, როგორც, აი, ის ზემოთ ნახსენები 41-ეც.

იმას გარდა, რომ, ზემოთქმულის თანახმად, **გარდაბანში ერთობ ხელგაშლილი ჩინოვნიკობა შეკრებილა,** ისიც **აშკარაა, რომ არ დაუკარგავს აქტუალობა საზღაპრო შეშფოთებას**: „მეშინია, ბატონო, **არ გაგისკდეს მუცელი!**“


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – **ნინო ხაჩიძე**, ჟურნალისტი – **თამუნა სამადაშვილი**
საზოგადოება და კულტურა: **გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე**
რელიგია: **ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე**
კრიმინალი და სამართალი: **ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე**
დაიჯესტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი**
მედიცინა: **ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე**
სპორტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე**
სტილისტ-რედაქტორი: **თამრიკო ზამთარაძე**
სტილისტი: **ნანა წერეთელი**
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: **თამუნა ახობაძე**
ოპერატორი: **მაია კარანაძე**
ფოტოკორესპონდენტები: **ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე**
მხატვრები: **ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე**
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: **გუგა ახობაძე**
ოფისმენეჯერი: **ინგა კერვალიშვილი**
იურისტი: **ქეთი უტიაშვილი**
მთავარი ეკონომისტი: **ნანა ბირჩაძე**
კომერციული მენეჯერი: **მარინა მჟავანაძე**
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
სარეკლამო დარგში: **სოფი ლორია**
სარეკლამო სამსახური: **სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი**
მარკეტინგის მენეჯერი: **ლევან მენთეშაშვილი**

ტელ: **239-25-52;** 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: **593 38-75-61; 239-23-53**

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: **www.tbiliselebi.ge**
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# რაც არის – იყო

## რატომ 10? მაშ რამდენი? – 20!

რადგან **ზარად მოსიარულე პრეზიდენტის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ მისი პრესსამსახური გვაწვდიდა** (ისე, რომ სათოფეზე არ გვაკარებდა), სავსებით ბუნებრივია, რომ **მყინვარწვერის დასალაშქრად მყოფი პრეზიდენტის თავგადასავლების შესახებ ცნობების მოწოდებაც მისმა პრესსამსახურმა იტვირთა:** ცხადია, **ჩვენი უზომოდ ცხოველი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად**.

კერძოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის



ცნობით, **2013 წლის სექტემბერში, „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამთო გამყოლთა ასოციაციის მიწვევით, მყინვარწვერის დასალაშქრად იმყოფებოდა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 5 047 მეტრია**... 3-დღიანი მოგზაურობის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილმა რამდენიმე გამოცდილ მთამსვლელთან ერთად **მყინვარის გარშემო მთები და პლატო დალაშქრა**." იგი მარტო არ ყოფილა – **ლაშქრობის მძიმე და საპატიო ხვედრი მასთან ერთად რუს საზოგადო მოღვაწე ანდრეი ილარიონოვსა** (კარგი რუსეთის წარმომადგენელსა) და გოგა ხაჩიძესაც გაუზიარებიათ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციას არც ის დაუმალავს, რომ **ჩვენს პირველ პირს ბეთლემის ტაძარიც მოულოცავს (41 00 მეტრის სიმაღლეზე**!). ამ თავგანწირული მსვლელობისას კი პრეზიდენტმა გაგვიმხილა, რომ **საქართველოს 20 მილიონი ტურისტის გასტუმრების პოტენციალი აქვს.** თუ გავიხსენებთ, რომ **აქამომდე გვაჯერებდა, ჩვენი ოცნების ზღვარი 10 მილიონი ტურისტიაო,** როგორც ჩანს, **სამშობლო მთებმა შთააგონა, რომ,** არც მეტი, არც ნაკლები, **20 მილიონ ტურისტსაც სავსებით თამამად დავაკმაყოფილებთ.**

მაგრამ, **სანამ ჩვენ იმას ვანგარიშობდით, 10 მილიონს მოვიზიდავთ თუ ძალები 20 მილიონზეც გვეყოფა**, გაირკვა, რომ **1936 წლის 11 აგვისტოს ქართველ ალპინისტებს სტალინის სახელობის რაიკომში შემდეგი შინაარსის რადიოგრამა** (ნომრად 21) გამოუგზავნიათ: „ ამხ. ლავრენტი ბერიას სახელობის ალპინისტების ჯგუფმა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებმა, **9-კაციანი შემადგენლობით დალაშქრეს ყაზბეგის მწვერვალი. თან ჰქონდათ ამხანაგ ბერიას ბარელიეფი, ამხანაგების, სტალინისა და ვოროშილოვის ბიუსტებთან ერთად**. ამხანაგები თავს მხნედ გრძნობენ."

მოკლედ, **ოცია თუ ათი, არაფერია ახალი ამ ცოდვილ მზისქვეშეთში.**

# „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი"

## ვეფხვებთან, ანუ, ძეგლებთან მეომრები

**რაკი აქამომდე**, ანუ, პირველ ოქტომბრამდე, **მოქმედებდა პრინციპი: „მეფის სიტყვა კანონია",** ამ უკანასკნელს კი **არც სტალინი ეპიტნავებოდა** (სხვათა შორის, არც დავით აღმაშენებლის ძეგლებს სწყალობდა და მემედ აბაშიძის ხომ საერთოდაც მოიძულა) და **არც მეორე მსოფლიო ომის მემორიალები, ერთნიცა და მეორენიცა საქართველოს მოქალაქეების თვალებს მოაშორეს.**




**აწ კი, რაკი თავისუფლება იგრძნო, ძირითადად, იოსებ სტალინის ძეგლები უკუმიმართულებით აამოძრავეს**. მაგალითად, **თელავში შინმოუსვლელთა მემორიალი აღადგინეს და სტალინის ძეგლიც თავის ადგილს დაუბრუნდა**. იმ მიზეზით, რომ თავისუფლებაა (ამიტომაც, ისეთებიც არიან, სტალინი რომ გულზე არ ეხატებათ), **დიდი ბელადის ძეგლი ნაირფერად შეიღება**. ჰოდა, **რაკი შეიღება, თელავის გამგეობამ სტალინის ძეგლის დემონტაჟის ბრძანება გასცა**; ზედაც, საზოგადოება **„სტალინის" თელავის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეც გააფრთხილა – 5 დღის ვადაში ძეგლი საკუთარი სახსრებით მოაშთეთო**.

თავის მხრივ, **„სტალინელები" ძეგლის დემონტაჟს არ აპირებენ,** პირიქით, **ხელმოწერებს აგროვებენ ძეგლის დატოვების მოთხოვნით**.

ამასობაში კი **სტალინის ბიუსტს დღის სინათლე სოფელ ვანთაშიც უნახავს**. ჩვენ არ ვიცით, **რატომ ვერ ივიწყებენ ჩვენი თანამემამულეები იოსებ ბესარიონის ძეს,** თუმცა, **თუ გავიხსენებთ, რომ ბოლო 9 წელიწადი ძეგლებთან ბრძოლის თვალსაზრისით გამორჩეული იყო,** ზედაც, **დავუმატებთ, კვლავაც ძეგლებით ვართ დაკავებული** (ამჯერად დადგმით), თან, **ეს დრამა თავზესაყრელი პრობლემების ფონზე ვითარდება,** სავარაუდოა, რომ **ხალხური ზეპირსიტყვიერების თანამედროვე პერიფრაზი** შემდეგნაირია: **„ერთ შვილ ხომ მაინც გავზარდე ძეგლებთან მეომარია".**

# „როგორმე ქარმა თუ მიმატოვა"

## ღრუბლებისა და ცოდვილი მიწის ლოგიკა

მაშინ, როდესაც **ქვეყნის პირველი პირი ღრუბელთა სიახლოვეს 5 000-მეტრიან სიმაღლეებს ლაშქრავს** ისეთი **კეთილშობილური მოტივით, როგორიც ტურისტთა მოზიდვაა,** აქ, **ცოდვილ მიწაზე, ტურიზმის ეროვნული ადმინისტაცია**, სხვათა შორის, იმავე ზეამაღლებული მოტივით, **ტაქსის მძღოლებს ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო კურსებს სთავაზობს.**

თუმცა, **განსხვავება ღრუბლებისა და მიწის მოტივაციებს შორის მაინც არის**: თუკი იქ, **ზემოთ, ტურისტების მოზიდვაზე მუშაობენ,** აქ, **ქვემოთ, ტაქსისტების გადამზადებას ტურისტთა მოზღვავების გამო ცდილობენ.**



სახელდობრ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია განმარტავს, რომ **„ახალი ინიციატივა უცხოელ ტურისტთა გაზრდილ რაოდენობას უკავშირდება. პროექტის მიზანი სერვისის გაუმჯობესება და მძღოლთა საქმიანობის ხელშეწყობაა**."

**თუკი ჩვენებური ტაქსისტები** (ვითომ ორორი დიპლომი არ ეყოფოდათ), **კურსებს წარმატებით გაივლიან, სერტიფიკატსაც მიიღებენ** და, ზედაც, **თავიანთ ტაქსიზე დასამაგრებელ ნიშნულსაც: English Speaking Driver**. ხოლო, იმ მძღოლებს, **ვინც უკვე ფლობს ამ საერთაშორისო ენას, სერტიფიკატსაც და ნიშნულსაც ოდენ გასაუბრების შედეგად გადასცემენ**.

უდავოა, რომ **ინიციატივა საშური და მისასალმებელია**, თუმცა, **თუ ცოტა მზე არ წაგვეშველა და როგორმე ქარმა არ მიგვატოვა**, სულაც რომ **ფეხშიშველებმა დავლაშქროთ ეს ჩვენი კავკასიონი** და **დედაწულიანად გავსხლათ ბერნსის პოეზია,** არ გვინერია სატურისტო ბედნიერება.

**გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია





**კვლევები აჩვენებს, რომ ხორცის საშუალო მოხმარება მოსახლეობის კვების რაციონში, გამოხატული კალორიებში, არ აღემატება 3-5 პროცენტს, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის კი 1 პროცენტია**

**საქსტატის მონაცემებით, 2013 წლის იანვარში საქართველოს მოქალაქის საარსებო მინიმუმი 150,7 ლარით განისაზღვრა, ივლისში კი ეს მაჩვენებელი 144,8 ლარამდე შემცირდა (ოფიციალური ინფორმაციით, პროდუქტების სეზონური გაიაფების გამო). იგულისხმება, რომ ამ თანხის 70 პროცენტი მოქალაქემ კვებაზე უნდა დახარჯოს, 30 კი – სხვა დანარჩენზე (კომუნალური გადასახადებით დაწყებული, მგზავრობა-ჩაცმა-დახურვით დამთავრებული). ქართული ნორმით, საქართველოს მოქალაქემ ყოველდღიურად 2 300 კილოკალორია უნდა მიიღოს, რაც, ჯერ ერთი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ ნორმაზე (2 450 კილოკალორია) ნაკლებია და, რაც მთავარია, მინიმალური სასურსათო კალათის კალორიულობა იაფი, ღარიბი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი პროდუქტებითაა გაზრდილი (კარტოფილი, შაქარი და ა. შ.). აქვე გეტყვით, რომ, ჩვენებური სტატისტიკოსების აზრით, შრომისუნარიანი მამაკაცისთვის დღეში 10 გრამი ღორის ხორცია საკმარისი, მაშინ, როცა ნივრის დღიურ ნორმად 7 გრამს გვიწესებენ. ქართული სასურსათო რეალობის არცთუ ნათელ მხარეებს პროფესორ პაატა კოღუაშვილთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ არის კლიმატური და ბუნებრივი პირობებით გამორჩეულ საქართველოში საკვების დეფიციტის ისეთივე დონე, როგორიც აფრიკის ქვეყნებში

**– ცნობილია, რომ საქართველოს, თავისი ღვთისგან ბოძებული პოტენციალიდან გამომდინარე, შეუძლია 10-12 მილიონი ადამიანის გამოკვება. როგორ მოხერხდა, რომ საარსებო მინიმუმადაც კი ვერ ვახერხებთ ამ კლიმატის შესაბამისი ნორმების დაწესებას?**

– საქართველოში უახლოეს მომავალში გადასაჭრელი პრობლემებიდან უპირველესი – სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაა. ეს მოიაზრებს ქვეყნის უნარს, უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობა კვების ძირითადი პროდუქტებით, ადგილობრივი რესურსების წარმოების ხარჯზე. მაგალითად, 2012 წელს საქართველოში იმპორტირებულ იქნა 1,1 მილიარდი აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, ხოლო ექსპორტმა მხოლოდ 443 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მაგალითად, იგივე მაჩვენებლები 2003 წელს 171 და 163 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. არადა, თანამედროვე მსოფლიოში დასაშვებად მიიჩნევენ სამამულო ბაზარზე სურსათის იმპორტს 15-20 პროცენტის ფარგლებში.

**– რამ გამოიწვია საქართველოში სასურსათო პროდუქციის წარმოების კლება?**

– ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ სასურსათო პროდუქციის წარმოება, დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე, ქვეყანაში 3-ჯერ შემცირდა, ხოლო, 2004 წლიდან დღემდე – 2-ჯერ. ქვეყანაში წარმოებული სურსათი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამის რაოდენობასაც კი. ეს არც უნდა იყოს დიდი მოულოდნელობა, თუ გავიხსენებთ, რომ FAO-ს მონაცემებით, 2003-2009 წლებში საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე აგრარული პროდუქციის წარმოების ინდექსი 29 პროცენტით შემცირდა, რაც ყველაზე უარესი მაჩვენებელია მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის. ეს მაჩვენებელი ბალტიის ქვეყნებში გაიზარდა 38-47 პროცენტით, ბელორუსში – 64-ით, მოლდოვაში – 16-ით, აზერბაიჯანში – 32-ით, სომხეთში კი 89 პროცენტით.

2003 წლიდან 2011 წლამდე ნათესი ფართობების 2-ჯერ შემცირების გამო, 4-ჯერ შემცირდა ხორბლის წარმოება, შესაბამისად, თვითუზრუნველყოფა 35 პროცენტიდან 6 პროცენტამდე დაეცა; სიმინდის – 1,6-ჯერ, კარტოფილის – 2-ჯერ, ბოსტნეულის – 2,5-ჯერ, ხორცის – 2-ჯერ, ხილის, ყურძნისა და ციტრუსების – 5-ჯერ.

**– მოსავლიანობა?**

– თითქმის 2-ჯერ შემცირდა ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაც, რაც, საშუალოდ, 3-ჯერ ნაკლებია იმავე მაჩვენებელზე განვითარებულ ქვეყნებში. მოსავლიანობის შემცირება პირდაპირი შედეგია იმ ღონისძიებებისა, რომლებიც წინა ხელისუფლებამ გაატარა აგრარულ სექტორში. ქვეყანაში შემოდის სასურსათო პროდუქციის ისეთი სახეობებიც, რომელთა ძირითადი მწარმოებელი თვით საქართველო იყო – კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, სტაფილო და სხვა ბოსტნეული, ხილი. მაგალითად, ბოლო წლებში კარტოფილის იმპორტი 19-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა ამ პროდუქციით თვითუზრუნველყოფა, ფაქტობრივად, 100 პროცენტს შეადგენდა. არადა, უახლოეს პერიოდში გარდაუვალია მწვავე სასურსათო კრიზისი, რაც, უპირველესად, სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებზე აისახება.

**ჩვენებური სტატისტიკოსების აზრით, შრომისუნარიანი მამაკაცისთვის დღეში 10 გრამი ღორის ხორცია საკმარისი, მაშინ, როცა ნივრის დღიურ ნორმად 7 გრამს გვიწესებენ**

**– რას გულისხმობს სრულფასოვანი კვება?**

– სურსათი სრულფასოვანია, თუ შეიცავს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საკმარისი რაოდენობის აუცილებელ ინგრედიენტებს: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს. ხელისუფლება ვალდებულია, მოსახლეობას შეუქმნას ისეთი სოციალური პირობები, რომ მან შეძლოს ჯანმრთელობისათვის აუცილებელი რაოდენობის დაბალანსებული საკვების შეძენა-მოხმარება. კერძოდ, ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად, საკვებ რაციონში პური უნდა შეადგენდეს დღეში 350 გრამს, ხორცი – 200 გრამს, რძე და რძის ნაწარმი – 960 გრამს, კარტოფილი – 170 გრამს, ბოსტნეული – 370 გრამს, ხილი – 210 გრამს, თევზი – 50 გრამს, ცხიმი – 30 გრამს, შაქარი – 100 გრამს. ეს არის საერთაშორისო ნორმები და გათვალისწინებულია საშუალო ასაკის, 70 კილოგრამი წონის, მსუბუქი შრომით დაკავებული 31-50 წლის მამაკაცისათვის. იგივე მონაცემებია 60 კილოგრამი წონის მქონე ქალისთვისაც და შეადგენს 2 800 კილოკალორიას დღეში.

**– მაგრამ, ჩვენთან ამაზე დაბალი ნორმაა, კერძოდ, 2 300 კილოკალორია დღეში.**

– ჩვენთან საკვების მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები ძალზე უხეშადაა დარღვეული. განსაკუთრებით დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება: ხორცის მოხმარება შემცირებულია – 2,5-3-ჯერ, თევზის – 4-5-ჯერ, რძის პროდუქტების – 2-3-ჯერ. ცილოვანი დეფიციტი კი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით ბავშვების, მოზარდებისა და ხანდაზმულებისათვის. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ხორცის საშუალო მოხმარება მოსახლეობის კვების რაციონში, გამოხატული კალორიებში, არ აღემატება 3-5 პროცენტს, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის კი – 1 პროცენტს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მხარეებიდან ხორცს ყველაზე მეტად მოიხმარს კახეთი – 5 პროცენტი, ყველაზე ნაკლებად კი – აჭარის მოსახლეობა – 2 პროცენტი. საყურადღებოა, რომ ქალაქების მოსახლეობა მეტად განიცდის სურსათის, მათ შორის – ცილების დეფიციტს, ვიდრე სოფლის მოსახლეობა, რაც აიხსნება იმით, რომ ქალაქის მოსახლეობა იძულებულია, გასწიოს მეტი არასასურსათო ხარჯი, რაც ამცირებს სასურსათო ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, სოფლად ფულის დეფიციტი ამცირებს არასასურსათო ხარჯებს. პარადოქსია, მაგრამ, ფაქტია, რომ, ქვეყანა, რომელიც თვითონ იყო ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტიორი, 2-3-ჯერ ნაკლებს მოიხმარს ამ პროდუქციას, ვიდრე, არა მხოლოდ განვითარებული, არამედ, პოსტსაბჭოთა ქვეყნები. ეს მხოლოდ ჩვენი მოსახლეობის უკიდურესად დაბალი მსყიდველობითი უნარით უნდა აიხსნას. მეორე მხრივ, მაღალია პურისა და პურპროდუქტების მოხმარების მაჩვენებელი: მაგალითად, პურისა და პურპროდუქტების მოხმარება 1,8-2-ჯერ მეტია ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით, რის გამოც საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 62 პროცენტი პურპროდუქტებზე მოდის. ანუ, ჩვენი მოსახლეობა ძირითადად პუ-

რით იკვებება და დღიური რაციონის ენერგეტიკული ღირებულების კომპენსაციას პურით ახდენს. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი საკვებ რაციონში 12-15 პროცენტს არ აღემატება. ასეთი დისბალანსი საკვებ რაციონში, ბუნებრივია, იწვევს პათოლოგიურ ცვლილებებს, ჯანმრთელობის გაუარესებასა და სავალალო შედეგებს, რაც გამოიხატება კიდეც ბოლო წლების სტატისტიკაში: თვალშისაცემია ბავშვთა სიკვდილიანობა, რითაც ჩვენ პირველ ადგილზე ვართ ევროპაში და, ზოგადად, ავადობის უპრეცედენტო მატება ფატალური შედეგებით.

**– გარდა, პურისა, რომლის ხარისხიც საეჭვოა, რა პროდუქტს მოიხმარს ჩვენი მოსახლეობა?**

– 2009 წლის შემდეგ ჩვენ მწირი ინფორმაციაც კი არ გვაქვს მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების შესახებ, რადგან, 2010 წლიდან სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გაუქმდა მასთან არსებული სასურსათო უსაფრთხოების ობსერვატორია და, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს არანაირი კვლევა და სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავება სასურსათო უსაფრთხოების თემატიკაზე. 1991 წლიდან დღემდე სურსათის მოხმარების მაჩვენებელი თანდათან მცირდებოდა, ყველაზე დაბალი იყო 1995 წელს, თუმცა, 1997-1998 წლებში მოკრძალებულად დაიწყო მატება 2003 წლის ჩათვლით, მაგრამ, მაინც მნიშვნელოვნად ნაკლები დარჩა ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით: ხორცზე შემცირდა 2,5-ჯერ, რძესა და რძის პროდუქტებზე – 1,7-ჯერ და პურის მოხმარება ისევ 2-ჯერ მეტი იყო ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით. 2004-2009 წლებში კი სასურსათო პროდუქციის მოხმარება ისევ შემცირდა და 2009 წლის მოხმარების მაჩვენებლები კიდევ უფრო დაშორდა ფიზიოლოგიურ ნორმებს. რაც შეეხება პურის მოხმარებას, 2004 წლიდან 2009 წლის ჩათვლით ეს მაჩვენებელი სტატისტიკაში არ ჩანს; სავარაუდოდ, ის იმდენად მაღალია, რომ მისი გამოჩენა უხერხულობას გამოიწვევდა.

**– ანუ, ფაქტობრივად, ვშიმშილობთ?**

– 2010 წლის საერთაშორისო კვლევის თანახმად, საქართველო იმ სახელმწიფოებს შორის აღმოჩნდა, სადაც შიმშილობის საშუალო დონეა. გაეროს მიერ დადგენილი ნორმით, ადამიანი შიმშილობს, თუ ის დღეში 1 800 კილოკალორიაზე ნაკლებს იღებს. ამავე კვლევის შედეგებით, საქართველო ჩამორჩება მეზობელ ქვეყნებს: სომხეთსა და აზერბაიჯანს. საქართველოში მოსახლეობის 50 პროცენტი გაეროს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე – 2 150 კილოკალორიაზე ნაკლებს იღებს, ხოლო 22 პროცენტი კი კრიტიკულზე – 1 800 კილოკალორიაზე ნაკლებს – 1 600 კილოკალორიას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კალორიების ნახევარზე მეტი პურზე მოდის, მოსახლეობის მდგომარეობა კომენტარს აღარ საჭიროებს. გაეროს მსოფლიოს მოსახლეობის ორგანიზაციის 2011 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 13 პროცენტს, ანუ, 600 ათას ადამიანს, დღეში შეუძლია დახარჯოს მხოლოდ 2 ლარი. მაგალითად, სომხეთში ასეთი მოსახლეობის რიცხვი 4 პროცენტია, აზერბაიჯანში, რუსეთში, ყაზახეთსა და მოლდავეთში – 2 პროცენტი. მეტიც, საქართველო, სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლით, რომელმაც განვითარებადი ქვეყნების მე-5 ჯგუფიდან მე-6 ჯგუფში გადაინაცვლა, ულარიბესი ქვეყნების რიცხვშია სუდანის, კამერუნისა და ნიგერიის გვერდით. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ საქმე გვაქვს სასურსათო გენოციდთან, რასაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ახორციელებდა ყოფილი ხელისუფლება.

**– რის მიხედვით დგინდება ჩვენთან სასურსათო მინიმუმი? ჩემთვის შოკისმომგვრელია, რომ დღეში ნორმად გვაქვს 10 გრამი ღორის ხორცი და 7 გრამი ნიორი!**

– 2003 წლის 8 მაისის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 111-ე ბრძანებით, ხორცის მოხმარების დღიურ მაჩვენებლად დამტკიცდა 80 გრამი, რაც 2,5-ჯერ ჩამორჩება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას, ანუ 200 გრამს დღეში; რძისა და რძის პროდუქტების ნორმა შემცირდა 4,5-ჯერ – 960 გრამიდან 215 გრამამდე; ბოსტნეულის განახევრდა: 370 გრამიდან – 182 გრამამდე; შაქარი შემცირდა 100 გრამიდან 55 გრამამდე. სამაგიეროდ, მოუმატეს პურის მოხმარების ნორმას – 350-დან 400 გრამამდე დღეში. ამდენად, ფიზიოლოგიურ ნორმად ჩაითვალა მინიმალური საკვების ის რაოდენობა, რის მიღებასაც მოსახლეობა ახერხებდა, მოხმარების მაჩვენებელიც ახალ „ნორმებს" დაუახლოვდა და ასე მარტივად „მოგვარდა" სასურსათო უსაფრთხოების დარღვევის საგანგაშო მდგომარეობა.




2011 წლის ივნისში აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნდა სურსათის რეკომენდებული ნორმები და, თუ შევუდარებთ ჩვენს ნორმებს, ვნახავთ, რომ საქართველოს მოქალაქე ზრდასრული, შრომისუნარიანი მამაკაცისთვის განსაზღვრული ნორმა ბევრად ჩამორჩება არა მარტო იმავე კატეგორიის აშშ-ის მოქალაქისთვის რეკომენდებულ ნორმას, არამედ, ნაკლებია 3-4 წლის ბავშვის ნორმაზეც კი, რასაც აბსურდამდე მივყავართ.

**– რამდენია რეალური მინიმალური სასურსათო კალათა?**

– ჩვენს საარსებო მინიმუმში, როგორც გითხარით, სურსათის წილი 70 პროცენტია, რაც არასწორია, ანუ, საარსებო მინიმუმი 112 ლარს შეადგენს, რაც მაინც მიუწვდომელია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. სპეციალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში საარსებოდ მიღებული მინიმალური ნორმის შესაბამისი სასურსათო კალათის რეალური ღირებულება 156 ლარია, რაც 28,2 პროცენტით აღემატება ოფიციალურად მიღებულს, ანუ, 112 ლარს. საარსებო მინიმუმის გაანგარიშება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ხორციელდება ეგრეთ წოდებული ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე და, მიჩნეულია, რომ სურსათის წილი ამ მაჩვენებელში უნდა შეადგენდეს 70 პროცენტს, რაც არასწორია, რადგან, ადამიანს, როგორც გონიერ არსებას, სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნია. სასურსათო და სამომხმარებლო ხარჯების გათანაბრების შემთხვევაში, რაც სწორი და სავსებით მისაღები გადაწყვეტილება იქნება, საარსებო მინიმუმის ღირებულება 312 (156+156) ლარს გაუტოლდება. ცნობისათვის, ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანში – 328 ლარია, სომხეთში – 230 ლარი, რუსეთში – 450 ლარი, ესტონეთში – 520 ევრო, სლოვენიაში – 830 ევრო, აშშ-ში – 902,5 დოლარი, ნორვეგიაში – 2 100 ევრო. სასურსათო კალათის ის მაჩვენებელი, რაც გვაქვს, საკმარისია მხოლოდ იმისთვის, რომ ადამიანი ლოგინიდან ადგეს და ფეხსალაგამდე მივიდეს, სხვა აქტივობის საშუალებას ის არ იძლევა.

**ნინო ხაჩიძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ისე მოხდა, რომ ჯერ პანკისის ხეობაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ადგილობრივი ქისტები და ქართველები (საბედნიეროდ, ყოფით ნიადაგზე), შემდეგ კი სოფელ ჭელაში ჯერჯერობით მუსლიმი და ქრისტიანი ქართველები – მინარეთის ყოფნა-არყოფნის თემაზე. ამ ამბავმა რუს პოლიტოლოგებს კვლავ ათქმევინა, რომ აჭარა საქართველოსთვის პერსპექტიული ცხელი წერტილია. არსებობს თუ არა რელიგიური დაძაბულობის გაღვივების საფრთხე არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში და რას უპირისპირებს ქართული სახელმწიფო ამ გამოწვევას, რომელშიც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების კვალიც მოჩანს? – თემას მამუკა არეშიძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ შენდება საქართველოში მეჩეთები და მინარეთები ძირითადად უცხო ქვეყნების მოქალაქეების ფულით და რატომ აკრძალეს შვეიცარიაში მინარეთების მშენებლობა



**თურქეთი არ მალავს, რომ თავის დროზე ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ყველა ქვეყანა არის თურქეთის ინტერესების სფეროში. ამიტომაც, ჩვენ ამას უნდა დავუპირისპიროთ მხოლოდ ღარიბი მეზობლის უხერხული ღიმილი**

**– გამომდინარე ჩვენი მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობიდან, საკმარისია მეჩეთებისა და ეკლესიების რაოდენობა?**

– საკითხი ასე არ დგას. მე მხარს ვუჭერ იმ აზრს, რომ, ნებისმიერ სოფელსა და თემს უნდა ჰქონდეს თავისი აღმსარებლობის საკულტო ნაგებობა. პრობლემა ის არის, რომ „ნაციონალების“ დროს შეიქმნა კანონი, რის მიხედვითაც ვერ გაარკვევ, ვის აქვს და ვის არ აქვს უფლება, მოითხოვოს საკულტო ნაგებობა; ვინ უნდა ააშენოს ის და ასე შემდეგ. ეს საკითხები ბუნდოვანი და გაუგებარია. შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში საერთოდ უყურადღებოდ იყო მიტოვებული, შემდგომში კი ეს კანონი, შესაძლოა, სპეციალურად შეიქმნა გაუგებრობებისთვის. აქედან გამომდინარე, ზოგიერთ სოფელში რამდენიმე მეჩეთია, ზოგიერთში – არც ერთი. მაგალითად, მთიან აჭარაში 160-მდე მეჩეთია. ხშირად ზოგიერთ სოფელს არც სჭირდება ამდენი მეჩეთი, ისევე, როგორც ეკლესია. ამიტომ, ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხს.

**– კანონმდებლობას გულისხმობთ?**

– დიახ, აუცილებლად კანონით უნდა დარეგულირდეს საკულტო ნაგებობის მშენებლობის წესი, თორემ, გამოდის, რომ, ვისაც ფული და სურვილი აქვს, ყველას შეუძლია, ააშენოს საკულტო ნაგებობა.

**– „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს როგორ რეგულირდებოდა ეს საკითხი?**

– სადაც საჭირო იყო, უცებ ხდებოდა ძალის დემონსტრირება. „ნაციონალებმა“ შექმნეს სისტემა, რომელშიც საზოგადოების ერთი ნაწილი აქციეს აგენტურად და მეორე ნაწილზე ამ აგენტურის მეშვეობით მოქმედებდნენ. თუ ვინმეს მოუნდებოდა მეჩეთის აშენება, აგენტურის მეშვეობით იგებდნენ და ამ აგენტურისავე მეშვეობით მიდიოდა ზემოქმედება ძალით, რომ მეჩეთი არ აშენებულიყო. ვიღაცას, შესაძლოა, მოეწონოს ეს მიდგომა, თუმცა, მაგალითად, ზემო აჭარაში არც ძალის გამოყენების შემთხვევები ყოფილა და არც აგენტურის: როგორც უნდოდათ, ისე აშენებდნენ მეჩეთებს. საბოლოოდ, ეს არაეფექტიანი მეთოდია, რადგან, მხოლოდ კანონს შეუძლია, დაარეგულიროს ეს საკითხი; არა იმიტომ, რომ მე დასავლური პრინციპების ერთგული ვარ, უბრალოდ ასე უფრო მოსახერხებელია. აი, კანონმა დაარეგულირა და შვეიცარიაში მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მინარეთი არ აშენდეს, რადგან, მინარეთი საუკუნეებით ჩამოყალიბებული შვეიცარიული კულტურისთვის უცხო ხილი და მიუღებელია.

**– ჩვენებური ულტრალიბერალები მინარეთის ყოფნა-არყოფნის არგუმენტს უპირისპირებენ მეორე არგუმენტს: ასევე შემაწუხებელია არამართლმადიდებელი მრევლისთვის სამრეკლო, ანუ, მაშინ ზარების რეკვაც უნდა აიკრძალოს.**

– შერეულ სოფლებში, შესაძლებელია, ასეთი მიდგომაც იყოს დემონსტრირებული: სიტუაცია რომ არ დაძაბონ, გარკვეული რიტუალები მოიხსნას. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ქართული სოფლები, რომლებშიც ცხოვრობს მუსლიმანი მოსახლეობაც, რადგან, სწორედ ეს გახდა ამ ბოლო დროს კამათის საგანი. მინდა, ხაზგასმით განვაცხადო, რომ ეს პრობლემად „ნაციონალური მოძრაობის“ ანტისახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ აქცია. ეს არის სპეციალურად შექმნილი კონფლიქტები, რომ ხაზი გაუსვან სახელმწიფოს სისუსტეს, იყოს მუდმივი დაძაბულობა და მსოფლიო საზოგადოების თვალში მოხდეს იმის დემონსტრირება, რომ საქართველო არატოლერანტული ქვეყანაა. მაგრამ, გულის სიღრმეში მაინც საქართველოს პატრიოტები არიან და, არ უნდათ, ბოლომდე ავნონ ქვეყანას; ამიტომ, მხოლოდ ქართულ სოფლებში აკეთებენ ამას და ჯერჯერობით არ ეხებიან ქვემო ქართლსა და პანკისის ხეობას.

**– თუმცა, პანკისში მაინც მოხდა გაუგებრობა.**

– იქ შეეცადნენ, რომ საყოფაცხოვრებო დაპირისპირება ქართველებსა და ქისტებს შორის რელიგიური დაპირისპირებისთვის გამოეყენებინათ. ფაქტია, რომ შეეცადნენ და მომზადებულები არ ყოფილან, რადგან, გონიერი ადამიანების ჩარევით როგორც ქისტების, ისე ქართველების მხრიდან, კონფლიქტი მალე ჩაქრა. მინდა, საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერაა ინსპირირებული ყველა ის დაძაბულობა, რაც შექმნილია ნიგვზიანში, სამთაწყაროში და ახლა – ჭელეთში. ასევე, ამაში ჩართულია დღევანდელ ძალოვან სტრუქტურებში არსებული მეხუთე კოლონა და ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, თურქეთის სპეცსამსახურები.

**– მენიშნა თურქეთის მუფტის სიტყვები: ჩვენ გული მოგვიკვდა, რაკი ამ მუსლიმანურ სოფელს არ ჰქონდა მინარეთი და, გადავწყვიტეთ, შეგვეძინა, რათა შორიდანვე ჩანდეს, რომ ეს სოფელი მუსლიმანურიაო. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სოფელს უნდა ეტყობოდეს, თუ ის მუსლიმანურია, მაგრამ, თუ გავიხსენებთ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საჯარო განცხადებას, რომ თურქეთის ოფიციალური პოლიტიკაა ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე თავისი გავლენის აღდგენა, მუფტის ეს განცხადება საგულისხმო მგონია.**

– როდესაც განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება, ჭელეთში დაგეგმილი იყო დავით ოღლუს ჩამოსვლა კონფიდენციალური ვიზიტით, მაგრამ, არ ჩამოვიდა. გულახდილად ვილაპარაკოთ: მინარეთები და მეჩეთები არ შენდება მორწმუნე თემის ფულით, ასეთი რამ უიშვიათესი გამონაკლისია. არც ეკლესიები შენდება მრევლის ფულით. ეკლესიებს, ძირითადად, აშენებენ მდიდარი ქართველები ან საპატრიარქო – შემოწირულობით. მუსლიმანური თემის შემთხვევაში განსხვავება არის ის, რომ, როგორც წესი, ეს არის სხვა სახელმწიფოს ფული, მცირე გამონაკლისის გარდა, როდესაც მდიდარი მორწმუნე ქართველი ან აზერბაიჯანელი აშენებს მეჩეთსა თუ მინარეთს. მე კატეგორიულად ავკრძალავდი ნებისმიერი რელიგიური ჰუმანიტარული ორგანიზაციის მუშაობას საქართველოს ტერიტორიაზე.

**– თუმცა, მაგალითად, იგივე „კათარზისმა“ ბევრი ადამიანი გადაარჩინა შიმშილითა და უწამლობით სიკვდილს.**

– ვგულისხმობ „კათარზისსა“ და „ხსნის არმიას“. იმიტომაც არსებობს სახელმწიფო, რომ თავის თავზე უნდა აიღოს ამგვარი პრობლემების მოგვარება, ან, ასეთ ორგანიზაციებს ავუკრძალავდი რელიგიურ ცხოვრებაში ჩარევას. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს კანონმა უნდა დაარეგულიროს, იმიტომ რომ, საქართველო არის სუსტი სახელმწიფო, მან უკვე გაიარა ეთნოკონფლიქტების ხანა და დღეს მავანი ცდილობს, ხელოვნურად ისევ გამოიწვიოს ეს პროცესები. თუ საქართველო კანონს არ დაუპირისპირებს ამ პრობლემას, მაშინ აქ მოხდება ის, რაც ხდებოდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში.

**– ქისტებსა და ქართველებს შორის ყოფითი კონფლიქტი მოგვარდა უცხოთა ჩარევის გარეშე, მაგრამ, აი, ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს შორის კონფლიქტმა ისევ აქტუალური გახადა რუსი პოლიტოლოგების საყვარელი თემა, რომ შემდეგი ცხელი წერტილი იქნება აჭარა. ანუ, რუსეთმა მეორე ხმა მისცა თურქეთს?**

– რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ამ საკითხში ერთმანეთს ვერ დაემთხვევა. რუსეთისთვის თურქეთის აქტივობა კავკასიაში უაღრესად გამაღიზიანებელია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უახლოესი სავაჭრო პარტნიორები არიან: დაახლოებით, 40 მილიარდი დოლარია მათი ყოველწლიური სავაჭრო ბრუნვა. რუსეთისთვის ერთ-ერთი სერიოზული მოწინააღმდეგე, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, არის თურქეთი და, არა მხოლოდ კავკასიაში. მეც ვამბობ, რომ აჭარა, შესაძლოა, იქცეს ცხელ წერტილად. როდესაც რამეს ვამბობთ, უმჯობესია, ვთქვათ პირდაპირ: თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ოღლუ არის თურქეთის ახალი ნეოოსმალური იდეის ავტორი. არ მალავენ, რომ თავის დროზე ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ყველა ქვეყანა არის თურქეთის ინტერესების სფეროში. ამიტომაც, ჩვენ ამას უნდა დავუპირისპიროთ არა ღარიბი მეზობლის უხერხული ღიმილი, არამედ, აქტიური ქმედება. თურქეთის საზოგადოება მიაჩვიეს აზრს, რომ აჭარა თურქეთია. თუ ამას წინ არ აღუდგება თვითონ აჭარის მოსახლეობა – როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმანი, ეს მალე ასეც იქნება. მაგრამ, იმისთვის, რომ აჭარის საზოგადოება ამას წინ ვერ აღუდგეს, საჭიროა, რომ იმ საზოგადოებაში იყოს შიდა დაპირისპირება, რისთვისაც ადვილი გამოსაყენებელია აჭარის მუსლიმანი მოსახლეობა. ერთი უბედურებაა, რასაც სცოდავს სახელმწიფო და აჭარის ქრისტიანული მოსახლეობა, მაგრამ, მთავარია ის, რომ სახელმწიფო არანაირ

# რატომ დადის „ვისოლის“ ყოფილი გენდირექტორის და ფონდ „ათასწლეულის გამოწვევა - საქართველოს“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე 1997 წელს გამოშვებული ავტომანქანით

## ილია ელოშვილი

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ილია ელოშვილი, 1975 წელსაა დაბადებული. უმაღლესი განათლება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიიღო (დაამთავრა 1999 წელს), სადაც საერთაშორისო ბიზნესის სამართალს ეუფლებოდა. მოგვიანებით განათლება უცხოეთში გაიღრმავა: 2005 წელს ჰოლანდიაში ბიზნესის ადმინისტრირებას პროფესიული განათლების უნივერსიტეტში სწავლობდა, 2007-სა და 2009 წლებში MCC უნივერსიტეტის ყოველწლიურ ღონისძიებაში მიუღია მონაწილეობა, 2010 წელს ლუქსემბურგში იმყოფებოდა, 2011 წელს აშშ-ში – სამხედრო ინჟინრების ასოციაციაში. მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში უცხოეთში სწავლის დეტალები ერთობ ბუნდოვნადაა მითითებული, ამიტომაც, ჭირს დადგენა: მან რამდენიმეთვიანი კურსები გაიარა თუ საფუძვლიანი სწავლა-განათლების პროცესი.

ბ-ნი ელოშვილის კერძო სექტორული კარიერა საკმაოდ სწრაფად განვითარდა: 2000-2003 წლებში შპს „ოსტორ-ნიდერლანდების“ კონსულტანტად მუშაობდა, 2003-2004 წლებში – შპს „გორგასლის“ მენეჯერად; 2004-2005 წლებში გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია PA Consulting Group-ის დასავლეთის ცენტრალური რეგიონის დირექტორი იყო; 2006-2007 წლებში კი ფონდ „ათასწლეულის გამოწვევა – საქართველოს“ ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის დირექტორი გახდა; 2007-ში იმავე ფონდში უკვე მთავარი აღმასრულებელი ოფიცრის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა; 2007-დან 2008-წლამდე შპს „ვისოლ პეტროლიუმის” გენერალური დირექტორის მოადგილედ მუშაობდა, თუმცა, 2008 წელს კვლავ ფონდ „ათასწლეულის გამოწვევა – საქართველოს“ დაუბრუნდა – აწ უკვე აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ; აი, 2010-2011 წლებში კი „ნიუ ენერჯის“ ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა; 2011-2012 წლებში ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) პროექტ Tetra Tech Inc-ის ხელმძღვანელის მოადგილე იყო. აწ კი, როგორც მოგეხსენებათ, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეა. რაკი ბ-ნი ელოშვილის კარიერა ბოლო დანიშვნამდე ჩინოვნიკური არ ყოფილა, თავისი პირველი დეკლარაცია 2010 წელს შეავსო, რომლის მეშვეობიაც ვიგებთ, რომ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, ასევე, მათთან ერთად ცხოვრობს მინისტრის მოადგილის დედაც – ქ-ნი მზია შეწირული.



ელოშვილების ქონება შემდეგნაირადაა გადანაწილებული: ილია ელოშვილის საკუთრებაა მიწის ნაკვეთი გლდანში (4 100 კვადრატული კილომეტრი ფართობის); ასევე, მიწის ნაკვეთი ყაზბეგის რაიონში (1 500 კვადრატული მეტრი ფართობის); საცხოვრებელი სახლი ყაზბეგის რაიონში (300 კვადრატული მეტრი ფართობის) და, აგრეთვე, 1997 წელს გამოშვებული მსუბუქი ავტომანქანა.

ქ-ნი მზია შეწირულის საკუთრებაა: საცხოვრებელი ბინა თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე – 120 კვადრატული მეტრი ფართობის და მიწის ნაკვეთი ყაზბეგის რაიონში, 6 000 კვადრატული მეტრი ფართობის. ქ-ნ მზიას, ასევე, ანაბარი აქვს „რიკო კრედიტში“ – 20 000 აშშ დოლარის ოდენობის.

ენერგეტიკის მინისტრის ამჟამინდელი მოადგილის მეუღლე 2011 წლის განმავლობაში „ენერგო პროში“ მუშაობდა თანაშემწედ (არ არის მითითებული, ვის თანაშემწედ) და მისმა წლიურმა სახელფასო ანაზღაურებამ 18 000 ლარი შეადგინა. ხოლო, აწ უკვე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს „ტეტრა ტეკის“ მშენებლობის ზედამხედველობამ 60 000 ლარი მოუტანა.

**ნინო ხაჩიძე**

---

პოლიტიკას არ უპირისპირებს ამ გამოწვევას. ვერც ერთ ხელისუფალს ვერ შევაგნებინე, რომ საგანმანათლებლო საფარის ქვეშ ტარდება ანტიქართული პოლიტიკა ყველა მეზობლის მიერ! ყველა მეზობელი გვებრძვის ამ მეთოდით, რუსეთის გარდა, იმიტომ რომ, ყველაზე ნაკლებად გონიერები არიან და ტანკებითაც გვებრძვიან.

**– ტანკი აშკარაა და, ვხვდებით, რომ გვებრძვის.**

– დიახ, დანარჩენი მეზობლები კი თავიანთი გავლენების გატარებას ცდილობენ საგანმანათლებლო სფეროსა და ეკონომიკის მეშვეობით. არ ვიცი, რა ტიპის ვალდებულებები აიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თურქეთის წინაშე, რომ ამდენის უფლებას აძლევს თურქეთი თავის თავს საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე, როგორც, ამდენივეს უფლებას აძლევენ თავს ირანი თუ არაბული სახელმწიფოები. ერთია კეთილმეზობლური ურთიერთობა და, მეორე – სახელმწიფო უსაფრთხოება. ეს არ ესმოდა არც ერთ ხელისუფალს და, მხოლოდ უშიშროების სტრუქტურებით სიტუაციის შეკავება არ გამოვა.

**– პირადად მე იმაშიც მეპარება ეჭვი, უშიშროების შესაბამისი სტრუქტურები ისეთი პროფესიონალებით გვყავდეს დაკომპლექტებული, ჩაშალონ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების გეგმები.**

– მე სერიოზულად მეეჭვება, უშიშროების სტრუქტურაში იყოს იმ ტიპის კადრები, საგანი კარგად ესმოდეთ. მეტსაც გეტყვით, არც ხელისუფლებაში დარჩა ხალხი, ვისაც ეს საგანი კარგად ესმის.

**– საზოგადოებაში დაგვრჩა ხალხი, კრიტიკულ მასას გვგულისხმობ, ვისაც ეს საგანი კარგად ესმის?**

– მაგალითად, მე მესმის ეს საგანი.

**– აქვე უნდა ვთქვა, რომ, თემის გაშუქებისას, გამჭვირვალობა-დემოკრატიის მოტივით სცოდავენ ჩემი კოლეგებიც, რომლებიც ხშირად აბუქებენ პრობლემას და ამით ხელოვნურად ამწვავებენ.**

– ეს ფსევდოგამჭვირვალობა და ფსევდოტოლერანტობა წამგებიანია ქვეყნისთვის, განა მათ არ ესმით, მაგრამ, ზოგიერთი თქვენი კოლეგა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები იმ კატეგორიებით არ ფიქრობენ, რაზეც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ და იმ კატეგორიებით, როგორც ისინი ფიქრობენ, რასაკვირველია, ილახება ვილაცის უფლებები. მინარეთში არ არის საქმე: ის, რაც გააკეთა საბაჟო სამსახურმა, არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. თან, გაითვალისწინეთ, ადიგენის რაიონი ერთადერთია, სადაც ხელშეუხებლად დგას „ნაციონალური მოძრაობა“, საკრებულოც მთლიანად მათია და გამგებელიც. საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მინარეთი უნდა აიღონ და, ზემოთ, ვიღაც უტვინო, თუ შეკვეთა არ ჰქონდა, წამოეგო ამ პროვოკაციას. ვიდრე არ შეიქმნება სახელმწიფოს შესაბამისი რგოლი, რომელიც რელიგიათაშორის საკითხებს დაარეგულირებს, არაფერი გამოვა; ხოლო, თუ დიდხანს გაგრძელდება ეს უმოქმედობა, ეს რგოლი უკვე აღარ იქნება საჭირო, იმიტომ, რომ რელიგიურ ომში აღმოვჩნდებით.

**– თუ ჩავთვლით, რომ მოისინჯა ნიადაგი ქართველი მუსლიმანებისა და ქრისტიანების დაპირისპირებით, შესაძლებელია, ველოდოთ რელიგიურ პრობლემებს ახლა უკვე ქართველებსა და არაქართველებს შორის?**

– ეს სავსებით რეალურია. ქვემო ქართლის მოსახლეობას დიდი ხანია, უჩიჩხინებენ, მაგრამ, იმ ქვეყნის ემისრების ძირითადი ამოცანა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა კი არა, აზერბაიჯანის სახელმწიფოს დასუსტებაა. მაგალითად, გარდაბნის რაიონის ერთ პატარ სივრცეში არის ვაჰაბიტი, შიიტი და სუნიტი მოსახლეობა, მაშინ, როცა მხოლოდ შიიტები იყვნენ და, შესაბამისად, ერთმანეთს გავლენისთვის ებრძვიან ირანი, არაბული სამყარო და თურქეთი. როდესაც დაამთავრებენ ერთმენთთან ბრძოლას და გამარჯვებული გამოვლინდება, აი, მაშინ დაგვიდგება ძალიან რთული დღეები. ჩემი რეცეპტი მარტივია: ნუ მივცემთ ნურც ერთ ქვეყანას საშუალებას, რომ საქართველოს მოქალაქეები წაიყვანონ თავიანთ უმაღლეს, განსაკუთრებით – რელიგიურ სასწავლებლებში. აქ შევქმნათ ეს უმაღლესი სასწავლებლები; მხარი დავუჭიროთ ტრადიციული ისლამის გაძლიერებას, რასაც კავკასიური, ქართული ისლამი ერქვა. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე არის სოფელი საბათლო, სომხური სოფელი, რომელშიც აჭარელი ეკომიგრანტების 20 ოჯახია. აი, იქიდან წაიყვანეს ბავშვები თურქეთში სასწავლებლად. როგორ მიაგნეს?! ამის დაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან, ეს სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემაა. ვხედავ, რომ სერიოზული შემოტევაა საქართველოზე, ზეწოლაა ყველა მნიშვნელოვან ინსტიტუტზე: ეკლესია, ტრადიცია, ცხოვრების წესი... შესაძლოა, ბევრი რამ მახინჯია, მაგრამ, ეს ჩვენ უნდა შევცვალოთ. გარდა ამისა, ხელოვნურად ფერხდებოდა და ფერხდება საქართველოს ეკონომიკის განვითარება, ამას ემატება ტოტალური უსამართლობა, რაც ზრდის საზოგადოების იმედგაცრუებას. ეს იწვევს დეპრესიას, დეპრესიული საზოგადოება კი ვერანაირ პროდუქტს ვერ ქმნის. „ქართული ოცნების“ წევრი ვარ და არც ვაპირებ მის დატოვებას, მაგრამ, ჩემთვის მიუღებელია, რაც ხდება პარტიასა და სახელმწიფოში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაკეთდა. ქართველი საზოგადოება, რომელიც ყოველთვის იყო პოლიტიკური პროცესის განმსაზღვრელი, დღეს ბევრად უფრო აქტიური უნდა იყოს. მოლოდინის რეჟიმი არ არის სწორი, ჯობია, ადგე და შეცვალო. ამიტომ, ხელისუფლებზე ზეწოლა აუცილებელია. აი, ამ იდეისთვის, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად გადავწყვიტე, 14 სექტემბერს მოვაწყო დიდი შეკრება, რომ დავინახოთ, შეუძლიათ თუ არა ქართველებს რამის გაკეთება. ყოველ შემთხვევაში, მე მინდა, რომ შეეძლოთ.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**მართალია, საპრეზიდენტოდ აგერ უკვე 44 კანდიდატია გამზადებული, თუმცა წინასაარჩევნო კამპანია ისე დუნედ მიმდინარეობს, არც ჩვენს ამომრჩეველს და არც საპრეზიდენტოდ გამზადებულებს დიდი გვარის კაცის შემოლაწუნება არ აწყენდათ, ცოტა რომ გაცოცხლებულიყო ეს ჩვენი არაადეკვატურად მინავლებული წინასაარჩევნო ცხოვრება. მეორე მხრივ, უფრო დიდი აქტივობა გამოიწვია პრემიერ-მინისტრის იმ განცხადებამ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მალევე აპირებს არა მხოლოდ თავისი პოსტის, არამედ, აქტიური პოლიტიკის დატოვებას. თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ გადანაცვლებას საზოგადოებრივ სექტორში გეგმავს, სამოქალაქო საზოგადოება კი ჩვენი თანამედროვეობის აქილევსის ქუსლია (რადგან არც ერთ ხელისუფალს არ სურს სამოქალაქო სექტორის გაძლიერება), შესაძლოა, ბ-ნი ივანიშვილის წასვლა მოსვლასაც ნიშნავდეს. რა გავლენას მოახდენს საპრეზიდენტო კანდიდატების გამარჯვების შანსებზე პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება? – ამ თემაზე ამჯერად ირინა სარიშვილის პროგნოზს მოვისმენთ.**

# გახდება თუ არა ახალი პრემიერ-მინისტრი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი და როგორ მოაგროვებენ პარლამენტში უმრავლესობისთვის საჭირო 51 პროცენტს

**– ვის მიაყენა დარტყმა და ვინ გააძლიერა ყველაზე მეტად ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრის პოსტიდან წასვლის შესახებ განცხადებამ?**

– დარტყმა მიიღო, რა თქმა უნდა, მარგველაშვილმა, რომელიც ისედაც შოკისმომგვრელი კანდიდატურა იყო და ვის მიმართაც დადებითი დამოკიდებლება მთლიანად იყო განპირობებული ივანიშვილის ფაქტორით. იგივე შეიძლება ითქვას საპარლამენტო უმრავლესობაზე, თუმცა მათ უკვე განაღდებული აქვთ თავიანთი მდგომარეობა, განსხვავებით მარგველაშვილისგან.

**– მაგრამ მხოლოდ მომავალი სამი წლის განმავლობაში?**

– ვნახოთ, ეს მომავალი სამი წელიწადი რას ნიშნავს. რაც შეეხება მარგველაშვილს: არ გამოვრიცხავ, რომ მარგველაშვილმა მაინც მოიგოს, რადგან არსებობს საამისოდ სხვა საარჩევნო მექანიზმებიც.

**– და „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნების შიშის გამოც?**

– და შიშის ფაქტორიც არსებობს, მაგრამ ყველაზე მეტი სარგებელი ამ მდგომარეობიდან მიიღო „ნაციონალების“ კანდიდატმა.

**– და არა ნინო ბურჯანაძემ?**

– დიახ, და არა ნინო ბურჯანაძემ. მე არ ვიცი, საიდან და როგორ დააჯერეს საზოგადოება შეცდომით, რომ ნინო ბურჯანაძე მიიღებს რაღაც დივიდენდებს ბიძინა ივანიშვილისგან.



ყველაზე მეტი სარგებელი ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მიიღო „ნაციონალების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა

„ნაციონალების“ და ამ შემთხვევაში უკვე ბიძინა ივანიშვილის გარეშე „რესპუბლიკელებისა“ და საპარლამენტო უმრავლესობის ინტერესთა თანხვედრა აბსოლუტურად გასაგებია. გავიხსენოთ ლევან ბერძენიშვილის დაუფარავი განცხადებები იმის შესახებ, რომ მეორე ადგილზე უნდა გავიდეს დავით ბაქრაძე და ნინო ბურჯანაძეს არ მიაკარებენ მეორე ადგილს. მეტსაც ვფიქრობ, თუ გამოუვიდათ, მესამე ადგილზე შალვა ნათელაშვილს უფრო „გაქაჩავენ“, ვიდრე ბურჯანაძეს. მე არ ვარ ბურჯანაძის მეხოტბე და არც მომავალში ვიქნები, რადგან ფუნდამენტური სხვაობებია ჩვენ შორის ბევრ საკითხში და არა მხოლოდ პოლიტიკაში, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ ნინო ბურჯანაძე ამ სამეულიდან რადიკალურად განსხვავდება თავისი დღევანდელი მდგომარეობით. მეორეც – არ დაგვავიწყდეს, რომ საარჩევნო კომისიებში ბურჯანაძეს არ ჰყავს თავისი წევრები, ეს კი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და, სამწუხაროდ, რეიტინგზე უფრო მნიშვნელოვანი. კიდევ ერთი – ყველა დანარჩენი კანდიდატი ხმას არ უყოფს ბაქრაძეს, იმიტომ რომ ბაქრაძეს ჰყავს სპეციფიკური და, აქედან გამომდინარე, სტაბილური ამომრჩეველი. ვინც „ნაციონალებისთვის“ აპირებს ხმის მიცემას, ის სხვა კანდიდატისკენ არ გადაიხრება. ამდენად, ყველა დანარჩენი კანდიდატი ხმას უყოფს ნაწილობრივ მარგველაშვილს და ნაწილობრივ – ბურჯანაძეს. ასე რომ, დასკვნის გაკეთება ძალიან იოლია.

არ მგონია, მოხერხდეს დავით ბაქრაძის პირველ ადგილზე გასვლა, თუმცა ამ კურიოზებით სავსე ქვეყანაში ალბათობის დონეზე ამასაც ნუ გამოვრიცხავთ, მაგრამ ფაქტია, რომ დაგეგმილია ბაქრაძის მეორე ადგილი, რაც შემდეგ გაამართლებს და საფუძველს შეუქმნის პარლამენტს, რომ კოაბიტაციის თემა გააგრძელონ. ასევე, ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, თუ ვის უთავისუფლებს პერმიერ-მინისტრის ადგილს ბიძინა ივანიშვილი.

**– ვის, თქვენი აზრით?**

– სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს „ნაციონალი“, რომელი ვერ გეტყვით, მაგრამ, თუ მომავალ კოალიციაზეა საუბარი, არა კოალიცია „ოცნებაზე“, არამედ „რესპუბლიკურ“-„ნაციონალურ“ კოალიციაზე, რაზეც ჩვენ ძალიან დიდი ხანია, ვლაპარაკობთ, მაშინ ბუნებრივია, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტი ან უნდა დაეთმოს „ნაციონალს“, ან გაიცვალოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტში. ამით მანიპულირება ძალიან ადვილია.

**– ახალი მოდელით, პრემიერ-მინისტრი ძლიერი იქნება, თუ ეყოლება საპარლამენტო უმრავლესობა და, საერთოდაც, საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა აირჩიოს ახალი პრემიერ-მინისტრი. საკმარისია „ნაციონალებისა“ და, როგორც თქვენ ამბობთ, მათთან მყოფი „რესპუბლიკელების“ ხმები უმრავლესობის შესაქმნელად?**

– აქ მარტო „რესპუბლიკელებს“ ნუ თვლით, მათთან ერთად არიან „თავისუფალი დემოკრატები“, ანუ ირაკლი ალასანიას დაჯგუფება, რომელიც, სამწუხაროდ, „რესპუბლიკელებისგან“ და „ნაციონალებისგან“ იდეოლოგიურად არაფრით განსხვავდება. არის კიდევ პარტია „ოცნება“, რომელშიც ძალიან ბევრი დაბნეული ადამიანია მოხვედრილი. იქიდანაც ნუ გამოვრიცხავთ კონკრეტული ადამიანების გადმოდინებას. და, ბოლოს და ბოლოს, პარლამენტში 40 პროცენტი „ნაციონალები“ არიან.

**– და მონოლითური „ნაციონალები“.**

– დიახ, მონოლითური „ნაციონალები“ და 40 პროცენტს 11 პროცენტი როგორ არ დაემატება, რომ რაღაც სურათი მივიღოთ?! ასე რომ, მოგროვდება ეს რაოდენობა.

**– ჩვენ გვახსოვს „ნაციონალური მოძრაობის“ ძალიან აგრესიული წინასაარჩევნო კამპანიები, მაშინაც კი, როდესაც გარანტირებული ჰქონდათ გამარჯვება. ამჯერად ძალიან არააგრესიული კამპანია აქვთ. რას უკავშირებთ ამას?**

– ყველაფერს, რაც ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოხდა. ამაზე იმდენი მაქვს ნათქვამი, გამეორება აღარც არის საჭირო. პლუს, ამასვე მიუთითებს ივანიშვილის მიერ არჩევნების წინ გაკეთებული განცხადება, რომელიც შეიძლებოდა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გაეკეთებინა.

**– თუმცა გვახსოვს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ერთი წლის წინათ თქვა, ერთი წლის შემდეგ წავალ პოლიტიკიდანო?**

– ეს იყო სხვა შემთხვევა, როდესაც ჩემს დანაპირებს შევასრულებო. და მითხარით, რომელი თავისი დანაპირები შეასრულა?!

**– ის ამბობს, რომ შეასრულა ძირითადი დანაპირები: „ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოაშორა ხელისუფლებას, თუმცა მე ის გკითხეთ, მისი მოქმედების ეს სქემა წინასწარ ხომ არ იყო ჩაფიქრებული-მეთქი?**

– დღიდან პოლიტიკაში მისი შემოსვლისა, ყველაფერი წინასწარ იყო ჩაფიქრებული. ივანიშვილმა მშვენივრად იცოდა, რომ უნდა შეესრულებინა მავრის ფუნქცია: ხელისუფლებაში მოეყვანა ის ხალხი, ვინც სიზმარშიც ვერ ნახავდა ხელისუფლებაში მოსვლას, ანუ იმავე იდეოლოგიის ხალხი, რაშიც ამერიკელებმა ფული ჩაყარეს.

**– ესე იგი, თქვენი პროგნოზია, რომ „ნაციონალების“ მმართველობა დაბრუნდება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ?**

– რა თქმა უნდა. უბრალოდ მიშა სააკაშვილის გარეშე და თუ ვინმეს ამ ქვეყნის პრობლემა ის ეგონა, მიშა სააკაშვილი თუ ჰალსტუხს ჭამდა და ცხირს უშნოდ იწმენდდა, ყველაფერ დანარჩენს კი კარგად აკეთებდა, მაშინ ეს ქვეყანა იმ ხელისუფლებას იმსახურებს, რაც ეყოლება და რაც ჰყავს.

**– ჩვენ კი ვისმენთ, განსაკუთრებით, რუსი ექსპერტების შეფასებას, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნები იყო დიდი პოლიტიკის დიდი გარიგების შედეგი და ამომრჩეველი არაფერ შუაშია, მაგრამ ჩვენ, როგორც თვითმხილველებმა, ვიცით, რომ ამომრჩეველი შუაშია. ამჯერად თქვენც ფიქრობთ, რომ ამ საპრეზიდენტო არჩევნებში ფაქტორი არ იქნება ამომრჩეველი და მისი აქტივობა?**

– ამომრჩეველი ფაქტორი იქნება იმ დოზით, რა დოზითაც აქამდე ყოფილა, იმიტომ რომ ამომრჩეველი ახლა სრულიად დაბნეულია და ისიც ვიცით, რას აკეთებდა ხოლმე დაუბნეველი ჩვენი ამომრჩეველი. მცირე დოზით ამომრჩეველი იქნება ფაქტორი, იმიტომ რომ არსებობს 25-პროცენტიანი საარჩევნო ცდომილება, რაც გამოიყენეს ბოლო საპარლამენტო არჩევნებში და ეს 25 პროცენტი პირდაპირ აჩუქეს „ნაციონალებს“. 25-პროცენტიანი ცდომილებით აბსოლუტურად შესაძლებელია საპრეზიდენტო არჩევნებში, თუ პირველის არა, მეორე ადგილის განსაზღვრა.

**– რასაც თქვენ ამბობთ, ხომ ნიშნავს, რომ მაშინ ბიძინა ივანიშვილი, როგორც პიროვნება, კოტრდება?**

– ვის გაკოტრებაზე მელაპარაკებით – ათეულში შემავალი მილიარდერის?!

**– მე ვგულისხმობ მორალურ გაკოტრებას.**

– მე ვერ ვილაპარაკებდი იმ ადამიანის მორალურ მხარეზე, რომელიც აცხადებს, რომ არ სჯერა სიცოცხლის სიკვდილის შემდეგ. ეს განცხადება მან თავის დროზე გააკეთა და გამგონმა გაიგო, მაგრამ, ვისაც ყურებზე ხელი ჰქონ-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები) პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ ეფექტს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**რეზო ხარშილაძე**, *54 წლის (ეკონომისტი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: დისკოგენური (L4-5 – S1) იშიო-რადიკულიტი. შარშან სიმძიმის აწევისას დამეწყო წელის ძლიერი ტკივილი. ექიმთან ვიმკურნალე და მალე გამიარა. წელს ისევ დავიტვირთე და გამიმეორა, ოღონდ, ფეხიც ჩაითრია და არანაირმა მკურნალობამ აღარ მიშველა. შემდეგ გამიშვეს კომპიუტერულ გამოკვლევაზე. 2 დისკის ამოვარდნა დამიდგინდა და ოპერაცია მირჩიეს. ამ კლინიკაში ნათესავმა მომიყვანა მწვავე ტკივილებით...

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, იქიდან გამოსულმა უკვე შვება ვიგრძენი. ღამითაც კარგად მეძინა და დილითაც უკეთ ავდექი. 3 დღეში ტკივილები მომეხსნა. მკურნალობას განვაგრძობ – ძალიან კმაყოფილი ვარ.

**ნანა თოლორაია**, *52 წლის (პედაგოგი. თბილისი).*

**დიაგნოზი**: მარჯვენა გონართროზი – II-III ხარისხის. რამდენიმე წლის წინ ავარიაში მოვყევი, მუხლი დავიზიანე და ოპერაცია დამჭირდა... შემდეგ ტკივილმა ნელ-ნელა მიმატა და მოძრაობა შემეზღუდა. 6-7 თვეა, ხელჯოხით დავდივარ, რადგან, ვერანაირი მკურნალობით ვერ მოვიხსენი ტკივილი, სად აღარ ვიყავი...



თქვენი ჟურნალის მეშვეობით მოვაგენი „ალექსიშვილის კლინიკას." პირველივე პროცედურაზე არნახული შედეგი მივიღე: მეორე დღესვე გადავაგდე ჯოხი (რაც ასე მთრგუნავდა), შესიება დაცხრა, თავისუფლად გავიმართე. მადლობა – ვის? „ალექსიშვილის კლინიკას" ***(იცინის).*** ღმერთმა დაგლოცოთ!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, წვა, ქავილი, სისხლდენა, ნაპრალი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – ეს ის პრობლემებია, როდესაც პაციენტი უხერხულობის გამო ექიმთან მისვლას ერიდება, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. გამოსავალი არსებობს – ბუასილი იკურნება ალექსიშვილის კლინიკაში, თანაც, მარტივად, სწრაფად და ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე!**

**თამაზ მინდაძე** ***(45 წლის. თბილისი).*** რვა წელი ვიტანჯებოდი ამ დაავადებით. ხელოსანი კაცი ვარ, დურგალი. ბოლოს ისე გამამწარა, მუშაობაც აღარ შემეძლო. დიდი ხანია, მაწუხებდა კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ქოლეცისტიტი, გასტრიტი, შეკრულობა. ამან გამოიწვია ნახეთქის (ნაპრალის) გაჩენა (ეს გასინჯვით დამიდგინდა). საშინელი ტკივილებით მოვედი მანანა ექიმთან, გამაყუჩებლებიც აღარ მშველოდა. ასევე, მქონდა სისხლდენაც. წავიღე მალამოები და... სასწაულის ტოლფასი იყო ის, რაც მოხდა – ტკივილები იმავე საღამოს გამიჩერდა. პირველმა კურსმა ყველა ჩივილი მომიხსნა, კუჭ-ნაწლავიც გამომისწორდა. ახლა ეს თაიგული ქალბატონ მანანას მოვართვი ***(იცინის)*** მადლიერების ნიშნად – ამისთვის შემოვირბინე.

**სვეტა მარშანია** ***(57 წლის. ზუგდიდი).*** ჩემმა ექიმმა გაიხაროს, მაინცდამაინც. მისი ოჯახი აშენდა! საოპერაციოდ მამზადებდნენ. მქონდა დიდი ზომის კვანძები, დისბაქტერიოზი, ტკივილები, წვა, ქავილი და რა ვიცი... საჭმელს აღარ ვჭამდი შიშით. ღომი რა არის, ღომი და, იმასაც ველარ ვინელებდი. ეს ბოლო იმედი იყო და გაამართლა. 2 კურსი მიმთავრდება ხვალ. საათივით მუშაობს ჩემი კუჭ-ნაწლავი, არანაირი ტკივილი და სისხლდენა, ყველაფერს გეახლებით, ღომსაც და... აჯიკასაც. ულრმესი მადლობა კლინიკის ყველა თანამშრომელს!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

და მიდებული, ვერ გაიგო.

**– მე არ მქონია ყურებზე ხელი მიდებული, მაგრამ გამოგიტყდებით, არ მახსოვს ეს განცხადება. როდის თქვა?**

– პოლიტიკაში შემოსვლის პირველივე დღეებში მე მას პრესკონფერენციაზე დავუსვი შვიდი შეკითხვა და ერთ-ერთი ძირითადი შეკითხვა სწორედ ეს იყო. მეორე – ივანიშვილმა უამრავი საქმე გააკეთა პოლიტიკაში შემოსვლით: ვგულისხმობ არა მხოლოდ „რესპუბლიკელების", ანუ მიშას იდეოლოგიის ხალხის მოყვანას ხელისუფლებაში, სავარაუდოდ, ბევრი ფინანსური ოპერაციაც მოგვარდა – ეგრეთ წოდებული ფულის გათეთრება. წლების შემდეგ ციფრებიც დაიდება, მაგრამ ერთი რამაა ფაქტი– ივანიშვილი არ დაზარალებულა პოლიტიკაში შემოსვლით და არც პოლიტიკიდან გასვლით დაზარალდება, იმიტომ რომ ყოველთვის იარსებებს ჩვენს ხალხში კრიტიკული მასა, რომელიც ბოლომდე იყვირებს, რომ ივანიშვილი გმირია, რომელმაც გვიხსნა. აი, ეს კრიტიკული მასა დააკმაყოფილებს მის შელახულ მორალურ მდგომარეობას.

**– თუ მაინც გიორგი მარგველაშვილი გავიდა პირველ ადგილას?**

– მარგველაშვილის პირველ ადგილზე გასვლას მე არათუ არ გამოვრიცხავ, ძალიან დიდი ალბათობაც მგონია, რომ გავა, მაგრამ მარგველაშვილი საერთოდ არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან პიროვნულად მაინც უნდა იყო სხვანაირი, რომ კანონით შემცირებულუფლებიანმა პრეზიდენტმა რამის გაკეთება შეძლოს. მარგველაშვილი იქნება „რესპუბლიკელებთან" და უმრვლესობასთან და, ასევე, კოაბიტაციაში მეორე ადგილზე გასულთან. ამიტომ ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, როგორ გაიყოფენ პირველ-მეორე ადგილებს ბაქრაძე და მარგველაშვილი.

**– ბაქრაძის მეორე ადგილი მნიშვნელოვანია მხოლოდ კოაბიტაციისთვის თუ დასავლეთის თვალში „ნაციონალების" იმიჯის შესანარჩუნებლად?**

– დასავლეთისთვისაც და, საერთოდ, კოაბიტაციაც დასავლეთიდან მოდის.

**– ამბობთ, რომ პოლიტიკაში მოსვლა-წასვლით ბიძინა ივანიშვილმა არათუ არაფერი დაკარგა, პირიქით, გაიუმჯობესა მდგომარეობა, მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა როგორ შეიცვალა ბოლო ერთ წელიწადში?**

– რომ არ ყოფილიყო ივანიშვილი, სააკაშვილი დარჩებოდა პრეზიდენტად?! ხომ მაინც ვერ დარჩებოდა?!

**– შეიძლებოდა, გამხდარიყო პრემიერ-მინისტრი.**

– ძალიან მიცრე ალბათობა იყო, რომ სააკაშვილი გახდებოდა პრემიერ-მინისტრი, რადგან ვხედავთ, როგორი დამოკიდებულებაა მის მიმართ „ნაციონალურ მოძრაობაში". მე მგონია, რომ მაშინაც დაბალი იყო ეს ალბათობა და დღესაც დაბალია, იმიტომ რომ დასავლეთს აღარ სჭირდება გამაღიზიანებელ ფაქტორად სახელგატეხილი სააკაშვილი.

**– ვის ვარაუდობთ პრემიერ-მინისტრად?**

– არავის არ ვვარაუდობ, იმიტომ რომ ეს იქნება ერთი უსახური, არაფრის მთქმელი სახელი და გვარი.

**– ანუ სრულად კულუარებში ინაცვლებს ქართული პოლიტიკა?**

– ქართული პოლიტიკა დიდი ხანია, კულუარებშია, მაგრამ, თუ აქამდე წინ გამოსული ფიგურები იყვნენ სატელევიზიო ვარსკვლავები ზოგი უარყოფითი და ზოგი – დადებითი, „რესპუბლიკელების" გამეფება სწორედ იმას მიუთითებს, რომ ეს არ იქნება ხელისუფლება, რომელიც ტელევიზიით შეგვაწუხებს, მაგრამ ასჯერ მეტს დააშავებს.

**– თქვენ უსახურ სახელსა და გვარს პროგნოზირებთ პრემიერ-მინისტრად, მაგრამ ახალი კონსტიტუციით, ახალი პრემიერი იქნება სუპერ-უფლებებით აღჭურვილი, ისეთივე, როგორიც აქამდე პრეზიდენტი გვყავდა?**

– ეჭვი მეპარება, აქ ვინმე სუპერი იყოს.

**– მე მხოლოდ სუპერუფლებებს ვგულისხმობ?**

– ყველაფერს განსაზღვრავს მომავალი საპარლამენტო უმრავლესობა.

**– რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება?**

– გამოვრიცხავ, ეს პარლამენტი, რომელიც ბიძინას წყალობით არის პარლამენტი არ წავა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე.

**ნინო ხაჩიძე**



**თინა ბახტურიძე-შავლაძე**

არის წუთები, როცა რეალობასთან შეგუება გიჭირს... არ გინდა, დაიჯერო მომხდარი. სურვილი გიჩნდება, თვალები მაგრად დახუჭო. მერე გაახილო და ყველაფერი ძველებურად იყოს, თითქოს არც არაფერი მომხდარა. დრო ძალიან სწრაფად გადის და, ნათქვამია, რომ ჭრილობებსაც თითქოს აშუშებს... უკვე ორმოცი დღე გავიდა უშენოდ, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხეთ შენი წასვლით გამოწვეულ სევდასა და დარდს... არასოდეს განელდება მონატრების გრძნობაც. შენ მუდამ ჩვენთან დარჩები – ჩვენს ფიქრებსა და გულებში...

ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი შენს ნათელ სულს!

# რა საერთო აქვთ მერილინ მონროს, მონიკა ლევინსკისა და ვერა ბეიკერს და ამერიკის რომელი პრეზიდენტის ყოფილმა მძღოლმა გათქვა საიდუმლო რომანის ისტორია

*მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი მეუღლეს, ლიუდმილას, ოფიციალურად დაშორდა, კვლავ გააქტიურდა საუბარი პუტინისა და ალინა კაბაევას რომანის შესახებ. ბულვარული პრესის ვერსიით, სწორედ კაბაევა გახდა პრეზიდენტის ოჯახის დანგრევის მიზეზი. საინტერესო იქნება, გავიხსენოთ სხვა არანაკლებ ცნობილი პრეზიდენტებისა და მმართველების საყვარლები.*

### გალინა კოლოტნიცკაია

ლიბიის ლიდერს, მუამარ კადაფს უყვარდა ქალების გარემოცვაში ყოფნა, მისი პირადი დაცვაც კი სპეცრაზმელი ქალებისგან შედგებოდა. სკანდალური „ვიკილიქსის" წყალობით, რამდენიმე წლის წინ გავრცელდა ცნობა, რომ კადაფზე დიდი გავლენა ჰქონდა 38 წლის მედდას, უკრაინელ გალინა კოლოტნიცკაიას, რომელიც ლიბიელი დიქტატორის პირადი ექიმის ფუნქციას ასრულებდა, თუმცა, სინამდვილეში, კადაფის ნომერ პირველი საყვარელი იყო და მის გარეშე ჯამაჰირიის ლიდერი უუნარო ხდებოდა. კადაფის სიკვდილისა და მისი რეჟიმის დაცემის შემდეგ გალინას ასავალ-დასავალი უცნობია, სავარაუდოდ იგი სამშობლოში დაბრუნდა.

### ირინა აბელსკაია

ირინა აბელსკაია, ალექსანდრ ლუკაშენკოს მკურნალი ექიმი, ბელარუსის პრეზიდენტის საყვარლებს შორის ყველაზე გავლენიანია – ასე მიიჩნევენ ბელარუსული ოპოზიციური პრესის წარმომადგენლები. ირინა 1994 წლიდან არის ლუკაშენკოს ექიმი და მას შემდეგ გვერდიდან არ შორდება ევროპის უკანასკნელ დიქტატორს. 2001 წელს ირინა მინსკის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი გახდა, ხოლო დედამისი ირინა პოსტოიალკო კი ბელარუსის ჯანდაცვის მინისტრი. 2004 წელს ირინამ ალექსანდრ ლუკაშენკოს ვაჟი გაუჩინა.

### ალინა კაბაევა

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისა და გიმნასტ ალინა კაბაევას ურთიერთობაში უამრავი საიდუმლოა. მას შემდეგ, რაც ვლადიმირი და ლიუდმილა ოფიციალურად გაიყარნენ, კიდევ უფრო აქტუალური გახდა კაბაევას გვარის ხსენება ამ სკანდალში. პუტინისა და კაბაევას რომანის შესახებ საუბრები 2006 წელს დაიწყო, როდესაც ალინამ სპორტული კარიერა დაასრულა და პრეზიდენტისგან სახელმწიფო ჯილდო მიიღო. ამბობენ, რომ პუტინი ჯერ კიდევ 2008 წელს გაეყარა მეუღლეს და მის პასპორტში მმაჩის ბიუროში გაკეთებული ბეჭედი დიდი ხანია არსებობს, თუმცა, განქორწინების შესახებ ოფიციალურად მხოლოდ 2013 წლის ზაფხულში გახდა ცნობილი. 2009 წელს გავრცელდა ცნობა, რომ კაბაევამ პუტინს ნანატრი ვაჟი გაუჩინა, რომელსაც დიმიტრი დაარქვეს და ინტერნეტში ბავშვის ფოტოებიც კი დაიდო, თუმცა, ინფორმაცია არ დადასტურდა. 2013 წელს ამერიკულმა „ნიუ-იორკ პოსტმა" კიდევ უფრო სენსაციური ცნობა გაავრცელა: თითქოს კაბაევამ პუტინს მეორე შვილი გაუჩინა და შვილებთან ერთად ის სოჭში, პუტინის რეზიდენციაში ცხოვრობს.

### მერილინ მონრო

მერილინ მონრო მეოცე საუკუნის ცნობილი ადამიანების საყვარლებს შორის ყველაზე ცნობილი საყვარელი იყო. მისი და პრეზიდენტ ჯონ კენედის რომანის შესახებ დღემდე საუბრობენ და ეს თემა აქტუალობას არ კარგავს. კენედიმ და მონრომ ერთმანეთი 1960 წელს გაიცნეს, თუმცა, მათი რომანი ერთი წლის შემდეგ დაიწყო, ამასთან, თეთრ სახლში მონრო მხოლოდ ოფიციალური ვიზიტების დროს მიდიოდა. ამერიკის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლები 24-საათიანი რეჟიმით უთვალთვალებდნენ მონროს, რადგან, პრეზიდენტთან რომანის გამო, მას შეეძლო, ზიანი მიეყენებინა სახელმწიფოსთვის. არსებობს ვერსია, რომ მონროს სიკვდილი 1962 წელს სწორედ კენედისთან რომანს უკავშირდებოდა – სექსსიმბოლომ ძალიან ბევრი რამ იცოდა და მისი მოშორება აუცილებელი გახდა.

### მონიკა ლევინსკი

ამერიკის კიდევ ერთი პრეზიდენტის სასიყვარულო რომანი 1990-იანი წლების ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ თემად იქცა მსოფლიოში. საუბარია ბილ კლინტონისა და მონიკა ლევინსკის სასიყვარულო ურთიერთობაზე, რომლის აფიშირებით ლევინსკი საქვეყნოდ გახდა ცნობილი. თემის გაჟღერებისთანავე კლინტონმა დაიფიცა, რომ არ ჰქონია სექსი ლევინსკისთან, თუმცა, მონიკამ ინტიმური ურთიერთობის დამადასტურებელი ფაქტების გამჟღავნება დაიწყო – მან ის კაბა აჩვენა საზოგადოებას, რომელიც ეცვა კლინტონთან სექსის დროს და, ასევე, სხვა დამადასტურებელი ცნობებიც წარადგინა. კლინტონის კარიერაში ლევინსკის ისტორია შავ ლაქად ითვლება, ხოლო მონიკა ლევინსკიმ პრეზიდენტთან რომანით სიცოცხლის ბოლომდე გაინაღდა პოპულარობა.



### ვერა ბეიკერი

ვერა ბეიკერი ამერიკის კიდევ ერთი პრეზიდენტის საყვარელია. საუბარია ბარაკ ობამაზე, რომელიც, ამერიკული ბულვარული პრესის ცნობით, არც ისეთი სამაგალითო მეოჯახეა, როგორც მასზე საუბრობენ. რამდენიმე ხნის წინ პრესაში გავრცელდა სენსაციური ინტერვიუ, რომელშიც ობამას ყოფილმა მძღოლმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი საიდუმლო ვითარებაში ხვდებოდა თავის თანაშემწეს. ისტორია 2004 წელს მოხდა, იმ პერიოდში ობამა ილინოისის შტატის სენატორის თანამდებობისთვის იბრძოდა და ვერა ბეიკერი მას საარჩევნო თანხების მოზიდვაში ეხმარებოდა. მძღოლის თქმით, მან რამდენჯერმე მიიყვანა წყვილი ვაშინგტონის ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც ისინი ღამით რჩებოდნენ. ამბობენ, რომ მიშელ ობამამ მეუღლის ღალატის გაგებისთანავე ყველა ღონე იხმარა და ჩამოაშორა ქალი, რომელიც მას ოჯახს უნგრევდა. ამჟამად ვერა ბეიკერი მარტინიკაზე ერთ-ერთ ტელეკომპანიაში მუშაობს.



### სილვია კრისტელი

განთქმული „ემანუელა" სილვია კრისტელი, საფრანგეთის პრეზიდენტის, ვალერი ჟისკარ დ'ესტენის საყვარელი იყო და ამის შესახებ ყველამ იცოდა, თვით პრეზიდენტს კი ეს ფაქტი საერთოდ არ აწუხებდა. სილვია თან ახლდა პრეზიდენტს ყველა საგარეო და საშინაო ვიზიტის დროს. კრისტელი უბრალო ლამაზმანი არ გახლდათ, ის იყო 1973 წლის საფრანგეთის „მის ტელევიზიის" ტიტულის მფლობელი, ხოლო, 1974 წელს კინოეკრანებზე გახმაურებული ეროტიკული ფილმის, „ემანუელას" გამოსვლის შემდეგ, 1970-იანი წლების სექსსიმბოლო გახდა.

### ევა ბრაუნი

ევა ბრაუნმა და ადოლფ ჰიტლერმა ერთმანეთი 1929 წელს, ჰოფმანის ფოტოსტუდიაში გაიცნეს. იმ დროისთვის ევა 17 წლის იყო, ხოლო ადოლფი – 40 წლის. ჰიტლერის ოფიციალური საყვარელი ევა 1932 წელს გახდა, მას შემდეგ, რაც ჰიტლერის ფავორიტი, გელი რაუბელი გარდაიცვალა. ევამ რამდენჯერმე სცადა, თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე, თუმცა, უშედეგოდ. 1945 წლამდე ევა დიდ დროს ატარებდა ადოლფ ჰიტლერთან ერთად სხვადასხვა რეზიდენციაში. 1945 წლის 7 მარტიდან კი ისინი ერთად გადავიდნენ ბერლინში, ფიურერის ბუნკერში, სადაც 29 აპრილს დაქორწინდნენ, ხოლო მეორე დღეს თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
**შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს**
**ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში**
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რომელმა მილიარდერებმა დაიწყეს საკუთარი კარიერა ნულიდან

*იყო დიდძალი ქონების მემკვიდრე – თანამედროვე მსოფლიოში აღარ არის მოდური. დღევანდელი მილიარდერების უმეტესობამ დიდძალი კაპიტალი საკუთარი შრომით შექმნა – მათ არც ოჯახი და არც მომაკვდავი ნათესავის დატოვებული მილიონები არ დახმარებიათ.*

*დღევანდელ ნომერში იმ მილიარადერების ჩამონათვალს შემოგთავაზებთ, რომლებმაც მილიარდიანი ქონების დაგროვება ნულიდან დაიწყეს.*

### ინგვარ კამპრადი – 3,3 მილიარდი ამერიკული დოლარი

ინგვარ კამპრადმა პირველი ფული ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოიმუშავა, როდესაც ის პატარა ველოსიპედით ქუჩაში დასეირნობდა და თან ასანთს ყიდდა. შემდგომში მან გაზარდა გასაყიდი პროდუქციის ასორტიმენტი და ასანთის გარდა თევზის, საახალწლო სათამაშოების, ბურთულიანი კალმისტრებისა და ფანქრების გაყიდვა დაიწყო. დაგროვილი ფული 17 წლის ასაკში კამპრადმა საკუთარი კომპანიის განვითარებაში ჩადო, რომელიც მოგვიანებით მსოფლიოში ცნობილ ბრენდად – „იკეად" გადაიქცა. მილიარდიანი ქონების მიუხედავად, კამპრადი თავისი მოკრძალებული ცხოვრებითაა ცნობილი: იგი მხოლოდ ეკონომ-კლასით დაფრინავს, სადილობს იაფიან რესტორნებში, ხოლო ავეჯი მის სახლში მთლიანად „იკეადან" არის.



### ლი კა-შინი – 31 მილიარდი ამერიკული დოლარი

წარმოშობით ჩინელმა ლიმ 1940 წელს მიატოვა სამშობლო და ჰონკონგში დაფუძნდა. მამის გარდაცვალების შემდეგ ის იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. 14 წლის ასაკში ლი იძულებული გახდა, მიეტოვებინა სკოლა და პლასტმასის ქარხანაში ემუშავა, სადაც დღეში 16 საათს ატარებდა. 1950 წელს ლიმ საკუთარი კომპანიის დაფუძნება განიზრახა და ნასესხები ფულით პლასტმასის პროდუქციის მწარმოებელი „ჩეუნგ კონგ ინდასტრისი" დააარსა. ჟურნალი „ფორბსი" ლი კა-შინს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ჩინელად მიიჩნევს.

### რომან აბრამოვიჩი – 10,2 მილიარდი ამერიკული დოლარი

ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რუსი ოლიგარქი, რომან აბრამოვიჩი, 4 წლის ასაკში დაობლდა და მას ბიძა და ბებია ზრდიდნენ. მისი ბიზნესკარიერა ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დაიწყო, როდესაც მან პოლიმერისგან წარმოებული სათამაშოების კოოპერატივი გახსნა. აბრამოვიჩის საუკეთესო თვისებად დღესაც ითვლება ნიჭი იმისა, რომ იგი მუდამ საჭირო დროს და საჭირო ადგილას ჩნდება.



### შელდონ ადელსონი – 26,5 მილიარდი ამერიკული დოლარი

უბრალო ბოსტონელი ტაქსის მძღოლის შვილმა, შელდონ ადელსონმა, ბიზნესკარიერა 12 წლის ასაკში გაზეთების გაყიდვით დაიწყო. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს ის საიპოთეკო ბროკერად და ფინანსურ კონსულტანტადაც მუშაობდა. დღესდღეობით კი იგი ამერიკის უმსხვილეს მაგნატად ითვლება, რომლის საკუთრებაშიც ლას-ვეგასის სასტუმროები და კაზინოებია.

### ამანსიო ორტეგა – 57 მილიონი ამერიკული დოლარი

თავისი კარიერა რკინიგზის მუშის შვილმა, ამანსიო ორტეგამ, ტანსაცმლის მაღაზიაში უბრალო კლერკად დაიწყო. მოგვიანებით მან 25 დოლარით წამოიწყო საკუთარი საქმე და პირველი პერანგი შეკერა გასაყიდად. დღესდღეობით ორტეგა ბრენდ „ზარას" მფლობელია, რომლის მაღაზიათა ქსელი მსოფლიოს 64 ქვეყანაშია გახსნილი და 3 ათასზე მეტ მაღაზიას მოიცავს.



### კირკ კერკორიანი – 3,3 მილიარდი ამერიკული დოლარი

სომეხი ემიგრანტების შვილმა, კირკ კერკორიანმა, 8 წლის ასაკში მიატოვა სკოლა და კრივით დაინტერესდა. მართალია, სპორტში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი შემდგომი პროფესია თვითმფრინავის პილოტირება გახდა. სწორედ ამ გზით მოხვდა ის პირველად ლასვეგასში, სადაც დაგროვილი 60 ათასი დოლარით მცირე ავიაკომპანია „ტრანს ინტერნეიშენალი" დააარსა, რომელიც მოგვიანებით 104 მილიონ დოლარად გაყიდა. კერკორიანი სხვადასხვა დროს ჰოლივუდურ სტუდიებს „იუნაითედ არტისტსა" და „მეტრო გოლდენ მაიერს" ფლობდა. დღეს ის ერთ-ერთ ყველაზე უხუცეს მილიარდერად მიიჩნევა.



### მიკი ჯაგტიანი – 4 მილიარდი ამერიკული დოლარი

მიკი ჯაგტიანი ოდესღაც ბუღალტრობასა და ლონდონში სწავლაზე ოცნებობდა. ლონდონში მოხვდა კიდეც, მაგრამ, სწავლის ნაცვლად, სასტუმროში დამლაგებლად და ტაქსის მძღოლად მუშაობდა. 21 წლის ასაკში მიკიმ ოჯახი დაკარგა და სრულიად მარტო აღმოჩნდა ბაჰრეინში 6 ათასი დოლარით. ამ ფულით მან საბავშვო ტანსაცმლის მაღაზია გახსნა და ეს საქმე მოგვიანებით ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან ბიზნესად იქცა. საფირმო ნიშანი „ლენდმარკი" აზიის კონტინენტზე 280 მაღაზიას აერთიანებს და ყოველწლიურად 650-მილიონიან მოგებას აძლევს ჯაგტიანს.

### რიჩარდ დესმონდი – 1,9 მილიარდი ამერიკული დოლარი

მშობლების დაშორების შემდეგ, რიჩარდი დედასთან ერთად დარჩა პატარა ბინაში, რომელიც ავტოფარეხის თავზე იყო განთავსებული. 14 წლის ასაკში მან სკოლა მიატოვა, რომ დედას ფინანსურად დახმარებოდა და ადგილობრივ თეატრში მეგარდერობედ დაიწყო მუშაობა. 21 წლის ასაკში დესმონდი გაზეთ „ტომსონ ნიუსფეიფერში" გადავიდა სამუშაოდ, ხოლო 22 წლისამ უკვე საკუთარი გაზეთის გამოცემა დაიწყო. დღეისათვის რიჩარდ დესმონდი ისეთი ცნობილი ჟურნალ-გაზეთების გამომცემელია როგორებიცაა: „OK," „დეილი ექსპრესი," „დეილი სთარი," „სანდეი ექსპრესი."

### ჯოან როულინგი – 13 მილიარდი ამერიკული დოლარი

თანამედროვეობის უცნობილესი მწერალი და ყველა ბავშვის სათაყვანებელი წიგნის – „ჰარი პოტერის" ავტორი, ჯოან როულინგი, წლების განმავლობაში სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა. „პოტერიანას" პირველი წიგნის დაწერის მომენტში როულინგი სახელმწიფოს დახმარებას იღებდა და ამით ცხოვრობდა, მაგრამ, წიგნის პოპულარობამ და მწერლის აღიარებამ პირველი წიგნის გამოსვლიდან ხუთი წლის შემდეგ ჯოან როულინგს მილიონერის სტატუსი მიაკუთვნა.




**უშანგი რუხაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**უკვე ორი თვეა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს – გიორგი კვესიტაძე ქართული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სახეა, რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან 50-წლიანი ისტორია აკავშირებს. ბატონი გიორგის შრომითი კარიერა ერთი პატარა ქალაქის საწარმოში დაიწყო, რასაც მეცნიერებაში გატარებული ბევრი მნიშვნელოვანი ეტაპი მოჰყვა, ამის და საკუთარი ცხოვრების ისტორიის შესახებ ბატონი გიორგი, საინტერესო და კომუნიკაბელური რესპონდენტის ამპლუაში, თავად გიამბობთ.**

# რა „გაუნაღდურა“ მეცნიერებათა აკადემიის ახალმა პრეზიდენტმა ილია ვეკუას წყნეთში და რატომ დააკავეს ის ატლანტის ოკეანეში

**გიორგი კვესიტაძე:** რთული ასახსნელია ის ისტორია, რომელიც წინ უძღოდა ჩემს არჩევანს. როდესაც გადაწყვეტ, რომ უნდა გახდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეს უკვე ბევრს გავალდებულებს, იმის მიუხედავად, რომ ჩვენს საზოგადოებას, სამწუხაროდ, არ აქვს ისეთი დამოკიდებულება მეცნიერების მიმართ, როგორსაც ქართული მეცნიერების ისტორია იმსახურებს. საქართველოში ყოველთვის ფასობდა განათლება; ქართველი ფილოსოფოსები, მათემატიკოსები, ძველი დროიდან მოყოლებული მუშაობდნენ სხვადასხვა ქვეყანაში და დიდ გავლენას ახდენდნენ იმ რეგიონის განვითარებაზე. რასაკვირველია, დღეს ასე არ არის; სამწუხაროდ, ახლოც კი არ არის იმასთან, რაც ადრე იყო. მე 1965 წლიდან ვმუშაობდი აკადემიკოს სერგი დურმიშიძესთან, რომელიც ჯერ იყო მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი, მერე – აკადემიკოსი მდივანი. 1983 წელს მე თვითონ ამირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტად, 50 წელია, რაც შეხება მაქვს მეცნიერებათა აკადემიასთან, ბოლო ცხრა წელი გახლდით ბიოლოგიური მეცნიერების განყოფილების აკადემიკოსი მდივანი. მე ვიგრძენი, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში აკადემიაში ძალიან დაქვეითდა ინტერესი საბუნებისმეტყველო მეცნიერებისადმი და, ალბათ, ამ ფაქტორმაც განაპირობა ჩემი გადაწყვეტილება, ვყოფილიყავი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. ძალიან კარგია, როცა ქვეყანაში მაღალ დონეზეა ქართველოლოგია, მათემატიკა, რაც, მიმაჩნია, რომ არის ყველა მეცნიერების გასაღები, მაგრამ, თუ სრულფასოვანი არ არის სხვა მეცნიერებების – ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის განვითარება, მეცნიერებათა აკადემიის მუშაობა ვერ იქნება იმ დონის, როგორიც უნდა იყოს.

**– თქვენი შრომის წიგნაკი გაიხსნა ახმეტის საფუარის ქარხანაში. როგორ გაიარეთ გზა რიგითი ბიოლოგობიდან დიდ მეცნიერობამდე?**

– განათლებით ტექნოლოგი ვარ, ბიოლოგი მერე გავხდი. ჩემი პროფესიული არჩევანი ცოტა უცნაურად მოხდა: მამაჩემი ვეტერინარიის პროფესორი იყო და ძალიან უნდოდა, რომ მეც მის გზას გავყოლოდი. სულ შთამაგონებდა და მმოძღვრავდა: ვეტექიმი კიდევ უფრო პატიოსანია, ვიდრე ექიმი; ადამიანი გეუბნება მაინც, რა სტკივა, ცხოველი კი ვერ იტყვის; ამიტომ, ამ სფეროში უფრო დიდი ხელოვანი უნდა იყოო. მე ჩემი გზა ავირჩიე. საქმე ის გახლდათ, რომ ადრეული წლებიდანვე მქონდა კავშირი სერგი დურმიშიძესთან და მირჩია, სამუშაოდ წავსულიყავი ისეთ დარგში, როგორიცაა მიკრობიოლოგია, რომელიც ჩვენთან ნაკლებად იყო განვითარებული, თუმცა, ამ დარგში ჩვენ გვყავდა ცნობილი მეცნიერები, მათ შორის – სერგი დურმიშიძე. განსაკუთრებით დაბალ დონეზე იყო ნიადაგის მიკრობიოლოგია. ინსტიტუტი დავამთავრე თუ არა, სამუშაოდ წავედი ახმეტის მიკრობიოლოგიურ ქარხანაში, სადაც ორი წელი ვიმუშავე და გავხდი მთავარი საამქროს უფროსი. 1966 წელს ჩავაბარე გამოცდები ასპირანტურაში და გავხდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი. სამი წლის შემდეგ დავიცავი სამეცნიერო ხარისხი მიკრობიოლოგიურ სინთეზში, რაც, ჩემი აზრით, არის მეოცე საუკუნის საოცრება. იმ პერიოდში ეს მიმართულება საქართველოში ნულის დონეზე იყო. გვქონდა მხოლოდ ერთი ქარხანა, რომლის დახურვისთანავე საერთოდ დამთავრდა ეს დარგი, რომელიც ძალიან მომგებიანია ქვეყნისთვის. დღეს ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი მეცნიერების ამ მიმართულების განვითარებაც გახლავთ.



**როცა ჩემმა შვილმა მითხრა, ქანდაკება უნდა გავაკეთო, ქალი და კაცი ერთმანეთში გავლენო, ვიფიქრე, ეს გადარეულა-მეთქი**

**– თქვენ წლების განმავლობაში მუშაობდით ამერიკაში. როგორ მოხვდით იმ დახურული რეჟიმის პერიოდში ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში?**

– საბჭოთა რეჟიმში მეცნიერის ცხოვრება ჩარჩოებში იყო მოქცეული – უნდა გეკეთებინა ის, რასაც მიგითითებდნენ. საბჭოთა მეცნიერება და აკადემია კი როგორც წესი, ქვეყნის თავდაცვით ფუნქციას ემსახურებოდა. ჩვენი ოსტატობა მდგომარეობდა იმაში, რომ თავდაცვის ფუნქციაამოფარებულსაც კი, გვეკეთებინა ის საქმე, რაც მეცნიერისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, დავიწყეთ მიკროორგანიზმების უნიკალური კოლექციის შეგროვება და, აქედან გამომდინარე, სხვა საბჭოთა მეცნიერებთან ერთად, მეც მიმიწვიეს ამერიკაში; უფრო სწორად, ამერიკაში გაიგზავნა მეცნიერთა სია, ვინც უნდა წავსულიყავით იქ. ბევრი ცვლილების შემდეგ, მათ დაამტკიცეს 16-კაციანი ჯგუფი, რომელთა შორის მეც ვიყავი. მე მოვხვდი ფილადელფიაში, პენსილვანიის უნივერსიტეტში. ეს არის პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება ამერიკაში, რომელმაც უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო. მე აღმოვჩნდი სულ სხვა სამყაროში – ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებმა, პირველად იქ გავიგეთ, რომ არსებობს ხელოვნური ბიოსაწვავი, რომელიც მართლაც რომ უნიკალურია და რისი დიდი პოტენციალი დღეს საქართველოსაც აქვს. მაშინ მე მომიწია მუშაობა ძალიან საინტერესო, მდიდარ და ცნობილ კაცთან, რომელიც იყო გვარად ჰემფრი. ის გახლდათ ამერიკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, გუბერტ ჰემფრის ბიძაშვილი. თორმეტი თვე იყო გასული ჩემი მუშაობიდან პენსილვანიის უნივერსიტეტში, როცა იქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი გიორგი სკრიაბინი, რომელიც დედით ქართველი იყო და, ამის გამო, ქართველი მეცნიერების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. მან შემომთავაზა, კიდევ დავრჩენილიყავი ამერიკაში, რაზეც უარი განვუცხადე. მე იქ დარჩენის ცდუნება არ მქონია, რადგან, ოჯახი მყავდა – ცოლ-შვილი, დედა. იმის მიუხედავად, რომ იქ ბევრი რამ მომწონდა, ამერიკაში ვერ დავრჩებოდი. ამერიკაში ახალი ჩასული ვიყავი, როცა მხიარული ისტორია შემემთხვა: მახსოვს, 20 აგვისტო იყო, მიგვიყვანეს ატლანტიკ სითიში. შევცურე ოკეანეში და დაახლოებით ორი კილომეტრი გავცურე, მაგრამ, სამხედრო დაცვამ გამაჩერა და ნავით ამომიყვანეს. მკითხეს ვინაობა. როგორც კი გაიგეს, რომ საბჭოთა კავშირიდან ვიყავი, დაცქვიტეს ყურები და სადღაც გამაქანეს. მომცეს ფანქარი და ფურცელი და მითხრეს, დაწერე, ოკეანეში რას აკეთებდიო. რა უნდა დამეწერა? გადავწყვიტე, მეხუმრა და დავწერე: ქართველი კაცი ვარ, ორი თვეა, აქ ვარ, ძალიან მომენატრა სახლი. მივწერე საელჩოს, უარი მითხრეს და, გადავწყვიტე, ცურვით წავსულიყავი ჩემს სამშობლოში-მეთქი. რასაკვირველია, მათ სწორად გაიგეს ჩემი იუმორი, რომ ფოთამდე ცურვით ვაპირებდი 10 ათასი და უფრო მეტი მილის გადაცურვას. გაზეთშიც კი გამოაქვეყნეს ჩემი ამბავი.

**– 50 წელი გაატარეთ მეცნიერებათა აკადემიაში. ალბათ, ბევრ ცნობილ მეცნიერთან გქონიათ კავშირი, ვინც საქართველოში მეცნიერების ისტორიას ქმნიდა.**

– მე გავიზარდე იმ სახლში, სადაც ცხოვრობდა ბატონი ნიკო მუსხელიშვილი; მამაჩემის ახლო მეგობარი იყო ილია ვეკუა. ისინი დიდი მეცნიერები იყვნენ. არ ვიცი, ამ დონის მეცნიერები ოდესმე ეყოლება თუ არა ქართულ მეცნიერებას. ერთხელ მე და ჩემი მეგობარი ეზოში ვთამაშობდით, პატარები ვიყავით. მახსოვს, მამამ მითხრა: წყნეთში მივდივარ, ვეკუა უნდა ვნახო და, თუ გინდა, თქვენც წაგიყვანთო. აგვიყვანა მამამ წყნეთში. ილია ვეკუამ დიდი ვაზით „ტრიუფელები“ გამოიტანა. მაშინ არც ერთმა არ ვიცოდით, რა იყო „ტრიუფელები.“ მიირთვითო – გვითხრა ბატონმა ილიამ, არ გვინდაო, – უთხრა მამამ. მერე ხუთი წუთით გავიდნენ მეორე ოთახში. როცა დაბრუნდნენ ილიამ

(გაგრძელება 69-ე გვერდზე)


## პრაქტიკული განათლების ცენტრი

გთავაზობთ სასკოლო და ეროვნული გამოცდებისთვის (XI-XII კლასელებს) მოსამზადებელ პროგრამას ყველა საგანში. სასწავლო ჯგუფები შედგება 4-6 მსმენელისგან. მეცადინეობა დაიწყება სკოლის გაკვეთილების შემდეგ. გაკვეთილის ხანგრძლივობა - 1 საათი და 30 წუთი.

**სწავლა დაიწყება ოქტომბერში.**

*ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება - თვეში 50 ლარი.*

*სასკოლო გამოცდებისთვის მომზადება - თვეში 30 ლარი.*

მეცადინეობა ჩატარდება მ. ბროსეს ქუჩაზე, ოპერასთან.

წინასწარი რეგისტრაციისა და დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: 2 30 87 28, 591 31 32 40, 514 42 22 88, 568 42 22 88. ან ნახეთ ორგანიზაციის ვებგვერდი მისამართზე: www.fineschool.ge

# რა კავშირი აქვს პარლამენტარ თემურ მაისურაძეს ცნობილ იაპონურ ჩაიდნებთან და რა გამოიგონა მან სამხედრო თვითმფრინავებისთვის

**თემურ მაისურაძე საქართველოს პარლამენტის წევრი ეროვნული ფორუმის მანდატით გახდა. ის ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ერთადერთი დეპუტატია, ვისაც გამომგონებლის წარსული აქვს – პროფესიით ავიაინჟინერი დეპუტატის „ანგარიშზე" 153 გამოგონებაა, რომელთაგან უმეტესობა წლების წინ დაინერგა მრეწველობაში. ვაშლი ბევრს დასცემია თავზე, მაგრამ, ამ თემაზე ყველას არ უფიქრია. თამაზ მაისურაძის „ევრიკა" მიზანმიმართული, საბაზრო სეგმენტებზე ორიენტირებული გამოგონებებია, რაზეც ის ძმასთან ერთად ათეული წლებია, მუშაობს.**

**– ბატონო თემურ, როგორ მოხვდით ქართულ პოლიტიკასა და საქართველოს პარლამენტში?**

– პოლიტიკაში მოხვედრა არასდროს ყოფილა ჩემი ოცნება და მიზანი; შეიძლება ითქვას, არსითა და ინტერესით მეცნიერი, გამომგონებელი და მეწარმე ვარ, არასდროს ვყოფილვარ მხოლოდ თეორეტიკოსი მეცნიერი, ან, უბრალოდ, მეწარმე, რომელიც საქმიანობს კომერციული ინტერესით და არ აინტერესებს, განვითარდება თუ არა ის დარგი, რომელშიც მოღვაწეობს. განათლება, მრეწველობა, მეცნიერება – ის სფეროებია, სადაც თავს ბედნიერად ვგრძნობ. როდესაც ხედავ, რომ ქვეყანაში არის სიტუაცია, როცა ისპობა მეცნიერება და კვლევა, საგანმანათლებლო სივრცე, ტერორის ქვეშ ხვდება ბიზნესი, ხვდები, რომ ასეთ პირობებში გამორიცხულია, რეალიზება შეძლო. სწორედ ასეთ მდგომარეობაში მყოფი დავუკავშირდი გუბაზ სანიკიძეს. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული „ეროვნული ფორუმი," რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი მეც გახლავართ.

**– რას საქმიანობდით მანამდე, სანამ ცხოვრებას „ეროვნულ ფორუმს" დაუკავშირებდით?**

– პროფესიით ავიაციის ინჟინერი ვარ. დამთავრებული მაქვს ხარკოვის ავიაციის ინსტიტუტი, როსტოვის კვალიფიკაციის ინსტიტუტი და პროფკავშირების უმაღლესი სკოლა, პროფკავშირების მიმართულება არასდროს გამომიყენებია. 14 წლის ასაკიდან დავიწყე მუშაობა საავიაციო მრეწველობაში. მახსოვს, არ მიღებდნენ სამსახურში – პატარა ხარო. ამიტომ, მერვე კლასიდან გამოვედი, დავამთავრე ერთწლიანი პროფესიული სასწავლებელი და მხოლოდ ამის შემდეგ ამიყვანეს სამსახურში. თავიდან ზეინკალ-შემკეთებელი ვიყავი – ჩარხებს ვარემონტებდი საავიაციო ქარხანაში; მერე გადავედი მეხუთე საამქროში თვითმფრინავების ამწყობ-ზეინკლად. ამის შემდეგ მოვიხადე სავალდებულო სამხედრო სამსახური და ჩავაბარე ხარკოვის საავიაციო ინსტიტუტში, საიდანაც ისევ საავიაციო ქარხანაში დავბრუნდი და ასე დაიწყო ჩემი კარიერა საავიაციო მრეწველობაში. 90-იან წლებში მე და ჩემმა ძმამ დავაფუძნეთ სამეცნიერო საწარმოო ფირმა და მაშინ უფრო აქტიურად დავიწყეთ მუშაობა გამოგონებებზე. შეიძლება ითქვას, რომ მე და ჩემს ძმას ეს ბავშვობიდან მოგვდგამს, მაგალითად, პატარა ასაკში ჩვენ გვქონდა ყველაზე კარგი და სწრაფი ველოსიპედი ***(იცინის).*** ჩვენ ბავშვობა ახალციხეში გავატარეთ. იქ ყველამ იცოდა, რომ მამაჩემმა ხისგან გააკეთა ორგორგოლაჭიანი ველოსიპედი, რადგან, მაშინ ველოსიპედები არ იყო. როგორც ჩანს, მამაც „მიმდევარი" იყო ამ მიმართულების. ძალიან კრეატიული და სხარტი აზროვნების ქალი იყო დედაჩემიც.

**– თქვენ, ძმასთან ერთად, ხართ 153 გამოგონების ავტორი. ძირითადად რა სფეროებს მოიცავს თქვენი გამოგონებები?**

– ჩვენი გამოგონებების დიდი ნაწილი საავიაციო მიმართულებას მოიცავს, იმიტომ, რომ ეს ნოვაციები ინერგებოდა საავიაციო მრეწველობაში. ჩვენი ერთ-ერთი პირველი გამოგონება იყო ბდზ 25-ის და პდ 62-ის დამზადების ტექნოლოგია – ეს არის სამხედრო თვითმფრინავის შეიარაღების სამაგრი საშუალება, რომლის დამზადების ტექნოლოგია იყო ძალიან რთული. მოგვიანებით ის გამოყენებულ იქნა მთელ საბჭოთა კავშირში წარმოებულ სამხედრო თვითმფრინავებზე. ჩვენ გამოგონებისთვის კუთვნილ ანაზღაურებას ვიღებდით ფოსტით. არიან გამომგონებლები, რომელთა გამოგონებები პრაქტიკაში არ ინერგება, მე და ჩემს ძმას ამ მხრივ გაგვიმართლა და ძალიან პროდუქტიულები აღმოვჩნდით.



**სასტვენი, რომელსაც დღეს იაპონელები უშვებენ ჩაიდნებისთვის, არის ჩემი რაციონალური წინადადება, ის მე უფრო ადრე მაქვს გაკეთებული, ვიდრე იაპონელებმა დააპატენტეს**

**– საყოფაცხოვრებო თემებზე არ მუშაობთ?**

– საყოფაცხოვრებო სფეროში ჩემი და ჩემი ძმის ერთ-ერთი აქტუალური გამოგონება არის მართვადი გამჭვირვალობის მინა. მე მიმაჩნია, რომ ეს არის ძალიან პერსპექტიული თემა. დისტანციური მართვის პულტით შესაძლებელია, თქვენი მინა გადაიყვანოთ სხვადასხვა რეჟიმში – გაალიავოთ, გაამუქოთ, ფარდასავით აწიოთ, დაწიოთ, მასზე გაიაროს მორბენალმა სტრიქონმა. ეს გამოგონება დაპატენტებულია როგორც ჩვენთან, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2010 წელს უკრაინის საერთაშორისო კონკურსში ამ გამოგონებამ პირველი ადგილი აიღო. ვწუხვარ, რომ ამ მინის დანერგვა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. დანერგვის საკითხი პრობლემური იყო საბჭოთა პერიოდშიც, თუმცა, პროდუქტიულობა 70 პროცენტს აღწევდა. წლების წინ ჩვენ გავაკეთეთ მრავალფუნქციური შემდუღებელი აპარატი – ერთი ძალიან პატარა ზომის აპარატი აკეთებდა ყველა ტიპის შედუღებას, მასში გაერთიანებული იყო სამი სხვადასხვა გამოგონება. ეს გამოგონება შეიძინა ერთ-ერთმა შვეიცარიულმა კომპანიამ, რომელიც თურქეთში მუშაობს. ჩვენ ყოველთვის გვახასიათებდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – ვმუშაობდით ისეთ ინოვაციურ პროდუქტზე, რომელიც თავისი სიახლით დაიმკვიდრებდა ადგილს საბაზრო სეგმენტში. საერთოდ, გამომგონებელს მუშაობის ფართო გზა აქვს – ის არ კმაყოფილდება იმით, რაც გააჩნია, ყველაფერში შეუძლია დაინახოს ის, თუ როგორ უნდა გახდეს ის უკეთესი. თუ არ არსებობს მოთხოვნა და გამოგონებას არ აქვს საბაზრო ღირებულება, ჯობია, ასეთ გამოგონებაზე თავიდანვე ითქვას უარი. გამომგონებლის მუშაობა ეფექტურია, როდესაც ის მიზანმიმართულია გარკვეულ სეგმენტზე ან აუდიტორიაზე.

**– თქვენი გამოგონების მითვისების შემთხვევები თუ ყოფილა?**

– მითვისებას ვერ დავარქმევ, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ მოხდა იდეის „გაპარვა". 90-იან წლებში ჩვენ ტელევიზიით დავიწყეთ საუბარი საავტომობილო სისტემების გაუმჯობესებაზე, მაგალითად, მბრუნავ ფარებზე. ჩვენ ეს იდეა არ დაგვიპატენტებია, ახლა კი, როგორც ვიცი, მის დანერგვას აპირებენ იაპონური კომპანიები. მაშინ საქართველოში არ იყო საავტომობილო მრეწველობა და ამიტომ გახსნილად ვსაუბრობდით ამ თემებზე. ალბათ, გაზეთშიც დაიბეჭდა ამ ნოვაციის შესახებ, დაფიქრდა ვიღაც, გადაამუშავა იდეა და მისი დანერგვაც განიზრახეს. იმავეს თქმა შემიძლია ეგრეთ წოდებულ იაპონურ სასტვენიან ჩაიდნებზე; იაპონური სასტვენები სინამდვილეში სხვანაირი იყო – წინა მიმართულებით უბერავდა ჰაერს და ძალიან ხშირად ფუჭდებოდა. ის სასტვენი, რომელსაც დღეს იაპონელები უშვებენ ჩაიდნებისთვის, არის ჩემი რაციონალური წინადადება, ის მე უფრო ადრე მაქვს გაკეთებული, ვიდრე ის იაპონელებმა დააპატენტეს. ჩათვალეთ, რომ კონკრეტულად ის სასტვენი, რაც დღეს ყველაზე მასობრივად გამოიყენება, ჩემი გამოგონილია. ის ისეთი გამძლეა, რომ ჩაიდანი ფუჭდება, სასტვენი კი რჩება.

**– მართლაც ყველაფერი დასწრებაზეა!.. იაპონელები „თბილისელებს" ვერ წაიკითხავენ, ამიტომ, შეგიძლიათ, გაგვანდოთ, ახლა რაზე მუშაობთ?**

– ძალიან ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი მაქვს. რატომღაც, გავრცელებულია აზრი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ტექნოლოგიური მიმართულებები ისეთ დონეზეა, რომ ჩვენ მათ ვერასდროს გავუსწრებთ. ეს მცდარი აზრია. ასეთი მიდგომა, რომ, ვიღაც დიდი ხანია, მონაწილეობს დოღში და წინაა, ამიტომ, ჩემი ცხენი მას სასტარტო პოზიციიდან ვერ დაეწევა – არ არის სწორი. საქმე ისაა, რომ უნდა შევძლოთ იმის ცხენზე მოხტომა, ვინც ყველაზე სწრაფად მირბის და ვინც ყველაზე ახლოსაა ფინიშთან. ის, რაც მან გააკეთა, უკვე ცნობილია, თქვენ შეგიძლიათ, მის გაკეთებულში შეცვალოთ რამე, რაც, შესაძლოა, მისთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს.

**– რა შეჰმატეთ ამ თვეებში თქვენი საქმიანობით საქართველოს პარლამენტს?**

– ჩემი აქტივობა, შესაძლოა, არ ჩანს ფართო საზოგადოებისთვის, მაგრამ, მე აქტიურად ვმუშაობ კომიტეტებში – ორი კომიტეტის წევრი ვარ. ძალიან მნიშვნელოვანი კანონპროექტი, რომელიც „ეროვნული ფორუმის" ინიციატივით

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**


დარეგისტრირდით OXFORD HOUSE-ში

18 სექტემბრამდე ზოგადი ინგლისურის კურსზე და ისარგებლეთ 45% ფასდაკლებით, გადაიხადეთ თვეში 55 ლარი.

სწავლება მიმდინარეობს საერთაშორისო New English File პროგრამით.

ალნიშნული კურსები მაქსიმალურად ორიენტირებულია 4 ძირითადი უნარის: მეტყველების, მოსმენის, წერისა და კითხვის გაუმჯობესებაზე.

OXFORD HOUSE-ში თქვენ გეძლევათ საშუალება დაესწროთ 1 საცდელ გაკვეთილს სრულიად უფასოდ.

თითოეული საფეხურის შემდეგ გაიცემა საერთაშორისო სტანდარტების სერტიფიკატი.

ასევე გთავაზობთ TOEFL, IELTS, FCE, ბიზნეს ინგლისურის და აბიტურიენტის მოსამზადებელ პროგრამას.

იყავი წარმატებული ოქსფორდელი და გაემგზავრე ლონდონში williams college-ში.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მის: თბილისი, რ.თაბუკაშვილის N 1
ტელ: 0790 115 115; (+995 32) 2 99 56 76
oxfordhousecentre@gmail.com www.oxford.ge
http://www.facebook.com/oxford.ge

# ადვოკატი გირჩევთ



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება, მოვითხოვო მეზობლის ნაკვეთში ისეთი საწარმოს მშენებლობის აკრძალვა, რომლის აშენების შემთხვევაშიც მუდმივი ხმაური იქნება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია, მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა. შესაბამისად, თქვენ გაქვთ ამგვარი მოთხოვნის უფლება.

**კითხვა: ჩემი მეზობლის ეზოდან გადმოსულია ხის ტოტები, რომლებიც მიფუჭებს ეზოს, მაგრამ, ჩემი მოთხოვნის მიუხედავად, მეზობელი არ აპირებს ჩემს ეზოში გადმოსული ტოტების მოჭრას. გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება, მე თვითონ მოვჭრა ჩემს ეზოში გადმოსული მეზობლის ხის ტოტები?**



**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია, მოჭრას იმ ხის ან ბუჩქის ფესვები და ტოტები, რომლებიც მის ნაკვეთზე გადავიდა. შესაბამისად, თქვენ გაქვთ უფლება, მოჭრათ თქვენს ეზოში გადმოსული მეზობლის ხის ტოტები.

**კითხვა: ჩემს ეზოში გადმოსულია მეზობლის ეზოში დარგული ხის ტოტები. გთხოვთ, მაცნობოთ, მეკუთვნის თუ არა ამ ტოტებზე მოსხმული ნაყოფი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ ხის ან ბუჩქის ნაყოფი მეზობელ მიწის ნაკვეთზე დავარდა, ის ჩაითვლება ამ ნაკვეთის ნაყოფად. შესაბამისად, თქვენს ეზოში ჩამოცვენილი ხის ნაყოფი გეკუთვნით თქვენ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ მოვიქცე იმ შემთხვევაში, თუ ჩემი და მეზობლის მიწის ნაკვეთებს შორის მსურს ღობის გავლება, მაგრამ, მეზობელი მეწინააღმდეგება და არ სურს ღობის აღმართვა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია, მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს მონაწილეობის მიღება მყარი სასაზღვრო მიჯნის აღმართვაში, ან, უკვე არსებული, მაგრამ, წაშლილი ან დაზიანებული მიჯნის აღდგენაში. გამიჯვნის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება, თუ ურთიერთშეთანხმებით ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობით სხვა რამ არ არის დადგენილი. შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ, არა მარტო აღმართოთ ღობე, არამედ, მეზობელს მოსთხოვოთ გამიჯვნის ხარჯების გაღებაც.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ უნდა მოხდეს მეზობელი ნაკვეთების გამიჯვნა, თუკი შეუძლებელია მეზობლებს შორის ზუსტი საზღვრების დადგენა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, თუ შეუძლებელია ზუსტი საზღვრის დადგენა, მაშინ, გასამიჯნავად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეზობლების ფაქტობრივ მფლობელობას. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ფაქტობრივი მფლობელობის ზუსტი დადგენა, სადავო ნაკვეთი თანაბრად განაწილდება ნაკვეთებს შორის. თუკი ეს განაწილება იწვევს უსამართლო შედეგებს, მაშინ, ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე, საზღვარს დაადგენს სასამართლო.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა აუცილებელი ფორმის დაცვით ხდება უძრავი ნივთების შეძენა და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

**კითხვა: მაინტერესებს და, გთხოვთ, მაცნობოთ, რა სამართლებრივი შედეგები ახლავს ფაქტს, როდესაც შემძენი კეთილსინდისიერია და, რა შემთხვევაში ითვლება პირი კეთილსინდისიერ შემძენად?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ, შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე. ასევე, კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოჰპარეს, ან, მისი ნების წინააღმდეგ, სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა, შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო. ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ.

## რა კავშირი აქვს პარლამენტარ თემურ მაისურაძეს ცნობილ იაპონურ ჩაიდნებთან და რა გამოიგონა მან სამხედრო თვითმფრინავებისთვის

(მე-15 გვერდიდან)

გამოვიდა და ეხება ჯარიმების ცნობილ თემას, რომელიც პრობლემადაა ქცეული საზოგადოებისთვის, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია. მოქალაქის შემოსავლები და ჯარიმები არ შეესაბამება ერთმანეთს, რაც მძიმე ტვირთად აწვება ხალხს.

ჩვენ უკვე დავიწყეთ აქტიური მუშაობა ინოვაციური მიმართულებების განვითარებაზე. პარლამენტში, ალბათ მე ყველაზე უკეთ ვიცი, რა სჭირდებათ გამომგონებლებს. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე სწორად ეკიდება ამ საკითხს, მისი დახმარებით შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ინოვაციური მიმართულებებით მუშაობს. ჩვენ ვამზადებთ საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებას. ამ თემებზე არც ერთ პარლამენტში არ უმუშავიათ. შესაძლოა, მე არ მაქვს ისეთი პოლიტიკური გამოცდილება, როგორც ზოგიერთ ჩემს კოლეგას, თუმცა, ზოგს ისეთი გამოცდილება აქვს, ჯანსაღი ნაბიჯების გადადგმაში რომ უშლის ხელს – მათ უკვე გამომუშავებული მავნე ჩვევები უბიძგებს იქით. როცა არ გაქვს მავნე ჩვევები, გაქვს უფრო მეტი შანსი, გადადგა კარგი ნაბიჯები.

**– საქართველოს პარლამენტში ერთადერთი გამომგონებელი ხართ. ეგებ, ამ სფეროშიც სცადოთ ბედი, რომ ამ აბურდულ ქართულ პოლიტიკასაც ეშველოს რამე.**

– ერთადერთი საქმიანობა, რასაც მე საპარლამენტო მანდატი არ მიკრძალავს, არის მეცნიერება და განათლება, ასე რომ, მე არ ვარ შეზღუდული, განვაგრძო მუშაობა ჩემი პროფილით. აქედან გამომდინარე, კარგი იდეის გამოგონებას ვერავინ ამიკრძალავს. საქმე ისაა, რომ პოლიტიკოსები თავად არიან გამომგონებლები – ნებისმიერ გამოუვალ სიტუაციაში პოლიტიკოსს უწევს გამოსავლის მოძებნა. ტექნიკასა და ტექნოლოგიებში ეს შედარებით ადვილია, რადგან, როდესაც საქმე გაქვს ლითონთან, იცი, ის როგორ „მოიქცევა", იცი მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებები. პოლიტიკაში კი, სადაც ადამიანი ფიქრობს ერთს, ლაპარაკობს მეორეს და აკეთებს მესამეს, ეს რთულია. პოლიტიკა მრავალცვალებადი ელემენტებისგან შედგება, რომელიც სტატიკაში არასდროს გადადის, ყოველთვის დინამიკურ პროცესშია და, ამიტომ, მაშინ გამოგონებაც უნდა იყოს დინამიკაში. ანუ, ჩვენ უნდა გავთვალოთ: ეს რომ ასე მოიქცევა... ის რომ აქ ამას გააკეთებს... – რაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. პოლიტიკა არის მრავალუცნობიანი განტოლება, სადაც განტოლებების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია უცნობების რაოდენობაზე და, აქედან გამომდინარე, ქართულ პოლიტიკაში ვერც ერთ გამოგონებაზე ვერ იფიქრებ; ერთადერთი გამოსავალია, პოლიტიკური პროცესები მივუახლოვოთ ისეთ სისტემებს, სადაც ერთი სისტემა მეორეს ბლოკავს – ადამიანის არასასურველი ნების დაბლოკვა, პოლიტიკური პროცესების მართვის ერთადერთი გამოსავალი იქნება *(იცინის)*.

**თამუნა სამადაშვილი**

# ინტიმური საუბრები

## მამიდაჩემის შვილობილმა კარგ ცხოვრებას მეძავობა არჩია

მამიდაჩემი ახალგაზრდა დაქვრივდა. შვილი არ ჰყოლია. მეორედ რომ გათხოვდა, უკვე 40 წელს იყო მიღწეული. მეორე ქმარიც ქვრივი იყო, მაგრამ პირველი ქორწინებიდან ჰყავდა 15 წლის გოგონა, რომელიც სკოლის დამთავრებისთანავე გათხოვდა და ქმარმა ინგლისში წაიყვანა, რადგან იქ მუშაობდა. დარჩა ცოლ-ქმარი მარტო და დაახლოებით ორი წლის შემდეგ მამიდაჩემმა აიტეხა, ბავშვი უნდა ვიშვილოო. ბიძაჩემი წინააღმდეგი იყო – უკვე ასაკში ვართ, შვილიც გვყავს და შვილიშვილიც, პატარა ბავშვის გაზრდის თავი სადღა გვაქვსო, მაგრამ, მამიდამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – რომ აიტეხა, ვერავინ ველარ გადაათქმევინა. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ლამის გაიყარნენ ამ ნიადაგზე. ბოლოს, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, ბიძაჩემი დაეთანხმა, ოღონდ, წინასწარ გააფრთხილა, ჩემგან ბევრს ნურაფერს მოითხოვო. მოკლედ, დაატრიალა მამიდამ ნაცნობ-მეგობრები და რამდენიმეთვიანი ძებნის შემდეგ აიყვანეს 6 წლის გოგონა, რომელსაც დედაც ცოცხალი ჰყავდა და მამაც, მაგრამ ბავშვთა სახლში ჰყავდათ მიტოვებული და ხელწერილი თუ განცხადებაც დაწერილი ჰქონდათ, რომ სამუდამოდ უარს ამბობდნენ შვილზე. მამიდაჩემს თავისმა დაქალმა წინასწარ ურჩია, სანამ ბავშვს იშვილებ, გაიკითხე, ვინ იყვნენ მისი მშობლები და, საერთოდაც, მისი გენეტიკა გაარკვიეო. მამიდამაც დაუჯერა და დაადგინა, რომ ბავშვის მამა რომელიღაც რაიონიდან ოდესღაც ჩამოსული და გაბომჟებული იყო, დედა კი – ეროვნებით რუსი ქალი, რომელიც სადგურზე მეძავობით ირჩენდა თავს და თურმე ამ გოგონას გარდა კიდევ ორი თუ სამი შვილი ჰყავდა (სხვადასხვა დროს) საქართველოს სხვადასხვა ბავშვთა სახლში მიტოვებული და ყველაზე ოფიციალურად ჰქონდა უარი ნათქვამი. მოკლედ, ჩემი მამიდაშვილი წინაპრებითა და გენეტიკით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ, ძალიან ლამაზი ბავშვი იყო, თან, ნიჭიერიც გამოდგა – კარგადაც სწავლობდა და არაჩვეულებრივად მღეროდა. ერთი სიტყვით, სალომე შვილად მიიღეს და თან ჰყვებოდნენ.

სანამ სალომე სკოლას დაამთავრებდა, უფრო სწორად, მეთერთმეტე კლასამდე, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ, 17 წელი რომ შეუსრულდა, ბავშვი თითქოს მთლიანად შეცვალეს – თვინიერი, დამჯერი, მეცადინე ბავშვი თითქოს ალქაჯად იქცა. სალომე უკვე დიდი იყო, რომ იშვილეს და ამიტომ, იცოდა, რომ აყვანილი შვილი იყო, მაგრამ მამიდაჩემმა და ბიძაჩემმა დაუმალეს, სინამდვილეში ვინ იყვნენ მისი მშობლები და უთხრეს, რომ ისინი ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. მეათე კლასამდე სალომეს ეს ტყუილი სჯეროდა, მაგრამ, მერე ვიღაცამ უთხრა სიმართლე და ბავშვი გადაირია. პირველმა შოკმა რომ გაუარა, დიდი წვალებით მოძებნა დედამისი და დედობილ-მამობილის ჩუმად დაიწყო მასთან შეხვედრები. მერე ძვირფასი მამიკოც გამოჩნდა და მისმა ბიოლოგიურმა მშობლებმა ბავშვის გამოყენება გადაწყვიტეს. არ ვიცი, თავი შეაცოდეს თუ დააშინეს, მაგრამ, სალომემ ჩუმ-ჩუმად დაიწყო სახლიდან ძვირფასი ნივთების გატანა, რომლებიც, ცხადია, თავის ბიოლოგიურ მშობლებთან მიჰქონდა. მათთან ურთიერთობას ისიც მოჰყვა, რომ ჯერ სკოლის გაცდენა დაიწყო, რაც მამიდაჩემმა საკმაოდ გვიან გაიგო, მერე გვიან ბრუნდებოდა შინ, არ ამბობდა, სად და ვისთან იყო, ბოლოს კი ღამესაც აღარ ათევდა ხოლმე სახლში. მამიდაჩემი და ბიძაჩემი პანიკაში იყვნენ, რადგან ბავშვს აშკარად ველარ იმორჩილებდნენ და ეშინოდათ, რამე უბედურებას არ გადაჰყროდა. ბოლოს მამიდაჩემმა გადაწყვიტა, სალომესთვის ეთვალთვალა და გაეგო, სად დადიოდა და ვისთან დაიწყო მეგობრობა, რადგან, გარდა იმისა, რომ გოგონა გათავხედდა და გაუზრდელდა, ვიზუალურადაც შეიცვალა, ძალიან გამომწვევად დაიწყო ჩაცმა, მაკიაჟსაც უცნაურს იკეთებდა და



მის ლექსიკონში ისეთი სიტყვები მომრავლდა, რომ მოგესმინათ, თმა ყალყზე წაგივიდოდათ.

უკან დადევნების პირველივე დღეს დაადგინა მამიდაჩემმა, ვისთან დადიოდა სალომე (მერე გვითხრა, გული მიგრძნობდა, რომ დედამისს ხვდებოდაო), მაგრამ, იმან, რაც საწყალმა ქალმა საკუთარი თვალებით დაინახა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: საკმაოდ ვულგარულად გამოპრანჭულ გოგონასთან ჯერ ვიღაც ქალი მივიდა (მერე გაირკვა, რომ დედამისი იყო) და რაღაც შეკვრა გამოართვა (ალბათ, სახლიდან წაღებული მორიგი ნივთი), შემდეგ კი მოცდა უბრძანა და დაახლოებით ხუთ წუთში ვიღაც ღიპიანი და ლოყებღაჟღაჟა შუახნის კაცი მიიყვანა მასთან. კაცმა მუშტრის თვალით ახედ-დახედა გოგონას, კმაყოფილმა დაუქნია ქალს თავი და, როგორც ჩანს, ფასზე დაუწყო მოლაპარაკება. ბოლოს შეთანხმდნენ, კაცმა იმ ქალს რაღაც თანხა მისცა, გოგონას ხელი წაავლო და სადღაც დაუპირა წაყვანა, მაგრამ, ამ დროს მამიდაჩემი გამოენთო, კივილით დააცხრა თავს და იმ კაცსაც და იმ ქალსაც ქოლგით დაუწყო თავპირში ცემა, თან საშინელი ხმით გაჰყვიროდა მათ სალანძღავ სიტყვებს. ისინი არ მოელოდნენ ასეთ თავდასხმას და ჯერ დაიბნენ, თუმცა, მერე შეტევაზე გადავიდნენ და მამიდაჩემზე საცემრად გაიწიეს, მაგრამ, სალომემ უყვირა, ხელი არ ახლოთ, დედაჩემიაო. ამ კივილ-წივილზე ხალხი მოგროვდა, მერე, როგორც ჩანს, ვიღაცამ პატრული გამოიძახა და, მამიდაჩემის ჩვენებების საფუძველზე, ოთხივე წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მოგვიანებით ბიძაჩემიც დაიბარეს. როგორც გაირკვა, სალომეს ბიოლოგიური დედა მას ვიღაც კაცებს ახვედრებდა და ფულს თვითონ იღებდა. ისიც დადგინდა, რომ სალომეს უარის თქმით თავი არ მოუკლავს, როდესაც დედამისმა ასეთი „სამსახური“ შესთავაზა.

რამდენიმე დღეში სასამართლო ჩატარდა, სალომეს ბიოლოგიური დედა და ის ღიპიანი კაცი დაიჭირეს და სხვადასხვა სასჯელი გამოუტანეს, სალომეზე კი ბიძაჩემმა საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა და გოგონა შინ წაიყვანეს. საწყალმა ბიძაჩემმა ეს ვერ გადაიტანა, ინფარქტი დაემართა და გარდაიცვალა. მამიდაჩემისა და სალომეს ურთიერთობა კი ველარ აეწყო, რადგან, როგორც ჩანს, გოგონას სისხლში მისმა „ძვირფასმა“ გენეტიკამ იმძლავრა – მართალია, დედამისი ციხეში იჯდა, მაგრამ, სულ ვაგზლისკენ გაურბოდა თვალი და გული და ახერხებდა კიდეც იქ გაპარვას. ერთ დღეს კი, როცა მამიდაჩემი სახლში არ იყო, ჩაალაგა ჩანთაში ყველაფერი, რასაც ფასი ჰქონდა და სახლიდან სამუდამოდ წავიდა. მამიდაჩემს კი წერილი დაუტოვა: „ყველაფრისთვის მადლობელი ვარ და ბოდიშს გიხდი, რომ ასე ვიქცევი, მაგრამ მე შენთან ყოფნა აღარ შემიძლია. მე იქ, იმ ხალხში, იმ წრეში ვგრძნობ თავს კარგად, რომელსაც სინამდვილეში ვეკუთვნი. უკვე სრულწლოვანი ვარ და, როგორც მინდა, ისე ვიცხოვრებ, აღარ მეძებო, მე შენთან აღარ დავბრუნდები“.

ასე დაისაჯა მამიდაჩემი იმის გამო, რომ ლოთისა და მეძავის შვილი აიყვანა და მის გამო ყველა და ყველაფერი დაივიწყა. ჩანს, სისხლსა და გენებს ვერაფერი შველის.

**მარინა, 26 წლის.**

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**ბადრი პატარკაციშვილის უმცროსი ძმა, კობა პატარკაციშვილი, საქართველოში სამი წლის წინ დაბრუნდა ამერიკიდან. ის თბილისში მეუღლესთან და 3 წლის ნიკოლ-ასთან ერთად ცხოვრობს. იმის მიუხედავად, რომ პატარკაციშვილების ოჯახის მიმართ ბოლო წლებში საკმაოდ დიდი ინტერესი იყო, კობა პატარკაციშვილმა შეძლო და, სამი წელი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე რეპლიკას, თბილისში სკანდალების გარეშე გაატარა, მაგრამ, თბილისი რისი თბილისია, ასე იოლად რომ „დაეთმო" და... ჩვენი რესპონდენტი შოუ-ბიზნესში ცნობილ ქალთან გადაღებულ ფოტოს ლამის თან გადააყოლეს.**

# რა გაანდო ბადრი პატარკაციშვილის ძმამ ცოლს ნინასთან დაკავშირებით და ვინ გახვია ის სკანდალში



ყველაფერზე უარს ვერ ვიტყვი, ისე მიყვარს თავისუფლება

**– კობა, ნინა წკრიალაშვილთან გადაღებული ფოტოს წყალობით, სოციალური ქსელების მთავარი „სამიზნე" გახდი: ზოგი რას ყვება და ზოგი – რას. თავად რას იტყვი, რა გაკავშირებს მასთან?**

– რაც საქართველოში ჩამოვედი, არც ერთ სკანდალში არ გავხვეულვარ. ცხოვრების ისეთი წესი მაქვს, ჭორებში ჩემი გახვევა იოლი არაა, რადგან, ვცდილობ, თავი ავარიდო ზედმეტ ყურადღებას, იაფასიან პოპულარობას არ ვეძებ – ეს არც მიმაჩნია სწორად და არც მცალია ამისთვის – ჩემი საქმეებით ვარ დაკავებული. ჩვენი ოჯახი ისედაც ბევრჯერ მოექცა ყურადღების ცენტრში, ამიტომაც, ზედმეტი საუბრებისგან ყოველთვის ვიცავ თავს. როგორც ჩანს, ვიღაცეებმა ძალიან მოინდომეს, რომ ჩემთვისაც აეგორებინათ ჭორები *(იცინის)*. იმის მიუხედავად, რომ ამ თემას დიდი ხანია, ატრიალებენ, პასუხი არავისთვის გამიცია – ეს საკმაოდ სასაცილო თემაა ჩემთვის. თუმცა, ამჯერად გამონაკლისს დავუშვებ და გეტყვით, რომ ქალბატონ ნინასთან ნამდვილად არაფერი მაკავშირებს. მას საერთოდ არ ვიცნობდი, ჩვენ ერთმანეთი გავიცანით იურმალაში, სადაც მე ჩავედი ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად. ჩემთან ერთად იყვნენ ჩემი დისშვილი, მისი მეუღლე და მათი ბავშვი. დაახლოებით 25 ქართველი ვიყავით სულ ჩასული, შესაბამისად, ყველამ გავიცანით ერთმანეთი. ჩვენ ხომ ყველა ერთად ვგულშემატკიროზდით ჩვენს კონკურსანტს – სალომეს, შესაბამისად, „ერთ ნავში" ვისხედით ყველა და, როგორ შეიძლებოდა, ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა არ გვქონოდა?! მით უფრო, რომ მეც და ქალბატონი ნინაც ძალიან გახსნილი და კომუნიკაბელური ადამიანები ვართ. რაც შეეხება ფოტოებს, მე ფოტო მარტო ქალბატონ ნინასთან არ გადამიღია – ძალიან ბევრი ფოტო გადავიღე შოუ-ბიზნესის სხვა წარმომადგენლებთან ერთადაც და, იმედია, ისინიც მალე გამოჩნდება სოციალურ ქსელებში *(იცინის)*.

**– ნინასთან გადაღებული ფოტო პიკანტურია.**

– ვერ დაგეთანხმებით, ჩვეულებრივი ფოტოა, განსაკუთრებული არაფერი. იმ დროს, როდესაც ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ეს ფოტო გადაიღო, მე ტელეფონზე ვესაუბრებოდი ახლობელს, რომელიც მხიარულ ამბავს მიყვებოდა და ამიტომაც მაქვს ფოტოზე ძალიან გაღიმებული იერი. ძალიან მერიდება და ვწუხვარ, თუ ქალბატონ ნინას ამ ფოტოს გამო უსიამოვნება გადახდა თავს, თუმცა, ჩვენ ორივემ ბევრი ვიცინეთ ამ სკანდალსა და ჭორებზე. ფოტო არც ერთს არ გვქონდა ნანახი, სანამ ერთი ამბავი არ ატყდა. ისიც კი თქვეს, რომ ფინანსურად მე დავეხმარე გამგზავრებაში, რომ გზის ფული მე გადავუხადე; კიდევ, თქვეს, რომ ჩვენ ერთად წავედით დასასვენებლად; ისიც კი დაწერეს, ნინა ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირდება და რა კავშირი აქვს მას კობა პატარკაციშვილთანო. მინდა გითხრათ, რომ მე ადამიანებს არ ვარჩევ პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით და არც იმის მიხედვით ვიწყებ მეგობრულ ურთიერთობას ვინმესთან, თუ რომელ პოლიტიკურ გუნდშია ის.

**– თქვენი მეუღლის ყურამდე მიაღწია ამ ამბებმა?**

– გამიმართლა, რომ მყავს მეუღლე, რომელიც ასეთ რამეებს ყურადღებას არ აქცევს. მე თვითონ ვუამბე მას, ვანესა თვითონაც სოციალური ქსელის მომხმარებელია და გაგებით შეხვდა ამ ისტორიას, იხალისა კიდეც ამ ფოტოზე. უკვე რვა წელია, რაც ოჯახი გვაქვს და პატივს ვცემთ ერთმანეთს, ასე რომ, მსგავსი ჭორები ჩვენს ურთიერთობაში ვერაფერს შეცვლის. მან იცის, რომ ჩემ მიმართ უფრო მეტი ყურადღება შეიძლება არსებობდეს, ვიდრე სხვების მიმართ და მზად არის ასეთი „სიურპრიზებისთვის". ვანესა დომენიკელია, ცოტა ქართული ხასიათიც აქვს. სხვათა შორის ლათინოამერიკელები ძალიან ჰგვანან ქართველებს – იქაც ჩვენსავით გახსნილი და თბილი ხალხი ცხოვრობს; ამინდიც ხელს უწყობთ – სულ მზეა, სიცხე; ულამაზესი ადგილებია, იქაურობა სამოთხეს ჰგავს, ეგზოტიკითა და სპეციფიკური თავისებურებებით. როცა დომენიკაში ჩავდივარ, ძალიან თბილად მხვდებიან, სიურპრიზებს მიწყობენ, ცდილობენ, მასიამოვნონ. ვანესას თბილისიც ძალიან მოსწონს, უკვე გაიჩინა აქ ახლო წრე, ქართული ენაც ისწავლა. ადრე მეც ვსწავლობდი მის ენას, მაგრამ რაც ვანესამ ქართული ისწავლა, მე ესპანურისკენ აღარ გამიხედავს *(იცინის)*.

**– ხომ არ ფიქრობ, რომ სპეციალურად არის აგორებული ეს თემა?**

– როცა წავიკითხე მასალა, რომელიც ჩვენზე დაიბეჭდა, გამიჩნდა ეჭვი, რომ ეს ჭორები ვრცელდება მიზანდასახულად, ვიღაც ან მე მმტრობს, ან – ქალბატონ ნინას. არ ვიცი, ვისთვის უნდა იყოს ეს თემა საინტერესო. მე უამრავ ადამიანთან მაქვს ახლო ურთიერთობები, მათ შორის ბევრი ცნობილი ქალბატონია და, ასე მოუფრთხილებლად არ შეიძლება აბსურდული ჭორების შეთხზვა. იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ კონსერვატიული ადამიანი ვარ, ჩემს ცხოვრებას ვერ მოვაქცევ ასეთ ჩარჩოებში, ყველაფერზე უარს ვერ ვიტყვი – ისე მიყვარს თავისუფლება, რომ, იმაზე ფიქრით ვერ ვიცხოვრებ, ვინ რა ფოტოს გაასკანდალებს სოციალურ ქსელსა თუ მედიაში.

**– ნინასთან დაკავშირებულ ისტორიამდე ვერ გადაურჩი კიდევ ერთ სკანდალს – ორი წლის წინ მიხეილ სააკაშვილმა შენზე თქვა, კანონიერ ქურდებთან არის შეკრულიო.**

– მე მას მაშინვე გავეცი პასუხი. ძალიან პატარა ვიყავი, როცა ამ ქვეყნიდან წავედი, სულ სამ-ოთხი წელია, რაც საქართველოში დავბრუნდი და აქ დავმკვიდრდი. დღემდე მეცინება ამ ჭორზე, რომელიც ზოგიერთებმა ახლა ისევ გაიხსენეს. შვიდი წელი ვსწავლობდი ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში, სადაც „კანონიერ ქურდობას" არ ასწავლიან, და თუ ასწავლიან, მაშინაც ვთქვი და გავიმეორებ: ეტყობა, მიხეილ სააკაშვილმა და მე ერთი და იგივე სკოლა გავიარეთ-მეთქი. არ ვიცი, მაშინ რა არგუმენტები ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს, როცა თქვა, ბადრი პატარკაციშვილის ძმა კანონიერ ქურდებთან არის დაკავშირებულიო. არ ვიცი, საიდან უნდა მქონოდა მათთან კავშირი – ცხოვრების ნახევარზე მეტი უცხოეთში გავატარე, სადაც არც კი იციან, რა არის კანონიერი ქურდი, ხოლო, როცა საქართველოში დავბრუნდი, მათი ხანა უკვე დამთავრებული იყო *(იცინის)*.



ცხოვრების ისეთი წესი მაქვს, ჭორებში ჩემი გახვევა იოლი არაა

**– როგორ შეიცვალა პატაკაციშვილების ოჯახის ცხოვრება ბოლო პერიოდში?**

– არაფერი განსაკუთრებული ჩვენთან არ ხდება, ცხოვრება ნორმალურ რეჟიმში ჩადგა. ყველა ჩვენი საქმით ვართ დაკავებული. ინა და მისი ქალიშვილები ხშირად ჩამოდიან თბილისში. ბადრის გარდაცვალებით გამოწვეულმა ტკივილმა ჩვენ განსაკუთრებულად შეგვკრა. იმის მიუხედავად, რომ მავანს და მავანს ძალიან უნდოდა, ისე გამოეჩინა, თითქოს ოჯახის წევრებს შორის დაპირისპირება იყო, ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც ერთი დიდი ოჯახი, რომელიც უფრო გაიზარდა და გამრავლდა.

**თამუნა ნიჟარაძე**

**„მოსკოვში დავიბადე, მამა ნიგერიელია, მის გვარზე ვარ – მარიამ ადარვა, ისე მერიკოს მეძახიან. დედა და მამა ერთად სწავლობდნენ ბელორუსიაში, იქ გაიცნეს ერთმანეთი და შეუღლდნენ. მერე მე დავიბადე და 3 თვის ვიყავი, თბილისში რომ ჩამომიყვანეს. მას შემდეგ სულ აქ ვცხოვრობ. მერე მამა წავიდა სამუშაოდ და დედაც გაჰყვა, მე კი ბებიასთან და დეიდასთან ვიზრდებოდი. დეიდა დედასავით მყავს, ყველაფერია ჩემთვის...“ – ეს არის ამონარიდი მერიკო ადარვას ძველი ინტერვიუდან. მერიკო, რომელიც 16 წლის ასაკში „მის თბილისი“ გახდა, იმდენად მხიარული ადამიანია, რომ მის გვერდით წუთითაც არ მოიწყენ. რაც მთავარია, მან ცოტა ხნის წინ თეატრალურ უნივერსიტეტში ჩააბარა და მომავალში მსახიობობას აპირებს.**

# რატომ მოაწყო ბერა ივანიშვილმა მერიკო ადარვას გამო ალაფურშეტი და როგორ ცეკვავდა და ხტუნაობდა ის პრემიერის სასახლეში

**მერიკო ადარვა**: მას შემდეგ, რაც „მის თბილისი“ გავხდი, სამოდელო სფეროდან ჩემზე მოთხოვნა უფრო გაიზარდა, მეძახდნენ ცნობილი დიზაინერების ჩვენებებზე. შენთან ჩაწერილი ინტერვიუს შემდეგ „სიყვარულის ბალადაში“ გადამიღეს; ასევე, გადაღებები მქონდა „იმედის“ სერიალებში, ოღონდ, ეპიზოდურ როლებში, ახლა კი მთავარ როლებს ველოდები – ვნახოთ, რა იქნება. წელს სკოლა დავამთავრე და თეატრალურში ჩავაბარე სამსახიობოზე. გარდა ამისა, ბარმენად ვმუშაობ.

**– ამ საქმეში გქონდა გამოცდილება?**

– არანაირი. თავიდან ისეთ საშინელებებს ვაკეთებდი, ვინმე რომ არ შეწირვოდა ჩემს მომზადებულ კოქტეილებს, ჯერ მე ვსინჯავდი, ვიწამლებოდი და მერე სხვებს ვწამლავდი. ახლა უკვე კარგად გამომდის და ჩემი საფირმო კოქტეილიც მაქვს – „პრომო“, რომელიც მთელ ბარში ყველაზე ძვირიანი კოქტეილია. ისეთი სასმელია, როგორც კი სვამენ, მაშინვე ენერგიაზე მოდიან, წამებში თვრებიან და მეორე უნდებათ.

**– საინტერესოა, რა ხდება მაშინ, როდესაც ბართან მოდიან, კოქტეილს გიკვეთენ და შენ მერე ქართულად უწყებ საუბარს?**

– ერთი ბიჭი მოვიდა ბართან, არ იყო ფხიზელ მდგომარეობაში. დაჯდა ბართან და ინგლისურად მეუბნება, თუ შეიძლება, ვისკი დამისხიო. თავიდან ვერ გავიგე, რა მითხრა და ქართულად ვკითხე – რა გნებავთ-მეთქი. ამომხედა, იფიქრა: მომელანდაო, ისევ დახარა თავი და კიდევ ინგლისურად მკითხა რაღაც. მე ვუთხარი: ქართული კარგად ვიცი და რას იტანჯები-მეთქი. იცი, რა ქნა? მაშინვე ადგა – იფიქრა, ჰალუცინაციები მაქვსო, რადგან, კითხულობდა: ასეთი რა დავლიე, რომ რაღაცეები მელანდებაო. ძლივს დავაწყნარე და გამოვიყვანე შოკიდან, დაცვაც კი უხსნიდა, არ გელანდებაო. კიდევ, ბერასთან ვიყავი ქასთინგზე და, არ იცი, იქ რეები მოხდა.

**– რა მოხდა? რა ქასთინგზე იყავი?**

– ამიკო ჩოხარაძე ჩემი მეგობარია. ერთხელაც დამირეკა – ბერა კლიპს იღებს, გოგონების ქასთინგი აქვს და მოდიო. ძალიან ბევრი გოგონა ვიყავით, მათ შორის, რამდენიმე ფერადკანიანიც. ჩემი რიგი რომ მოვიდა, შევედი ქასთინგზე და ამიკომ თვალი ჩამიკრა – ხმა არ ამოიღო, სანამ თვითონ არ დაგელაპარაკებაო. არადა, მე უნდა ამომეღო ხმა, უნდა მეთქვა ჩემ შესახებ რაღაცეები. ბერამ ინგლისურად მკითხა: ვინ ხარ, რატომ მოხვედი და რა გეხერხებაო. მე ქართულად ვუპასუხე: კლიპის ქასთინგზე მოვედი, ცეკვაც შემიძლია და, საერთოდ, ყველაფერი, რაც საჭიროა კლიპისთვის-მეთქი. გაოცებულმა შემომხედა და მხოლოდ ის თქვა: ახლა გარეთ უნდა გავიდეო. ისეთი გაწითლებული შემოვიდა, აშკარად, ბევრი იცინა. რომ დაბრუნდა, ისევ ინგლისურად დამელაპარაკა, მე კი ვუთხარი: ძალიან კარგად ვიცი ქართული, გრამატიკაც, თუ გინდა, კუთხურ დიალექტებზეც დაგელაპარაკები-მეთქი. გაგიჟდა ბიჭი, თან, იმდენი იცინა – ასეთი რამ არ გამიგიაო. ბოლოს, ჩემს პატივსაცემად ალაფურშეტიც კი მოაწყო, თან, სხვა გოგონებიც დაპატიჟა. ყველაფერი აინტერესებდა ჩემ შესახებ და მეც ვუთხარი, რომ ქართველი მყავდა დედა და საქართველოში გავიზარდე. ძალიან კარგი და საინტერესო დღე იყო, სასაცილოც, შოკირებული იყო ბიჭი. მაგრამ, პრემიერის რეზიდენციაში ისეთი ამბები შემემთხვა, რომ მოვყვე, მერე ყველა დამცინებს.

**– რა მოხდა ამისთანა?**



მე ქართულად ვუპასუხე: კლიპის ქასთინგზე მოვედი, ცეკვაც შემიძლია და ყველაფერი, რაც საჭიროა კლიპისთვის-მეთქი. გაოცებულმა შემომხედა და მხოლოდ ის თქვა, ახლა გარეთ უნდა გავიდეო. ისეთი გაწითლებული შემოვიდა, აშკარად, ბევრი იცინა

– საჭირო ოთახში დავაპირე შესვლა, იქვე ერთი კაცი იდგა და, რომ მივუახლოვდი, რაღაც მითხრა. ყურადღება არ მიმიქცევია, პირდაპირ შევედი. იქ ყველაფერი სენსორებზე იყო, ძლივს გავერკვიე. ბოლოს, ხელების დაბანას რომ ვაპირებდი, ვერსად ვნახე ხელის დასაბანი. კედელზე რაღაცას მივაჭირე ხელი და, ამ დროს დუში გამოვიდა, წამოვიდა ცხელი წყალი და, უნდა გენახა როგორ ვხტუნაობდი და ვცეკვავდი ცალ ფეხზე, რომ არ დავსველებულიყავი. თან, პატარა ტუალეტი იყო და ვერ ვმოძრაობდი. როგორც იქნა, გამოვრთე, სამაგიეროდ, კარგად დავსველდი. გამოსვლა რომ დავაპირე, აღმოჩნდა, რომ კარი იყო ჩაკეტილი. ამ დროს ამიკო მოვიდა: ცოცხალი ხარ, გოგოო? ცოცხალი კი ვარ, მაგრამ, კარი არ იღება-მეთქი. ამიკო კი მეუბნება: კაცი რომ იდგა კართან, კოდი რომ გითხრა, არ დაიმახსოვრეო? რა კოდი, არც მომისმენია-მეთქი. ანუ, ყველა შემსვლელს სხვადასხვა კოდი ჰქონდა. არც იმ კაცს ახსოვდა, რა კოდი მითხრა. ბოლოს, მოიყვანეს ხალხი, კარი ჩამომიხსნეს და ისე გამომიყვანეს. მოკლედ, დიდი ამბები გადამხდა: თმა საშინლად მქონდა, მაკიაჟი ამერია, ნახევრად სველი ვიყავი. ამ დროს ბერა გამოვიდა და მეუბნება: მიირთვიო. ერთი ის მოვახერხე, ვუთხარი: მე უკვე მივირთვი-მეთქი. საბოლოოდ, კლიპშიც გადამიღეს – შავი „სნეგუროჩკა“ ვიყავი. რომ იღებდნენ, ყველა იცინოდა – საიდან მოიყვანეს შავი „სნეგუროჩკაო“.

**– რომელ დიალექტებზე ლაპარაკობ?**

– გურულზე, მეგრული ვიცი კარგად და ცოტა ქუთეისური, კახურსაც ვამულამებ. ჯერ ქართულად რომ დავილაპარაკებ და მერე მეგრულად, არ იცი, ხალხს რა ემართება.

**– „იმედის“ ახალ სეზონში ახალ სერიალში იქნები?**

– დიახ, საპილოტე გადაცემას ვუყურე, რომელშიც გადამიღეს კიდეც და ძალიან კარგია. ზუსტად არ ვიცი, როდის დაიწყება, მაგრამ, დღეს დამირეკეს, რომ უნდა ჩამწერონ. ასე რომ, მსახიობობა გადაწყვეტილი მაქვს, თან, უფრო კომედიური ჟანრი მინდა. უნდა დამაყენო, რომ ვიცინო, ვილადაო და, შემდეგ, ჩემი შემხედვარე ადამიანი კრუნჩხვებში ჩავარდეს სიცილისგან. ბოლო ზარზე ისეთები გავაკეთე, დირექტორს სიცილისგან ცრემლები მოსდიოდა. ამიტომაც მომცეს მთელ სკოლაში „ყველაზე პრიკოლი“ ადამიანის წოდება.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში, არ ხარ შეყვარებული?**

– სამწუხაროდ, აღარ. მოხდა ისე, რომ ჩემს შეყვარებულს დავშორდი. ეს, პრინციპში, ჩემი ბრალი იყო. დღე და ღამე დაკავებული მაქვს, მაქსიმალისტი ვარ, ამიტომ, მირჩევნია, ჯერ საქმე ავაწყო, მეტზე თუ არა, წარმატების ერთ წერტილზე მაინც ავიდე და მერე მივხედავ ჩემს პირად ცხოვრებას. ძალიან დაკავებული ვარ და, ამიტომ, ვუთხარი: არ მინდა, დავიტანჯოთ არც მე და არც შენ, რადგან, წელიწადში ერთხელ თუ გნახავ, ორივე ვინერვიულებთ ამაზე-მეთქი. რა თქმა უნდა, დაშორება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ, ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

**– თაყვანისმცემლების ნაკლებობას, ალბათ, არ განიცდი.**

– ფეხით არ დავდივარ, მანქანით დავდივარ – თაყვანისმცემლებს დავყავარ, რადგან, უმეტესობასთან ვმეგობრობ, კარგი ურთიერთობა მაქვს. თან, მეგობრებთან რომ მივყავარ და იქ ქართულად ვიწყებ საუბარს, ერთი ამბავი ხდება. მათთვის ეგზოტიკური ვარ. ერთ-ერთი მეგობრის ოჯახში დაბადების დღეზე ვიყავი და ხალხი შოკირებული იყო. იმდენჯერ დალიეს ჩემი სადღეგრძელო, სულ მადლობებს ვიხდიდი.

**– როგორი ბიჭები მოგწონს?**

– ხასიათს უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევ. ზოგი კარგად გამოიყურება, მაგრამ, აუტანელი ხასიათი აღმოაჩნდება ხოლმე. თუ კარგი ხასიათი აქვს, შეუძლია, გამიგოს, ჩემსავით იხალისოს, გაერთოს და გვერდში დამიდგეს, მაშინ, შემიძლია, მასთან ვიყო, სხვა შემთხვევაში – არა.

**– ადრე მითხარი, შავკანიანებს რომ ვხედავ, გავრბივარო. ახლაც ასე ხარ?**

– კი, ასე ვარ. ახლა თვითონ შავკანიანები მეკითხებიან, რატომ ვერ გვიტანო. ვერ ვიტან კი არა, უბრალოდ, მათ გვერდით რაღაცნაირად ვგრძნობ თავს. საქართველოში რომ ვარ გაზრდილი, ამიტომ მათგან ძალიან განვსხვავდები მენტალობით. ისინი სხვანაირად არიან აღზრდილები, მე – სხვანაირად. სამაგიეროდ, სამორისთან მაქვს ძალიან კარგი ურთიერთობა – ერთმანეთს რომ ვხედავთ, ერთმანეთისკენ გავრბივართ. დედაჩემსაც კარგად იცნობს. სამორი და ბრაიანი ჩემთვის ძმებივით არიან. ისე, ნიგერიაში როგორ უნდა წავიდე, არ ვიცი. აქ შავკანიანებს გავურბივარ და, იქ, ალბათ, დავიმალები.

**ნათია უტიაშვილი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# სადამდე მიჰყავს ქალი ქმართან დამაკავშირებელი ინტიმური „ძაფის“ გაწყვეტას

**ქალის მხრიდან ღალატი ყოველთვის გაცილებით მძიმედ აღიქმება – ეს ჩვენს საზოგადოებაში დიდი ხნიდან დამკვიდრებული სტერეოტიპია. თუმცა, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა მარტო ცოლები კი არა (ეს არავის უკვირს), ქმრებიც პატიობენ მეუღლეებს ღალატს, არ ინგრევა ოჯახი და ამის მერეც დიდხანს ცხოვრობენ ბედნიერად, ყოველ შემთხვევაში, ჰარმონიაში მაინც. ფსიქოლოგებს აქვთ პასუხი კითხვაზე: როდის ხვდება მამაკაცი, რომ ცოლის ღალატში თავადაც არის დამნაშავე? ბუნებრივია, სიყვარულსაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ, მთავარი მაინც ის მესაკუთრული მიდგომაა, რომლითაც მამაკაცი თავის საკუთრებას – ცოლს ებღაუჭება. პრევენცია ვერაფრით იქნება მხოლოდ სიყვარული. საჭიროა, ცოლ-ქმარი ერთად წყვეტდეს უმთავრეს პრობლემებს და, მათ შორის, ინტიმურსაც – ეს, უბრალოდ, აუცილებელია.**



**თეიკო** ***(29 წლის):*** მე, უფრო სწორად, ჩემნაირი ქალები, უზნეოებად და ამორალურებად არიან მონათლულნი. რა უნდა იარლიყის მიწებებას? მით უმეტეს, ორმაგად ადვილი გასაკიცხია სხვისი ცხოვრება. ჩვენ რომ ისეთი იდეალურები ვიყოთ, როგორც ამას სხვებისგან მოვითხოვთ, სამოთხეში ვიცხოვრებდით. ყველა პრობლემა ჩვენშია, მაგრამ, რატომღაც, სხვაგან ვეძებთ იმ კითხვებზე პასუხებს, რომლებიც ისედაც ვიცით. სიყვარული ხშირად სულაც არ გვიშლის ხელს, ვავნოთ და ვატკინოთ ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს. მე და ჩემს ქმარს ყოველთვის ბევრი გვქონდა საერთო. გვიყვარდა ერთმანეთი და ამიტომაც შევქმენით ოჯახი. ასეთ დროს არავინ ფიქრობს, რომ, შეიძლება, პრობლემები ყველაზე შეუფერებელ მომენტში გაჩნდეს. პირიქით, დარწმუნებული ხარ, რომ საიმედო ხელში იქნები და ვეღარაფერს ინატრებ უკეთესს; რომ შენი ცხოვრება მზიანი დღესავით ნათელი, კაშკაშა და თბილი იქნება... ისე გვიხაროდა ერთმანეთი, ისე გვეამაყებოდა... მართალი ყოფილა, რომ ქალს ჰაერივით სჭირდება ყურადღება და იმის დადასტურება, რომ ის ქალია. ამის მოთხოვნილება ნებისმიერ ქალს აქვს, მიუხედავად ასაკისა და ფიზიკური მონაცემებისა. როცა კაცს ეს ავიწყდება, მას ვეღარაფერი შველის. უკვირთ ხოლმე, როგორი კარგი ქმარი ჰყავდა და როგორ მიატოვაო... როგორ ულალატაო... არ არის ასე მარტივად. შვილი რომ გავაჩინე, იმ დღიდან ჩემმა ქმარმა ჩემში ქალი ვეღარ დაინახა. ხვდებით ხომ, რასაც ვგულისხმობ? დღისით, თითქოს, ყველაფერი კარგად იყო: ჩემი ქმარი გიჟდებოდა შვილზე. იდეალური მამა იყო – მზრუნველი, ყურადღებიანი; ყველაფერში მეხმარებოდა. ბავშვის დაბანაშიც კი... ვიცინოდით, ვმხიარულობდით, როცა პატარა გვიღიმოდა, მაგრამ, საღამოს იწყებოდა ჩემი კოშმარი: ქმრისთვის როგორც ქალი, აღარ ვარსებობდი.

**– და, გადაწყვიტეთ, საყვარელი გაგეჩინათ?**

– არა, რას ამბობთ! მე ჩემი ქმარი მიყვარდა და ახლაც ძალიან მიყვარს. მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: მინდოდა მოფერება, ჩახუტება, ალერსი... ის კი უცხოსავით გადაბრუნდებოდა და იძინებდა. ლამის ჭკუიდან შევიშალე.

**– ქმარს არ დაელაპარაკეთ? მიზეზი არ ჰკითხეთ?**

– როგორ არა. მითხრა, მე თვითონაც არ ვიცი, რა მჭირსო. რაღაც ბარიერი გამიჩნდა შენთან ურთიერთობაში. ცოტა ხანს უნდა მოითმინო, ალბათ, გამივლის და ყველაფერი ძველებურად იქნებაო. ფსიქოლოგთან წასვლაც შევთავაზე. ეწყინა – მე ნორმალური ვარ, ფსიქოლოგები და ფსიქიატრები არ მჭირდება. ჩვენ შორის პრობლემას ნელ-ნელა თავად მოვაგვარებო. ანუ, სრულ გაუგებრობაში დავრჩი. თვისთავად, გამიჩნდა ეჭვი, რომ ვიღაც ჰყავდა.

**– ანუ, თქვენი ღალატი შურისძიება იყო?**

– არა. მე არ ვარ შურისმაძიებელი. ამის გაფიქრებამ გული დამწყვიტა და დამადარდიანა. მღალატობს და, ახლავე გავიქცე, მეც ვუღალატო-მეთქი, ასე ნამდვილად არ ყოფილა. საკუთარ თავში ჩავიკეტე. მარტო რომ ვრჩებოდი, ვტიროდი. ბავშვს რომ ვასეირნებდი, საერთოდ არ ვიღიმებოდი. სიცილი და მხიარულება დამავიწყდა. თითქოს სიცოცხლე ჩაკვდა ჩემში. არაფერს კარგს არ ველოდი. ვფიქრობდი, ალბათ, დადგება დღე, როცა ქმარი საერთოდ მიმატოვებს-მეთქი. მაგრამ, ბედისწერამ სხვანაირად განსაჯა. მოულოდნელად, პარკში, სადაც ბავშვს ვასეირნებდი ხოლმე, ვიღაც ახალგაზრდა გამომელაპარაკა, ჩემზე 7 წლით უმცროსი. ბავშვს მოეფერა, მერე მე მომიბრუნდა და მითხრა, არაჩვეულებრივი გოგონა გყავთ, თქვენ კი ძალიან სევდიანი ხართ ყოველთვისო. ეტყობა, იმ მომენტში ძალიან ცუდად ვიყავი, ისე ცუდად, რომ სრულიად უცხო ადამიანს, თანაც მამაკაცს, კალთაში ავუტირდი. მომისმინა. სანამ ვლაპარაკობდი, თავზე მისვამდე ხელს. ისე მესიამოვნა მისი ხელისგულიდან წამოსული სითბო, ცრემლები ჩამომცვივდა, მაგრამ, გულიდან მძიმე ლოდიც მომცილდა. მოვუყევი, რომ ქმართან მქონდა პრობლემები. თუმცა, დეტალები მთლად არ გამიმხელია – მორიდების მომენტი მქონდა. იმ დღის შემდეგ, აბსოლუტურად ყოველდღე, ბავშვი პარკში რომ ჩამყავდა სასეირნოდ, ჩემი ახალი ნაცნობი იქ მხვდებოდა, ერთხელაც არ დაუგვიანია. ორი კვირის შემდეგ გაცილებით უკეთ ვიყავი, გავიღიმე.... ყველაფერს აკეთებდა ჩემს გასახალისებლად. ხან სუვენირს დამახვედრებდა, ხან ყვავილს, ხან ნაყინს ან შოკოლადს... ერთხელაც, თავისთან დამპატიჟა, ოღონდ, ისე ლამაზად, რომ უარი ვერ ვუთხარი. უგემრიელეს ჟასმინის ჩაის დაგალევინებ, მოგეწონებაო... ცოტა კი შევყოყმანდი, მაგრამ, ჩემში ერთბაშად და მოულოდნელად გაიღვიძა ქმრის მიმართ აგრესიამ. მაშინ ვიფიქრე: რატომაც არა. თვითონ ხომ მღალატობს და საერთოდ არაფერს აკეთებს ჩვენი ურთიერთობის გამოსასწორებლად. მე რატომღა უნდა ვიყო მისი ერთგული, თანაც უბედური-მეთქი.

**– თქვენ ხომ არ იყავით დარწმუნებული იმაში, რომ ქმარი გღალატობდათ?**

– ამას უკვე ნაკლებად ჰქონდა მნიშვნელობა. რადგან, მე თავად გამიჩნდა იმ კაცთან სიახლოვის სურვილი. გული ისე მიცემდა, როცა მასთან შესახვედრად მივდიოდი, როგორც 16 წლის შეყვარებულ გოგონას.

**– ანუ, შეგიყვარდათ?**

– თავიდან მეგონა, რომ შემიყვარდა, მაგრამ, მერე მივხვდი, რომ ეს მხოლოდ გატაცება იყო, თუმცა, ძალიან ძლიერი. მან ის დეფიციტი შემივსო, რომელიც ტკივილს მგვრიდა, ლაღად სუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა. ამ ადამიანთან ურთიერთობამ მომცა ყველაზე მთავარი – ისევ მაგრძნობინა ქალობა, თუმცა, საკმაოდ მძიმე შედეგის საფასურად – ღალატს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა. მე სრულად მაქვს გაცნობიერებული, რაზე წავედი. ბევრიც ვინერვიულე და თავს ვერც გავიმართლებ. თუმცა, ზოგჯერ ასეთი დანაშაულიც აუცილებელია. მიზანი ამართლებს საშუალებასო – ჩემს შემთხვევაში შედეგმა გაამართლა.

## ჩემმა ქმარმა ჩემში ქალი ვეღარ დაინახა

**– თქვენ შედეგი წინასწარ არ იცოდით...**

– მართალია, წარმოდგენა არ მქონდა, რა მოჰყვებოდა ამას, მაგრამ, იმ დღეებით ვცხოვრობდი. ბოლომდე ვისრუტავდი მოულოდნელ ბედნიერებას და არაფერზე ვფიქრობდი. მე სასურველი ქალი გავხდი. არსებობდა მამაკაცი, რომელსაც სიხარულით აკანკალებდა ჩემს დანახვაზე და ეს საკუთარი თავის რწმენას მმატებდა. იმ სამი თვის განმავლობაში, სანამ ერთმანეთს ვხვდებოდით, შევიცვალე: თვალები მიბრწყინავდა; თავს საგულდაგულოდ ვუვლიდი, ვიპრანჭებოდი; ცხოვრება მიხაროდა. რა თქმა უნდა, სულელი არ ვარ და არ ვფიქრობდი იმას, რომ ჩემი ქმარი ვერ ამჩნევდა ამ ცვლილებას, მაგრამ, რადგან ხმას არ იღებდა, მეგონა, კმაყოფილი იყო, რომ აღარ ვტიროდი, აღარ ვაწუხებდი წუწუნით. რას წარმოვიდგენდი, თუ ყველაფერი ეცოდინებოდა.

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ქმართან ბედნიერი ვარ. ორი წელია, ერთად ვცხოვრობთ და, ერთადერთი, რაც მაწუხებს, ის არის, რომ ძალიან ეჭვიანია. აქამდე ძალიან არ იმჩნევდა ამას, მაგრამ, რამდენიმე დღის წინ, ჩემს თანაკლასელ ბიჭებს შევხვდი. არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, მხოლოდ ცოტა ხნით შევჩერდი და ერთმანეთი მოვიკითხეთ, მაგრამ, სახლში ისეთი სკანდალი მომიწყო, სერიოზულად გავბრაზდი და გავებუტე. ძლივს შემომირიგა რომანტიკული ვახშმითა და საჩუქრით. მეშინია, რომ პათოლოგიურად ეჭვიანის გვერდით მომიწევს ყოფნა. არ მინდა, სკანდალებში ვიცხოვრო. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** შიშის საფუძველი ნამდვილად გაქვთ. ეჭვი დაავადებაა, რომელიც ძნელად იკურნება. ქმარს უნდა დაელაპარაკოთ. მშვიდად და სერიოზულად უთხარით, რომ ეჭვიანობის სცენებს არ მოითმენთ და დაასრულებთ ურთიერთობას, რომ ბოლო შანსს აძლევთ და დააკვირდით მის რეაქციას – ნახეთ, რა მოხდება. რაც მთავარია, მშვიდი და კონსტრუქციული უნდა იყოთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

# რატომ ეძებს 32 წლის ქალი მეგობარს, რომელმაც მასთან ერთად იმშობიარა მეოთხე სამშობიარო სახლში და რა აკავშირებს მათ ერთმანეთთან

***32 წლის ნათია ნიკოლოზიშვილი ეძებს 31 წლის ნინო მაჭარაშვილს.***

**ისტორია**: ვეძებ 31 წლის ნინო მაჭარაშვილს (თუ არ ვცდები, მეუღლის გვარი ლოთიშვილია). მე და ნინომ ერთმანეთი ქორიძის სახელობის მეოთხე სამშობიარო სახლში გავიცანით, ორივეს ერთ დღეს მოგვიწია მშობიარობა და, ისე დავახლოვდით, რომ იქ ყოფნის დროს უერთმანეთოდ ველარ ვძლებდით. ნინოს შეეძინა გოგონა და სახელად მარიამი დაარქვა. მე კი ვაჟი მეყოლა – ნიკუშა. მას შემდეგ უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ბოლოს ნინო ვნახე და ძალიან მინდა მისი პოვნა. სამწუხაროდ, მისი ფოტო არ გამაჩნია და ჩემს სურათსაც ვერ გიგზავნით (რადგან, სოფელში ვარ და ინტერნეტ-კაფეს საშუალებაც არ მაქვს). ძალიან გთხოვთ, მაპოვნინოთ ჩემი მეგობარი.

**– მოგვიყევი, როგორ დამეგობრდით შენ და ნინო სამშობიარო სახლში?**

– რთული ორსულობა მქონდა და ექიმებმა საკეისრო დამინიშნეს. მეოთხე სამშობიარო სახლის ბლოკშივე გავიცანი გოგონა, რომელიც ძალიან მშვიდი ჩანდა (როგორც მერე აღმოჩნდა, ასეთი ხასიათი ჰქონდა), მასაც საკეისრო ჰქონდა დანიშნული და მშობიარობა ერთსა და იმავე დღეს – 2012 წლის 7 აგვისტოს მოგვიწია. ბლოკშივე ბევრი ვილაპარაკეთ და გავუგეთ ერთმანეთს, შემდგომ კი ერთსა და იმავე პალატაშიც აღმოვჩნდით და გვერდიგვერდ საწოლებზე ვიწექით. ნინოს გოგონა წონითაც და ზომითაც ჩემს ბიჭზე დიდი იყო, მას თეთრი პირისახე და ცისფერი თვალები ჰქონდა. ნინოს ჰყავს და – ნონა მაჭარაშვილი. თუ სწორად მახსოვს, ორი დედმამიშვილი ჰყავს – ერთი და და ერთი ძმა, ნინო შუათანაა. ნინოს მონაყოლით, მისი დედა საბერძნეთშია წასული სამუშაოდ; ასევე, ვიცი, რომ ნინოს ჰყავს დისშვილები (თუ არ ვცდები, ორი დისშვილი). ბავშვების გაზრდაში ნინო ჩემზე გამოცდილი იყო (რადგან ნონას შვილები მანაც გაზარდა), ამიტომ ის ბევრს მეხმარებოდა პატარა ნიკუშას მოვლაში.

პირველ დღეებში ორივე ცუდად ვგრძნობდით თავს (როგორც ეს „ნაკეისრალებს“ სჩვევიათ), მაგრამ, ნინო ჩემზე ბევრად ყოჩაღად იყო. ძალიან მზრუნველი და კარგი გოგოა, ამიტომაც დავმეგობრდით. სამშობიაროდან ნინო ჩემზე ადრე გამოწერეს (მე სიცხეები მქონდა და ამიტომ ერთი კვირით დამტოვეს). გამოწერამდე სულ ვამბობდი, რომ ერთმანეთს არ დავკარგავდით და კონტაქტი გვექნებოდა, სამომავლოდ კი ჩვენი შვილებიც დამეგობრდებოდნენ (ასეთი სურვილი გვქონდა ორივეს).

**– როგორ დაკარგეთ ერთმანეთი და რა გახდა ამის მიზეზი?**

– სამშობიაროში ყოფნისას მე ტელეფონის სულ სხვა ნომერი მქონდა და ნინომაც მხოლოდ ის ნომერი იცოდა. როდესაც გამომწერეს, სულ ვურეკავდით ერთმანეთს. ბავშვები რომ წამოიჩიტებიან, ერთმანეთს შევხვდეთო, – ამბობდა. მაგრამ, შემდეგ ტელეფონის ბარათი დავკარგე, ნინოს ნომერიც სხვაგან არსად მქონდა ჩაწერილი. მე მას სოციალურ ქსელებში ვეძებდი, მაგრამ, უშედეგშოდ; ვერც მისი და მოვძებნე (რადგან ნონას ზუსტი ასაკი არ ვიცი). სამწუხაროდ, არც ნინოს მისამართი ვიცი, რადგან, ვერც ერთი ვერ ვიფიქრებდით, რომ ერთმანეთს ტელეფონის ნომრების გამო დავკარგავდით. ნინოს შესახებ კიდევ ის შემიძლია, გითხრათ, რომ მის მეუღლეს ზაზა ჰქვია. მისი შვილი, კი, – მარიამი, ძალიან ჰგავდა თავის მამიკოს. ნინოსთვისაც, ისევე, როგორც ჩემთვის, პირველი მშობიარობა იყო და ჩვენ ძალიან ბევრი საერთო გვქონდა. ზოგს მიაჩნია, რომ ბავშვობის მეგობარს ვერავინ შეედრება, მაგრამ, ეს ასე არ არის. მე და ნინომ ერთმანეთი, შეიძლება ითქვას, კრიტიკულ სიტუაციაში გავიცანით და არც ერთი არ ვართ პატარა, მაგრამ, ძალიან დავმეგობრდით და მისი პოვნა და ურთიერთობის გაგრძელება ძალიან მინდა. დარწმუნებული ვარ, ნინოსაც ძალიან გაუხარდებოდა ჩემი ნახვა. სამწუხაროდ, ვერც ერთმა ვერ მოვიფიქრეთ, რომ სურათები მაინც გადაგველო ერთად ან, ბავშვებისთვის – საერთო ფოტო, რადგან, როგორც გითხარით, ერთმანეთის დაკარგვაზე არც ვფიქრობდით. ახლა კი მხოლოდ ამ ისტორიით თუ ვიპოვი ნინიკოს.

**– აგვიწერე ნინო.**

– ნინო არის საშუალო სიმაღლის, მაშინ პუტკუნა იყო (ახლა არ ვიცი); აქვს ცისფერი თვალები და წაბლისფერი თმა. ხასიათით მშვიდი, გაწონასწორებული და დინჯი ადამიანია. წესით, ის თბილისში უნდა ცხოვრობდეს, სავარაუდოდ, ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე (თუ არ ვცდები, ვაზისუბანში ან მერვე პოლკის დასახლებაში). მისი მეუღლეც საშუალო სიმაღლის, ცისფერთვალება კაცია. ისინი ძალიან უხდებოდნენ ერთმანეთს. სამშობიარო სახლში ყველა გვატყობდა, რომ ძალიან დავმეგობრდით და სამზარეულოშიც კი გვერდიგვერდ გვსვამდნენ. დებივით ხართო, – გვეუბნებოდნენ. იმედია, ნინო წაიკითხავს ამ სტატიას და გამოგვეხმაურება. მე მინდა, რომ ჩვენი შვილებიც იცნობდნენ ერთმანეთს. ჩემი შვილის დაბადება ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო და ასეთი დღე არც ერთ ქალს არ ავიწყდება. ძალიან მინდა ნინოს პოვნა და ჩვენი მეგობრობის გაგრძელება.

***თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

**– იცოდა, რომ ღალატობდით და ხმას არ იღებდა?**

– დიახ. პარკში დავუნახივართ ერთად. შეიძლება, ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ მასთან ვიწექი, მაგრამ კაცისთვის იმის დანახვაც საკმარისია, როგორ ეხუტება მისი ცოლი სხვას... ხომ მეთანხმებით?

**– აპირებდით ქმრისთვის სიმართლის თქმას და მის მიტოვებას?**

– არა, ეს არც დამიშვია. ქმარი მიყვარდა, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ. მის მიმართაც გამიჩნდა თბილი გრძნობა და ვნება, მაგრამ, სიყვარული სულ სხვა რამეა. ოჯახის დანგრევა და ჩემი შვილისთვის მამის გვერდით ცხოვრების ბედნიერების წართმევა არც მიფიქრია. როგორც კი ამ ალბათობამ გაიჟღერა, მაშინვე ამეხილა თვალი და უკანაც

> **მღალატობს და, ახლავე გავიქცე, მეც ვუღალატო-მეთქი, ასე ნამდვილად არ ყოფილა**

დავიხიე. სამთვიანი ურთიერთობის შემდეგ, ჩემმა საყვარელმა მითხრა: დროა, შენს ქმარს სიმართლე უთხრა, წამოხვიდე მისგან და სულ ერთად ვიყოთ. მე აღარ მინდა, სიყვარელ ქალს სხვასთან ვიყოფდე. შეხვედრიდან შეხვედრამდე ადგილს ვერ ვპოულობ, ვნერვიულობ და განვიცდი. მინდა, ჩემი მეგობრები გაგაცნო და ყველგან გვერდით მყავდე. შენ და შენი შვილი ჩემთან უნდა გადმოხვიდეთ საცხოვრებლადო. გული კინაღამ გამისკდა. ხომ არ გადაირიე, მე ოჯახის დანგრევას არ ვაპირებ, ამაზე ხომ არც გვილაპარაკია-მეთქი. არ მეგონა, ასე თუ შემიყვარდებოდიო. მაშინ ერთბაშად გავაცნობიერე, რომ სერიოზული პრობლემა შევუქმენი საკუთარ თავს. ქმარშვილიანმა ქალმა, ჩვილის პატრონმა, რომანი გავაბი ჩემზე უმცროს ბიჭთან. ჩემი ოჯახი საფრთხის წინაშე ისე დავაყენე, საერთოდ არ დავფიქრდი, რას ვაკეთებდი. თვალწინ დამიდგა, როგორ ზრუნავდა ქმარი ჩემზე მთელი ორსულობის განმავლობაში; როგორ მივლიდა, როცა ერთხელ ფილტვების ანთებით გავხდი ავად; როგორ უცვლიდა ღამით ბავშვს საფენებს, ჩემთვის რომ გამოძინება ეცლია და ძალიან შემეშინდა. სახლში კი არ წავედი, გავიქეცი. ეს უფრო საკუთარი თავისგან გაქცევას ჰგავდა. რომ მივედი და ქმარი შინ დამხვდა. ისე შემომხედა, მივხვდი, ყველაფერი იცოდა. დავჯექი, ძალა მოვიკრიბე და ყველაფერი მოვუყევი. ისიც ვუთხარი, ის ბიჭი სამუდამოდ მასთან წასვლას რომ მთავაზობს, მაგრამ, მარტო შენ მიყვარხარ და სხვა არავინ მჭირდება-მეთქი. მიყურა, მიყურა და... – ჩემი ბრალიაო, თქვა. მეგონა, მიღრიალებდა, წაიღე შენი ნივთები და წადი სახლიდანო. მაგრამ, ასე არ მოხდა. პირიქით, მაგრად ჩამეხუტა და მთხოვა, მაპატიე, რომ ჩემი უყურადღებობით აქამდე მიგიყვანეო. მისმა ასეთმა საქციელმა უფრო ცუდად გამხადა... გეფიცებით, მერჩივნა, ეჩხუბა, სკანდალი მოეწყო... სინდისი საშინლად დამიმძიმდა. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ორივემ გავიღეთ მსხვერპლი. ეს იყო ძლიერი „შეჯანჯღარება“, რომელიც ჩვენს ურთიერთობას სასიკეთოდ წაადგა. ვნებაც გაგვიახლდა და ერთმანეთის მიმართ ლტოლვაც. აღარ მიკითხავს, რა ხდებოდა მის ცხოვრებაში ამ ხნის განმავლობაში – ვიგრძენი, რომ აღარ მქონდა ამის უფლება. მთავარია, რომ ახლა ერთად ვართ და კარგად ვართ. უბრალოდ, ის, რაც მოხდა, ორივემ უნდა წავშალოთ ჩვენი ცხოვრებიდან. სხვათა შორის, „იმასთან“ ურთიერთობა მაშინვე კი დავამთავრე, მაგრამ, კიდევ დიდხანს მხვდებოდა სახლთან და პარკში, დაბრუნებას მთხოვდა. იძულებული გავხდი, მეთქვა, რომ, თავს თუ არ დამანებებდა, ქმარს ვეტყოდი ყველაფერს. აი, მაშინ კი შემეშვა. მწარე გაკვეთილი მივიღეთ მე და ჩემმა ქმარმა... არადა, შეიძლებოდა ამ ყველაფრის თავიდან აცილება...

**დალი მიქელაძე**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

**იულია ქავთარაძე, რომელსაც ქართველი საზოგადოება პრესისა და ტელევიზიის საშუალებით უკვე საკმაოდ კარგად იცნობს, მესამე სეზონში ქართულ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ იცეკვებს, პარტნიორი ჯერჯერობით გარკვეული არ არის, თუმცა, იულია საქმეს დიდი ენთუზიაზმით ეკიდება და გამარჯვების დიდი იმედი აქვს, რადგან, საკმაოდ სპორტულია და კარგად ცეკვავს. ამჟამად ის თავის 5 წლის ქალიშვილთან – მარგარიტასთან ერთად ბათუმში ისვენებს, თუმცა ახლავს თუ არა მეუღლე – ანდრეი, ქართველ-უკრაინელმა სექსსიმბოლომ ამის გამხელა არ ისურვა.**

# რა სიამოვნებაზე ვერ ამბობს უარს იულია ქავთარაძე და როგორ მოხვდა უკრაინელი სექსსიმბოლო „ცეკვავენ ვარსკვლავებში“



**ვარსკვლავობა რა შუაშია, უბრალოდ, ქალი ვარ და მაქვს ახირებები – ვაძლევ თავს ამის უფლებას. ვარსკვლავები მარტო ცაშია**

**იულია ქავთარაძე**: ყველაფერი ასე დაიწყო: პროექტის პროდიუსერი ნოე სულაბერიძე დამიკავშირდა და შემომთავაზა მონაწილეობის მიღება. ამ გადაცემის შესახებ ჩემი ძმისგან, ბონდოსგან მანამდე უკვე ვიცოდი და დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა, რადგან, ერთდროულად, შემიძლია, პროექტში ვიცეკვო და საქართველოში დიდხანს დავრჩე – უფრო დიდი ხნით, ვიდრე საერთოდ ჩამოვდივარ ხოლმე. სულ ვოცნებობდი, ახალ წელს აქ შევხვედროდი და ახლა ჩემი ოცნება ახდა *(იცინის).* მანამდე ნოე სულაბერიძეს არ ვიცნობდი, შეხება ნამდვილად არ მქონია.

**– უკრაინაშიც არის ანალოგიური პროექტი, მასში მონაწილეობა არ შემოუთავაზებიათ? თქვენ ხომ იქ საკმაოდ ცნობილი შემსრულებელი ხართ**

– როცა უკრაინაში ეს გადაცემა გადიოდა, ძალიან დატვირთული საგასტროლო გრაფიკი მქონდა, ნამდვილი საგიჟეთი და ნამდვილად არ მქონდა იმის დრო, პროექტში მეცეკვა. თუმცა, ბავშვობიდან კარგად ვცეკვავ, მიყვარს და უარს მართლა არ ვიტყოდი მონაწილეობაზე. სანერვიულო არაფერია, სამაგიეროდ, ქართულ პროექტში ვიცეკვებ. ყველაფერს თავისი დრო აქვს!

**– ქართული ენა არ იცით. როგორ გგონიათ, ეს პროექტის მსვლელობისას ხელს არ შეგიშლით?**

– *(ეღიმება)* რატომღაც, დარწმუნებული ვარ, რომ არ შემიშლის. არ ვიცი ქართული ენა, მაგრამ, ვგრძნობ, რასაც ლაპარაკობენ, თითქმის ყველაფერი მესმის. მგონია, რომ ყველაფერი შესანიშნავად იქნება. რა თქმა უნდა, მშობლიური ენის შესწავლას ისედაც ვაპირებ. შარშან კიევში ვცდილობდი, მესწავლა – მას შემდეგ, რაც ბათუმიდან დავბრუნდი, დავდიოდი არაჩვეულებრივ მასწავლებელთან და ადამიანთან – ქალბატონ ხათუნასთან და „დედა ენით“ ვმეცადინეობდით *(იცინის).* მერე, სამწუხაროდ, ახლობლებთან გაემგზავრა და დავრჩი ასე. არა უშავს, ყველაფერი წინაა, მაინც ვისწავლი!

**– საქართველოში, ალბათ, დიდი ხნით მოგიწევთ გადმოსვლა, მეუღლე როგორ შეეგუა ამ ამბავს, არ ეჭვიანობს?**

– მე უკვე გასაგებად ვთქვი, რომ პირადი ცხოვრების დეტალებზე – ანდრეიზე და მარგოზე ჯერჯერობით არ ვსაუბრობ, არ არის ეს საინტერესო! გახარებული ვარ, რომ გადმოსვლა მიწევს საქართველოში, რომელიც ჩემს ზღაპრულ, ბედნიერ ბავშვობასთან არის დაკავშირებული. დიდი იმედი მაქვს, რომ ქართველი მაყურებელი მხარს დამიჭერს, განსაკუთრებით კი – ჩემი მშობლიური ქალაქი ბათუმი. ამას წინათ პლაჟზე ვიწექით მე და მარგო, ვიღაც ბიჭები მოვიდნენ, მიღიმიან და მეკითხებიან: გამარჯობა, თქვენ იულია ქავთარაძე არ ხართო? ტელევიზიიდან გიცნობთ, ძალიან გვიყვარხართ და აუცილებლად გიგულშემატკივრებთო *(იცინის).* მიხარია, ქუჩაში რომ მცნობს ხალხი – ყურადღება და სიყვარული მათგან ძალიან სასიამოვნოა.

**– პროექტის დანარჩენ მონაწილეებს თუ იცნობთ?**

– ზოგიერთის გაცნობა მოვასწარი, მაგრამ, გვარები, სამწუხაროდ, ვერ დავიმახსოვრე.

**– ალბათ, ახლა დიეტაზე ყოფნაც გიწევთ, გიყვართ რომელიმე ქართული კერძი განსაკუთრებით?**

– ვაიმე, ჭამა ძალიან მიყვარს და ჯერჯერობით ამ სიამოვნებაზე თავს უარს ვერ ვეუბნები. განსაკუთრებით კი ხინკალი და ხაჭაპური მიყვარს. ძალიან ვცდილობ, ხაჭაპურზე მაინც ვთქვა უარი, მაგრამ, ხინკალზე – ვერასოდეს! სამაგიეროდ, არ ვჭამ „ფასტ ფუდსა“ და ორგანიზმისთვის მავნე საკვებს – ჩიპსებს, ჰამბურგერებს და ასე შემდეგ. ხინკლის გაკეთება მეც ვცადე, თუმცა, ჯერ ისე არ გამომდის, სხვანაირი მოხვევა უნდა და, ვცდილობ, ვისწავლო. მიყვარს გემრიელად ჭამა, მაგრამ, ახლა ძალიან ვცდილობ, შევზღუდო, რომ ჩემს პარტნიორს არ ჰქონდეს ზედმეტად დიდი დატვირთვა.

**ჭამა ძალიან მიყვარს და ჯერჯერობით ამ სიამოვნებაზე თავს უარს ვერ ვეუბნები, განსაკუთრებით კი ხინკალი და ხაჭაპური მიყვარს. ძალიან ვცდილობ, ხაჭაპურზე მაინც ვთქვა უარი, მაგრამ, ხინკალზე – ვერასოდეს**

**– თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ ყველა სეზონზე აუცილებლად შედგება ქართული ხალხური ცეკვების ტური. როგორ გგონიათ, შეძლებთ ამ სირთულის დაძლევას და რომელი ქართული ცეკვა მოგწონთ ყველაზე მეტად?**

– ეს ყველაფერი ვიცი და ძალიან ვნერვიულობ. დიდი ხანია, ქართული ცეკვის შესრულებაზე ვოცნებობ. ეს ხომ ერის მთელი ისტორიაა – სულიერი მდგომარეობა, გამარჯვება და მარცხი, სიხარული და სევდა... გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომელი ცეკვა მიყვარს ყველაზე მეტად, მაგრამ, სულ ვოცნებობდი მეცეკვა „ქართული“ – საქორწინო ცეკვა, სადაც ასე დახვეწილადაა გამოხატული ქალის გრაციოზულობა და სინაზე, კაცის სიამაყე და სიყვარული. შეყვარებული მამაკაცი იმდენად დიდ პატივისცემას გამოხატავს ქალის მიმართ, რომ მას არც კი ეხება! არაჩვეულებრივად კარგი მანერები აქვს ქართველ კაცს ამ ცეკვაში *(ეღიმება).* გპირდებით, რომ ნამდვილი ფოიერვერკი იქნება, სანახაობრივი, ფერადი შოუ. ვიცი, რომ ამის რეალიზაციისთვის ბევრი მომეთხოვება, მაგრამ, 200 პროცენტით ვეცდები და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ!

**– როგორ დაიგეგმა თქვენი მონაწილეობა ფილმში „რა მოხდა კიევში“?**

– ჩემს ტელეფონზე ერთხელ ზარი გაისმა უცნობი ნომრიდან. ვუპასუხე, წინანდალი გისმენთ-მეთქი, – რატომღაც, გულმა მიგრძნო, რომ ქართველები რეკავდნენ. ქართველ კინემატოგრაფისტებს ხუმრობა ძალიან მოეწონათ და ბევრი იცინეს. მათ შემომთავაზეს ფემინისტის როლი ამ ფილმში. ძალიან ადვილი და სასიამოვნო იყო მათთან მუშაობა – გახსნილი, კეთილი, გულწრფელი ადამიანები არიან. მერე გადაწყდა, რომ ქართული სიმღერიდან რამდენიმე სტროფი უნდა მემღერა – ნამდვილი სულიერი სიამოვნება იყო ჩემთვის.

**– ტექსტი დაიზეპირეთ თუ გესმოდათ, რაზე მღეროდით?**

– რას ჰქვია, დავიზეპირე?! რა თქმა უნდა, მესმოდა... ჩემი როლიც ძალიან მომეწონა, მიყვარს კინო და გარდასახვა, ყველგან ერთნაირი ხომ არ იქნები!

**– ახლა ბათუმში ხართ და მარგარიტასთან ერთად ზღვაზე ისვენებთ...**

– ძალიან მიყვარს ზღვა – ჩემი სტიქიაა, კარგად ვცურავ. მიყვარს დასვენება და გარუჯვა, კიდევ, ჰორიზონტს მიღმა ყურება. ზღვაზე, შემიძლია, განვიტვირთო და არაფერზე ვიფიქრო. მაგრამ, უფრო ის მიხარია, რომ დროს ახლობლებთან ერთად ვატარებ.

**– სირთულეები არ გაშინებთ, როგორც ვხედავ.**

– უამრავი რამ მაშინებს, მაგრამ, რას იზამთ *(იღიმება),* ასეთია ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, კონკურენციის არ მეშინია. მამა სულ მასწავლიდა, რომ ყველანაირ ცხოვრებისეულ სიტუაციაში ადამიანად უნდა დარჩე, თუმცა, ქალი ვარ და თავს უფლებას ვაძლევ ხოლმე, დროდადრო კაპრიზული და ჭირვეული ვიყო, მით უმეტეს, მაშინ, როცა ჩემს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ *(იცინის).*

**– ვარსკვლავებს და, მით უფრო, ქალებს, ხშირად აქვთ ვარსკვლავური ახირებები... ჩვენ, ჟურნალისტები, მას უკვე შევეჩვიეთ.**

– ვარსკვლავობა რა შუაშია, უბრალოდ, ქალი ვარ და მაქვს ახირებები – ვაძლევ თავს ამის უფლებას. ვარსკვლავები მარტო ცაშია.

**ქეთი დიდებულიძე**

# სად მდებარეობდა „სვიმონის სასახლე“, ვინ იყო ხოჯა ბეჟბუდა და რომელი მშენებლობების დროს გამოიყენეს დანგრეული ხოჯავანქის სასაფლაოს საფლავის ქვები

*თანამედროვე თბილისს მეცხრამეტე საუკუნის დასახელებებიდან ძალიან ცოტა შემორჩა. მათი უმეტესობა ისტორიის ნაწილი გახდა და მხოლოდ ძველ წიგნებში ან ისტორიულ წყაროებში გვხვდება. საინტერესო იქნება გავიხსენოთ ის დასახელებები, რომელთაც ხშირად მოიხმარდნენ მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში ერქვა ჩვენი დედაქალაქის ამა თუ იმ უბნებსა თუ ქუჩებს.*

**დაბაღხანა**



მეცხრამეტე საუკუნის თბილისის ბაზარი

შუა საუკუნეების თბილისში დაბალღების (მეტყავეების) საწარმოები განლაგებული იყო წა-



„ზემელი“ საბჭოთა დროს, რეკონსტრუქციამდე

ვკისისწყლის ქვედა დინებაზე, მის შესართავთან – მტკვართან. დღეს წავკისისწყლის ქვედა წელი მილებშია მოქცეული (გორგასლის მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, აბანოების უბანში). დაბაღები აქ ტყავს ალბობდნენ და გამოსაქნელად ამზადებდნენ. ტყავის წარმოების ტრადიცია თბილისში უძველესი დროიდან მოდის. დაბალღების რიგების ადგილმდებარეობის გამო, წავკისისწყლის ქვემო წელსა და მიმდებარე მცირე ტერიტორიას „დაბა(ღ)ხანა“ უწოდეს.



კალოუბნის სამების თანამედროვე ხედი

**ელიას უბანი**

ელია ან ილია ქართულ ღვთაებათა პანთეონში განაგებდა წვიმას, სეტყვას, ჭექა-ქუხილს. პლატონ იოსელიანის ცნობით, ადრე მახათას მთაზე ილია წინასწარმეტყველის სახელზე აშენებული სალოცავი იდგა. იგი თავად შესწრებია ამ ეკლესიის ნაშთებს. მისივე ცნობით, ამ ადგილას 20 ივლისს წმინდა დღესასწაული იმართებოდა ხოლმე. ამ ეკლესიიდან უნდა მოდიოდეს უბნის დასახელება, რომელიც განლაგებულია თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რკინიგზის გადაღმა, კიბალჩიჩის ხევის (დღევანდელი ელენე ახვლედიანის აღმართის) აყოლებით.

**ზემელი**

მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისში მოღვაწეობდა გერმანელ პროვიზორთა დიდი ჯგუფი (შინბერგი, შმიდტი, გეინი, ოტტენი და სხვები). მათ შორის იყო ვინმე ზემელი, რომლესაც აფთიაქი ჰქონდა გახსნილი დღევანდელი რუსთაველის მოედნის ერთ-ერთ კუთხეში. ადგილის სახელწოდებაც აქედან მოდის.

**კალოუბანი**

ასე ეწოდებოდა თბილისის იმ ტერიტორიას, რომელიც ყოფილი პიონერთა სასახლისა და ისტორიის მუზეუმის ირგვლივაა. პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს ლეგენდას, რომლის მიხედვითაც, კალოზე, თემურ-ლენგის შემოსევისას, ბავშვები გაუთელავთ ცხენებით; ზოგიერთის აზრით კი ეს სახელი, ეს სიტყვა „კალაუბნიდან,“ ანუ, „კალას უბნიდან“ არის ნაწარმოები. პლატონ იოსელიანი ამ დასახლებას სხვაგვარად განმარტავს: კალოუბნის ეკლესია უწინ მცხეთაშიც ყოფილა. იქ მოთავსებულ ხატზე გაკეთებული წარწერა მიუთითებს, რომ ეკლესია იმ ადგილზე იდგა, რომელიც მეფის კალოს ეკავა. კალოუბნის სახელწოდება სხვაგანაც ყოფილა. ასე რომ, თბილისის უბნისა და ეკლესიის დასახელება ძველად იმ მიდამოებში განლაგებული კალოებისგან უნდა მოდიოდეს.

**კალოუბნის სამება**

ვახუშტი ბაგრატიონი ამ ეკლესიაზე ასე მიუთითებს: „ქართული ეკლესია კალოუბანი“. პირველად ეკლესია ამ ადგილას 1790 წელს პეტრე აღნიაშვილმა, მეტსახელად „ყარაულმა“ ააგო (იგი ერეკლე მეორის მიერ ღართისკარის დარაჯად იყო დანიშნული და თბილისს დაღესტნელების შემოსევისგან იცავდა). მოგვიანებით 1832 წელს მისმა შვილიშვილმა, მღვდელმა სვიმონ (შიო) აღნიაშვილმა, ნაგებობას დასავლეთით კარიბჭე მიაშენა; 1850 წელს კი, მისივე ნებით, მასზე სამრეკლო დაადგეს. ეკლესია დღეს შემორჩენილია, თუმცა, საგრძნობლად გადაკეთებული სახით. ის გახსნილია ფურცელაძის ქუჩიდან.

**საჰაკაშენი**

ქვედა უბანში, თათრის მოედნის სიახლოვეს, იდგა ნათლისმცემლის სახელობის სომხური ეკლესია, რომელიც აუშენებია აბედინაანთ საჰაკას და აქედან მოდის ეკლესიის სახელწოდებაც. ის აშენდა მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში.

**„სვიმონის სასახლე“**

გადმოცემით, სვიმონს, დაახლოებით ერეკლეს მოედნის ტერიტორიაზე, როცა მან ჯერ კიდევ მეფე როსტომის ზეობის ხანაში დაწყებული სასახლისეული წმიდა გიორგის ეკლესიის მშენებლობა დაამთავრა, აუგია მცირე სასახლე. ეკლესიამ ჩვენამდე საკმაოდ გადაკეთებული სახით მოაღწია. როგორც ჩანს, სასახლე შემდგომში დაუნგრევიათ. თბილისის 1800 წლის გეგმაზე, რომელიც საკმაოდ ზუსტია, ამ სახლის ადგილას მოედანია. ამ ვითარებას ეთანხმება პლატონ იოსელიანის მიერ მოთხრობილი ამბავი იმის შესახებ, რომ 1764 წელს სასახლისეულ ეკლესიას ამ მცირე მოედნის მხრიდან შენობა არ ჰქონია აფარებული და რომ ციხიდან ნასროლი ყუმბარა ეკლესიის სამხრეთ კედელს მოხვედრია. აქ გიორგი მეთორმეტეს ძველ ნასახლარზე თავისი ერთ-ერთი დროებითი ადგილსამყოფელი აუგია, სადაც მეფის გარდაცვალების შემდეგ ერთხანს უცხოვრია მის მეუღლეს დედოფალ მარიამს, სანამ რუსეთში გაემგზავრებოდა. სახლს შემდგომში რუსი ოფიცერი დაჰპატრონებია, ხოლო 1840 წელს ხაზინას ეს ადგილი კერძო პირისთვის, ვინმე სალამბეგოვისთვის მიუყიდია.



„ზემელის“ აფთიაქი მეოცე საუკუნის დასაწყისში



პიონერთა სასახლე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს (ისტორიული კალოუბნის ტერიტორია)



ხედი თათრის მოედანზე (მეცხრამეტე საუკუნე)

**ხოჯავანქი**

ამ სახელწოდებით მოაღწია ავლაბარში ბო-

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ადამიანი ყოველთვის უნდა ისწრაფოდეს უფლისკენ, უნდა ცდილობდეს მასთან მიახლოებას, რადგან, მხოლოდ ამ მხრივ არის შესაძლებელი მისი ჭეშმარიტი გადარჩენა, ხსნა. წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ღმერთი არავის აიძულებს მასთან მიახლებას, თუკი მას ეს არ სურს”. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ცხონება, არა იმიტომ, რომ ღვთის ნებაა უძლური, არამედ, იმიტომ, რომ ჩვენი გადარჩენა დამოკიდებულია არა მხოლოდ უფალზე, არამედ, ჩვენზეც. ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გურამი (გურამიშვილი):**

# რას ვერ ასცდება ადამიანი დედამიწაზე და როგორ ახერხებს ის ძველი ცოდვების დავიწყებას

– ადამიანის გადარჩენისთვის ორი ნებაა აუცილებელი: ერთი – ღვთის, მეორე – საკუთარი. ჩვენ ყოველთვის პირველებმა უნდა გადავდგათ ნაბიჯი ღვთისკენ. საკუთარი კეთილი ნებით ბოროტად არ უნდა ვისარგებლოთ, უფლის ნება კეთილად უნდა აღვასრულოთ და მას შიშით და ძრწოლვით უნდა მივეახლოთ. ყოველთვის უნდა დავაფასოთ ეკლესია, რომელიც ჩვენი დედაც არის და მამაც. მას დიდი პატივი, მოფრთხილება, დაფასება და სიყვარული სჭირდება. როგორც ჭეშმარიტი ღმერთია ერთი, ასევე ერთი და ჭეშმარიტია დედაეკლესია, სადაც ყველაზე დიდ ნუგეშსა და სიმშვიდეს ვპოვებთ. ის ჩვენი სახლი და ნავსაყუდელია. ვინც ეკლესიაში დადის, ჰყავს მოძღვარი, სისტემატურად აბარებს მას აღსარებას და ეზიარება, მან კარგად იცის, რომ ეს არის ჭეშმარიტი და სწორი გზა, რომელიც მას უფალთან მიაახლებს და მის საიდუმლოებასთან, სიღრმეებთან აზიარებს. შესაბამისად, ასეთი ადამიანი სხვა გზების ძიებას აღარ დაიწყებს და მხოლოდ ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ სწავლებასა და ცხოვრებას გაჰყვება.



ყოველთვის უნდა ვფიქრობდეთ საკუთარ ცოდვებზე; არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცოდვითი მიდრეკილება გადადის შთამომავლობით და არა ცოდვა

**– ადამიანებს განსაკუთრებულად უჭირთ ცოდვებისგან განშორება, მუდმივად ერთსა და იმავე ცოდვებში ვარდებიან. რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ იმ ცოდვებს გაშორდნენ, რომელთა ჩადენაც ხშირად უკვე მათი ცხოვრების წესი გახდა?**

– დედამიწაზე ვერავინ ასცდება ცოდვებს, მაგრამ, არ უნდა დაკარგოთ სინანულის უნარი, რამდენჯერაც დაეცემით, იმდენჯერვე უნდა შეძლოთ წამოდგომა და ამ საკითხში უფალს უნდა სთხოვდეთ შემწეობას, დახმარებას – უფალი ყოველთვის გამოგიწვდით ხელს და სინანულის საშუალებას მოგცემთ. ამ დროს აუცილებლად უნდა მიმართოთ დედაეკლესიას, სადაც დიდ ნუგეშსა და სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებთ, ეს კი დაგეხმარებათ იმაში, რომ უკეთ მოემზადოთ ცათა სასუფევლისთვის. ადამიანი რამდენჯერაც შესცოდავს, იმდენჯერ უწვდის ხელს მას მაცხოვარი, იმდენჯერ წამოაყენებს ფეხზე და განწმენდს ცოდვებისგან, რათა მან თავიდან დაიწყოს ცხოვრება; დაივიწყოს, ხაზი გადაუსვას ძველ ცოდვებს და უფლისკენ ისწრაფვოს; ეზიაროს მის სისხლსა და ხორცს და შემუსროს ძველი ადამიანი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არ უნდა სცადოს ცოდვებისგან განშორება. თუ ქრისტიანი გადაწყვეტს უფლისკენ სიარულს, მან უნდა დაივიწყოს ჭორაობა, სხვისი განკითხვა, სიცრუე, ამპარტავნება. უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ცოდვებს უნდა ჩაუღრმავდეს, შეიცნოს ისინი, გააანალიზოს და ერთხელ და სამუდამოდ წაშალოს საკუთარი ცხოვრების წიგნიდან. ეს კი მხოლოდ გულმხურვალე ლოცვით, სინანულით არის შესაძლებელი. რითაც შეიძლება, რომ დააბრკოლოთ ან შეურაცხყოთ მოყვასი, იმას საერთოდ ნუ გააკეთებთ. ხოლო, თუ ის შეურაცხგყოფთ, ეს მიიღეთ არა როგორც შეურაცხყოფა, არამედ, როგორც ღვთისგან თქვენთვის გამზადებული იარაღი, რომლითაც, თუკი ისურვებთ, შეგიძლიათ, მოსპოთ თქვენში არსებული ყოველგვარი უწმინდურება გულისა. არავის არ უნდა ატკინოთ გული და არ მოექცეთ ცუდად. სიკეთე უნდა მიაგოთ მწუხარებას, მრისხანების მაგივრად; რაც მთავარია, ყველანაირად წინ უნდა აღუდგეთ სიფიცხეს და, ის, ღვთის შეწევნით, შესუსტდება. ყოველთვის ეცადეთ, რომ არაფერზე გაბრაზდეთ. არასდროს განსაჯოთ სხვა. დგას ის თუ ეცემა, მას ჰყავს ღმერთი, რომელსაც ძალუძს, შეაჩეროს მისი დაცემა და აღადგინოს ის დაცემის შემდეგაც. ჩვენ, ყველამ, საკუთარ დაცემასა და აღდგენაზე უნდა ვიფიქროთ; ვილვაწოთ იმისთვის, რომ მყარად ვიდგეთ ფეხზე, რადგან, შეიძლება, მეორე წუთს ისე დავეცეთ, ადგომა ვერ მოვახერხოთ. არ უნდა მიაქციოთ ყურადღება იმას, ვინ გაწყენინათ და რისთვის. მხოლოდ ერთი რამ უნდა გახსოვდეთ: თავი ანებეთ ადამიანებთან ურთიერთობისას სიმკაცრეს და ღვთის წინაშე ყოველთვის იყავით, როგორც ბავშვები. მუდამ ღვთის სიყვარულში უნდა იმყოფებოდეთ, სწავლობდეთ მას, სუნთქავდეთ მისით. ხსნა მრავალსიტყვაობაში კი არ არის, რომელსაც ხშირად მივმართავთ, არამედ, საკუთარი თავისადმი სრულ ყურადღებაში. აღშფოთების წუთებში უნდა შეეცადოთ, რომ გაჩუმდეთ და ამ დროს ილოცეთ იესოს ლოცვა.

**მღვდელმონაზონი დოროთე იესოს ლოცვის შესწავლის მსურველებს ურჩევს: „ხმით ლოცვა თავისთავად გადადის გონებით ლოცვაში, ხოლო გონებით ლოცვიდან იწყება გულით ლოცვა“**

**– რატომ აქვს იესოს ლოცვას ასეთი დიდი ძალა?**

– ეს ლოცვა თავად უფლის მიერ არის დადგენილი და გადმოცემული საიდუმლო სერობის შემდეგ, როდესაც დაწესდა უდიდესი ქრისტიანული საიდუმლო – ევქარისტია. წმიდა წერილიდან ბევრი ადგილის მოთხრობაა შესაძლებელი, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რამხელა ძალა აქვს უფლის სახელით ლოცვავედრებას. წმიდა მოციქულები, როგორც „საქმე მოციქულთას“ წიგნიდან და სახარებიდან ჩანს, იესო ქრისტეს სახელით დიდ სასწაულებს აღასრულებდნენ: კურნავდნენ სნეულებს, მკვდრებს აცოცხლებდნენ, ეშმაკებს იმორჩილებდნენ. იესოს ლოცვაში განსწავლის წესს საფუძვლად უნდა ედოს სწორი წარმოდგენა ღმერთზე, იესო ქრისტეს უწმიდეს სახელსა და ღმერთთან ადამიანის ურთიერთობაზე. წმიდა იოანე სინელი გვირჩევს: „გონება ლოცვის სიტყვებში ჩავკეტოთ და, რამდენჯერაც უნდა გაგვექცეს, იმდენჯერ მოვაბრუნოთ. ლოცვის სიტყვები აუჩქარებლად, ოდნავ გაგრძელებულადაც უნდა წარმოითქვას, რომ გონებამ მთლიანად ამ სიტყვებში შეძლოს ჩანთქმა“. მღვდელმონაზონი დოროთე კი იესოს ლოცვის შესწავლის მსურველებს ურჩევს: „ხმით ლოცვა თავისთავად გადადის გონებით ლოცვაში, ხოლო გონებით ლოცვიდან იწყება გულით ლოცვა“. იესოს ლოცვის ხმით წარმოთქმა შეგვეწევა ხორციელ გულისთქმებთან და მრისხანების გულის სიტყვასთან ბრძოლაში.

**– ადამიანებმა იციან: შესცოდავენ, მერე აღსარებას ჩააბარებენ და მიეტევებათ ეს ცოდვები. ამიტომ, შემდეგ იმავეს თავიდან იმეორებენ, რადგან, იმედი აქვთ, რომ უფალი კიდევ მიუტევებს.**

– შეიძლება, ადამიანი სისტემატურად დადიოდეს ეკლესიაში, ეზიარებოდეს, მაგრამ, მაინც დამძიმდეს ცოდვებით, რადგან, ცოდვები და ვნებები ყოველდღიურად უტევენ ადამიანებს. მთავარია, შეგვეძლოს, შეგვწევდეს იმის ძალა, რომ მათ გავუმკლავდეთ და თავიდან ავიცილოთ, თუმცა, დაცემული მდგომარეობა ადამიანს დიდ სულიერ გამოცდილებას სძენს. რაც მთავარია, ვისაც ცხოვრების განმავლობაში ბევრი განსაცდელი გადაუტანია, ცოდვებით დამძიმებულა და მერე გულწრფელად შეუნანია, მან იცის, რომ სწორედ ეკლესია, სინანული გადაარჩენს მას და უდიდეს შვებასა და ნუგეშს მისცემს. ჩვენ გვიჭირს ერთმანეთის პატიება და, წარმოიდგინეთ, რამდენად მოწყალეა უფალი. ის ამქვეყნად მოვიდა როგორც ადამიანი, იტვირთა ჩვენი ცოდვები, ეწამა ჩვენთვის და გაგვათავისუფლა საუკუნო სასჯელისგან. რწმენის სიმტკიცე დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ყველა ცოდვას კი თავისი გადასახადი აქვს. ჩვენ თითოეულ ქმედებაზე ვაგებთ პასუხს, თითოეულ სიტყვასა და ქცევაზე, ამიტომაც მოგვეთხოვება სიფრთხილის გამოჩენა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის და შემდეგ – სხვების მიმართ. ქრისტიანი მიმტევებელი, შემწყნარებელი უნდა იყოს, არ უნდა მრისხანებდეს, არ ამპარტავნებდეს; ყოველთვის სიმშვიდეს უნდა ინარჩუნებდეს და თავმდაბლობას ამჟღავნებდეს. ადამიანი ყოველთვის უნდა ფიქრობდეს საკუთარ ცოდვებზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცოდვითი მიდრეკილება გადადის შთამომავლობით, და არა ცოდვა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ცოდვა უნდა დავინახოთ, საკუთარი ცოდვითი მიდრეკილება და არა – სხვისი.

**ნათია უტიაშვილი**

## მესამე სართულიდან ჩამოვარდნილი ბავშვი

*(დედის მონაყოლი თავისი პატარა ვაჟიშვილის შესახებ)*

„ეს ამბავი ჩემს ვანიას შეემთხვა, როდესაც იგი შვიდი წლისა იყო. ვანია მეტისმეტად ცელქი და დაუდეგარი ბავშვი გახლდათ. ერთხელ მე ის ჩაიზე დასაპატიჟებლად გავგზავნე თავის ნათლიასთან, რომელიც ჩვენგან ოდნავ მოშორებით, ხუთსართულიან სახლში ცხოვრობდა.

ვანიამ ქუჩა გადაჭრა, მესამე სართულზე ავიდა. რადგან პატარა იყო და ზარის ღილაკს ვერ მისწვდა, კიბეების მოაჯირზე შედგა და, ის იყო, ღილაკისთვის თითი უნდა დაეჭირა, რომ ფეხი დაუცდა და კიბეების ჭრილში ჩავარდა.

მოხუცმა შვეიცარმა დაინახა, რომ ბავშვი ტომარასავით დაენარცხა ბეტონის იატაკს. ის კარგად იცნობდა ჩვენს ოჯახს და ამ საშინელების დანახვისას, ჩვენი სახლისკენ გამოქანდა ყვირილით.

ჩვენ ყველანი თავქუდმოგლეჯილები გავექანეთ შემთხვევის ადგილისკენ, მაგრამ, როდესაც ნათლიის სახლს მივუახლოვდით, დავინახეთ, რომ ვანია თვითონ მოდის ჩვენს შესახვედრად.

– ვანია, შვილო, ცოცხალი ხარ? – მივვარდი და გულში ჩავიკარი, – აბა, მითხარი, სად გტკივა?

– არსად არ მტკივა. უბრალოდ, ნათლიასთან ზარს ვრეკავდი და ქვემოთ ჩავვარდი. იატაკზე რომ დავეცი და ვერ ვდგებოდი, უცებ ჩემთან ის მოხუცი მოვიდა, თქვენს საძინებელში, სურათზე რომაა დახატული. ჯერ წამომაჯინა, მერე ფეხზე დამაყენა და მითხრა: „კეთილად გევლოს. გასწი ახლა და აღარ დაეცე ხოლმე!“ მეც წამოვედი, ოღონდ, ის კი აღარ მახსოვს, ნათლიასთან რატომ გამგზავნეთ.

ამის შემდეგ ვანიას მთელი დღე და ღამე ეძინა და სრულიად ჯანმრთელი წამოდგა ფეხზე. რაც შეეხება საძინებელს, ვანიამ რომ ახსენა, იქ ჩვენი წმიდა სერაფიმე საროველის ხატი გვეკიდა...“

## კიბოთი დაავადებულის განკურნება

1927 წელს წმიდა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის ლოცვით განიკურნა ებრაელი მოსე კალმანოვიჩი, რომელმაც შემდეგ ქრისტიანობა მიიღო.

დალაქი მოსე კალმანოვიჩი კუჭ-ნაწლავის კიბოთი იყო დაავადებული. ყოველგვარმა მკურნალობამ უშედეგოდ ჩაიარა. ავადმყოფობა დღითი დღე ძლიერდებოდა, საკვებად მხოლოდ სითხის მიღება თუ შეეძლო. ბოლოს ცოლთან ერთად მოსკოვში ერთ-ერთ ცნობილ კლინიკაში სამკურნალოდ გაემგზავრა. ხანგრძლივი და გულდასმით გამოკვლევის შემდეგ, ექიმმა კალმანოვიჩის ცოლს უთხრა, რომ ავადმყოფი მხოლოდ ორ კვირას თუ იცოცხლებდა და შინ დაბრუნება ურჩია.

კლინიკიდან სახლში დაბრუნებისას, გზად წმიდა პანტელეიმონის სამლოცველოს ჩაუარეს. კალმანოვიჩმა მასში შესვლა მოისურვა. ცოლი დაბეჯითებით უმტკიცებდა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან ეს მათ რელიგიას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ, ავადმყოფმა თავისი გაიტანა და სამლოცველოში შევიდა. იმ დროს იქ საზოგადო ლოცვა აღესრულებოდა. კალმანოვიჩი მივიდა წმიდა პანტელეიმონის ხატთან, დაიჩოქა და ღვთისმსახურების დამთავრებამდე არ ამდგარა. შემდეგ მიეახლა ხატს და ცრემლმორეული ემთხვია. სამლოცველოდან გამოსულმა კი ცოლს უთხრა: „სრულიად ჯანმრთელი ვარ, არაფერი მაწუხებს. ახლავე დავბრუნდეთ კლინიკაში და შევამოწმოთ“.

როდესაც პროფესორმა ავადმყოფის დაბრუნების შესახებ შეიტყო, განაცხადა, რომ მის მიერ დასმული დიაგნოზის გადამოწმება საჭიროდ არ მიაჩნდა, მაგრამ, ავადმყოფის მომაბეზრებელი თხოვნის შემდეგ თავის ერთ-ერთ ასისტენტს დაავალა, გაესინჯა იგი. ასისტენტმა კალმანოვიჩს დაავადების რაიმე ნიშანიც ვერ აღმოუჩინა და ამის შესახებ პროფესორს მოახსენა. პროფესორმა დაეჭვებით გადახედა მას და თქვა: „ან ეს კაცია შეშლილი, ან თქვენ“. მან კვლავ გასინჯა ავადმყოფი, სახეზე გაოცება აღებეჭდა და ასისტენტს უთხრა: „მართლაც, აბსოლუტურად ჯანმრთელია“.

ამ საოცარი განკურნების მიზეზი მხოლოდ კალმანოვიჩმა იცოდა. მშობლიურ სოფელში დაბრუნებული, დაუყოვნებლივ წავიდა ეკლესიაში და მოინათლა. ახლად მონათლულმა მოძღვარს უთხრა, რომ მზად იყო, ქრისტესთვის თავიც გაეწირა.

**წიგნიდან „მართლმადიდებლური სასწაულები მეოცე საუკუნეში“ (პირველი კრებული)**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა**: **მითხრეს, რომ ზიარების წინადღით, საღამოს რვა საათის შემდეგ, აღარ უნდა მივიღოთ საჭმელი. რამდენად მართალია ეს?**

**პასუხი**: ისინი, ვინც ზიარების წინა საღამოს ვახშმისგან თავს იკავებენ, კარგად იქცევიან. საეკლესიო კანონიკით კი ამ დღეს ღამის თორმეტი საათის შემდეგ აღარ შეიძლება არც საზრდოს მიღება და არც წყლის დალევა.

**კითხვა**: **ვართ ხანშიშესული ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმარი. როგორც გვითხრეს, ჩვენი ქორწინება რომ უფლისგან იყოს ნაკურთხი, ჯვარი უნდა დავიწეროთ. გვაინტერესებს, ჯვრისწერა მაინცდამაინც ეკლესიაში უნდა შესრულდეს?**

**პასუხი**: ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმრის კავშირი მართლაც არ არის უფლისგან ნაკურთხი. ჯვრისწერა აუცილებელია, ამასთან, მართლაც მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიაში, რადგან, სჯულის კანონში წერია, რომ ჯვრისწერა მხოლოდ იქ აღესრულება, სადაც არის ტრაპეზი, ანუ, სადაც უფლისთვის წირვა-ლოცვა შეიწირება.

**კითხვა**: **რითია სასარგებლო ნაკურთხი წყლისა და სეფისკვერის მიღება?**

**პასუხი**: როდესაც მორწმუნე ნაკურთხ წყალსა და სეფისკვერს იღებს, მას არ ეკარება ბოროტი სული, ხორცი იკურნება, გონება ნათლდება უფლის სამსახურისთვის და ადამიანი განეწყობა მარხვისთვის, ლოცვისთვის და სხვა კეთილზნეობისთვის.



**კითხვა**: **მოძღვარი ეკლესიაში კვერექსებს კითხულობს. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა არის „კვერექსი“?**

**პასუხი**: კვერექსები – ეს არის მოკლე ლოცვები, რომლებსაც კითხულობს მღვდელი ან დიაკვანი. დიდი კვერექსი იწყება სიტყვებით: „მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ“.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## უფალმა შეისმინა ლოცვა

ერთხელ ღირსმა ეფრემმა მესოპოტამიაში, ქალაქ ედესაში გადაწყვიტა წასვლა და უფალს ასეთი თხოვნით მიმართა: „უფალო იესო ქრისტე, ღირს-მყავ, ვიხილო შენი ქალაქი, ხოლო შესასვლელთან ისეთი კაცი შემახვედრე, რომელიც ჩემი სულის სასარგებლოდ წმიდა წერილის შესახებ გამესაუბრება“.

როდესაც ქალაქს მიუახლოვდა, ჭიშკართან დედაკაცს შეხვდა. მისმა დანახვამ დაამწუხრა და გონებით უფალს მიეახლა: „უფალო, რად არ შეისმინე ვედრება მონისა შენისა, როგორ გამესაუბრება იგი წიგნიერი სიბრძნის შესახებ?“

ქალი კი იდგა და შეჰყურებდა. წმიდა ეფრემმა ჰკითხა: „მითხარი, დედაკაცო, რისთვის დგახარ და კადნიერად შემომცქერი?“

მან უპასუხა: „მე იმიტომ გიყურებ, რომ დედაკაცი მამაკაცისგან შეიქმნა, ხოლო შენ მე კი ნუ მიყურებ, მიწას დახედე, რისგანაც თვითონ ხარ შექმნილი“.

ეს რომ გაიგონა, ეფრემმა ადიდა უფალი, რომელმაც დედაკაცს ასეთი გონიერება მიანიჭა და მიხვდა, რომ უფალმა შეისმინა მისი ლოცვა.

## ადამიანთა საქმენი

ამბა არსენი ყვებოდა:

ერთ ბერს, თავისთვის სენაკში მჯდომარეს, ხმა ჩაესმა – მომყევი და გიჩვენებ კაცთა საქმეებსო. ისიც ადგა და გაჰყვა ხმას. ხმამ მიიყვანა ეთიოპიელთან, რომელიც შეშას ჩეხდა. დაჩეხდა კაიძალს, მერე მის გადაზიდვას დააპირებდა და ვერ ერეოდა გუდურას. იმის მაგივრად, რომ ტვირთი შეემსუბუქებინა, ისევ ჩეხას განაგრძობდა და უფრო უმატებდა ნაპობს. ამას იქმოდა უსასრულოდ დიდხანს.

როდესაც ბერი გასცდა ეთიოპიელს, ხმამ ახლა ჭასთან მდგომი კაცი დაანახვა. მას წყალი ამოჰქონდა ჭიდან და გაბზარულ ჭურჭელში ასხამდა, საიდანაც ისევ ჭაში იქცეოდა.

მერე ხმამ უთხრა: წამოდი, ახლა სხვა რამესაც გაჩვენებო. ბერმა დაინახა ტაძარი და ცხენებზე ამხედრებული ორი ადამიანი. ხელთ გარდიგარდმო მორი ეპყრათ და ტაძარში შესვლას ლამობდნენ, მაგრამ, კარში ვერ ეტეოდნენ, მეწინავის პოზიციას კი არც ერთი არ თმობდა – არც ერთს არ სურდა, უკან გამდგარიყო, ამიტომაც, ორივე კარს მიღმა რჩებოდა.

ხმამ განუმარტა ბერს: ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც თითქოს სიმართლის უღელს ეზიდებიან, მაგრამ, ამას სჩადიან ქედმაღლობით – არ სურთ თავის დამდაბლება, ქრისტესადმი მორჩილების გზით სიარული და ამიტომაც რჩებიან უფლის სამეფოს მიღმა. შეშის მჭრელი ნიშნავს მრავალი ცოდვით დამძიმებულ ადამიანს, რომელიც ცოდვათა მონანიების ნაცვლად, სხვა უსჯულოებას ამატებს ამ ცოდვებს; ხოლო, კაცი, რომელიც ჭიდან წყალს იღებს, ისეთ პიროვნებაზე მიუთითებს, რომელიც, თუმცა კი იქმს სიკეთეს, მაგრამ, მათში ავ საქმეებსაც გამოურევს, რითაც თავის კეთილად ნაღვაწსაც ღუპავს.

## სინდისის დახშობა

კაცს თვალში მტვრის პატარა ნამცეცი რომ ჩაუვარდეს, თვალს აატკივებს. ასევე, სინდისი ამხილებს კაცს პირველ და მცირე შეცოდებისთვისაც კი. მაგრამ, უკეთუ კაცმა განაგრძო შეცოდება და სინდისის მხილება არ შეისმინა, მაშინ ის მიემსგავსება სირაქლემის კუჭს, რომელიც რკინასაც კი ინელებს. ასეთი „დამწვარი სინდისი“ შეიძლება შევადაროთ გაყინულ წყალს, რომელიც წინათ ნემსსაც ვერ იმაგრებდა, ახლა კი იმდენად გასქელდა, რომ რკინით დატვირთულ ურმებს უძლებს. კაცი, რომელიც ხშირად სცოდავს, ბოლოს ცოდვის შეგნებას კარგავს და სინდისი ეხშობა.

# რომელი ტრანსფერი ითვლება ყველაზე ძვირადღირებულად მადრიდული კლუბის ისტორიაში

*მრავალსერიიანი ფილმი, სახელწოდებით „გარეთ ბეილის ტრანსფერი რეალში" დასასრულს მიუახლოვდა და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ „ტოტენჰემის" უელსელ ვინგერში მადრიდულმა გრანდმა 100 მილიონი ევრო გადაიხადა. ეს ტრანსფერი 2013 წლის ზაფხულის ყველაზე ძვირად ღირებულ გარიგებად დასახელდა. მადრიდის „რეალი" ტრანსფერებში დიდძალ თანხებს რომ ხარჯავს, ყველასთვის არის ცნობილი. გთავაზობთ კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერების ტოპათეულს.*

**ქარიმ ბენზემა – 35 მილიონი ევრო 2009 წელს „ლიონიდან"**

საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი „რეალმა" 2009 წელს შეიძინა. იმ წელს მადრიდელები ახალი გუნდის მშენებლობას იწყებდნენ და




ბენზემა ახალი ფორმაციის „რეალის" დამრტყმელი ძალა უნდა გამხდარიყო. ქარიმი შედეგიანობით გამოირჩევა, იგი ხშირად ხვდება ძირითად შემადგენლობაში და, ახალი მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის ნდობითაც სარგებლობს, თუმცა, ამის მიუხედავად, არ წყდება საუბრები გუნდიდან მის შესაძლო წასვლაზე. წელს ბენზემას ყიდვის ორი რეალური ფავორიტი იყო გამოკვეთილი – „არსენალი" და „იუვენტუსი", თუმცა მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა და ქარიმი გუნდში რჩება.

**ნიკოლა ანელკა – 35 მილიონი ევრო 1999 წელს „არსენალიდან"**

ნიკოლა ანელკა „რეალში" გადასვლის მომენტში ევროპის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლებოდა. „რეალში" მისი გადასვლა ვისენტე დელ ბოსკეს პერიოდში მოხდა, როდესაც „რეალი" ნელ-ნელა ყალიბდებოდა მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებისგან შემდგარ ანსამბლად.



ანელკამ დიდი წვლილი შეიტანა „რეალის" ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებაში 2000 წელს, მაგრამ, გუნდის ლიდერად ვერ იქცა. ანელკამ მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა და „პარი სენ-ჟერმენში" გადავიდა.

**ჩაბი ალონსო – 35,4 მილიონი ევრო 2009 წელს „ლივერპულიდან"**

მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი,




ჩაბი ალონსო, ესპანეთის ნაკრებისა და „რეალის" ნახევარდაცვის ლიდერია. „ლივერპულში" გატარებული ხუთი წლის შემდეგ, იგი მანუელ პელეგრინის პერიოდში შეიძინა „რეალმა" და ლივერპულელებს საკმაოდ სოლიდური თანხა გადაუხადა. ამბობენ, რომ ალონსოს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა „ლივერპულის" მაშინდელ მწვრთნელთან, რაფაელ ბენიტესთან და ამან დააჩქარა მისი ტრანსფერი მადრიდელთა სუპერკლუბში, რომლის ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელადაც ითვლება ამჟამად.

**არიენ რობენი – 36 მილიონი ევრო 2007 წელს „ჩელსიდან"**

ჰოლანდიელი შემტევი, რომელიც ხშირი ტრავმებით გამოირჩევა, ბერნდ შუსტერის მწვრთნელობის პერიოდში მოვიდა.




ორი სეზონის განმავლობაში მან მხოლოდ 50-მდე მატჩში ითამაშა და 11 ბურთი გაიტანა. აბრამოვიჩის „ჩელსიდან" დიდი ზარ-ზეიმით გადმოსული რობენი ვერ იქცა მადრიდის გმირად და ორი სეზონის შემდეგ იგი მიუნჰენის „ბაიერნს" მიჰყიდეს, სადაც მან ფრანკ რიბერისთან ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო შეტევის ტანდემი შექმნა.

**დევიდ ბექჰემი – 37,5 მილიონი ევრო 2003 წელს „მანჩესტერიდან"**

ლეგენდარული „გალაქტიკოსის" ერთ-ერთი ბოლო შენაძენი ინგლისელი დევიდ ბექჰემი იყო, რომელიც ალექს ფერგიუსონთან კონფლიქტის გამო წამოვიდა „მანჩესტერ იუნაიტედიდან". ბე-




ქჰემმა ოთხი წელი გაატარა „რეალში" და 2007 წელს დიდი წვლილი შეიტანა მის გაჩემპიონებაში, მიუხედავად იმისა, რომ ფაბიო კაპელო არ სწყალობდა ინგლისელ ნახევარმცველს და ძირითადად შეცვლებზე ათამაშებდა. სწორედ „რეალიდან" წავიდა ბექჰემი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც წარმატებულად იასპარეზა და ევროპაში კარიერის დასასრულებლად დაბრუნდა „პარი სენ-ჟერმენში" 2013 წლის ზამთარში.

**რონალდო – 45 მილიონი ევრო 2002 წელს „ინტერიდან"**

თითქმის ორწლიანი ტრავმიანობის შემდეგ, დიდ ფეხბურთში დაბრუნებულმა რონალდომ საუცხოოდ ჩაატარა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, მოიპოვა მუნდიალის გამარჯვებულის ტიტული და მადრიდული გრანდის ყურადღების ცენტრშიც აღმოჩნდა. ფლორენტინო პერესმა 45 მილიონი ევრო გადაუხადა მასიმო მორატის და „კიჟა" თავისთან გადაიყვანა, სადაც ზიდანთან, რაულთან, ფიგუსთან, რობერტო კარლოსთან და სხვებთან ერთად, „გალაქტიკოსად" წოდებული ლეგენდარული „რეალი" შეიქმნა. რონალდოს კარიერამ დაღმასვლა სწორედ „რეალიდან" წამოსვლის შემდეგ დაიწყო.

**ლუიშ ფიგუ – 60 მილიონი ევრო 2000 წელს „ბარსელონიდან"**

2000-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული სატრანსფერო სკანდალი ლუიშ ფიგუს „ბარსელონიდან" მოსისხლე მტერთან – „რეალში" გადასვლას მოჰყვა. ფლორენტინო პერესის საარჩევნო დაპირება სწორედ ფიგუს გადაბირება იყო და, როგორც კი პერესი პრეზიდენტად აირჩიეს, მან შეასრულა დანაპირები – იმ პერიოდის ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერი გაჩარხა.




ფიგუს გადასვლა „რეალში" შოკის მომგვრელი იყო კატალონიელი გულშემატკივრებისთვის. ტრანსფერიდან „რეალის" პირველი სტუმრობის დროს „კამპ ნოუზე," „მოღალატე" ფიგუს ღორის თავებს უყრიდნენ ტრიბუნებიდან.

**კაკა – 65 მილიონი ევრო 2009 წელს „მილანიდან"**

„რეალის" არსებობის ისტორიაში ყველაზე უიღბლო ტრანსფერი. კაკა იმ დროისთვის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი და „მილანის" ლიდერი იყო. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ მადრიდში, თუმცა, ბრაზილიელმა იმის ნახევრის ჩვენებაც კი ვერ მოახერხა, რასაც „მილანში" აჩვენებდა. კაკამ ვერც ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და ვერც ლიდერული თვისებები გამოავლინა. იგი თავისი თანაკლუბელების ჩრდილქვეშ მოექცა და, სავარაუდოდ, შესაძლოა, ამ მასალის გამოსვლის მომენტში, ის უკვე სხვა კლუბის წევრიც კი გახდა. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კაკაზე პრეტენზიას „მილანი" და რამდენიმე ინგლისური კლუბი აცხადებდა.

**ზინედინ ზიდანი – 74,5 მილიონი ევრო 2001 წელს „იუვენტუსიდან"**

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის, ზინედინ ზიდანის გადმოსვლა „რეალში," ფიგუს ტრანსფერის შემდეგ, „რეალის" მეორე დიდი შენაძენი იყო.




ფლორენტინო პერესი ახალი გუნდის მშენებლობას იწყებდა და ზიდანი გუნდში „ხერხემლის" ფუნქციის შესასრულებლად მოიწვიეს. პერესს ერთხელაც არ უნანია ფრანგ ნახევარმცველში გადახდილი თანხა. ცნობისთვის, ჯერჯერობით უკანასკნელი გამარჯვება ჩემპიონთა ლიგაში, რომელიც 2002 წლით თარიღდება, სწორედ ზიდანის ჯადოსნურმა გოლმა მოუპოვა „რეალს".

**კრიშტიანუ რონალდუ – 94 მილიონი ევრო 2009 წელს „მანჩესტერიდან"**

კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერი „რეალში" მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ გარიგებად ითვლება. „რეალის" უკანასკნელი წარმატებები სწორედ პორტუგალიელის სახელს უკავშირდება; ის არის საუკეთესო მეგოლე და ყველაზე სახიფათო მოთამაშე. ამბობენ, რომ კონტრაქტის დასრულების შემდეგ რონალდუ „მანჩესტერში" დაბრუნდება, თუმცა, მანამდე მისი მთავარი მიზანი „რეალთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში წარმატების მიღწევაა.

## ჯოლეონ ლესკოტის ტანსაცმლის ხაზი

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის" მცველმა, ჯოლეონ ლესკოტმა, ტანსაცმლის ბიზნესში ჩართვა გადაწყვიტა და მეგობართან ერთად ბრენდი „ლესკოტ-სტიუარტი" დააფუძნა, რომლის დირექტორად საკუთარი თავი დანიშნა. კომპანიის პირველი ხაზის ჩვენება მანჩესტერში გაიმართა და მოწვეულ სტუმრებს შორის „სიტის" ფეხბურთელები ჭარბობდნენ, რომელთა შორის ფოტოგრაფების წინაშე პოზირებით კოტდივუარელი იაია ტურე და არგენტინელი სერხიო აგუერო გამოირჩეოდნენ. მათი თქმით, ლესკოტის ტანსაცმელი გემოვნებიანი და მოდურია.

## შეიკის მორიგი ფოტოსესია

ცნობილმა რუსმა მოდელმა ირინა შეიკმა ჟურნალ „ალურა რაშასთვის" სექსუალურ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. მადრიდის „რეალის" ვარსკვლავის 27 წლის ლამაზმანმა საცოლემ ჟურნალის სექტემბრის ნომრისთვის „ოსკარ დე ლა რენტას", „დსქუარედისა" და „კაროლინა ერერას" წითელი ფერის გულახდილი სამოსით იპოზიორა. გადასაღებ მოედანზე შეიკის კომპანიონები იყვნენ ტყუპი ძმები – ჯორდან და ზაკ სტენმარკები – ახალი სახეები ფეშენ-ინდუსტრიაში. ფოტოსესიის ავტორი ცნობილი იტალიელი ფოტოგრაფი ჯანპაოლო სგურია, რომელსაც გულახდილ სესიებში არაერთხელ ჰყავს გადაღებული ირინა შეიკი.



## „ბარსელონა" – „ყატარ ეირვეისის" ახალი სახე

ესპანურმა „ბარსელონამ" ყატარის ავიახაზების სარეკლამო რგოლში მიიღო მონაწილეობა. სარეკლამო რგოლის სცენარის მიხედვით, ჟერარ პიკემ – მებაჟის, ხავიერ მასკერანომ – ჩაძინებული მგზავრის, ნეიმარმა – ოხუნჯი ტურისტის, ანდრეს ინიესტამ და სერხიო ბუსკეტსმა – მღებავების, ლიონელ მესიმ – ცეკვის მასწავლებლის, ხოლო კარლეს პუიოლმა – უბრალო ფეხით მოსიარულის როლები შეასრულეს. „ყატარ ეირვეისი" კატალონიური კლუბის სპონსორია და მოთამაშეების მონაწილეობა ვიდეორგოლში ამით იყო განპირობებული. საინტერესოა, რომ რგოლში ტაქსის მძღოლის როლი ყოფილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა გარი ლინეკერმა შეასრულა, რომელიც „ბარსელონას" ღირსებას 1986-1989 წლებში იცავდა.




## ვანესა მეი 2014 წლის ოლიმპიადისთვის ემზადება

ცნობილი მევიოლინე ვანესა მეი 2014 წელს სოჭის ოლიმპიადაში აპირებს მონაწილეობის მიღებას და, თავისი ისტორიული სამშობლოს, ტაილანდის სახელით, გიგანტურ სლალომში შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობის მიღებასაც გეგმავს. მეი ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ეტაპებზე აპირებს გამოსვლას. ცნობილია, რომ სპორტის ამ სახეობით, კერძოდ, სნოუბორდით, ვანესა მეი 4 წლის ასაკიდან არის გატაცებული, თუმცა პირველ ადგილზე მისთვის მუდამ იყო მუსიკა. სწორედ ამის გამო, მან გვიან გადაწყვიტა, სპორტს გაჰყოლოდა.

## რობინ ვან პერსის ახალი ბუცები

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა რობინ ვან პერსიმ საკუთარი დიზაინით წარმოებული ბუცების პრეზენტაცია მოახდინა. „ადიდასის" ახალ ბუცებში ჭარბობს წითელი და ნარინჯისფერი, რაც ვან პერსის საკლუბო და სანაკრებო წარმომადგენლობაზე მეტყველებს. ახალი ბუცები არამარტო დიზაინით არის საინტერესო, ბუცებში ჩამონტაჟებულია ელექტრომოწყობილობები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რა სიჩქარით დარბის ფეხბურთელი და რა მანძილს ფარავს იგი ერთი მატჩის დროს. პირველად საკუთარი დიზაინის ბუცები ვან პერსიმ „ჩელსისთან" მატჩში მოირგო და, იმის მიუხედავად, რომ გოლის გატანა ვერ მოახერხა, „ტვიტერში" დაწერა, რომ ახალი სპორტული ფეხსაცმლით კმაყოფილია.

## ყველაზე ახალგაზრდა პილოტი „ფორმულა 1-ში"

რუსი ავტომრბოლელი სერგეი სიროტკინი „ფორმულა 1-ის" ყველაზე ახალგაზრდა პილოტი გახდა. 17 წლის სიროტკინმა კონტრაქტი გააფორმა „ზაუბერთან" და მომავალი სეზონიდან სპორტული ბოლიდის საჭეს მიუჯდება. სიროტკინი ორი დღე იმყოფებოდა „ზაუბერის" შტაბ-ბინაში და კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ბოლიდის საჭეს პირველად სოჭში, სატესტო რბოლაზე მიუჯდება. ცნობისთვის, „ზაუბერის" ძირითადი პილოტები მიმდინარე სეზონში გერმანელი ნიკ ჰიულკენბერგი და მექსიკელი ესტებან გუტიერესი არიან.



## დოპინგის მასობრივი მიღება 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე

მსოფლიო ანტისადოპინგო ასოციაციამ გამოაქვეყნა ანონიმური გამოკითხვის შედეგები, რომელსაც მძლეოსნობაში 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ატარებდა. სულ გამოიკითხა 2 000-მდე სპორტსმენი და, აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე მძლეოსნების 29 პროცენტს ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი წლით ადრე მოხმარებული ჰქონდა აკრძალული პრეპარატები; იგივე განმეორდა 2013 წლის მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მოსკოვშიც. უახლოეს მომავალში ასოციაცია გამოაქვეყნებს შედეგებს, რომლებიც, წინასწარი ცნობით, არაერთ სკანდალურ ფაქტს გაახმაურებენ.

## პისტორიუსს სამუდამო სასჯელი ემუქრება

სამხრეთაფრიკელ მორბენალს, ოსარ პისტორიუსს, ოფიციალურად წარედგინა ბრალი მეგობარი ქალის, რევა სტენკამპის მკვლელობაში და, ასევე, საბრძოლო მასალის უკანონო შენახვაში. გამოძიების თანახმად, პისტორიუსმა ოთხჯერ გაისროლა საპირფარეშოს კარის მიმართულებით, სადაც სტენკამპი იმყოფებოდა. ახალგაზრდა ქალი ადგილზევე გარდაიცვალა, პისტორიუსი აცხადებდა, რომ არ იცოდა, ვინ იმყოფებოდა საპირფარეშოში და ამის გამო გახსნა ცეცხლი. მოგვიანებით სამართალდამცველებმა სპორტსმენის სახლში 38 არადეკლარირებული ვაზნა ამოიღო. პისტორიუსს 25 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე სასჯელი ემუქრება. საქმის საბოლოო განხილვა 2014 წლის მარტში დაიწყება.



გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## სიცხეში ხშირი სექსუალური ურთიერთობა გულ-სისხლძარღვთა სისტემას ამაგრებს

ცხელ სეზონზე ორგანიზმს თავისი ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა შეუძლია, ამიტომ, საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა წელიწადის ამ პერიოდში უნდა გააძლიეროთ, კერძოდ:

* ხშირად იარეთ ფეხშიშველმა ბალახზე, ზღვის ქვიშიან თუ ქვიან სანაპიროზე. ტერფზე თავმოყრილია ადამიანის ყველა ორგანოს საპროექციო წერტილები. ქუსლის მიწასთან შეხებისას მასზე არსებული მრავალრიცხოვანი რეცეპტორი ღიზიანდება და ორგანიზმის გარკვეულ წერტილებში რეფლექტორულ რეაქციებს რთავს, უფრო მეტად კი – ცხვირ-ხახისა და ზედა სასუნთქი გზების მიდამოში. ასე რომ, ვინც ზაფხულის პერიოდში ხშირად ივლის ფეხშიშველი, ზამთარში უკეთ იქნება დაცული ვირუსული დაავადებებისგან.

* ეცადეთ, ველოსიპედით სეირნობით გაავარჯიშოთ გული და სისხლძარღვები. ჩაატარეს ექსპერიმენტი, რის შედეგადაც გაირკვა, რომ იმ ადამიანების გულ-სისხლძარღვთა სისტემა, რომლებიც წელიწადის თბილ პერიოდში ყოველდღიურად სეირნობენ ველოსიპედით, უფრო ეფექტურად ფუნქციონირებდა და ინფარქტით გარდაცვალების რისკი მათში რამდენჯერმე ნაკლები იყო.

* თუ გსურთ, წონაში დაიკლოთ 5-6 კილოგრამი მაინც, უარი თქვით მზისგან დამცავ მუქ სათვალეზე. მეცნიერები მსუქან ადამიანებს ურჩევენ, რომ სამყაროს შეუიარაღებელი თვალით უყურონ. ისინი ამტკიცებენ, რომ სუფთა ჰაერზე ჩატარებული სეზონური ფოტოთერაპიის დროს, იკარგება დაახლოებით იმდენივე კალორია, რამდენიც სატრენაჟორო დარბაზში ერთი საათის განმავლობაში აქტიური ვარჯიშისას. ზაფხულში მოქმედებს ბევრი ისეთი ფაქტორი, რაც ხელს უწყობს წონაში დაკლებას, კერძოდ, ორგანიზმში აქტიურდება ნივთიერებათა ცვლის პროცესი – ცხელ დღეებში ცხიმები უფრო სწრაფად იწვება, შემცირებულია კუჭის წვენის გამოყოფა, რაც, შესაბამისად, დამთრგუნველად მოქმედებს მადაზე.

* ყოველდღიურად მიირთვით დიდი რაოდენობით ხილი, განსაკუთრებით – კენკროვნები, რომლებსაც აქვს უნარი, ბიოლოგიური დრო უკან „შეაბრუნოს". მათ შემადგენლობაში შემავალი ანტიოქსიდანტები, იცავს რა კანის უჯრედებს მავნე რადიკალების გავლენისგან, შესაბამისად, აფერხებს სიბერის პროცესს და იმის საშუალებას იძლევა, ორი-სამი თვის განმავლობაში მათი სისტემატური მიღებით, სამი-ოთხი წლით მაინც გაახალგაზრდავდეთ.

* ზღვის მიკროკრისტალებს, რომლებიც ლაგდება კანის ზედაპირულ ფენებში, აქვს გამაჯანსაღებელი ეფექტი, რომელიც ზღვაზე დასვენების შემდეგ ორი-სამი თვის განმავლობაშიც კი გრძელდება. ვისაც არ აქვს საშუალება, ზღვაზე დასასვენებლად წავიდეს, გული ნუ დაგწყდებათ – შეგიძლიათ, ეს პრობლემა სახლშიც მოაგვაროთ: მიიღეთ 300 გრამი ზღვის მარილისა და 2 სადილის კოვზი წიწვოვანი ექსტრაქტის აბაზანები, დღეში 15 წუთის განმავლობაში.

* ცხელ ამინდში ადამიანის ორგანიზმი დღეში 2-3 ლიტრ სითხეს საჭიროებს. შემდგომში ეს სითხე გამოიყოფა ოფლთან ერთად, რომელიც ორგანიზმიდან გამოდევნის უვარგის, ნარჩენ პროდუქტებს. ამას გარდა, დიდი რაოდენობით სითხის მიღება ასტიმულირებს განსაკუთრებულ ცილას, ეგრეთ წოდებული ეპიდერმული ზრდის ფაქტორს. ეს განსაკუთრებული ცილა, თავის მხრივ, აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას და აფერხებს მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარებას.

* ზაფხულში ენდოკრინული სისტემა განსაკუთრებით აქტიურად გამოიმუშავებს სასქესო ჰორმონს, რომელიც აძლიერებს სექსუალურ აქტივობას. ხშირი სექსუალური ურთიერთობა კი ამაგრებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას, აძლიერებს იმუნიტეტს და წვავს კალორიებს.

## მწვანე ჩაის ანტისიმსივნური თვისებები გააჩნია

ანტისიმსივნური ეფექტისთვის ყოველდღიურად სვით მწვანე ჩაი, რადგან მას უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვს. ის ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა სისტემაზე ზემოქმედებს, კერძოდ:

* საგრძნობლად ამცირებს მავნე ქოლესტერინის შეწოვას;

* ამაგრებს სისხლძარღვებს, ასუსტებს სახსრებისა და მყესების ტკივილს;

* ამცირებს გულის შეტევის ალბათობას;

* ელასტიკურობას ჰმატებს არტერიებს და წმენდს ქოლესტერინული, ეგრეთ წოდებული „ფოლაქებისგან;"

* ხელს უშლის სიმსივნური უჯრედების წარმოქმნას; აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხსნის დაღლილობას, ამაღლებს შრომის უნარს და ორგანიზმს ახალი სასიცოცხლო ძალებით ავსებს;

* საგრძნობლად ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას;

* არის ორგანიზმის სითხით მომარაგების საუკეთესო საშუალება. კლავს წყურვილს და, ამავდროულად, ქსოვილებს საჭირო თხევად გარემოსაც უნარჩუნებს.

მწვანე ჩაი შეიცავს კალციუმს, მაგნიუმს, მანგანუმს, ფოსფორსა და ფტორს. მის შემადგენლობაში, ასევე შედის ტანინები, რომლებიც კბილის მინანქარს მჟავების დამშლელი ზემოქმედებისგან იცავს და ამაგრებს ღრძილებს.

მწვანე ჩაის ყველაზე მნიშვნელოვანი მცენარეული თვისება კი ის არის, რომ მას შეუძლია, ნიადაგიდან ამოიწოვოს და შემდეგ თავად მოახდინოს ისეთ იშვიათ და სასარგებლო ნივთიერებათა სინთეზი, როგორებიცაა: ეთერზეთები, ალკალოიდები, ამინომჟავები და ვიტამინები.

მწვანე ჩაის სმა აუცილებელია ხანში შესული ადამიანებისთვის, რადგან ის ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, რითაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკას უწყობს ხელს.

გაციებისა და გრიპის საწინააღმდეგოდ, ქოლესტერინის დონის სტაბილიზაციის, თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისა და ანტისიმსივნური ეფექტისთვის, დალიეთ დღეში 2-3 ჭიქა მწვანე ჩაი.

## რამდენი საათის ძილია საჭირო ადამიანისთვის დღე-ღამეში

ზოგს მიაჩნია, რომ, რაც მეტხანს სძინავს, მით კარგად გამოიყურება და ენერგიულია მთელი დღის განმავლობაში; ბევრიც ამტკიცებს, რომ შუადღით წაძინება ძალებს ჰმატებს ადამიანს. რეალურად კი ეს ასე სულაც არ არის, ანუ, რაც უფრო მეტხანს გძინავს, მით უკეთ გამოიყურები – ტყუილია. ორგანიზმმა იმდენ ხანს უნდა დაისვენოს, რამდენიც მას სჭირდება. საწოლში გატარებული ზედმეტი საათები გვართმევს არა მარტო ძვირფას დროს, არამედ, ცუდად აისახება ჩვენს გარეგნობაზეც. ამ დროს სახე უსიცოცხლო ელფერს იძენს, ქუთუთოები შეშუპებულია, კანი – გაუფერულებული.

გგონიათ, რომ შუადღისას ერთი საათი წაძინება შემდგომში ენერგიით აგავსებთ?! სინამდვილეში ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის ინდივიდუალურ ბიორიტმზე. ბევრი ჩივის, რომ, რაც უნდა ადრე დაწვეს დასაძინებლად, დილით მაინც უჭირს ადგომა. თუ ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებით, უმჯობესია, გვიან დაწვეთ და, სულაც არ არის აუცილებელი, შუადღემდე იძინოთ ან შუადღით „წაუძინოთ".

ვინც ადრე დგება, ყოჩაღია – ეს არ არის მართალი. ალიონზე წამოხტომა მავნებელია, რადგან, ეს არღვევს ფიზიოლოგიურ რიტმს. მხნედ რომ იგრძნოთ თავი, დილის 8 საათზე ადრე არ უნდა ადგეთ.

ერთი უძილო ღამეც კი მავნებელია ჯან-

მრთელობისთვის – სინამდვილეში, უძილო ღამე აბსოლუტურად უვნებელია. არც ერთმა მეცნიერულმა გამოკვლევამ არ უჩვენა რაიმე გადახრა იმ ადამიანის ორგანიზმში, რომელმაც უძილო ღამე გაატარა. მთავარია, ქრონიკული გამოუძინებლობა არ დაგჩემდეთ.

### ყურძენი აქტიურად ებრძვის ორგანიზმის დაბერების პროცესს

თავისუფალი რადიკალები უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ კანის, არამედ, ზოგადად, ორგანიზმის უჯრედებზე. კვლევების შედეგად, სპეციალისტებმა მავნე რადიკალებთან ბრძოლის საკმაოდ ეფექტური ხერხები შეიმუშავეს. კერძოდ, მათ მიაგნეს ეგრეთ წოდებულ ანტიოქსიდანტებს, ანუ, განსაკუთრებულ ნივთიერებებს, რომლებიც თავისუფალ რადიკალებს ანადგურებენ და კანს დაბერებისგან იცავენ. ანტიოქსიდანტები კანის ღრმა შრეებში აღწევენ, იცავენ მათ გარემოს მავნე ფაქტორთა ზემოქმედებისგან, ჯანმრთელობას უნარჩუნებენ და აფერხებენ დაბერების პროცესს.

ყურძნის წიპწები, რომლის შემცველი კომპონენტი უხვად შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტებს – პოლიფენოლებს, ებრძვის დაბერების პროცესს. ეს ნივთიერება ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას; დაზიანებისგან იცავს კოლაგენურ და ელასტიკურ ბოჭკოებს, რომლებიც კანს ელასტიკურობასა და დრეკადობას ანიჭებს; ხელს უშლის კანის ქსოვილთა რღვევას და აფერხებს მათ ასაკობრივ ცვლილებებს.

ხილში შემავალი ბუნებრივი ალფა-ჰიდროქსიდული მჟავები კანისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა. მათი ზემოქმედებით კანის ზედაპირული შრის მკვდარი უჯრედები უფრო აქტიურად ჩამოიფცქვნება, რისი წყალობითაც კანი უკეთ ინარჩუნებს სინორჩესა და სიჯანსაღეს. ალფა-ჰიდროქსიდული მჟავები ააქტიურებს კოლაგენისა და ჰიალურონის მჟავის სინთეზს, მათი წყალობით კი ორგანიზმი ტენიანობას ინარჩუნებს.

C ვიტამინი ყველაზე ძლიერი ბუნებრივი ანტიოქსიდანტი და თავისუფალ რადიკალებთან ბრძოლის უნიკალური საშუალებაა. ასკორბინმჟავას გარეშე ორგანიზმი ვერ გამოიმუშავებს ცილა კოლაგენს.

კანის ტონუსის შესანარჩუნებლად აუცილებელი შემაერთებელი ქსოვილების მუშა მდგომარეობის უზრუნველყოფაც სწორედ ამ ნივთიერებაზეა დამოკიდებული. C ვიტამინი, ასევე, ორგანიზმს მზის ულტრაიისფერი სხივების ნეგატიური ზემოქმედებისგანაც იცავს.

მწვანე ჩაის ფოთლები, ყურძნის წიპწების მსგავსად, მდიდარია პოლიფენოლით, რომელიც კანის დაბერებას ანელებს და აქტიურად ებრძვის თავისუფალ რადიკალებს. ანტიოქსიდანტური თვისებებით მწვანე ჩაი C ვიტამინის სერიოზული კონკურენტია. მისი გავლენით ძლიერდება ორგანიზმის დამცავი მექანიზმები.

კანის დაბერებას ხიზილალაც აფერხებს. მისი ამინომჟავური შემადგენლობა მეტად უახლოვდება ადამიანის კანის უჯრედთა ქიმიურ შემადგენლობას. ხიზილალა ყველაზე უკეთ ააქტიურებს და აღადგენს უჯრედთა ფუნქციას. ის მდიდარია იოდითა და თუთიით, რომლებიც შემაერთებელი ქსოვილის სწრაფ ზრდას უზრუნველყოფს.

E ვიტამინი ადვილად აღწევს კანის ღრმა შრეებში, ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას, აჯანსაღებს უჯრედებსა და ქსოვილებს, იცავს კანს გარემოს მავნე ზემოქმედებისგან და აფერხებს ორგანიზმიდან წყლის დაკარგვას, რითაც ნაოჭების წარმოქმნას უშლის ხელს.

ზღვის პროდუქტთა და წყალმცენარეთა ექსტრაქტები განსაკუთრებით სასარგებლოა და ეფექტური საკვები ნივთიერებებით კანის გაჯერების თვალსაზრისით. ამ ბიოექსტრაქტებს, რომლებიც ვიტამინების, მინერალებისა და ცილების უნივერსალური კომბინაციაა, უჯრედები ადვილად ითვისებს. მათი წყალობით კანი ინარჩუნებს ტენიანობას, ბუნებრივ დამცავ მექანიზმებს და ჯანსაღად გამოიყურება დიდი ხნის განმავლობაში.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

## ექიმის რჩევები

**კითხვა: რამ შეიძლება გამოიწვიოს პანკრეასის გადიდება?**

**პასუხი**: პანკრეასის გადიდება შეიძლება აღინიშნებოდეს მწვავე ან ქრონიკული პანკრეატიტის, მუკოვისციდოზის, კუჭუკანა ჯირკვლის განვითარების ანომალიის, სიმსივნისა და სხვა დაავადებების დროს.

**კითხვა: აქვს თუ არა მნიშვნელობა, როდის ვაბანავებთ 5-7 თვის ბავშვს – ჭამის წინ თუ შემდეგ?**

**პასუხი**: დაბანა ნებისმიერ დროს შეიძლება, მაგრამ, უმჯობესია, საღამოთი ბოლო კვების წინ. ისეთი დრო უნდა შეურჩიოთ, რომ არც ახალი ნაჭამი იყოს და არც მშიერი.

**კითხვა: ორი კვირაა, გავიკეთე გლანდების ოპერაცია, გულის არეში ტკივილები კი მაინც მაქვს, ჯერჯერობით შედეგს ვერ ვგრძნობ.**

**პასუხი**: ოპერაციის შემდგომ საშუალოდ 4–5 კვირა მაინც უნდა გავიდეს, რათა ამ მხრივ შვება იგრძნოთ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა პინცეტით ძუძუსთავიდან (ყავისფერი ადგილიდან) ბეწვის ამოღება?**

**პასუხი**: უპირველეს ყოვლისა, გირჩევთ, მიმართოთ ენდოკრინოლოგს და გაიკეთოთ ანალიზი სისხლში ტესტოსტერონის შემცველობაზე, რადგან, როცა ქალს ძუძუს დვრილების ირგვლივ, სარძევე ჯირკვლებს შორის, თეთრ ხაზზე ამოსდის ბეწვები, ეს მიუთითებს ანდროგენების (მამაკაცის სასქესო ჰორმონის) სიჭარბეზე. რაც შეეხება მოშორებას, ეპილაცია ან ბეწვის პინცეტით ამოღება დვრილების ირგვლივ არ არის რეკომენდებული. დასაშვებია თმის მაკრატლით მოჭრა.

**კითხვა: ვარ 16 წლის. ამ დღეებში ენაზე გამიჩნდა მოყავისფრო ლაქები. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი**: ესაა გლოსიტი – ენის ანთების ნიშანი, რომელიც პირის ღრუს ინფექციურ დაზიანებაზე მეტყველებს. დიაგნოზის დასაზუსტებლად და მკურნალობის შესარჩევად მიმართეთ სტომატოლოგს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა დიეტის დროს სამარხვო მაიონეზის მიღება?**

**პასუხი**: ეს არ არის რეკომენდებული, რადგან, ნებისმიერი მაიონეზი მაღალკალორიული პროდუქტია.

**კითხვა: ვარ 32 წლის. ახლახან მქონდა წითელა. გამონაყარი აღარ მაქვს, თუმცა, ძალიან მაწუხებს წვერი. რამდენ ხანში შეიძლება წვერის გაპარსვა და საპნით დაბანა?**

**პასუხი**: თუ გამონაყარი აღარ გაქვთ გაპარსვაც შეგიძლიათ და დაბანაც.

**კითხვა: მზეზე გასვლის შემდეგ თვალები მიწითლდება და მეწვის. შეიძლება ჰიდროკორტიზონის მალამო ვიხმარო?**

**პასუხი**: აუცილებლად უნდა ატაროთ მზისგან დამცავი სათვალე. თქვენი ჩივილი, შესაძლოა, მზის გამოსხივებაზე მომატებულ მგრძნობელობას უკავშირდებოდეს. დიაგნოზის დასაზუსტებლად, მკურნალობის დასანიშნად და თვალის სხვა პრობლემების გამოსარიცხად, სასურველია მიმართოთ ოფთალმოლოგს.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**


**გაიადვილეთ საჭმლის მონელება**

**იქონიეთ მიიღეთ ეფექტური**

**კრეზამი**

**თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს**

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რა ურთიერთობა ჰქონდათ ავლიპ ზურაბაშვილსა და ნიკიტა ხრუშჩოვს

*ერთხელ ჰკითხეს, რამდენი ფსიქიატრიული დაწესებულება არსებობს საქართველოშიო. ორი – სტაციონარული და მოძრავიო, – უპასუხა. მოძრავი რომელიღააო. მატარებელი – „მახარაძე-თბილისი!“ – უპასუხა მეცნიერმა.*



*მისი გამოჩენა საზოგადოებაში ყოველთვის დიდ ხალისს იწვევდა. სპეციფიკური წვრილი ხმა და გრძელი ულვაშები კიდევ უფრო ეხმარებოდა ამაში. ის არა მხოლოდ სულიერად დაავადებულთა მკურნალი, კარგი იუმორის პატრონიც იყო. პაციენტსა და ექიმს შორის გამართული დიალოგებით ერთი კარგი სკეტჩი იქმნებოდა. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ მის უამრავ პაციენტთა შორის ცნობილი ადამიანებიც იყვნენ, მაგალითად, ნიკიტა ხრუშჩოვი; არც ის უნდა იყოს ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, თუ როგორ ჩაეფუშა ბატონ ავლიპს კახეთში ფსიქიატრიული კლინიკის გახსნა, რომელიც მთავრობის დავალება იყო. ვფიქრობ, აქ 800-საწოლიანი საავადმყოფო უნდა აშენდეს, – უთქვამს ბატონ ავლიპს. იქვე შეეკამათა ერთი კაცი: რა ამბავია, 800 გიჟს მთელ კახეთში ვერ მოძებნითო. ავლიპმა უპასუხა: მარტო შენი გვარისა ვიცი 800 კაცი ფსიქიკურად დაავადებულიო (ძალიან გავრცელებული გვარია კახეთში და არ ვახსენებთ). მოკლედ, გადაშალეთ ავლიპ ზურაბაშვილის ცხოვრების დღიურები და გაიცანით იგი ახლოდან*



ავლიპი შვილთან ერთად

**დათო ზურაბაშვილი:** პაპაჩემი, ავლიპ ზურაბაშვილი, დაიბადა 1902 წლის 15 თებერვალს, სიღნაღის რაიონის, სოფელ ბოდბისხევში, ქიზიყის მაზრაში. მამამისი, დავითი, მღვდელმსახური გახლდათ და ეგრეთ წოდებულ „ზურაბაანთ უბანში“, ამაღლების ეკლესიაში მსახურობდა, რომელიც ჩვენს სახლთან ძალიან ახლოს იყო. დედამისი კი, მარიამი, დიასახლისი გახლდათ. პაპას რამდენიმე და-ძმა ჰყავდა, რომლებსაც შვილები არ დარჩენიათ: და ჯერ კიდევ ბავშვობაში გარდაეცვალა; ერთი ძმა, რევოლუციონერი, მოკლეს; მეორე ძმა, ანთიმოზი, მღვდელმსახური იყო, მაგრამ, როდესაც კომუნისტები მოვიდნენ, მღვდელმსახურება აუკრძალეს და ფოსტაში მუშაობდა. ანთიმოზმა ასეთი რამ გააკეთა: ეკლესიიდან ზარები მოხსნა და გადამალა. გავიდა დრო. უკვე სტუდენტი ვიყავი, როცა მითხრა: ჩვენი ეკლესიის ზარები ამა და ამ ადგილას მაქვს გადამალული. თუ დადგა ის დრო, რომ ბოდბისხევის ეკლესია აღდგა, წადი და ზარები დაუბრუნეო. ჩვენი საავადმყოფოს ტერიტორიაზე შენდება ეკლესია და ზარები იქ მივიტანე. მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად ჩამოიკიდებოდა. ფაქტობრივად, თავისი საქმე გააკეთა. რაც შეეხება პაპას პროფესიულ არჩევანს, ალბათ, ოჯახში იყო ამაზე საუბრები, განწყობა, შინაგანი მოთხოვნილება, რომ ადამიანის სხეულს, გონებასა და სულს დახმარებოდნენ. იმ დროს მედიცინა, განსაკუთრებით – მედიცინის ეს დარგი, არ იყო იმდენად განვითარებული. მან, შესაძლოა, ამიტომაც გადაწყვიტა ფსიქიატრიაში წასვლა, მაგრამ, სანამ ის სამედიცინოზე ჩააბარებდა, უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე შევიდა. პირველი ორი წელიწადი მათემატიკოსად მუშაობდა. შემდეგ წავიდა ჯარში. თავისი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, უთხრეს, ჯარი არ არის შენი საქმე, წადი და ისევ უნივერსიტეტში განაგრძე სწავლა, ოღონდ, ისეთი პროფესია აირჩიე, რომ ხალხს დაეხმაროო. მას უფრო თავისი ინტელექტით შეეძლო მუშაობა, ვიდრე ფიზიკურად. დაბრუნდა და საბუთები სამედიცინოზე გადაიტანა. ფსიქიატრია მოითხოვს მათემატიკურ აზროვნებასა და ლოგიკას. ამდენად, მისთვის ეს პროფესია უფრო ადვილი იყო. შემდეგ სამუშაოდ პეტერბურგში წავიდა, სადაც რამდენიმე შემოთავაზება მიიღო, რომ უცხოეთში წასულიყო და იქ დარჩენილიყო, მაგრამ, უარი თქვა და საქართველოში დაბრუნდა – ის ცოდნა და გამოცდილება, რაც მაქვს, საქართველოში უნდა გამოვიყენოო.



ავლიპის მეუღლე

34 წლის ასაკში დაოჯახდა. დიდედა, როგორც ბავშვები ვეძახდით ჩვენს შვედ ბებიას, საკმაოდ ლამაზი ქალი იყო. ხშირად გვიყვებოდა თავისი ცხოვრებიდან საინტერესო ეპიზოდებს. 15-16 წლისას, თურმე, აბსოლუტურად სხვა ამბიციები ჰქონდა. ჭკვიანი, მაგრამ, რომელიღაც სოფლიდან ჩამოსული ბიჭი სულაც არ იყო მისი ოცნების მამაკაცი. დიდედა იყო ძველი, განკულაკებული ოჯახიდან. პეტერბურგში დიდი სასახლე ჰქონდათ, მაღალი წრის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. ძმა ნობელის ძალიან ახლო მეგობარი იყო – ერთად იზრდებოდნენ. დიდედას უმაღლესი არ ჰქონდა დამთავრებული, თუმცა, თავისთავად, კარგად ფლობდა რუსულს, გერმანულს, ინგლისურს. არ არსებობდა ლიტერატურა, რაზეც არ ისაუბრებდა და, ამ ყველაფრის ფონზე, ჩამოდის ბიჭი სადღაც კახეთიდან, მატერიალურად საკმაოდ გაჭირვებული (ის პეტერბურგში ბავშვებსაც კი ამზადებდა, რომ ლუკმაპურის ფული ჰქონოდა) და, აი, ასეთ კაცს მიჰყვება ცოლად. რევოლუციის დროს ძალიან გაუჭირდათ. სახლი ჩამოართვეს და ერთი ოთახი მისცეს საცხოვრებლად. ერთხელ დიდედამ ერთი ასეთი ამბავი მოგვიყვა: „ძალიან ცელქი ვიყავი. სკოლაში რომ მივდიოდი, ხიდით კი არ გადავდიოდი, გაყინულ მდინარეზე გადავრბოდი. რამდენჯერ ყინულიც ჩატეხილა. ერთხელ, სკოლაში გავრბივარ. ბოშა მომიახლოვდა და მითხრა, გიმკითხავებო. ხელი რომ გავუწოდე, მითხრა: ცოლად მგელს გაჰყვები, მასთან ერთად ძალიან ლამაზ ცხოვრებას გაივლი, მთელი ცხოვრება ყავას დალევ და „ბულკს“ შეჭამო. რასაკვირველია, ამაზე გამეცინა. ვიფიქრე, ან მგელს რატომ უნდა გავყვე ცოლად, როცა სულ სხვა რაღაცეებზე ვოცნებობ, ან, ეს ყავა და „ბულკი“ რაღაა-მეთქი. გავიდა დრო და გამოჩნდა საკმაოდ სიმპათიური ადამიანი, რომელმაც ხელი მთხოვა. ამ ბოშა ქალის სიტყვები გამახსენდა, ჩავთვალე, რომ ეს არის „მგელი“ და უარით გავისტუმრე. გავიდა რაღაც პერიოდი და გავიცანი ავლიპი. საუბრისას ვკითხე, შენი სახელი რას ნიშნავს-მეთქი. მგელსო, – მიპასუხა ***(ლათინურად „აულიუს ლუპუს“ მგელს ნიშნავს, – ავტორი).*** მერე მივხვდი, რომ ბედს ვერსად გაექცევი.“ მთელი ცხოვრება დილით ნალექიან ყავას სვამდა და ნამცხვარს ატანდა.

დიდედა საოცარი ქალი იყო, ექვსი საათის შემდეგ არ ჭამდა, რომ წონაში არ მოემატა. თავს უვლიდა, ყოველთვის გამხდარი და მოხდენილი იყო. გაუჩნდათ ორი შვილი: მამაჩემი – ზურაბი და ბიძაჩემი – სიგურტი ***(სიგურტი შვედური სახელია, – ავტორი).*** ბიძაჩემი პეტერბურგში დაიბადა. 1937 წელს დადგა საკითხი: ან უცხოეთში უნდა წასულიყვნენ სამუდამოდ, ან აქეთ წამოსულიყვნენ. პაპა, ვინაიდან ფიზიკურად სუსტი კაცი იყო, მიწაზე ვერ მუშაობდა, სოფლის მეურნეობას არ ეწეოდა. ძირითადად, სოფლის ექიმი იყო. ვისაც რა პრობლემები ჰქონდა, არა მხოლოდ ფსიქიკური, მას მიმართავდნენ. ჩვეულებრივი სახლი ჰქონდათ – ორი ოთახი. დიდედა დაბალი ტანის ქალი იყო და კახელ ქალებს უკვირდათ, ათმეტრიან ქუსლებზე როგორ ახერხებს ვენახებში სიარულსო. ქართულად არ ლაპარაკობდა, მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი ქალი იყო. თუმცა, გარდაცვალების წინა დღეს „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟასა და ილიას ნაწარმოებები, აქცენტის გარეშე წაგვიკითხა. მთელი ცხოვრება ვიცოდით, რომ ქართულად არ საუბრობდა და უცებ ასეთი ფაქტის წინაშე დავდექით. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. არც იყო ამის საჭიროება, რადგან, ყველა, ვინც მოდიოდა სტუმრად, რუსულად, ფრანგულად ან გერმანულად ლაპარაკობდა. უბრალოდ, გული გვწყდებოდა, რომ ამდენ ხანს საქართველოში ცხოვრობდა, შვილები ქართულ ყაიდაზე გაზარდა, ქართული რწმენით, სიყვარულით და ქართულად არ საუბრობდა. ძალიან უყვარდა თავისი ქმარი და ამბობდა, კიდევ ერთხელ



ავლიპი შვილიშვილებთან



ავლიპი შვილთან და თანამშრომლებთან ერთად

რომ მქონოდა ცხოვრების თავიდან დაწყების შანსი, აუცილებლად ისევ პაპათქვენთან ერთად გავატარებდიო. კახეთში დიდხანს არ უცხოვრიათ, მალე თბილისში გადმოვიდნენ პლეხანოვზე. მეჩნიკოვის ქუჩაზე ფსიქიატრიული საავადმყოფო იყო და ამ საავადმყოფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ერთ ოთახში. შემდეგ აიშენეს კერძო სახლი, საკმაოდ შორს, ახლანდელ ვაკეში, რომელიც მაშინ გარეუბანი იყო. ლენინგრადიდან ბევრი ნივთი ჩამოიტანეს, ეგრეთ წოდებული მზითევი.


კახეთში

როდესაც პაპა თბილისში სწავლობდა, პერიოდულად, ზაფხულობით, კახეთში ჩადიოდა. ოჯახი ცოცხის საკრეფად ალაზანზე დადიოდა. ერთხელ პაპა ცხენით წავიდა ალაზანზე. გზად ორი ყაჩაღი შეხვედრია, რომლებმაც ცხენი მოსთხოვეს. თქვენ შეგიძლიათ, ცხენი წამართვათ, მაგრამ, სახლში აღარ დავბრუნდები. თუ ცხენს დამიტოვებთ, პირობას ვიძლევი, ისე ვიცხოვრო, რომ ჩემს ქვეყანასა და ხალხს გამოვადგეო. ყაჩაღებმა ცხენი დაუტოვეს.


ავლიპი შვილთან ერთად

პაპა დეპუტატი იყო და ხშირად ესწრებოდა პარტიულ კრებებს, სიტყვით გამოდიოდა. ერთ-ერთ შეკრებაზე თქვა – ჩვენი პარტია ბოლოკს მაგონებსო. ფსიქიატრიაო, იფიქრეს და ყველას გაეცინა, მერე ჰკითხეს – რატომო. გარედან წითელია და, რომ გაჭრა, შიგნიდან სულ თეთრიაო. გაქანებული კომუნისტების პერიოდი იყო, მაგრამ, მისთვის ამის თქმა შეიძლებოდა. რასაკვირველია, საინტერესო, სასაცილო პაციენტებიც ჰყოლია, მაგრამ, არასდროს სახლშიც კი არ ყვებოდა თავის პაციენტებზე. არასწორად მიაჩნდა, თუ პაციენტი საუბრისას გულს გაუხსნიდა, ამაზე ვინმესთან ელაპარაკა. ყოველ შემთხვევაში, საექიმო ამბებს ყვებოდა არა როგორც სასაცილო ამბებს. ჩვენს ოჯახშიც კი არ იყო მიღებული პაციენტის ვინაობის გამჟღავნება. ეს იყო სრულიად დახურული, კონფიდენციალური ურთიერთობა ექიმსა და პაციენტს შორის. ერთხელ, ერთ მეწაღეს უმკურნალა და გაწერეს. ბატონო ავლიპ, დიდი მადლობა დახმარებისთვის, მეც მინდა, რაღაცით გცეთ პატივი და, თუ შეიძლება, თქვენი ფეხის ზომა მითხარით, ფეხსაცმელი უნდა შეგიკეროთო. პაპამაც უთხრა თავისი ფეხის ზომა. უკაცრავად, კიდევ მაქვს კითხვა, – უთხრა მეწაღემ, – ქუსლი წინ გავუკეთო თუ უკანო. ძალიან არ უყვარდა ის ადამიანი, რომელიც სვამდა. თვითონ ყოველდღე სადილზე თითო ჭიქას თუ დააყოლებდა, ისიც, არა სუფთა ღვინოს, არამედ, წყალგარეულს. თავის კაბინეტში დივანი ედგა. როდესაც მძიმე სამუშაო ჰქონდა, დიდედას ეძახდა და ეუბნებოდა: აქ დაჯექი, რაღაც წაიკითხე და ხმა არ ამოიღოო. ამ დროს თავისი აზრების მობილიზებას ახდენდა და ამით კმაყოფილი იყო. დიდედა ძალიან ეხმარებოდა საქმეში. ფილოსოფიურ საკითხებზე საუბრობდნენ, კამათობდნენ. პაპას ფილოსოფიურ აზროვნებაზე სწორედ მან ითამაშა დიდი როლი და, ასევე, მისი სურვილი იყო, პაპას ულვაშები ეტარებინა. დიდედა კარგად ხატავდა. ერთხელ უთხრა, შენს სახეს აუცილებლად მოუხდება ულვაშებიო და მას შემდეგ აღარც მოუშორებია. პაპა რომ სახლში მოვიდოდა, მაგიდას ყველა ერთად მივუსხდებოდით ხოლმე სადილად. ჩვენ, ბავშვებს, ძალიან არ გვიყვარდა დიდებთან ერთად ჭამა, რადგან, სუფრასთან მოქცევის წესები არ უნდა დაგვერღვია. ვიცოდით, როდის, ვისთან და რა უნდა გვეთქვა. მკაცრად გვზრდიდნენ. სადილის დაწყების წინ პაპასა და დიდედას შორის რელიგიურ თემაზე იწყებოდა საუბარი. ისინი გვაჩვევდნენ მცნებებს, წესებს უფალზე. ახლაღა ვხვდები, რომ ეს იყო ლოცვა, თუმცა, ლოცვას კი არ კითხულობდნენ, როგორც ლოცვას, არამედ, რაღაც პატარა ამბავს მოყვებოდნენ საეკლესიო ცხოვრებიდან. ასე შეგვაჩვიეს და შეგვაყვარეს ეკლესია, რადგან, თქვენ კარგად იცით, მაშინ ეკლესიის ხსენება არ შეიძლებოდა. პაპა წყნარი ადამიანი იყო, არ გვახსოვს მისი ხმამაღალი სიტყვა. ძალიან სპეციფიკური, დამახასიათებელი ხმა ჰქონდა. კარგად იცოდა თავისი ხმის მართვა. იტყოდა: შეგიძლია, ადამიანს ისე ესაუბრო, რომ ერთი თქმით მოგისმინოს და დაგიჯეროსო. არასდროს საუბრობდა ბავშვთან, როგორც დიდთან, მაღალ მატერიებზე – ბავშვი ამით არ დაინტერესდებაო. ძალიან უყვარდა ცხოველები. ჩვენ გვყავდა დიდი გერმანული ნაგაზი, სახელად „ყარათი" და იმასთან ერთად სეირნობდა ეზოში, დიდედას კი ჰყავდა პატარა ძაღლი, რომელიც პაპაზე ეჭვიანობდა და სულ უღრენდა.


ავლიპ ზურაბაშვილი

პაპას ცხოვრების დიდი სიყვარული და ერთადერთი ქალი დიდედა იყო, რომელიც არასდროს გვინახავს საოჯახო ხალათში, მოუწესრიგებელი. სახლშიც სულ ფორმაში იყო, ამიტომ, ყოველთვის საინტერესო იყო პაპასთვის. არ მოდუნებულა, სიცოცხლის ბოლო წლებშიც კი ძალიან ნერვიულობდა, თუ ნახევარ კილოს მოიმატებდა ან დაიკლებდა.

**ეკა პატარაია**

# სად მდებარეობდა „სვიმონის სასახლე", ვინ იყო ხოჯა ბეჰბუდა და რომელი მშენებლობების დროს გამოიყენეს დანგრეული ხოჯავანქის სასაფლაოს საფლავის ქვები

**(23-ე გვერდიდან)**

ლო დრომდე არსებულმა მეჩვიდმეტე საუკუნის სომხურმა ეკლესიამ. სახელწოდება თბილისელებმა ეკლესიის მიმდებარე ძველ სომხურ სასაფლაოზეც გაავრცელეს. ეს სასაფლაო იხსენიება მეჩვიდმეტე საუკუნის წყალობის წიგნში. მეფე როსტომმა 1654 წელს ზარაბთუხუცესს, ხოჯა ბეჰბუდას, უწყალობა მიწა სასაფლაოს გვერდით (ხოჯა ბეჰბუდა, ბებუთაშვილების საგვარეულოს დამაარსებელი, თავისი დროის გამოჩენილი და მდიდარი ვაჭარი ყოფილა. ისტორიული წყაროები მას მიაწერენ მდინარე ვერეზე ხიდის მშენებლობასაც). ამასთან, ირკვევა, რომ ეს სასაფლაო ხოჯა ბეჰბუდას წინაპრების ყოფილა. ახლად მიღებულ მიწაზე, მახათას მთის ძირას, მეფის დასტურით, ხოჯა ბეჰბუდა ღვთისმშობლის სახელზე ეკლესიას აშენებს, რომელსაც თბილისელებმა „ხოჯავანქი" შეარქვეს, შემდგომში კი ამ სახელწოდებამ სასაფლაოც მოიცვა. ეს ეკლესია თბილისის გეგმაზე ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული აქვს „მელიქის საყდრის" სახელით. ხოჯა ბეჰბუდამ აქვე ბაღიც გააშენა, რომლის სარწყავად წყალი მთის ძირიდან გამოუყვანია. ამ ბაღს ვახუშტი „ბებუთას ბაღს" უწოდებს. ხოჯავანქის ასტვაწაწინის (ღვთისმშობლის) ეკლესია 1936 წელს თბილისის ამ უბნის რეკონსტრუქციისას აიღეს; ასევე, მთლიანად აიღეს სასაფლაო, ხოლო საფლავის ქვები სამშენებლო მასალად გამოიყენეს ცირკთან არსებული ბორდიურების, მესხიშვილის ქუჩაზე რამდენიმე შენობის, ასევე, მშრალ ხიდთან არსებული სკვერისა და ბარათაშვილის აღმართის მოპირკეთების დროს.


ხოჯავანქის ეკლესია და სასაფლაო, მეოცე საუკუნის დასაწყისში

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ნაწყვეტები წიგნიდან: თ. კვირკველია, „ძველთბილისური დასახელებანი" (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1985).**


**გაიადვილეთ საჭმლის მონელება**

**იქონიეთ მიიღეთ ეფექტური**

**კრეზამი**

**თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს**

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



**ჩვენგან წარმოთქმულ ნებისმიერ სიტყვას უდიდესი ენერგეტიკული ძალა აქვს. ამიტომ, უნდა აკონტროლოთ ემოცია და აზრები, რომ უნებურად რამე არასასურველი არ წამოგცდეთ, რაც ბუმერანგივით უკან შემოგიბრუნდებათ და, შესაძლოა, ცხოვრებაში უსიამოვნებების მიზეზიც კი გახდეს. თუ რატომ უნდა ვაკონტროლოთ ემოციები და სიტყვები, რომლებსაც წარმოვთქვამთ და რა შედეგები მოჰყვება ადამიანის უკონტროლო ემოციებს, ამ საკითხებზე კომენტარი ვთხოვეთ ეზოთერიკოს ბატონ შალვას. იგი წლებია, უცხოელ კოლეგებთან ერთად აწარმოებს კვლევებს. მისი თქმით, ადამიანის სახელი და გვარი უდიდეს გავლენას ახდენს ჩვენს ბედისწერაზე, ყოველდღიურ საქმიანობასა და იღბალზეც კი.**

# რატომ არის საშიში შურიანი მზერა და რა გავლენას ახდენს ადამიანზე წინაპართან ფიზიკური მსგავსება

**შალვა:** სამყაროში არაკანონზომიერად არაფერი ხდება და, ჩვენ, ადამიანები, ამ სამყაროს უმწეო სტუმრები ვართ. უკვე კარგა ხანია, უცხოეთში ვცხოვრობ. წლების წინ დავინტერესდი, ჩავები ეზოთერიკულ საქმიანობაში, საკმაო ცოდნაც მივიღე და, დღეს, ცნობილ ეზოთერიკოსებთან ერთად, არაერთი კვლევის წარმოების პროცესშიც ვარ ჩართული. ადრე მეც ვერ წარმოვიდგენდი, რომ სიტყვას, ემოციას, ამა თუ იმ ნივთის ტარებას, რაიმე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო კონკრეტულ ადამიანზე. მაგრამ, დღეს ამაში სავსებით დარწმუნებული ვარ. მოკლედ, თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ სიტყვას უდიდესი ძალა გააჩნია.

**– კერძოდ, როგორ ზემოქმედებს ადამიანზე ემოციურად წარმოთქმული სიტყვა და რა ძალა აქვს მას?**

– ყოველი სიტყვა გარკვეულ ენერგეტიკას ატარებს და უდიდესი ზემოქმედების მოხდენაც შეუძლია. თუმცა, ძალა არა თავად წარმოთქმულ სიტყვას აქვს, არამედ, იმ ენერგეტიკას, რაც უშუალოდ მას მოჰყვება. ამას წინათ ერთ-ერთმა ახლობელმა მკითხა, შესაძლებელია თუ არა, ემოციის გარეშე თქვა სიტყვა და მას რაიმე ძალა გააჩნდესო. საერთოდ, რაც მეტად გაბრაზებული ლაპარაკობს ადამიანი და მძაფრია ემოციური ფონი, მით მეტი ძალა აქვს მის სიტყვას ანუ, ის მეტ ენერგეტიკას იძენს. შესაბამისად, მეტი ზემოქმედება შეუძლია სიტყვას სხვა ადამიანზე და თავად მთქმელზეც. ასეთ დროს ამბობენ, ადამიანი სიტყვით გაითვალაო. დიახ, ამას, შესაძლოა, სიტყვით გათვალვაც ვუწოდოთ და ამ დროს თქვენ თავს ვერ დაიცავთ.

**– მოხუცებისგან გამიგია, ავი თვალი სიგამხდრეს, უიღბლობას, წარუმატებლობასა და მთელ რიგ დაავადებებსაც იწვევსო. ამაზე რას გვეტყვით?**

– დიახ, ავმა სიტყვამ და თვალმა, შესაძლოა, ჯანმრთელობის გაუარესებაც კი გამოიწვიოს, მაგალითად: სიგამხდრე, კრუნჩხვა, მელანქოლია, ნევროზი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და ასე შემდეგ. პირადად მე ხშირად მაქვს შეხება მსგავს ფაქტებთან. მაგალითად, თუ უარყოფითი ენერგიის ნაკადი მარცხენა მხრიდან მოდის, მაშინ დიდია შანსი, გულის არეში ტკივილი იგრძნოთ; არ არის გამორიცხული, ამას უცაბედი ინფარქტიც მოჰყვეს და ეს ავი მზერისა და სიტყვის შედეგი შეიძლება იყოს. ანალოგიური რამ მოხდება სხვა ორგანოებთან დაკავშირებითაც. პათოლოგია წარმოიქმნება იმ არეალში, რომელზეც კონცენტრირებულია უარყოფითი ენერგიის მუხტი. ძალიან ბევრი შემთხვევაა, როცა ადამიანი თავს ცუდად გრძნობს და ექიმს აკითხავს, მას დიაგნოზის დასმა უჭირს. სიტუაცია კი თვალსა და ხელს შუა რთულდება. ამ დროს ბევრი ფიქრობს, რომ, შესაძლოა, ამის მიზეზი კონკრეტულ ადამიანზე გაკეთებული ჯადო, ავი თვალი ან ემოციურ ფონზე წარმოთქმული უარყოფითი სიტყვები იყოს. თუ ადამიანი ფიქრობს, რომ მისი ავადმყოფობის მიზეზი ჯადო, თვალი ან უარყოფითი ენერგეტიკით დამუხტული სიტყვაა, მაშინ, მკურნალობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა აღიდგინოს აურა და არასასიამოვნო შედეგებს

**როცა ადამიანი თავის ბედზე წუწუნებს, ამით საკუთარ თავს თვალავს**

ამით დააღწიოს თავი. არ შეიძლება, წარმატებული ადამიანი უცბად გახდეს ცუდად, იგრძნოს რომ ჯანმრთელობა უმიზეზოდ შეერყა, სამყარომ ზურგი აქცია. უბრალოდ არაფერი ხდება, ყველაფერს თავისი კანონზომიერება აქვს და ეს კანონზომიერებები ჩვენზეც მოქმედებს – ზოგზე დადებითად და ზოგზე უარყოფითად. შურიანი ადამიანის ავმა თვალმა, შეიძლება, ავტოკატასტროფაც გამოიწვიოს და ამას დიდი მსხვერპლიც მოჰყვეს – ამაში არაფერია მისტიკური, ეს ავი თვალის მოქმედების შედეგია ცოცხალ ორგანიზმზე. ადრე ბავშვებს არიდებდნენ ავი მზერის მქონე და მოლაყბე ადამიანებს, რომ მათ სიტყვით და თვალით არ მიეყენებინათ მათთვის ზიანი. ასევე, ფრთხილად უდგებოდნენ ახალშობილისთვის სახელის დარქმევას. სახელიც ერთგვარი დამცავია ჩვენთვის და მისი სწორი შერჩევით, შეგვიძლია, ბევრი განსაცდელი ავარიდოთ ჩვენს შვილებს. ყველას თავისი მისია და ვალი აქვს დედამიწაზე, მაგრამ, მაგალითად, თუ გარდაცვლილის სახელს დაარქმევთ შვილს, მაშინ, დიდი შანსია, ხასიათების დამთხვევა მოხდეს. ეს მსგავსება გენეტიკური კარმისა და ერთნაირი სახელის ენერგეტიკის შედეგია. კერძოდ, გარდაცვალების დროს, ზოგჯერ ბებია-ბაბუის ან სხვა ახლობლის სული ღია ასტრალში ვერ გადის, ოჯახის რომელიმე წევრის აურას ეწებება, სული ამ ადამიანის ენერგეტიკით იწყებს საზრდოობას და ისინიც ემსგავსებიან გარდაცვლილებს. ალბათ, ბევრ ახლობელში თქვენც აღმოაჩენდით ასეთ მსგავსებას.

**– თუ ადამიანი წინაპარს ფიზიკურად ემსგავსება?**

– თუ ქალიშვილი მამას, ბაბუას ან ბიძას ჰგავს, ის ნამდვილად ბედნიერი იქნება ან პირად ცხოვრებაში, ან კარიერაში, ან ორივეში ერთად. მაგრამ, რომელიმეში რომ დიდი წარმატება გარდაუვალია, ამის ბევრი ფაქტი არსებობს. თავადაც შეგიძლიათ, დააკვირდეთ ახლობლებს და დასკვნას აუცილებლად გამოიტანთ, მიხვდებით, რომ მართალს ვამბობ. ასევე, ანალოგიურად, თუ ვაჟიშვილი დაემსგავსა დედას, ბებიას ან დეიდას, ისიც ბედნიერი იქნება მომავალში.

**– ის თუ არის მართალი, რომ, როცა ადამიანი საკუთარ ბედზე წუწუნებს, ამით საკუთარ თავს თვალავსო?**

– ეს მართლაც ასეა და, გაფრთხილებთ, არასდროს იწუწუნოთ საკუთარ ბედიღბალზე ხმამაღლა. როცა ადამიანები საკუთარ ბედზე დაიწყებენ მოთქმას, ყველას თავს აბეზრებენ წუწუნით, თუ როგორ იტანჯებიან უიღბლობის გამო, მათთან კონტაქტს ყველა ერიდება, რადგან, მათგან უარყოფითი ემოცია მოდის და, გარკვეული დროის განმავლობაში, ეს უარყოფითად აისახება ნებისმიერ ჩვენგანზე.

**ნონა დათეშიძე**

## ისტერიკის გარეშე

ქალები ადვილად ვარდებიან ისტერიკაში. მათ უმნიშვნელო მიზეზიც ჰყოფნით, რომ სკანდალი ატეხონ – ასე მიაჩნიათ მამაკაცებს და არის ამაში ჭეშმარიტების მარცვალი. ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, რომ ზოგჯერ მართლაც არ გვაქვს სერიოზული საბაბი ნერვიულობისთვის... მართალია, ადვილი არ არის, სიმშვიდე შეინარჩუნო მაშინ, როცა გარშემო ამდენი გამაღიზიანებელი ფაქტორია, თუმცა, ქალს ხომ ყველაფერი შეუძლია – თუკი, რა თქმა უნდა, გულწრფელად მოინდომებს.

ერთხელ მაინც სცადეთ და, როცა ძალიან მოგინდებათ სკანდალის მოწყობა, არ გააკეთოთ ეს. სწრაფად გადით მეორე ოთახში და იტირეთ ან ბალიშს „ეჩხუბეთ“. როცა იგრძნობთ, რომ დამშვიდდით, კარგად გააანალიზეთ ის პრობლემა თუ მიზეზი, რამაც ისტერიკამდე მიგიყვანათ და შეარჩიეთ მისი მოგვარების ვარიანტები: იფიქრეთ იმაზე, რომ არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია. ნუ ამოაფრქვევთ მთელ ბოღმას საყვარელ მამაკაცზე. შესაძლოა, თქვენი აღშფოთებისა და ნერვიულობის მიზეზი სწორედ ის არის, მაგრამ, ისტერიკით ვერაფერს მიაღწევთ. დასაწყისისთვის, უთხარით პარტნიორს (თუ ის არ გყავთ, ოჯახის რომელიმე წევრს), რომ გაკლიათ ყურადღება, მხარდაჭერა და სითბო. იფიქრეთ იმაზეც, რა არის მიზეზი იმისა, რომ ასე სწრაფად და ადვილად ღიზიანდებით. თუ ამას არ გააკეთებთ, აუცილებლად შეხვალთ ჩიხში, საიდან გამოსვლაც ძალიან გაგიჭირდებათ. ბოლოს და ბოლოს, ნუ ათქმევინებთ მამაკაცს, რომ ისტერიული და ნერვიული არსება ხართ, სიმშვიდით დაუმტკიცეთ საპირისპირო!

## ცხოვრება ეჭვებში

ბევრი ქალისთვის ნაცნობი სიტუაციაა ეჭვიანი მეორე ნახევარი. ზოგადად, ეჭვიანი ქალების ნაკლებობაც არ არის, მაგრამ, თვალშისაცემი უფრო ძლიერი სქესის ეჭვიანი ბუნებაა. იმ მარტივი მიზეზით, რომ ქალები უფრო ხშირად წუწუნებენ... ზარები ყოველ წუთს და კითხვები ყველაფერზე... ბოლოს კი – ქარიშხალი ცარიელ ჭიქაში – რატომ უნდა მოითმინო ამისთანა? იქნებ, უნდა ადგე და წახვიდე?! მაგრამ, არც ასე ადვილია ამის გაკეთება. ერთმანეთთან უამრავი რაღაც გაკავშირებთ, ბოლოს და ბოლოს, გიყვარს ის. ასეთ დროს საკუთარ თავს ეკითხები, როგორ მოვიქცეო და ერთბაშად აცნობიერებ იმას, რომ საყვარელ ადამიანთან განშორებისთვის საერთოდ არ ხარ მზად. თუმცა, ყოველდღიური კინკლაობაც ძალიან დამღლელი და გამაღიზიანებელია. მიტოვებას არ გირჩევთ, მაგრამ, ზომები აუცილებლად უნდა მიიღოთ. თუკი არ გინდათ, რომ ურთიერთობა კრახით დასრულდეს, შეეცადეთ, სიტუაცია არ გართულდეს და არ გაღრმავდეს. ჯანსაღად შეაფასეთ მოვლენები და დააკვირდით, რა იწვევს მის პერიოდულ „აფეთქებებს“.

ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ეჭვიანობის ძირითადი გამომწვევი მიზეზი ადამიანის თვითშეფასების დაბალი კრიტერიუმია, ანუ, როცა ის დარწმუნებულია, რომ სხვებზე გაცილებით ნაკლებია; არანაკლები გავლენა აქვს ნეგატიურ გამოცდილებასაც, თუნდაც ეს გამოცდილება არაპირდაპირი, ინფორმაციული და „გვერდიდან“ მოსული იყოს. ანუ, როცა იცით, რომ თქვენი ქმარი ეჭვიანია, ნუ მოუყვებით მისი თანდასწრებით, როგორ ღალატობს ვიღაც ქალი ქმარს, როგორ ოსტატურად ატყუებს და ასე შემდეგ... პირიქით, შეეცადეთ, მაქსიმალურად დაბლოკოთ ასეთი ინფორმაციები; მშვიდად მიიღეთ მისი შენიშვნები თქვენს ჩაცმულობასთან დაკავშირებით. თუ თავისუფალი ქცევების მქონე მეგობარი გყავთ, ყველაფერი გააკეთეთ, რომ მან თქვენი მეუღლის ცხვირწინ არ იტრიალოს და არ „აფრქვიოს“ აზრები ქალების პირადი თავისუფლების შესახებ. ნაკლებად იკეკლუცეთ მეუღლის თანდასწრებით გარეთ და, თუ მეორე ნახევარი მართლაც პათოლოგიურად ეჭვიანი არ გყავთ, ყველაფერი კარგად იქნება.



## ფრთხილად, მახეა!

ქალების უმრავლესობა ძალიან ცუდად იცნობს საპირისპირო სქესს. არსებობს გავრცელებული, მცდარი სტერეოტიპები, რომლებსაც ბრმად ვიჯერებთ და მახეში ამოვყოფთ ხოლმე თავს. მაგალითად, როცა მამაკაცს მიაჩნია, რომ ქალის ნდობა არ შეიძლება და თითქმის დარწმუნებულია ამაში, შენ არ უნდა უმტკიცო, რომ გამორჩეული და განსაკუთრებული ხარ; რომ არასოდეს მიაყენებ მას ტკივილს და, საერთოდაც, ნამდვილი განძი იპოვა შენი სახით. ამის გაკეთება, მინიმუმ – შეცდომაა, მაქსიმუმ – სიბრიყვე. ასეთი აქტიურობები აუცილებლად შეგიყვანთ ჩიხში.

შეცდომაა ისიც, როცა ფიქრობთ, რომ პირადი მსხვერპლშეწირვის მაგალითებით პარტნიორს გააბედნიერებთ და დაუმტკიცებთ თქვენს არაჩვეულებრიობას. წარმოიდგინეთ, იმისთვის, რომ აამოთ თქვენს რჩეულს, უარს ამბობთ მეგობრებთან შეხვედრაზე, საყვარელ გასართობზე, ჩაცმის სტილზე, მაკიაჟზე; უყვებით პარტნიორს თქვენი მარშრუტის შესახებ, თანაც, დაწვრილებით და მუდმივად; არ გაქვთ არანაირი პირადი საიდუმლო... თუ ამ ყველაფერს აკეთებთ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღარ ხართ პიროვნება. ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად შეგაწუხებთ და ურთიერთობაშიც პრობლემებს შეგიქმნით. მახეა ისიც, როცა მიგაჩნიათ, რომ მამაკაცს ყველაფერში უნდა დაეთანხმოთ და გაუგოთ. ადამიანი არ ირჩევს იმას, რა იგრძნოს და რა არა, მაგრამ, თქვენ თავისუფლად უნდა ამოირჩიოთ მოქმედების სტრატეგია და ისწავლოთ, როგორ არ გაებათ მახეში.

## მშვიდობით, ზაფხულო!

ზაფხული გავიდა და ამის გაცნობიერება სევდას გვგვრის. შემოდგომის მიწურულს და ზამთრის დასაწყისს ისედაც ახლავს დეპრესია, უსიამოვნო განწყობა და სტრესი, რომელსაც ჩვენგან დამოუკიდებლად ვიღებთ. თუმცა, არსებობს საშუალება, მომზადებული შეხვდე შედარებით რთულ პერიოდს, დაიმხუტო დადებითად ისე, რომ მზისა და ნათელი დღეების ნაკლებობა ადვილად გადაიტანო. ქალებს არ უხდებათ მოწყენა და ამას, უპირველესად, მამაკაცები ამჩნევენ.

როგორ შევინარჩუნოთ ზაფხულის განწყობა დიდხანს?! საკმაოდ მარტივი მეთოდებით. თუ არ დაგეზარებათ და თავს ცოტათი გაინებივრებთ, თქვენ თავად გამოასხივებთ სითბოსა და სინათლეს, რომლის მიმართ არც ერთი მამაკაცი არ რჩება გულგრილი.

მაგალითად, დაიკელით რამდენიმე ზედმეტი კილოგრამი იმით, რომ, მსუყე ვახშმის ნაცვლად, მიირთვით კიტრისა და მწვანე სალათის უბრალო სალათა; უყურეთ მხიარულ ფილმებს ან წადით კინოში; ისეირნეთ; თბილი საღამოები მაქსიმალურად გამოიყენეთ იმისთვის, რომ ბუნებაში გაატაროთ დრო; იფიქრეთ მხოლოდ პოზიტიურზე და იმაზეც, რომ შემოდგომაზე და ზამთარშიც შეიძლება მხიარული დღეების მოწყობა. თუ თქვენი პარტნიორი ზარმაცია, ალერსითა და თხოვნით აიძულეთ, შაბათ-კვირა ქალაქგარეთ გაატაროთ. შეიძლება, ვერ ხვდებით, მაგრამ, ასეთი უიქენდები ძალიან პოზიტიურ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკასა და ნერვულ სისტემაზე. რაც მთავარია, არ მოამრავლოთ თქვენს ჩაცმულობაში რუხი და შავი ფერები – ყველაზე ცუდად სწორედ ეს იმოქმედებს თქვენს გუნება-განწყობაზე.

გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

# კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რის გამო უწოდებდნენ ვენსან კასელისა და მონიკა ბელუჩის ოჯახს „უცნაურს“ და რა დაუწუნეს მათ ერთმანეთს პირველი შეხვედრის დროს

***მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ვენსან კასელისა და მონიკა ბელუჩის წყვილმა განქორწინების შესახებ გააკეთა განცხადება, მსოფლიო შოკში ჩააგდო იმ ფაქტმა, თუ ვის გამო დაშორდა ერთმანეთს შოუ-ბიზნესის ერთ-ერთი ულამაზესი წყვილი. აზერბაიჯანული წარმოშობის მილიონერმა, ტელმან ისმაილოვმა, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ და ბრუტალურ მამაკაც მსახიობს, ფაქტობრივად, წაართვა ულამაზესი ცოლი. მონიკას თქმით, ვენსანი „გაგებით მოეკიდა“ დაშორების ფაქტს და ისინი მეგობრებად დარჩებიან, თუმცა, უცნობია, რამდენად ატკინა გული სექს-სიმბოლო მონიკა ბელუჩიმ ვენსან კასელს, რომელიც დღეიდან მსოფლიო კინემატოგრაფში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ სასიძოდ შეიძლება ჩაითვალოს.***

* ცნობილი მსახიობის, ჟან-პიერ კასელის შვილმა ჯერ კიდევ ბავშვობიდან დაიწყო თავისი მძიმე ხასიათის გამჟღავნება. მშობლების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ვენსანი, სწავლის ნაცვლად ქუჩის ბანდაში გაწევრიანდა და სწორედ ქუჩური გარჩევის შემდეგ დარჩა მას „საფირმო ნიშნად“ გრანდიოზული გადატეხილი ცხვირი. 13 წლამდე ვენსანი ხშირად მიდიოდა სტუმრად ბაბუასთან, რომელიც საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში ცხოვრობდა. დილაობით ის კრუასანებით საუზმობდა და მსახიობობაზე ოცნებობდა. „მე მუდამ არაარეალურ სიამოვნებას ვიღებდი სცენაზე, პროჟექტორის წინ დგომის დროს. 5 წლიდან დიდ დროს ვატარებდი ბაბუას ძველ კინოთეატრში. ჩვენ საგარდერობო ოთახში ვცხოვრობდით, ოთახში კი მხოლოდ პატარა საწოლი და ნათურიანი სარკე იყო. ჩვენ კინოთეატრის საპირფარეშოთი ვსარგებლობდით და, ხშირად, ტუალეტში წასულს, მავიწყდებოდა, რის გამო მივდიოდი იქ და ეკრანის წინ ვშეშდებოდი, სადაც ძველი ფრანგული ფილმების ჩვენება მიდიოდა. მაშინ ვფქრობდი, რომ მე მსოფლიოში ყველაზე დიდ კინოთეატრში ვცხოვრობდი".

* 17 წლის ასაკში, მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, ვენსანი ანი ფრატელინის საცირკო სკოლის სასწავლო კურსზე ჩაეწერა, თუმცა, კლოუნადა მისთვის უინტერესო პროფესია აღმოჩნდა, მშობლების გასახარად, საკუთარი თავი მან თეატრალურ სცენაზე, მოგვიანებით კი კინოს გადასაღებ მოედანზე იპოვა. კასელმა ნიუიორკის სამსახიობო ინსტიტუტი დაამთავრა, რის შემდეგაც სამშობლოში დაბრუნდა და უმნიშვნელო როლების თამაში დაიწყო თეატრალურ სცენაზე. ვენსან კასელის ნიჭზე ღიად საუბარი მას შემდეგ დაიწყეს, რაც მან მატიე კასოვიცის სადებიუტო ფილმ „მეტისელში" ითამაშა. ამას მოჰყვა ვენსანისა და მატიეს მრავალწლიანი მეგობრობა (კასელს კასოვიცის 7 ფილმში აქვს ნათამაშები).

* მონიკა ლონდონსა და რომში ცხოვრობს, ვენსანი – პარიზში. თავიანთ ქორწინებას ისინი



„სტუმრიანობას" უწოდებდნენ. მონიკა ბელუჩი – თანამედროვე „ფემ ფატალე", კურტიზანი ქალი, ნეფერტიტი და მარია მაგდალენა და ვენსან კასელი – „ცუდი ბიჭის" იმიჯით, თავიანთ ურთიერთობაზე არაფერს ყვებოდნენ ჟურნალისტებთან და 17 წელი ერთად ცხოვრობდნენ. ერთმანეთი მათ 1996 წელს გაიცნეს, ჟილ მიმუნის ფილმის – „ბინის" გადაღებების დროს, როცა შეყვარებული წყვილის ვნებიან ურთიერთობებს იღებდნენ. ამბობენ, რომ პირველმა შეხვედრამ წარუმატებლად ჩაიარა: მონიკამ ვენსანის გატეხილი ცხვირი დაიწუნა, ხოლო ვენსანმა მონიკას „საცვლების რეკლამის მოდელი“ უწოდა და მის სამსახიობო ოსტატობაში დაეჭვდა. თუმცა, ფილმის პრემიერის შემდეგ მთელი მსოფლიო მათ რომანზე ალაპარაკდა, რომელიც 1999 წელს ოფიციალური ქორწინებით დასრულდა. მათ კავშირს თავიდანვე „უცნაურს“ უწოდებდნენ, რადგან, ხანდახან ისე ხდებოდა, რომ ისინი თვეობით ვერ ნახულობდნენ ერთმანეთს. თავიდან ვენსანი ბევრს ეჭვიანობდა და ნერვიულობდა ამის გამო, თუმცა, ეს ეჭვიანობა მათ ურთიერთობას მუდამ ახლდა. 2002 წელს გასპარ ნოემ წყვილი მიიწვია თავის ფილმში – „შეუქცევადი," სადაც ერთ-ერთ ეპიზოდში მსოფლიო კინოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შემაძრწუნებელი და შოკისმომგვრელი გაუპატიურების სცენა ფიგურირებდა. აუპატიურებდნენ მონიკას გმირს და მსახიობმა თავად მოითხოვა, რომ ვენსანს გადასაღები მოედანი დაეტოვებინა, რადგან ის შებოჭილად გრძნობდა თავს. ვენსანი საფრანგეთის სამხრეთში გაემგზავრა. მოგვიანებით კი მან ჟურნალისტებს განუცხადა: „სანამ მე სერფინგით ვიყავი დაკავებული, ჩემს მეუღლეს აუპატიურებდნენ". სხვათა შორის, ამ სცენის ნახვის შემდეგ ვენსანს ფსიქოლოგის კაბინეტში რამდენიმე სეანსის გავლა დასჭირდა. მისი თქმით, მონიკა იდეალური მეუღლე და იდეალური პარტნიორია: „მისი მთავარი ღირსება არა სილამაზე, არამედ, ჭკუაა. ის არის უაღრესად ყურადღებიანი და ზრდილობიანი ადამიანი, რომელიც გაგებით ეკიდება გარშემო მყოფებს". ვენსანსა და მონიკას ერთად 10 ფილმში აქვთ მონაწილეობა მიღებული. ცნობისთვის, მონიკამ ორი ქალიშვილი გაუჩინა ვენსანს: 2004 წელს – დევა (ძველი ინდური სახელი) და 2010 წელს – ლეონა. ერთხელ მონიკას ჰკითხეს, თუ რაში მდგომარეობდა მათი უცნაური კავშირის საიდუმლო. მონიკამ უპასუხა: „ჩვენ, უბრალოდ, გვიყვარს ერთმანეთი. არ არის აუცილებელი, რამე შეცვალო საყვარელ ადამიანში. თუკი თქვენ მას შეცვლით, ეს ნიშნავს, რომ თქვენ ის აღარ გიყვართ". როგორც ჩანს, მონიკასთვის ვენსანი „შეიცვალა".

* ვენსან კასელი პროფესიონალურ დონეზე იყო დაკავებული ბალეტით 6 წლის განმავლობაში. ასე რომ, როდესაც დარენ არონოფსკიმ მას ქორეოგრაფის როლი შესთავაზა „შავ გედში", მან იცოდა, რომ, ქარიზმასთან ერთად, ვენსანი პროფესიულად მიუდგებოდა ცეკვების დადგმის სცენებს. „არადროს მქონია სურვილი, რომ გამოვსულიყავი პროფესიონალი მოცეკვავე, უბრალოდ, ვიცოდი, რომ ცეკვა მსახიობობაში გამომადგებოდა". სხვათა შორის „შავი გედის" გადაღებების დროს, ნატალი პორტმანი და ვენსან კასელი დამატებით რვა საათს მუშაობდნენ გადასაღებ მოედანზე და საბალეტო სცენებს ამუშავებდნენ.

* ვენსან კასელს თავის ხანგრძლივ ფილმოგრაფიაში ორ ათეულამდე უარყოფითი როლი აქვს შესრულებული: თმაგადახოტრილი ვინცი „სიძულვილში", თავზეხელაღებული მძარცველი დობერმანი ამავე სახელწოდების ფილმში, შეშლილი ჯოზეფი „შაიტანში", განგსტერი ჟაკ მერინი „სახელმწიფოს მტერი №1" და სხვა. „რატომ ვირჩევ ბოროტმოქმედების როლებს?! იმიტომ, რომ ეს არის რეალური ცხოვრება. კინო – ეს არის ხელოვნება და, როდესაც ადამიანი მიდის კინოთეატრში, მან უნდა მიიღოს სიამოვნება და დაივიწყოს პრობლემები. უარყოფითი პერსონაჟის გარეშე კი დადებითი როლის შემსრულებელი სათანადოდ ვერ გამოჩნდება ეკრანზე," – ესეც ვენსან კასელის თავისებური ახსნაა.

* ვენსან კასელი ფლობს ბრაზილიური ორთაბრძოლის – კაპოეირას ილეთებს; გატაცებულია კრივით, ცეკვითა და სასტენდო სროლით. მერინის როლისთვის მსახიობმა 20 კილოგრამი მოიმატა. თავად მსახიობის თქმით, მსგავს ექსპერიმენტში იგი აღარასოდეს მიიღებს მონაწილეობას, რადგან, მთელი ცხრა თვე დასჭირდა, რათა ფორმაში ჩამდგარიყო. ამბობენ, რომ, როდესაც ვენსანმა მართვის მოწმობა აიღო, პირველივე დღეს, პარიზიდან ნიცამდე 230 კილომეტრ-საათი სიჩქარით იარა; ხოლო, კითხვაზე, თუ რას გააკეთებდა ის, თუკი ეცოდინებოდა, რომ ხუთ წუთში სამყარო აღარ იარსებებს, კასელმა მოკლედ უპასუხა: „ჩემს ცოლთან სექსი მექნება.“

**უშანგი რუხაძე**



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო......................................
მარიკა 599 24 28 31

# რა ინციდენტი მოხდა სტალინსა და როკოსოვსკის შორის ოპერაცია „ბაგრატიონის“ დაწყების წინ



სტალინგრადის ოპერაციამ მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა საბჭოთა კავშირ-გერმანიის დაპირისპირებაში. წარმატებით გახალისებულმა საბჭოთა ჯარებმა კიდევ რამდენიმე წარმატებული ოპერაცია განახორციელეს და გერმანელებისგან გაწმინდეს დონბასი, ხარკოვი, რეევსკი და კალინინი, რის შემდეგაც სტალინმა ლენინგრადისთვის მოიცალა.

ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისთვის შემუშავდა საგანგებო გეგმა „ისკრა“, რომლის მიხედვითაც, ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტებს უნდა განეხორციელებინათ შემხვედრი დარტყმები და გერმანელების დაცვითი ზღუდე გაერღვიათ. ზღუდე სიგანეში მხოლოდ 12 კილომეტრს შეადგენდა, მაგრამ ეს გახლდათ მთლიანი ნაგებობა, რომელიც დაქსელილი იყო რკინაბეტონის კონსტრუქციებით, მავთულხლართებითა და დანაღმული ველებით. ორი წლის განმავლობაში იდგა ლენინგრადის მისადგომებთან გერმანელების მძიმე არტილერია და საავიაციო არმია, რომელიც შესანიშნავად იცნობდა ადგილმდებარეობას და შეგუებული იყო კლიმატთანაც. ხელმძღვანელი კი გამოცდილი გენერალ-ფელდმარშალი გეორგ ფონ კლიუხერი იყო, რომელსაც გამოცდილება ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომიდან ჰქონდა მიღებული. ის იბრძოდა პოლონეთის წინააღმდეგაც და მისი დაპყრობილი გახლდათ საფრანგეთიც.

სტალინმა ფრონტიდან გამოიძახა ჟუკოვი, რომელიც იმ დროისთვის ვორონეჟის ფრონტს ხელმძღვანელობდა და ოპერაცია „ისკრის“ ხელმძღვანელობა დაავალა. საუბარი მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. სტალინმა ჟუკოვს გადასცა გეგმა და სასწრაფოდ ფრონტზე გამგზავრება უბრძანა, სადაც საბჭოთა ჯარებს ალყაში ჰყავდათ გერმანიის 16 არმია და ამის გამო, გააფთრებული შეტაკებები მიმდინარეობდა. ჟუკოვს დაევალა, რაც შეიძლება დიდხანს ჰყოლოდა ალყაში გერმანელები, რათა კლიუხერს მთელი რეზერვები ამ მიმართულებით გადაესროლა და საბჭოთა შენაერთების შეტევას ხელცარიელი შეგებებოდა.

ლენინგრადის ბლოკადის გარღვევა 1943 წლის 12 იანვარს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე დაიწყო: ეგრეთ წოდებულ, შლისებურგის დერეფანს, რომლის სიგანეც თორმეტ კილომეტრს შეადგენდა, ათასობით ჭურვი, ნაღმი და საავიაციო ბომბი დაატყდა. თავდაცვის ზოლის თითოეულ მეტრზე წუთში ორი-სამი ჭურვი ფეთქდებოდა. გერმანელები გააფთრებული იცავდნენ ლენინგრადის მისადგომებს. საბჭოთა შენაერთებმა ერთი კვირის ბრძოლის შემდეგ, შეძლეს გერმანიის არმიების თავდაცვის ზღუდის გარღვევა.

გამარჯვების შესახებ ჟუკოვმა პირადად მოახსენა სტალინს. როგორც ყოველთვის, სტალინი ამჯერადაც სიტყვაძუნწი იყო.

– ამხანაგო ჟუკოვ, გილოცავთ ამ გამარჯვებას და გაცნობებთ, რომ უმაღლესმა საბჭომ მოგანიჭათ საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება, – თქვა მან და მაშინვე სხვა საკითხზე გადავიდა, – მხოლოდ ბლოკადის გარღვევა არაფერს ნიშნავს, ქალაქს სასწრაფოდ დახმარება სჭირდება. რკინიგზა ისევ მტრის ხელშია, ჩვენ კი ქალაქის მომარაგებისთვის ახალი სარკინიგზო ხაზი გვჭირდება.

ქვეყნის დანარჩენ ნაწილებთან დამაკავშირებელი ლენინგრადის რკინიგზა უნიკალურ მშენებლობად იქცა. სამშენებლო ბრიგადები ფეხდაფეხ მისდევდნენ მოიერიშე ნაწილებს და მათ კვალდაკვალ ალაგებდნენ ლიანდაგებს. ორი კვირის განმავლობაში რკინიგზის ოცდათოთხმეტკილომეტრიანი მონაკვეთი გაიყვანეს და ცხრაასდღიანი ბლოკადით გამოფიტული ქალაქისკენ პირველი ტვირთი დაიძრა. ოპერაცია 12 იანვრიდან 1 მარტამდე მიმდინარეობდა, გერმანელების არმიათა ჯგუფი – „ჩრდილოეთი“ საბოლოოდ განადგურდა. ლენინგრადის მისადგომებთან ჩარჩა ასიათასობით გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჰიტლერმა არ აპატია კლიუხერს ლენინგრადის დაკარგვა, სარდლობა ჩამოართვა და მის ადგილზე გენერალ-პოლკოვნიკი ლინდემანი დანიშნა. ლინდემანმა ვერ შეძლო შეეკავებინა საბჭოთა ჯარების შემოტევა და ისიც შეცვალეს – გენერალ-ფელდმარშალ მოდელით. შედეგი ამანაც არ გამოიღო. საბჭოთა შენაერთები აგრძელებდნენ იერიშებს და გერმანელების ჩრდილოეთის არმიამ და საერთოდ, ჩრდილოეთის ფრონტმა, არსებობა შეწყვიტა.

1944 წელს საბჭოთა ჯარები რუმინეთის მისადგომებთან მივიდნენ. იმ პერიოდში საბჭოთა სარდლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ბრძოლების საზღვრებს გარეთ გადატანა. მაგრამ, რუმინეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა გერმანიის არმიათა ჯგუფის ცენტრი, რომლის შემადგენლობაში 60 დივიზია იყო. მნიშვნელოვანი საბრძოლო გამოცდილებისა და რაოდენობის მიუხედავად, არსებულ ვითარებაში საბჭოთა სარდლებს არ შეეძლოთ ასეთ დაჯგუფებასთან შებრძოლება. მათ, უბრალოდ, არ გააჩნდათ საამისო ძალები. ამით გერმანელები უპირატეს მდგომარეობაში იყვნენ და სწრაფი ტემპით აგებდნენ გამაგრებულ ზღუდეებს და საზღვრისპირა რაიონებს გეგმავდნენ. ვითარების გამოსასწორებლად, სტალინმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. საგანგებო თათბირზე მან ბრძანა, სხვა ფრონტებზე გერმანელი დაჯგუფებების განადგურება და შემდეგ გამოთავისუფლებული საბჭოთა შენაერთების რუმინეთის მიმართულებით გადასროლა. კონკრეტულად, საბჭოთა ჯარებს უნდა გაენადგურებინათ ბალტიისპირეთში დისლოცირებული არმიათა ჯგუფ „ჩრდილოეთის“ ნარჩენები და ასევე, უკრაინაში დისლოცირებულ არმიათა ჯგუფი „ჩრდილოეთ უკრაინა“. ამ გრანდიოზული გეგმის დეტალებს მხოლოდ ხუთი ადამიანი იცნობდა.

გეგმიდან რაიმე ჩანაწერების გაკეთება და მის თაობაზე სატელეფონო საუბრები, სტალინმა კატეგორიულად აკრძალა. გეგმას კი სახელად უწოდა „ბაგრატიონი“.

გეგმის მიხედვით, საბჭოთა ჯარებს ხუთი ფრონტის მიმართულებით უნდა დაერტყათ ბელორუსისა და ბალტიისპირეთისკენ, გაენადგურებინათ მოწინააღმდეგე და შეტევა რუმინეთის მიმართულებით გაეგრძელებინათ. გეგმის საბოლოო ვარიანტის განხილვისას, როკოსოვსკიმ სტალინს ფრონტის მარცხენა ფლანგზე ორი დარტყმის განხორციელება შესთავაზა. სტალინი ყოველთვის მშვიდად ისმენდა მოსაზრებებს, მაგრამ, ამჯერად როკოსოვსკის შენიშვნამ იმდენად გააღიზიანა, სარდალს თათბირის დატოვება უბრძანა. სტალინმა გააგრძელა თათბირი. რამდენიმე წუთის შემდეგ როკოსოვსკი ისევ დაბრუნდა კაბინეტში და სტალინს იგივე მოსაზრება გაუმეორა.

– გაბრძანდით მოსაცდელში და კარგად დაფიქრდით, რას გვთავაზობთ! – ბრძანა სტალინმა.

როკოსოვსკი დაემორჩილა მის ბრძანებას, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ გამოძახებულმა, იგივე მოსაზრება გაუმეორა სტალინს.

მაშინ სტალინმა გაიცინა და თათბირის მონაწილეებს უთხრა:

– ფრონტის სარდლის დაჟინებამ მეც დამარწმუნა მისი გეგმის სისწორეში. კეთილი, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. განვიხილოთ ეს გეგმაც. მოგვიანებით, ჟუკოვი იხსენებდა:

„ჩვენ გაოცებული ვუსმენდით სტალინს, რადგან ვიცოდით ის, რაც არ იცოდა როკოსოვსკიმ – გეგმაში უკვე დამტკიცებული იყო შეტევები, რომლებსაც ის მოითხოვდა, მაგრამ სტალინი მაინც უარით პასუხობდა. ამას უბრალო მიზეზი ჰქონდა – სტალინი უპირატესობას ანიჭებდა გუნდურ გადაწყვეტილებებს და პერიოდულად ამოწმებდა, ემთხვეოდა თუ არა მათი მოსაზრებები ერთმანეთს.

ოპერაცია „ბაგრატიონი“ საიდუმლოდ მზადდებოდა. მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად ამოქმედდა ყველა სადაზვერვო უწყება. ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ საბჭოთა სარდლობა დარტყმას უკრაინის მიმართულებით ამზადებდა. დეზინფორმაციის მიზნით კი, უკრაინის მიმართულებით იგზავნებოდა სარკინიგზო შემადგენლობები, რომლებიც ბუტაფორიული ტანკებითა და არტილერიით იყო დატვირთული. პარალელურად, მიმდინარეობდა ჯარების ფარულად გადაყვანა რუმინეთის მიმართულებით. საბჭოთა სამხედროებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი ამ რთულ ამოცანას. რუმინეთის მიმართულებით გადაისროლეს ფეხოსანთა ხუთი, ორი სატანკო და ერთი საჰაერო არმია. სტალინმა საკუთარი რეზერვებიდან, ამ შენაერთებს დაუმატა ფეხოსანთა ოთხი, ორი სატანკო არმია და ორმოცდაათი ფეხოსანთა დივიზია, რაც, საერთო ჯამში, შეადგენდა 250 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. ასეთი რაოდენობის ჯარებისა და ტექნიკის გადაადგილება კი გერმანელებს შეუმჩნეველი დარჩათ.

1944 წლის 20 მაისს გეგმა „ბაგრატიონი“ ამოქმედდა და გერმანელებმა, რომლებმაც უკრაინაში მოუყარეს ჯარებს თავი, დარტყმა რუმინეთში მიიღეს.

**ვაკო თამაზაშვილი**

# რომელი ფერი მოქმედებს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებსა და ვნებებზე დადებითად და მასტიმულირებლად



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***სახლის, ბინის თითოეულ ოთახს თავისი დანიშნულება აქვს ჩვენს ცხოვრებაში, ფერი კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელსაც შეუძლია ჩვენს ირგვლივ დადებითი განწყობის შექმნა. ასე რომ, ჰკითხეთ საკუთარ თავს, როგორი განწყობის შექმნა გსურთ და შემდეგ შეარჩიეთ სწორი ფერი. ნუ იჩქარებთ გლობალური ცვლილებების განხორციელებას, აჯობებს, დაიწყოთ პატარა, მაგრამ, მიზანმიმართული ცვლილებებითა და სიახლეებით. თუ ახლა იწყებთ ბინის რემონტს, გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები, ხოლო, თუ უკვე მოწყობილ ბინაში ცხოვრობთ და ინტერიერის შეცვლის სურვილი გაგიჩნდებათ, დაიწყეთ დეკორის ელემენტებით: შეიძინეთ ახალი დეკორატიული ბალიში, ახალი ბრა ან ჭაღი და თქვენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდებით მიზანს. მაგალითად:***

**მწვანე** – ხის ფერია, რომელიც ასოცირდება გაზაფხულთან და ზრდა-განვითარებასთან. ის განასახიერებს მშვიდობას, კურნავს სტრესისგან, ამცირებს სულიერ ტკივილსა და შფოთვას. მწვანე უხდება საძინებლებს და, საერთოდ, იმ ოთახებს, სადაც ადამიანი ისვენებს. ღია მწვანე ფერი იდეალურია საბავშვო ოთახისთვის. თუ არ გსურთ მთლიანი ოთახის შეღებვა მწვანედ, მაშინ, ამ ფერის ელემენტები შეიტანეთ ინტერიერში.

**წითელი** – ცხოვრებისეული ენერგიის განმასახიერებელი, მკვეთრი და გამომწვევი ფერია; განაგებს სიძლიერესა და ვნებას. წარმატებით გამოიყენება საწინააღმდეგო სქესის მოსაზიდად. ის ათბობს განწყობას და იქცევს ყურადღებას. გონებაში ეს ფერი, ასევე, ასოცირდება ცეცხლთან, სიცხესთან და სიმდიდრესთან, თუმცა, შეიძლება, სიმორცხვეზე ან კონფლიქტურობაზეც მეტყველებდეს. დაუშვებელია წითელი ფერის გამოყენება საბავშვო ოთახის მოწყობისას. თუ გსურთ, გქონდეთ მხურვალე და ვნებიანი პირადი ცხოვრება, გაამრავალფეროვნეთ საძინებელი წითელი ფერით, თუმცა, მთლიანად წითლად ნუ შეღებავთ, ვინაიდან, შესაძლოა, უძილობის მსხვერპლი გახდეთ. უმჯობესი იქნება, საძინებელი ჩალისფრად შეღებოთ და დეკორის წითელი ელემენტებით მორთოთ. ამ ფერთან არაჰარმონიულია შავი და ცისფერი – წყლის სიმბოლოს ფერები.

**ცისფერი და ლურჯი** – ცისფერი ცისა და ოკეანის, სიმშვიდის ფერია. მას ძლიერი დამამშვიდებელი ზეგავლენა აქვს და აღძრავს სამყაროს შეცნობის სურვილს. ლურჯი ამძაფრებს ინტუიციასა და ადამიანის სულიერ მისწრაფებებს. თუ სახლში გაქვთ მედიტაციისთვის ცალკე ოთახი, მას ყველაზე მეტად ცისფერი ან ლურჯი კედლები შეეფერება. ეს ორივე ფერი, ასევე, იდეალურია აბაზანისთვის.

**ყვითელი** – მზის, აყვავებისა და წარმატების სიმბოლოა და განასახიერებს პოზიტივს. მზის ენერგია სიცოცხლის დასაბამს აძლევს ყველაფერ მშვენიერს ჩვენს სამყაროში: მცენარეებს, ცხოველებს, ადამიანს. ყვითელი აცოცხლებს ყველაზე ულიმღამო დაწესებულებებს, ასევე, ადამიანში აღძრავს კეთილგანწყობასა და სიცოცხლის ხალისს. ეს ფერი აქტიურად გამოიყენება წარმატების მისაღწევად. შეიტანეთ ის თქვენს ბინაში სულიერი სიმშვიდის, სითბოს, კარგი განწყობისა და პოზიტიური აზროვნების მოსაზიდად. ყვითელი ფერი იდეალურია სასტუმრო ოთახის გასაფორმებლად. შეგიძლიათ, ღია ლიმონისფრად შეღებოთ მთლიანად ოთახი ან ყვითელი ფერის ელემენტებით გაამდიდროთ ინტერიერი როგორც სასტუმრო ოთახში, ასევე, სამზარეულოში; მაგრამ, ის ნეგატიურია აბაზანისთვის. ყვითელი, ასევე, სტიმულირებას უწევს გონებრივ შესაძლებლობებს. ამ ფერის ტანსაცმელი ან აქსესუარები რეკომენდებულია მორიდებული ადამიანებისთვის.

**ოქროსფერი** – პატივისცემისა და შენდობის ნიშანია. ამ ფერის სამოსს ჩინეთში მხოლოდ იმპერატორები ატარებდნენ, ასევე, მათი ნათესავები და საიმპერატორო კართან დაახლოებული პირები. ამ ფერის თბილ ანარეკლს შეუძლია ადამიანის ცუდი განწყობის შეცვლა; მას მოაქვს ოპტიმიზმი და აძლიერებს საკუთარი ღირსების შეგრძნებას; აღვივებს ადამიანში ყველა დადებით თვისებას. ოქროსფერი ფულის ფერია, წითელთან შეხამებაში კი ის სიმდიდრისა და ბარაქის სიმბოლოა. ინტერიერში ოქროსფერი ყველაზე ხშირად სწორედ მატერიალური კეთილდღეობის მისაღწევად გამოიყენება.

**ნაცრისფერი** – იდეალურია მოსაცდელი ოთახისა და შემოსასვლელისთვის.

**ყავისფერი** – სტაბილურობის ფერია, უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნებას. კარგია ჯანსაღი ურთიერთობებისთვის. იდეალური ფერია სასადილო ოთახის, სამზარეულოსა და საძინებლისთვის.

ასტროლოგები **იასამნისფერს** ჯადოსნურს უწოდებენ. ის ძალაუფლებასა და სიმდიდრეს განასახიერებს; მჭიდრო კავშირშია ადამიანის სულიერ მხარესთან, აღვივებს ფანტაზიის უნარს; აერთიანებს ენერგიულობასა და სიმშვიდეს. არ შეეფერება ისეთ ოთახებს, სადაც ადამიანი ისვენებს (გონებითა და სხეულით). ამიტომ, ეს ფერი ყველაზე კარგად გამოავლენს თავს სიმდიდრის ზონაში, ბარაქისა და შემოსავლის გააქტიურებისთვის. თუ ზედმეტად მეოცნებე ნატურა ხართ, მოერიდეთ ამ ფერს.

**სტაფილოსფერი** – წარმატებით მოიცავს წითელი ფერის სიძლიერესა და ყვითელი ფერის კეთილგანწყობას. მოაქვს წარმატება, სიკეთე და კეთილგანწყობა. საბავშვო ზონაში პოზიტიური ენერგიის შემატება სწორედ სტაფილოსფერის საშუალებით შეგიძლიათ. მას „განსწავლულობის ფერს“ უწოდებენ, ვინაიდან, ასტიმულირებს გონებრივ აქტივობას, ფანტაზიის უნარსა და წარმოსახვას. სასურველია მისი გამოყენება ოფისებში, სასტუმრო და საკლასო ოთახებში. ის ხელს უწყობს გონებას, დიდი რაოდენობით აღიქვას და დაიმახსოვროს ინფორმაცია.

**თეთრი** – განასახიერებს ადამიანის წმინდა, უბიწო ზრახვებს. სახლში არ უნდა დომინირებდეს მხოლოდ თეთრი. „ფენ შუის“ მიხედვით, ის საკმაოდ ცივ ფერად არის მიჩნეული. გაამდიდრეთ თეთრი კედლები სხვა ფერების საშუალებით და გაიფერადეთ ცხოვრება.

***ასე რომ, სანამ გადაწყვეტთ, რაიმე ცვლილება შეიტანოთ ბინაში, კარგად დაფიქრდით, გაითვალისწინეთ ზემოთ მოყვანილი ასტროლოგიური რჩევები და გაიხალისეთ ცხოვრება სასურველი ფერებით.***

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1986 წლის 21 მაისს, დაახლოებით 13-დან 14 საათამდე. მაინტერესებს, რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ვარ დაბადებული?**

**პასუხი**: თქვენ კუროს ზოდიაქოს ნიშნით ხართ დაბადებული. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ თქვენზე დიდია ტყუპების ზეგავლენა, რადგან, თქვენი დაბადების მომენტიდან 3-4 წუთის შემდეგ, მზე გადავიდა ტყუპების ზოდიაქოს ნიშანში.

**კითხვა: ჩემი შვილიშვილი დაიბადა 2009 წლის 8 აპრილს, ღამის 2 საათსა და 25 წუთზე. გვაინტერესებს, რომელ პროფესიას დაეუფლოს მომავალში, რომ წარმატებას მიაღწიოს ცხოვრებაში?**

**პასუხი**: თქვენი შვილიშვილი ვერძია. მისთვის სამომავლოდ მისაღები და წარმატების მომტანი პროფესიებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, ფოტოგრაფიის ხელოვნება და ბიზნესი; მედიცინიდან – ფარმაცევტიკა, ენდოკრინოლოგია, ყელ-ყურ-ცხვირი; ასევე, პედაგოგიური სფერო, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ფსიქოთერაპია; არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი, სამოდელო სფერო, სასტუმროების ბიზნესი, საქველმოქმედო საქმიანობა, უძრავი ქონების ბიზნესი, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ან ბიზნესი, სამეცნიერო საქმე, საკონდიტრო ბიზნესი ან ინდუსტრია, მშენებლობის ფართო სპექტრი, საინჟინრო საქმე, საარქივო, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო საქმიანობა, საიუველირო საქმე ან ბიზნესი.

**კითხვა: დავიბადე 1965 წლის 9 ივნისს. მაინტერესებს, რა არის ჩემი კარმული მისია და რა გავაკეთო წარმატებების მისაღწევად?**

**პასუხი**: თქვენი კარმული მისია უკავშირდება იმას, რომ მეტად გამოავლინოთ თქვენი ხასიათის დადებითი შტრიხები; იყავით ორგანიზებული, დისციპლინირებული, შეუპოვარი, მომთმენი, შრომისმოყვარე, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანად მხარჯველი და მარტოხელა მებრძოლი; საქმეს მიუდექით მეტი სერიოზულობით. გამოავლინეთ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა – სადაც საჭიროა, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. გამოავლინეთ ლიდერულ-ორგანიზატორული მონაცემები, ამავე დროს, იყავით მაქსიმალისტი. იბრძოლეთ კარიერული წინსვლისთვის, დაასტაბილურეთ საოჯახო ურთიერთობები. ეს ყოველივე ბევრად განაპირობებს თქვენს წარმატებებს ცხოვრებაში. ასევე, პატივი ეცით იერარქიულ სისტემას და ყოველთვის გახსოვდეთ, ვინ არის უფროსი და ვინ – უმცროსი.

# კალეიდოსკოპი

## მამაკაცი ქალთან პირველი შეხვედრისას ვერ ამჩნევს... მკერდს

მეცნიერებმა გადაწყვიტეს, საბოლოოდ გაერკვიათ, რაზე ამახვილებს ყურადღებას მამაკაცი ქალთან პირველი შეხვედრისას. კვლევებმა აჩვენა, რომ, გავრცელებული სტერეოტიპის მიუხედავად, მამაკაცი სულაც არ უყურებს ქალის მკერდს.

1 000 მამაკაციდან დაახლოებით 700-ს უპირველესად თვალები „შემოეფეთება“ ხოლმე; ღიმილი მეორე ადგილზე აღმოჩნდა. ამ სიაში სუსტი სქესის წარმომადგენელთა მკერდმა მესამე ადგილი დაიკავა.

ანალოგიურმა კვლევებმა, რომლებიც ჩატარდა ქალთა შორის, გამოავლინა, რომ ორი სქესი ძალიანაც არ განსხვავდება ერთმანეთისგან: ქალიც, ასევე, უპირველესად, თვალებსა და ღიმილს აფასებს. ამის შემდეგ ისინი ყურადღებას აქცევენ სიმაღლეს და თმას; შემდეგ მოდის: ჩაცმის ცოდნა, წონა, კანი, სახის ფორმა, დუნდულები. უკანასკნელი, რასაც ქალები უყურებენ – მამაკაცის ცხვირია.

მამაკაცები, შეაფასებენ რა თვალებს, ღიმილსა და მკერდს, ყურადღებას აქცევენ თმასა და წონას; შემდეგ ყურადღება გადადის ფეხებზე და მხოლოდ ამის შემდგომ მამაკაცები აფასებენ ჩაცმის კულტურას. დუნდულებმა მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა მეცხრეზეა სიმაღლე და, უკანასკნელი, რაზეც ყურადღებას ამახვილებენ მამაკაცები – კანის მდგომარეობაა.

იმ კომპანიის წარმომადგენელმა, რომელმაც შეუკვეთა ეს კვლევები, აღნიშნა: „თვალები ბევრს გვეუბნებიან ადამიანზე, ამიტომ, არ გვიკვირს, რომ თვალები – სხეულის ის ნაწილია, რაც უპირველეს ყოვლისა გვიზიდავს“...

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# თეატრები

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

15 სექტემბერი, **კვირა** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი”** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

**გაბრიაძის თეატრი**
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

12 სექტემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა”** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

13, 15 სექტემბერი, **პარასკევი, კვირა** 20.00 - **„რამონა”** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

14 სექტემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა”** – (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

## ორშაბათი 9 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ალენ ბაშუნგი" **09.00** ან/ფ "სკუბი-დუ! აბრაკადაბრა-დუ" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე"**12.35** მხ/ფ **"მე სემი ვარ"** (მ. პფაიფერი) **14.30** დ/ფ "რუკების სილამაზე" **15.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **16.20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. **საქართველო–ესპანეთი** (პ/რ)**18.20** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** მხ/ფ " **სისხლიანი ალმასი**"(ლ. დიკაპრიო) **00.30** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები"**00.00** "საფარი" **26**-ე გადაცემა.

**7.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.10, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება)**10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"**11.20** სერ. **"ცივი გული"**12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ)**14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"**17.50, 19.05** სერ. **"უდანაშაულო"** **1** სერ.**21.00** სერ. **"დაბრუნება"**22.00** იურმალა (გ/ჩ)**00.45** მხ/ფ **"მეგობრის საქმრო"** (ჯ.კრასინსკი).

**7.30** დილა მშვიდობისა საქართველო - დაწყება**10.00** სერ. **"ერთგულების ქალა"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" - დაწყება**15.30** შერეკილები **17.00** სერ.**"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ. **"ტიტების დრო"** **22.00** სერ.**"დასასრული"** **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30** მალვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **10.15, 16.00** **სერ**. **"ღრუბლებს მიღმა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30, 15.40, 2.00, 6.00** ფარული კამერა **17.45, 21.30, 0.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **19.00** **სერ**. **"1001 ღამე"** **21.45** **სერიალი** **"დიდებული საუკუნე"** **23.00, 4.00** "კინო მაესტროზე".

**6.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ **"უკვდავების თეთრი ვარდი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"იყო შაშვი მგალობელი"** **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - **"ვალი"** **17.05** კონცერტი - შავლეგ შილაკაძე "ლოცვა" **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.45** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"მხიარული რომანი"** **20.40** ძილი ნებისა **21.25** საღვთისმეტყველო საუბრები - დეკანოზი ლევან მათეშვილი- იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების შესახებ **22.25** დოკ/ფ "პირიქითა ხევსურეთი" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"პეიტარი"** **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** I ნაწ. **02.00** ირაო.

## სამშაბათი 10 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" **09.00** ან/ფ "სკუბი-დუ! ბანაკის საშინელებანი" **10.30** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "თუ დედამთალი ურჩხულია" (ჯ.ლოპესი) **14.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **15.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** **18.00** დ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" **19.05** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **20.55** **ფეხბურთი**. მსოფლიოს **2014** წლის ჩემპიონატის შესარჩევი. **საქართველო–ფინეთი**. (პ/რ) **23.30** მხ/ფ **"გრძნობით შეპყრობილი"** (გ.პელტროუ).

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.10, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **11.20** სერ. **"ცივი გული"** **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კონცერტი: "სუხიშვილები" **1** ნაწილი **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50, 19.05** სერ. **"უდანაშაულო"** **2** სერ. **21.00** სერ. **"დაბრუნება"** **22.00** იურმალა (გ/ჩ) **00.45** მხ/ფ **"ჰოლივუდური ფინალი"** (თ. ლეონი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ქალა"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ.**"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** სერ.**"დასასრული"** **23.00** გააცინე და მოიგე **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30** მალვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **9.45** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.15, 16.00** **სერ**. **"ღრუბლებს მიღმა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30, 15.30, 2.00, 6.00** ფარული კამერა **17.45, 21.30, 0.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **19.00** **სერ**. **"1001 ღამე"** **21.45** **სერიალი** **"დიდებული საუკუნე"** **23.00, 4.00** "კინო მაესტროზე".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "პირიქითა ხევსურეთი" **10.10** დოკ/ფ "შუშანიკის წამება" **10.30** დოკ/ფ "უბისა" **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მხიარული რომანი"** **13.20** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45, 23.40** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.55** კონცერტი - "იყო ხილვის სიხარული" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** ლიტერატურული თეატრი "წმინდა შუშანიკი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "თქვენი წმინდა დიდმოწამე შუშანიკი დედოფალი" **23.45** ჩვენი ფონდი "წმინდა დიდმოწამე შუშანიკი" (მამა ზურაბ მჭედლიშვილი) **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** II ნაწ. **02.00** ირაო.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**9 – 15 სექტემბერი**

*დარბაზი 1*

12.30, 14.45, 17.30, 20.00 - **„საზიზღარი მე 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„2 იარაღი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 2*

14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„რა მოხდა კიევში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.15 - **„ჩვენ ვართ მილერები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

14.45, 17.15 - **„2 იარაღი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

19.45 - **„თანაკლასელები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„პერსი ჯექსონი: მონსტრების ზღვა"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30, 17.30, 20.00, 22.30 - **„თანაკლასელები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„1დ: ეს ჩვენ ვართ"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00 - **„2 იარაღი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

22.30 - **„საზიზღარი მე 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.45, 17.45 - **„საზიზღარი მე 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

19.45, 22.30 - **„Kick-Ass 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.30, 17.15 - **„Kick-Ass 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

20.00 - **„საზიზღარი მე 2"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„თანაკლასელები 2"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com




მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის
ნაადრევ დაბერებას

# გამომცხვარი ფილე





**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ნაჭერი ქათმის ფილე, გოგრის ნახევარი (500-600 გრამი), 2-3 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი, 200 გრამი ყველი, 1 ცალი მომცრო ზომის ლიმონი, მარილი, შავი პილპილი, თუ გნებავთ და მოგწონთ – კამა, 3-4 კოვზი ზეთი.

**მომზადების წესი:** ქათმის ფილე გაჭერით სიბრტყეზე და შუაში. ჩააწყვეთ ნაჭრები თასში. მოაყარეთ მარილი, პილპილი და მოასხით გამოწურული ლიმონის წვენი, აურიეთ და გააჩერეთ 15 წუთის განმავლობაში.

კარტოფილი გათალეთ. დაჭერით მომცრო ზომის კუბიკებად. გოგრის რბილობიც დაჭერით კუბიკებად, ოღონდ, კარტოფილის კუბიკებზე მსხვილად. კარტოფილი და გოგრა მოათავსეთ ერთად, მოაყარეთ მარილი, წვრილად დაჭრილი კამა, მოასხით ცოტა ზეთი და კარგად ამოურიეთ. ყველი გახეხეთ მსხვილ სახეხზე. ფოლგა გაშალეთ, მოათავსეთ მასზე კარტოფილი და გოგრა, ზემოდან დააწყვეთ ფილეს ნაჭრები, მოაყარეთ გახეხილი ყველი და შეფუთეთ (კონვერტის ფორმა უნდა ჰქონდეს). დადეთ გამოსაცხობ ტაფაზე და მოათავსეთ 170-180 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში. 30-40 წუთში უგემრიელესი კერძი მზად არის.

შეგიძლიათ, ოთხი „კონვერტი“ გააკეთოთ და ოთხი ულუფა მზად გექნებათ, ან, ერთი დიდი ფოლგა აიღოთ და კერძი ერთ დიდ ულუფად მოამზადოთ.

# ქიშმიშიანი ღვეზელი





**საჭირო ინგრედიენტები:** 2,5 ჭიქა ფქვილი, 1, 5 ჭიქა შაქარი, 2 ცალი კვერცხი, 1 ჭიქა მაწონი ან კეფირი, 100 გრამი გამდნარი კარაქი, 0,5 ჩაის კოვზი სოდა ცოტა ძმრით; 0,5 შეკვრა ვანილი, ცოტა მარილი, შაქრის პუდრი, ქიშმიშის რაოდენობა თავად განსაზღვრეთ.

**მომზადების წესი:** შეგიძლიათ, ცომი მოამზადოთ ხელით ან მიქსერით. ქიშმიშს დაასხით მდუღარე წყალი. აირღუმელი წინასწარ გააცხელეთ. ჯერ ათქვიფეთ კვერცხი და შაქარი, დაუმატეთ მაწონი (კეფირი), გამდნარი კარაქი, ვანილი, ცოტა მარილი. ჩაუმატეთ ძმარში გახსნილი სოდა, ფქვილი, ქიშმიში და კარგად ამოურიეთ. ფორმაზე დააფინეთ გამოსაცხობი ქაღალდი. მოათავსეთ მასზე ცომი და ხელისგულით გააბრტყელეთ. გამოაცხვეთ 160-180 გრადუს ტემპერატურაზე 40 წუთის განმავლობაში.

გამორთვის შემდეგ ნახევარი საათი აირღუმელი არ გააღოთ, მერე კი თქვენი ღვეზელი ასანთის ღერით შეამოწმეთ. ბოლოს მოაყარეთ შაქრის პუდრი. იდეალურია ჩაისთან და ყავასთან.

# „კიშ ლორენი“ – სოკოთი და ყველით







**საჭირო ინგრედიენტები:** 1,5 ჭიქა ფქვილი, 125 გრამი კარაქი ან მარგარინი, 3-4 სადილის კოვზი არაჟანი, 500 გრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 1 კონა შერეული მწვანილი, 200 მილილიტრი ნაღები (15-20-პროცენტიანი), 3-4 ცალი კვერცხი, 150 გრამი მაგარი ყველი, ცოტა მუსკატის კაკალი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ფქვილში შეურიეთ წვრილად დაჭრილი კარაქი (ან მარგარინი). კარგად ასრისეთ ხელით, წვრილად რომ დაქუცმაცდეს. დაუმატეთ მწიკვი მარილი და არაჟანი. მოზილეთ ნაზი, მაგრამ, მკვრივი ცომი. თუ საჭირო იქნება, არაჟანი კიდევ დაუმატეთ. ცომი ბურთივით დაამრგვალეთ, შეახვიეთ საკვებ ცელოფანში და მოათავსეთ მაცივარში 1 საათით.

ქამა სოკოდან ამოარჩიეთ სამი ერთნაირი, შედარებით მოზრდილი სოკო, დანარჩენები ფირფიტებად დაჭერით. გადარჩეული სოკოები გაჭერით შუაში ისე, რომ „ფეხიც“ შეუნარჩუნდეს. ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად. თუ მწვანე ხახვი გაქვთ, მუქი ფოჩები მოაშორეთ, დანარჩენი კი გამოიყენეთ.

სოკო მოშუშეთ ზეთში, სანამ სითხე ბოლომდე არ ამოშრება. დაუმატეთ ხახვი და ოდნავ ჩაშუშეთ (დიდი დრო არ სჭირდება). ცომი გამოიღეთ და თანაბრად გააბრტყელეთ ფორმაში. წაუსვით ზედაპირზე კარაქი. ნაპირები ამოუკეცეთ. 15-20 წუთით მოათავსეთ ფორმა ცხელ ღუმელში 180 გრადუსზე.

სანამ ის ცხვება, მოამზადეთ სატენი. კვერცხი კარგად გათქვიფეთ. დაუმატეთ მწვანილი, ცოტა მარილი, პილპილი და მუსკატის კაკალი. ჩაუმატეთ ნაღები და ყველაფერი კიდევ კარგად ამოურიეთ. ყველი გახეხეთ. ცოტაოდენი ცალკე შეინახეთ, დანარჩენი კი შეურიეთ კვერცხის მასას. ნახევრად გამომცხვარი ცომი გამოიღეთ, მის ზედაპირზე მოათავსეთ მოშუშული სოკო ხახვით, მოასწორეთ და მოასხით გათქვეფილი კვერცხი ყველით, ისევ მოასწორეთ და მოათავსეთ აირღუმელში. ფეხიანად დაჭრილი სოკოები, რომლებიც ცალკე გქონდათ გადანახული, შეწვით (ოდნავ შეფერადება საკმარისია). როცა ღვეზელი ოდნავ შეწითლდება, გამოიღეთ. დააწყვეთ მის ზედაპირზე სოკოს ნაჭრები, მოაყარეთ გახეხილი ყველი (ცალკე რომ გქონდათ) და ღვეზელი ისევ მოათავსეთ აირღუმელში. 10 წუთში მზად იქნება. გააცივეთ ფორმაშივე და მერე დაჭერით. ცივიც ძალიან გემრიელია.


სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ქათმის მსუბუქი წვნიანი

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ლიტრი წყალი, 4 ცალი კარტოფილი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 1 კონა კამა, 400 გრამი ქათმის ფილე, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცს დაასხით წყალი და დადგით მოსახარშად. მოხადეთ ქაფი. როდესაც ხორცი მოიხარშება, ქვაბიდან ამოიღეთ. ბულიონში ჩაამატეთ გაფცქვნილი ხახვი, დაჭრილი სტაფილო, კარტოფილი და დადგით ცეცხლზე. ბოსტნეული რომ მოიხარშება, დაუმატეთ მარილი, პილპილი, დაფნის ფოთოლი, დაჭრილი ქათმის ხორცი და 2 წუთი ადუღეთ. ბოლოს ჩააყარეთ დაჭრილი კამა და გადმოდგით ცეცხლიდან.



# ღვიძლის კატლეტი



**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ღვიძლი, 1 ჭიქა ბრინჯი, 2 თავი ხახვი, 1,5 სადილის კოვზი ფქვილი, 1 სადილის კოვზი მაიონეზი, 2 ცალი კვერცხი, 1 სადილის კოვზი სახამებელი, ზეთი – შესაწვავად, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი და უმი ღვიძლი ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ. დაუმატეთ მოხარშული ბრინჯი, ფქვილი, სახამებელი, მაიონეზი, კვერცხი, მარილი და პილპილი და კარგად აზილეთ. ფარში ამოიღეთ დასველებული კოვზით, მიეცით კატლეტის ფორმა, ამოავლეთ საფანელში, მოათავსეთ გახურებულ ტაფაზე დასხმულ ზეთში და შეწვით ორივე მხრიდან.

# ქათმის ღვეზელი

**საჭირო ინგრედიენტები:** ცომის ხაშისთვის: 100 მილილიტრი თბილი წყალი, 1 ჩაის კოვზი შაქარი, 1 ჩაის კოვზი მშრალი საფუარი. ცომისთვის: 2 სადილის კოვზი არაჟანი, 1 ცალი კვერცხი, 0,5 ჩაის კოვზი მარილი, ფქვილი – რამდენსაც შეიზელს; გულსართისთვის: 3 ცალი ქათმის ფილე, მარილი, პილპილი, მწვანილი – გემოვნებით. სოუსისთვის: 1 ჭიქა რძე ან ქათმის ბულიონი, 50 გრამი კარაქი, 1-1,5 სუფრის კოვზი ფქვილი, მარილი და ჯავზი – გემოვნებით. გასაპოხად: 2-3 ჩაის კოვზი ფქვილი და ცოტა კარაქი. დამატებით: 1 კვერცხის გული, 1 სადილის კოვზი რძე, 50 გრამი დარბილებული კარაქი.

**მომზადების წესი:** თბილ წყალში გახსენით საფუარი და შაქარი და გააჩერეთ 15 წუთი. როდესაც გაფუვდება, დაუმატეთ არაჟანი, კვერცხი და მარილი. მასას ნელ-ნელა დაამატეთ ფქვილი და მოზილეთ ნაზი ცომი. დადგით ასაფუებლად. ქათმის ფილე მოხარშეთ და წვრილად დაჭერით. მოამზადეთ სოუსი: ღრმა ტაფაში გაადნეთ კარაქი, ჩაყარეთ ფქვილი და თან ურიეთ, რომ კარგად გაიხსნას. წვრილი ნაკადით ასხით რძე ან ბულიონი და ისევ ურიეთ. სოუსს უყავით მარილი და ჯავზი. 2-3 წუთში გადმოდგით ცეცხლიდან და, თუ მასა არაერთგვაროვანი იქნება, დააბლენდერეთ. ქათმის ხორცს შეურიეთ სოუსი, დაჭრილი მწვანილი, მარილი და პილპილი. ცომი ორ ნაწილად გაყავით. შედარებით მოზრდილი ნაწილი გააბრტყელეთ და ჩააფინეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ ფორმაში. გაუკეთეთ გვერდები და შიგ მოათავსეთ გულსართი. ზემოდან დააფინეთ ცომის მეორე ფენა და 20 წუთი თბილად გააჩერეთ. შემდეგ ზემოდან წაუსვით რძეში გახსნილი კვერცხის გული და 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში აცხვეთ, სანამ არ გაოქროსფრდება. ცხელ ღვეზელს წაუსვით კარაქი და გააჩერეთ ცოტა ხანს, შემდეგ კი დაჭერით.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 11 სექტემბერი

08.00 დ/ფ " სკეიტბორდის ისტორია" 09.00 საბ. მხ/ფ **"ნენსი დრიუ"** 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ **"გზა და კავშირი"** (კ.ბეიკონი) 14.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 15.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა"** 17.00 მხ/ფ **" ამერიკის საიდუმლო"** 19.05 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 21.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 22.50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/ სლოვენიიდან.) 00.50 მხ/ფ **"სასიკვდილო იარაღი-3"** (მ.გიბსონი).

07.30 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა 08.10, 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) 10.05 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 11.20 სერ. **"ცივი გული"** 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50, 19.05 სერ. **"უდანაშაულო"** 3 სერ. 21.00 სერ. **"დაბრუნება"** 22.00 იურმალა (გ/ჩ) 00.45 მხ/ფ **"უცნაური შეხვედრა"** (ჯ. ბინოში").

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) 17.00 სერ.**"ნამდვილი გრძნობა"** 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 22.00 სერ.**"დასასრული"** 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.).

7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30 მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) 10.15, 16.00 **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.30, 15.40, 2.00, 6.00 ფარული კამერა 17.45, 21.30, 0.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 4.00 "კინო მაესტროზე".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი "წმინდა დიდმოწამე შუშანიკი" (მამა ზურაბ მჭედლიშვილი) 10.50 სადვთისმეტყველო საუბრები - დეკანოზი ლევან მათეშვილი - იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების შესახებ 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45, 21.55 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.50 კონცერტი - ანს."სახიობა" 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ოთარაანთ ქვრივი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 "თვენი" წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 იოანე ნათლისმცემლის შობა 23.40 "ჩვენი ფონდი" იოანე ნათლისმცემლის იკონოგრაფიის შესახებ (ნ.ბურჭულაძე) 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** III ნაწ. 02.00 ირაო.

## ხუთშაბათი 12 სექტემბერი

08.00 დ/ფ " ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო" 09.00 საბ. ან/ფ "მარსიანელი ბავშვი" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ **"გაიქეცი მსუქანო გაიქეცი"** (დ.შვიმერი) 14.30 დ/ფ "დიდი ხელოვნება" 15.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა"** 16.20 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) 18.20 დ/ფ "ანტიკური მსოფლიო" 19.05 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 21.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 22.00 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" 22.50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) 01.00 დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი".

07.30 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა 08.10, 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) 10.05 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 11.20 სერ. **"ცივი გული"** 12.30 ქალები თუ კაცები (გ/ჩ) 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50, 19.05 სერ. **"უდანაშაულო"** 4 სერ. 21.00 სერ. **"დაბრუნება"** 22.00 იურმალა (გ/ჩ) 00.45 მხ/ფ **"შურისმაძიებელი ანგელოზები"** (ს. სტალონე)

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ერთგულების ძალა"** 11.00 სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 გააცინე და მოიგე გ/ჩ 17.00 სერ.**"ნამდვილი გრძნობა"** 18.50, 19.50 სერ.**"ტიტების დრო"** 22.00 სერ.**"დასასრული"** 00.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.).

7.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30 მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) 9.45 გადაცემა "პულსი" (გამ.) 10.15, 16.00 **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.30, 15.30, 2.00, 6.00 ფარული კამერა 17.45, 21.30, 0.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერ. "1001 ღამე"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 4.00 "კინო მაესტროზე".

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** III ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 09.05,18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.45 მოკ/ფ **"რა გაცინებს!"** 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"ოთარაანთ ქვრივი"** 13.20 ქართული მულტფილმი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.55 მოკ/ფ **"მიხა"** 16.30 კონცერტი -კამერული მუსიკის დასკვნითი კონცერტი 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"აურზაური სალხინეთში"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.20 "ჟურნალისტის დღიური " 22.45 ჩვენი ფონდი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ლაზი ვორე,ლაზი ქართველი ჭანი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.50 მხ/ფ **"მოკვეთილი"** 01.15 ირაო.

## პარასკევი 13 სექტემბერი

08.00 დ/ფ " ფუტკრების გაუჩინარების საიდუმლო" 09.00 საბ./ფილმი: " საოცარი მისტერ ბარნანდერი" 10.30 ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" 11.00 "გურმანია" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ **"თმის ლაქი"** 14.30 დ/ფ "დიზაინი" 15.00 ტ/სერ. **"ჭორიკანა"** 17.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 18.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 19.05 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 21.00 ტ/სერ. **"ზღვარს მიღმა"** 22.50 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) 00.00 მხ/ფ **"ნაპერწკალი"**.

07.30 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 08.10, 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) 10.05 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 11.20 სერ. **"ცივი გული"** 12.30 ქალები თუ კაცები (გ/ჩ) 14.40 იმედის გმირები (გ/ჩ) 15.15 რომ გადახვალ გააჩერე (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50, 19.05 სერ. **"უდანაშაულო"** 5 სერ. 21.00 სერ. **"დაბრუნება"** 21.50 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ **"სამი მუშკეტერი"** ( კ. საზერლენდი)

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ერთგულების ქალა"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (კვირის გ/ჩ) **17.00** სერ.**"ნამდვილი გრძნობა"** **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** სერ.**"დასასრული"** **23.00** ვანოს შოუ - დაწყება **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30** მალვიძარა (კოლაჟი) **10.15, 16.00** **სერ. "ღრუბლებს მიღმა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.40, 15.40, 2.00, 6.00** ფარული კამერა **14.00** "კვირის აბები" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **19.00** **სერ. "1001 ღამე"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 4.00** "კინო მაესტროზე".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** მხ/ფ **"მოკვეთილი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "ლაზი ვორე, ლაზი ქართველი ჭანი" **11.10** ჩვენი ფონდი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"აურზაური სალხინეთში"** **13.25** ქართული მულტფილმი **13.35** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.40** კონცერტი - ვენის სიმფონიური ორკესტრი **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"შეხვედრა მთაში"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.35** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ოვალური ბურთი" **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ **"ნერგები"** **02.15** ირაო.

## შაბათი 14 სექტემბერი

**08.00** საბ. მხ/ფ " **პატარა პრინცესა"** **09.30** საბავშვო ან/სერ. " სუპერგმირების ლეგიონი" **10.30** საბ. ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30** I არხი წარმოგიდგენთ – "ღიმილი მინდა" **14.00** ფილმი ნოსტალგია: **"ვერცხლის ტბის განძი"** **16.20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **18.20** **"10|10"** **19.00** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** **20.35** ქართ. მხ/ფ **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **22.05** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი II ჯგუფური ეტაპი. (პ/სლოვენიიდან) **00.50** მხ/ფ **"სირიანა"** (მ.დეიმონი).

**08.00** მხ/ფ **"სცენის ვარსკვლავი"** **10.00** ან/ფილმი: "ავატარი" **30"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ეკოვიზია **12.00** ქ.მხ/ფ **"ფეოლა"** **13.00** სერ. **"ჰანა მონტანა"** მე–**3"** **4** სერ. **14.30** მხ/ფ **"სამი მუშკეტერი"** (პარ. გ/ჩ) **17.50, 19.05** სერ. **"უდანაშაულო"** **6** სერ. **21.00** ფულთან თამაში **22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** **1** სერ. **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ **"ზღვარს მიღმა"** (ე. კორნიში) **01.45** მხ/ფ **"სიკვდილის შემდეგ"** (ჟ. კ. ვან დამი) (ტიტ).

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ "CJ7" **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი - დაწყება **14.00** შერეკილები **18.50, 19.50** სერ.**"ტიტების დრო"** **22.00** სერ.**"დასასრული"** **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 1.00, 3.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00** **სერ. "1001 ღამე"** **10.30** გადაცემა "პულსი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **21.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** **სერიალი "სკანდალი"** **0.30, 5.30** ფარული კამერა **1.30, 3.30** "კინო მაესტროზე".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 18.30, 21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"შეხვედრა მთაში"** **13.25** დოკ/ფ "სიაუშ ქართველი" **14.25** მოკ/ფ **"ზღარბი"** **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05, 18.05** ოპერა - **"სევილიელი დალაქი"** **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექსით ქებათა ქება **21.35** ერთი დღე მონასტერში **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **22.50** "თვენი"-ინდიქტიონი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **22.15** ქართული ხმები **00.35** მხ/ფ **"მოხუცი და ზღვა"** **02.00** ირაო.

## კვირა 15 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00** დ/ფ " ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში" **10.00** საბ. ან/სერ. " სუპერგმირების ლეგიონი" **11.00** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.20** "პეპე და მეგობრები" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" – მ. თუმანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი: **"ბნელ ოთახში"** **14.30** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **15.30** "ჩვენი ფერმა" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** I არხი წარმოგიდგენთ – შერონ მარტინი და მისი ჯგუფი **18.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **19.00** ტ/სერ. **"დოლმენი"** **20.45** "უცნობი მუსიკა" **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი. (პ/რ) **00.50** მხ/ფ **"ბეწვი"** (ნ.კიდმანი).

**08.00** მხ/ფ **"ყინულის პრინცესა"** **10.00** ან/ფილმი: "ავატარი" **32"** **33**–ე სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** **1** სერ. (შაბ. გ/ჩ) **13.00** სერ. **"ჰანა მონტანა"** მე–**5"** **6** სერ. **14.30** ქ.მხ/ფ **"ხარება და გოგია"** **17.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **18.00, 19.05** სერ. "დაწყევლილი სახლი" **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** მე–**2** სერ. **23.00** რომ გადახვალ გააჩერე **23.30** მხ/ფ **"გამარჯვებისთვის დაბადებული"** პრემიერა **01.05** მხ/ფ **"რიდიკის თავგადასავალი"** (ჯ. დენჩი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.00** მხ/ფ"Zathura: A Space Adventure" **11.00** შიშის ფაქტორი **12.00, 12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **14.00** შერეკილები - დასკვნითი **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** თურქული სერ. **"დასასრული"** **23.00** კომედი შოუ - დაწყება **00.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **00.30** მხ/ფ.

**7.00, 0.00, 1.00, 3.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30** **სერ. "1001 ღამე"** (გამ) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.00, 12.30, 15.30, 19.00** **სერ. "1001 ღამე"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.30** "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება **21.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00** **სერიალი "სკანდალი"** **0.30, 5.30** ფარული კამერა **1.30, 3.30** "კინო მაესტროზე".

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05, 21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ჩვენი ტრაპეზი **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მეტიჩარა"** **12.15** ერთი დღე მონასტერში **13.40** ქრისტიანული ხელოვნება **14.20** ისტორიის გაკვეთილი **15.05, 18.05, 21.05, 00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.40** მხ/ფ **"გიორგობის თვე"** **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.30** მხ/ფ **"დიდი ვალსი"**.



**ვერძი**

ყურადღება მიაქციეთ ახლობლების შემოთავაზებებს. გამოიყენეთ ეს დრო მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გამოცდილი ადამიანები მიზნის მიღწევაში დაგეხმარებიან. მოგზაურობისას დაწყებული სასიყვარულო რომანი კი, არ არის გამორიცხული, დიდ გრძნობაში გადაიზარდოს.



**კურო**

კარგია იურიდიული და საზოგადოებრივი საქმიანობა. ოჯახურ, სასიყვარულო და პარტნიორულ ურთიერთობებში მეტი მოთმინება გამოიჩინეთ. თავი შეიკავეთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისგან და კარგად გადაამოწმეთ ყველა ინფორმაცია. კარგია მკურნალობის დაწყება და გარეგნობის მოწესრიგება.



**ტყუპები**

სასურველი ფინანსური მდგომარეობის მისაღწევად უნდა გამოავლინოთ მოთმინება და პროფესიონალიზმი. ოჯახურ და სასიყვარულო სფეროში, სიძნელეების დაძლევაში, ახლობლები დაგეხმარებიან. მოერიდეთ ფიზიკურ შრომას და მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას.



**კირჩხიბი**

გაიფართოვეთ საქმიანი წრე და თამამად მიიღეთ ახალი შემოთავაზებები. დაფიქრდით რისი შეცვლაა აუცილებელი სამსახურში. სასიყვარულო სფეროში ორაზროვანი სიტუაციები მომატებს, გაირკვევა საიდუმლოებები და გაიზრდება ინტრიგები.



**ლომი**

საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების დროს ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს. ნუ იქნებით მომთხოვნი საყვარელი ადამიანის მიმართ. შეამცირეთ კონტაქტები და ეცადეთ, სიტყვაზე არ ენდოთ ახალგაცნობილ ადამიანებს. ქალაქგარეთ ხშირი გასვლა კი ძალების აღდგენაში დაგეხმარებათ.



**ქალწული**

გაზრდილი ფიზიკური აქტივობით არაერთ პრობლემას მოაგვარებთ. არ არის გამორიცხული, საინტერესო პერსპექტივების წინაშე აღმოჩნდეთ, რასაც ცოტა რისკიც დასჭირდება. პირად ცხოვრებაში რაიმე ცვლილება მოსალოდნელი არ არის.



**სასწორი**

ეცადეთ, ამ პერიოდში არაფერი შეცვალოთ, რადგან, ეს დამატებით სირთულეებს შეგიქმნით. სამსახურში პრობლემებს ადვილად მოაგვარებთ. მიხედეთ ჯანმრთელობას. სასიყვარულო სფეროში კი გამოავლინეთ მეტი დიპლომატია.



**მორიელი**

პრაქტიკულობით ბევრი საქმის შესრულებას შეძლებთ. ფიზიკური და შემოქმედებითი აქტიურობის პერიოდია. დაამყარეთ პარტნიორული ურთიერთობები. გამოსწორებას დაიწყებს ფინანსური მდგომარეობაც. მომატებს შემოსავლები.



**მშვილდოსანი**

კარგია ვაჭრობა და ხანგრძლივი პროექტების დაწყება, თუმცა, გაგიძნელდებათ საქმიანი მოლაპარაკებების წარმართვა. ირგვლივ სანდო ადამიანები შემოიკრიბეთ. შემცირებული ენერგეტიკული პოტენციალი მეტ დასვენებას მოგთხოვთ, ამიტომ, აუცილებლად გამონახეთ დრო ამისთვის.



**თხის რქა**

წინასწარ აირჩიეთ მიზნისკენ მიმავალი გზა და სამოქმედო ტაქტიკა. იმოქმედეთ მონდომებით. სასიყვარულო სფეროში კი ერიდეთ ცვლილებებს. კარგია, თუ ოჯახის წევრებთან ერთად შეძლებთ დასვენებას.



**მერწყული**

კარგ შემოსავალს მიიღებთ ადრე დაწყებული საქმისგან. მაქსიმალურად დაიცავით სამართლიანობა და ნუ გარისკავთ. საყვარელი ადამიანის მიმართ იყავით ერთგული და ის ამას დაგაფასებს. შეამცირეთ გადაადგილებები და უცხო ხალხთან კონტაქტი.



**თევზები**

ეს პერიოდი გამორჩეული იქნება ბევრი კონტაქტითა და ახალი ნაცნობობით. ფინანსური მდგომარეობა კი დამოკიდებული იქნება თქვენს მოქმედებებზე. კარგია გარეგნობის შეცვლა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. გონებამახვილობით, იუმორითა და დიპლომატიით საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს ადვილად მოხიბლავთ.

**ახალმთვარეობა – 5 ოქტომბერი, 00 სთ: 31 წთ.**

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ორშაბათი**
**გეომაგნიტური დღე**

არ გირჩევთ მოლაპარაკებებსა და მოგზაურობას. მაღალია ტრავმებისა და ავარიების ალბათობა. ატარეთ შავი, წითელი, ყვითელი, შინდისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ქრიზოპრაზი, იასპი ან ამეთვისტო. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს, რადგან მათი ახდენა საეჭვოა. მოერიდეთ საბუთების გაფორმებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. კარგია მანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

**სამშაბათი**

კარგია სასიყვარულო კავშირები, სამედიცინო კვლევები, მასაჟი და კოსმეტიკური პროცედურები. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, შავი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ონიქსი, იასპი ან ზურმუხტი. ნუ მოუყვებით სიზმრებს სხვებს. მოერიდეთ მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. კარგია თვითშემეცნება, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, უცხოელებთან კონტაქტი. დღეს შეჭრილი თმა სწრაფად გაიზრდება. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

**ოთხშაბათი**

მოერიდეთ ვნებების გამოხატვას, ეჭვიანობას, ემოციურობას. ატარეთ წითელი, ლურჯი, ცისფერი, იისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ქარვა, აქვამარინი, წითელი იასპი ან ლაზურიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. შეამცირეთ კონტაქტები, აკონტროლეთ აზრები და მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. არ ვარგა მშენებლობა; კარგია უცხოელებთან კონტაქტი, იურიდიული საქმიანობა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

**ხუთშაბათი**
**გეომაგნიტური დღე**

ინტუიციაზე დაყრდნობით შეძლებთ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. მოერიდეთ მშენებლობას. ატარეთ წითელი, ცისფერი, ლურჯი, იისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, სარდიონი, ლაზურიტი, ჯესპილიტი ან გელოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საქმიანობა, მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

**პარასკევი**
**გეომაგნიტური დღე**

ნუ აჰყვებით ილუზიებს. აკონტროლეთ სიტყვები და აზრები. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, მოგზაურობა, უცხოეთში კაპიტადაბანდება, იურიდიული საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა. ატარეთ წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი, ყავისფერი, კრემისფერი, ნაცრისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ონიქსი, ქრიზოპრაზი, საფირონი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, გაცვლითი ოპერაციები, ახალი კავშირების დამყარება. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

**შაბათი**

კარგია ახალი ნაცნობობა. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, ახლობლებს, ტრადიციების დაცვას. აკონტროლეთ უარყოფითი ემოციები. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, ოქროსფერი, კრემისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ყვითელი იასპი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

**კვირა**

მოერიდეთ ბევრ ხალხთან ურთიერთობას. ატარეთ ყავისფერი, ჩალისფერი, ოქროსფერი, მწვანე, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ლურჯი, წითელი, ვარდისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, საფირონი, აკვამარინი ან ცირკონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება, გართობა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, სახსრები, ნერვული სისტემა, თვალები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### თუშიშვილი

ქართული გვარების ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს ტომის, ეროვნების ან სადაურობის, ანუ, წარმოშობის ადგილის აღმნიშვნელი გვარები.

გავრცობილი სახით გვხვდება, ასევე, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სახელწოდებათაგან ნაწარმოები გვარები, მაგალითად: ქართველიშვილი გავრცელებული გვარია დასავლეთ საქართველოში, ნიშნავს „ქართლელის შვილს“ აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში გადასულს; იმერლიშვილი ქართველიშვილის საპირისპირო მნიშვნელობისაა და გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში; კახელიშვილი, **თუშიშვილი**, ფხოველიშვილი (ფხოვი ფშავის ძველი სახელწოდებაა, აქედან ჩნდება ფხოველი, ანუ ფშაველი და ასე შემდეგ).

**„თუშიშვილის** მიწა ესაზღვრება ბერუა ბერიშვილის მიერ თევდორე ბერიშვილისთვის მიყიდულ მიწას“ (მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარი).

ჭიჭია **თუშიშვილი** შეტანილია ალავერდის ტაძრის საკომლოების ნუსხაში, მეჩვიდმეტე საუკუნეში.

ამავე ფუძისაა გვარები: **თუშაბრამიშვილი, თუშმალიშვილი (თუშმალოვი), თუშურაშვილი, თუშური (თუშუროვი).**

საქართველოში 871 **თუშიშვილი** ცხოვრობს: თელავში – 342, თბილისში – 231, გარდაბანში – 56. არიან სხვაგანაც.

### ზაქაიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ზაქა**, რომელიც **ზაქარიას** შემოკლებული ფორმაა.

**ზაქაიძეები** გარისში გადასულან სოფლებიდან: წკერა და **ზაქათკარი.**

ხადის ხეობის სოფელ წკერაში მცხოვრები **ზაქაიძეები** იყოფიან გივიანად და კაციანად; ამავე ხეობის მეღურის მოსახლენი– ყატკუიანად და ჯაბაიანად; ბეგოთკარისა კი – ბაზიანად და გაჩალდიანად.

ამავე ძირისაა გვარები: **ზაქარაშვილი, ზაქარიძე, ზაქიძე, ზაქარია, ზაქარაია, ზაქარეიშვილი, ზაქარიაძე, ზაქროშვილი.**

საქართველოში 1 347 **ზაქაიძე** ცხოვრობს: თბილისში – 386, დუშეთში – 354, მცხეთაში – 212. არიან სხვაგანაც.

### მაჭარაძე

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **მაჭარა**. ეს სახელი მეტსახელადაც გვხვდება.

გვარი **მაჭარაძე** მეთექვსმეტე საუკუნიდან მოიხსენიება.




საქართველოში 847 **მაჭარაძე** ცხოვრობს: თბილისში – 207, ქუთაისში – 93, სამტრედიაში – 73. არიან სხვაგანაც.

### გაგნიძე

გვარის ფუძეა მეტსახელი **გაგანა.**

1721 წლის აღწერაში მოიხსენიებიან გიორგი, პაატა და ხარება **გაგნიძეები.**

**გაგნიძეები** ასურეთში სოფელ ქლუხორიდან გადასახლებულან 1957 წელს.

საქართველოში 3 741 **გაგნიძე** ცხოვრობს: თბილისში – 1 559, ხაშურში – 309, თელავში – 298. არიან სხვაგანაც.

### მოისწრაფეშვილი

გვარი გვხვდება ორი ფორმით, კერძოდ: **მოისწრაფიშვილი** და **მოისწრაფეშვილი.**

მათ პირველ საცხოვრებლად დაფიქსირებულია ლანჩხუთი.

**მოისწრაფა, მოისწრაფე** საკუთარი სახელია. დროზე ადრე დაბადებულ შვილზე ამბობენ – იჩქარე, ისწრაფე, **მოისწრაფეო** და აქედან წარმოიშვა ეს სახელიც.

საქართველოში 184 **მოისწრაფეშვილი** ცხოვრობს: ლანჩხუთში – 179, თბილისში – 3, ოზურგეთში – 2.

### იტრიაშვილი

გვარის ფუძედ გამოყენებული **იტრია** დაფიქსირებულია, როგორც საკუთარი სახელი. ეს სახელი გვხვდება გვარში **იტრიაშვილი** და ეს ისტორიულ წყაროებშიცაა აღნიშნული. **იტრია** უძველესი სოფელიცაა.

ილია მაისურაძეს მიაჩნდა, რომ სოფელ **იტრიიდან** წასულებმა თან წაიღეს საკუთარი სოფლის სახელი **იტრია** და დაიწყო ახალი გვარის – **იტრიაშვილების** ათვლა.

სავარაუდოდ, ეს გვარი მეთვრამეტე საუკუნის შემდგომ გაჩენილი უნდა იყოს. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების საბუთებში **იტრიაშვილი** არ ჩანს.

**იტრიაშვილი** მცირერიცხოვანი გვარია.

საქართველოში 31 **იტრიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 30, ბათუმში – 1.

### კაჭახიძე

გვარის ფუძედ გამოყენებულია საკუთარი სახელი **კაჭა**. ასევე, აქედანაა წარმოშობილი გვარები: **კაჭარავა, კაჭახა, კაჭარი. კაჭარი** უწყალო ადგილას რიყის მსგავსი ქვაცაა.

საქართველოში 377 **კაჭახიძე** ცხოვრობს: თბილისში – 150, სამტრედიაში – 95, ქუთაისში – 80. არიან სხვაგანაც.

### კოშაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **კოშა.**

„ფიცეში მცხოვრებ **კოშაძეს** ჰყავს განაყოფი, რომელიც ერგო როინისა და მისი ბიძაშვილების – გოშფარ და როინ ჯავახიშვილების გაყრის დროს”.

საქართველოში 690 **კოშაძე** ცხოვრობს: თბილისში – 281, კასპში – 236, გურჯაანში – 43. არიან სხვაგანაც.

### მოლოდინაშვილი-მოლოდინი

გვარის ფუძეა საკუთარ სახელად ქცეული სიტყვა **ლოდინი**.

პაპუნა **მოლოდინაშვილი** მოიხსენიება ამირბარ გოსტაბაშვილის ყმების ნუსხაში.

ამავე ძირისაა გვარი **მოლოდინი**.

საქართველოში 153 **მოლოდინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 77, სიღნაღში – 32, ლაგოდეხში – 22. არიან სხვაგანაც.

120 **მოლოდინი**.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**



## მობრძანდით ჩვენთან, არ ინანებთ!

თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტთან იქმნება საჯარო სკოლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი (როგორც თბილისის, ისე რაიონების) კურსები. კურსების ხანგრძლივობა 3 თვეა, მაგრამ, ფიზიკა-მათემატიკაში, შესაძლოა, გახანგრძლივდეს მსმენელთა მოთხოვნით. კურსების გავლის შემდეგ მასწავლებლები გარანტირებული იქნებიან, წარმატებით გადალახონ სასერტიფიკაციო გამოცდები. პირველ ყოვლისა, იხსნება ფიზიკა–მათემატიკის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, რომელთა გავლა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე რუსულ და ინგლისურ ენებზე. სწავლება ჩატარდება პედაგოგისთვის მოსახერხებელ დროს, სკოლაში სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ, საღამოს საათებში. აღნიშნულ კურსებზე სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომია. სწავლა დაიწყება ამა წლის 1 ნოემბრიდან.

ამასთან, უნივერსიტეტში გრძელდება დამამთავრებელ (III, IV) კურსებზე სტუდენტთა მიღება გადმოყვანის წესით, ხოლო, ტურიზმის აკადემიაში – აბიტურიენტთა ჩარიცხვა.

უნივერსიტეტთან, აგრეთვე, იხსნება მოსამზადებელი კურსები (სხვადასხვა საგანში) საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად.

**ჩვენი მისამართია: თბილისი, კოსტავას ქუჩა №47.**

**ტელეფონები: 2-93-66-03; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24; 2-98-86-82; მობ: 599-18-89-24.**

**რექტორატი**

# გამოიყენეთ ადრეული შემოდგომის სეზონი

როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ადრეული შემოდგომა საუკეთესო სეზონია იმისთვის, რომ უმტკივნეულოდ მოიშოროთ თავიდან მავნე ჩვევები. თუმცა, მაინც ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, ანუ, იმაზე, რომ ნელ-ნელა მოერიოთ სიზარმაცეს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდეთ მიზანს. სანამ „გამოსწორების" გზას შეუდგებით, წინასწარ უნდა განეწყოთ იმისთვის, რომ ფიზიკური დატვირთვების გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევთ. კარგ ფორმაში რომ იყოთ, აუცილებელია აქტიური ცხოვრების წესი: იარეთ ფეხით, ისეირნეთ ველოსიპედით, უარი თქვით ლიფტზე, ანუ, მაქსიმალურად ბევრი იმოძრავეთ. პლაჟზე ყოფნის დროსაც კი, შეეცადეთ, დიდხანს არ იწვეთ – წაიღეთ ბურთი ან ბადმინტონი. სამსახურში შესვენების დროსაც კი, ან, მობილურით საუბრისას, გადით ოთახიდან და 10-15 წუთი იარეთ დერეფანში ან ეზოში.

დიეტოლოგების რჩევით, ყოველი ადამიანის ულუფის ზომა (ხორცის, თევზის ან გარნირის) არ უნდა აღემატებოდეს მისი ხელისგულის ზომას, წვნიანი კი იმდენი უნდა მიირთვათ, რამდენიც ჩაის ჭიქაში ჩაეტევა.

შეეცადეთ, მიიღოთ მეტი ცილოვანი საკვები და მკაცრად დაიცვათ კვებასა და კვებას შორის შუალედების ხანგრძლივობა – ასე თქვენი ორგანიზმი თანდათან მიეჩვევა გეგმაზომიერად დახარჯოს კალორიები და არ შეინახოს ისინი „მარაგში". ასევე, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ დღეში დალიოთ მინიმუმ 2 ლიტრი წყალი.

უფლება გეძლევათ, ხანდახან თავიც გაინებივროთ – მიირთვათ ერთი ცალი ნაყინი ან რაიმე სხვა გემრიელი სასუსნავი (მცირე რაოდენობით), ოღონდ, აუცილებლად სადილობამდე ერთი საათით ადრე.



ნუ იქნებით საკუთარი თავის მიმართ ზედმეტად მკაცრი. შეუძლებელია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაუძლოთ „გემრიელობების" ცდუნებებს ან სიზარმაცის უფლება არ მისცეთ თავს, მაგრამ, ნუ დაიწყებთ „თვითგვემას" და ნუ ჩაიქნევთ ხელს. ეს გადაცდომები ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეებია, რომლებიც გეგმებს ვერ ჩაგიშლით, თუკი მათ დროულად აღკვეთთ.

სიმხნევისთვის კარგია, თუ დილასვე დალევთ ლიმონიან წყალს ყინულებით.

ყოველი ლუკმა დაღეჭეთ ნელა და, საერთოდ, ეცადეთ, აუჩქარებლად მიიღოთ არა მარტო საჭმელი, არამედ, წყალიც – ამით კუჭს „მიეხმარებით" საკვების მონელებასა და გადამუშავებაში, რაც დაიცავს ორგანიზმს დაუღეჭავი საჭმლის მიწოდებით გამოწვეული სტრესისგან, შეაფერხებს დანაყრების შეგრძნებას და, თანაც, უფრო მალე მოგშივდებათ.

შედეგი უფრო სწრაფი და ხანგრძლივი იქნება, თუ ყოველდღიურ რაციონში დღეში ერთხელ მაინც ჩართავთ უცხიმო ხაჭოს, საზამთროს ან ხილის ასორტს.

რაც შეეხება ფიზიკურ დატვირთვას, გარდა ფეხით სიარულისა, არაჩვეულებრივი შედეგი აქვს ცურვას, აჭიმვებს, ჰულა-ჰუპსა და ჰანტელებს.

ჰანტელებით ივარჯიშეთ დღეგამოშვებით, თანაც, შეარჩიეთ ისეთი ვარჯიშები, რომლებიც ერთდროულად მოიყვანს მოძრაობაში სხვადასხვა კუნთს. ნუ შეშინდებით, ისე კუნთებს ნამდვილად ვერ „დაიყენებთ", სამაგიეროდ, გახდებით ჯანმრთელი, მხნე, ენერგიული და ადვილადაც მოიშორებთ ზედმეტ კილოგრამებს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: რომელი პროდუქტები ითვლება ბუნებრივ ანტიოქსიდანტებად და აქვს თუ არა მნიშვნელობა პროდუქტის ფერს?**

**პასუხი:** ბუნებრივი ანტიოქსიდანტებია ხილი და ბოსტნეული. მათ ფერს ნამდვილად აქვს მნიშვნელობა – ამ მხრივ, გამოირჩევა წითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი და შავი შეფერილობის ხილი და ბოსტნეული, განსაკუთრებით კი – ტკბილ-მჟავე და მჟავე პროდუქტები.

ყველაზე გავრცელებული ანტიოქსიდანტებია: A, C და E ვიტამინები, გოგირდი, სელენი, მაგნიუმი, ფლავონოიდები, ლიკოპინი, ლუტეინი. მათი შემცველობის თვალსაზრისით, ლიდერთა სიაში მოხვდა შემდეგი პროდუქტები: წითელი ღვინო, მწვანე ჩაი, ყურძნის წვენი, ჟოლო, მოცხარი, ალუბალი, ნიგოზი, თხილი, ვაშლი, ციტრუსი, გარგარი, კომბოსტო, ბოლოკი, თალგამი, სტაფილო, ჭარხალი, ნიორი, ხახვი, მცენარეული ცხიმი, მუქი ფერის თაფლი.

**კითხვა: რა არის თავისუფალი რადიკალები და რით არის ის საშიში ორგანიზმისთვის?**

**პასუხი:** თავისუფალი რადიკალები – ეს არის თავისუფალი ელექტრონების შემცველი ნაწილაკები. ეს ელექტრონები შლის უჯრედების გარსს და აზიანებს დნმ-ს. თუ ეს პროცესი არ შევაჩერეთ სპეციალური მკურნალობით, ყველა ორგანო და სისტემა წყვეტს ნორმალურ ფუნქციონირებას და ორგანიზმი სწრაფად ბერდება.

**კითხვა: საკმაოდ ბევრი კილოგრამი მაქვს დასაკლები. მინდა, დავიცვა ძალიან მკაცრი დიეტა, რომ სწრაფად გავხდე, მაგრამ, თან მეშინია, რომ ჯანმრთელობა არ დავიზიანო. თქვენ რას მირჩევთ?**



**პასუხი:** თქვენი შიში უსაფუძვლო ნამდვილად არ არის. საერთოდ, ნებისმიერი დიეტის დაწყების წინ უნდა მიმართოთ დიეტოლოგს, რომელიც, თქვენი ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაგინიშნავთ სპეციალურ დიეტას. რაც შეეხება სწრაფად გახდომას, გახსოვდეთ, რომ, რაც უფრო სწრაფად დაიკლებთ წონაში დიეტის დროს, მით უფრო სწრაფად მოიმატებთ დიეტის შეწყვეტის შემდეგ. ამიტომ, ალიჭურვეთ ნებისყოფით და ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით იარეთ მიზნისკენ. ძალიან მკაცრი, ანუ, დაბალკალორიული (დღეში 800 კილოკალორიაზე ქვემოთ) დიეტა კი უნდა მიმდინარეობდეს ექიმის ყოველდღიური მკაცრი კონტროლის ქვეშ, რისი გაკეთებაც გაგიჭირდებათ, მით უფრო, რომ ასეთ დიეტებს ახლავს უამრავი გვერდითი მოვლენა: სისუსტე, მუდმივი დაღლილობის შეგრძნება, მოთენთილობა, ულონობა, გულისრევის შეგრძნება, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, გულ-სისხლძარღვთა და ნაღველკენჭოვანი დაავადებების განვითარება და ასე შემდეგ. ამიტომ, იყავით ფრთხილად!

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ მოახერხა შებღალული სახელის აღდგენა ცნობილმა თბილისელმა ქურდმა

– დანებზე წამოაგეთ დამნაშავე! – თქვა „ქოფაკმა“, რომელსაც დანარჩენებიც აჰყვნენ და ექვსმა ქურდმა ერთად გაიმეორა:

– დანებზე, დანებზე!

გამოთქმა: „დანებზე წამოაგეთ“ („ნა ნოჟი“) უმაღლესი ქურდული ვერდიქტის სიტყვიერი გამოხატულებაა და სასიკვდილო განაჩენს ნიშნავს. ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა ყველა შეკრება, რომელზეც ქურდები კოლეგას სიკვდილს უსჯიდნენ. განაჩენს, აღსრულების პროცედურა მოჰყვებოდა. ასეთ დროს ქურდს ჯერ თვითმკვლელობის შანსს აძლევდნენ, ხოლო, თუ უარს იტყოდა, მაშინ განაჩენს, ეგრეთ წოდებული „შემსრულებელი“ ახორციელებდა. ის სიკვდილმისჯილ ქურდს ცალკე გაიყვანდა, ტყვიას გულში დაახლიდა, შემდეგ ცხედარს ტოვებდა, რათა დაეკრძალათ და მიდიოდა.

## ნოდარმა ქურდებს რევოლვერი მიუშვირა, ადგილზე გააქვავა ისინი და „სხოდკიდან“ გაიქცა

1970 წლის 2 მაისს ქალაქ როსტოვში ქურდული შეკრება გაიმართა, რომელზეც შვიდი კანონიერი ქურდი „ქოფაკის“ წინამძღოლობით, თავიანთ კოლეგას – „ლიხოის“, იგივე ნოდარ გაგოშვილს ასამართლებდნენ. ლიხოი როსტოვის ოლქის მაყურებელი იყო, ქურდული სალარო ებარა და კოლეგები მას სალაროს გაფლანგვაში ადანაშაულებდნენ. გაგოშვილს 120 ათასი მანეთი ჰქონდა მიბარებული და იქიდან 60 ათასი გაქრა. დარჩენილი 60 ათასი ლიხოიმ წარმოადგინა და კოლეგებს უთხრა, რომ დანარჩენი მას არ გაუფლანგავს.

– აბა, სად გაქრა მაყუთი? – ჰკითხა ლიხოის „ჯინმა“, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა და პირველმა მან წამოაყენა ლიხოის სიკვდილით დასჯის იდეა.

– როგორ დაიკარგა, არ ვიცი, მაგრამ მე არ გამიფლანგავს. ალბათ, მომპარეს, მაგრამ ვინ და როგორ, არ ვიცი... ეს აპრავდანია არაა, მაგრამ გთხოვთ, ორი კვირა დამაცადოთ და ფულს დავაბრუნებ – თქვა ლიხოიმ.

ქურდებმა ლიხოის უარი უთხრეს და ეს იმით ახსნეს, რომ ის მიიმალებოდა. ყველაზე მეტად ჯინი აქტიურობდა. მან დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ქურდებს უარი ეთქვათ ლიხოისთვის. სწორედ ამის შემდეგ გაისმა ქურდების საშინელი ვერდიქტი: დანებზე...

– ესე იგი, დანებზე? – გაიმეორა ლიხოიმ და ჩაიცინა. შემდეგ რევოლვერი ამოაცურა ქამრიდან, ქურდებს მიუშვირა და უთხრა:

– არავინ გაინძრეთ, თორემ დაგხოცავთ! სისულელე იქნება, რომ ცხვარივით დავემორჩილო თქვენს უსამართლო გადაწყვეტილებას. მე ახლა წავალ, მაგრამ დავბრუნდები. თანაც, სიმართლით დავბრუნდები და ვაი მას, თუკი კრისა თქვენ შორისაა. ქურდული განაჩენი კი ძალაშია და დამნაშავეს პირადად მე მოვუღებ ბოლოს.

ლიხოის საქციელმა ქურდები გააქვავა. ნოდარ გაგოშვილმა იქიდან მშვიდობიანად გააღწია და მიიმალა.

### ორმაგი მკვლელობა

ქურდული შეკრებიდან გაქცეული ლიხოი სრულ არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა და თუკი ადრე მხოლოდ მილიციას ემალებოდა, ახლა უკვე ქურდებსაც არიდებდა თავს. შეკრების მონაწილეებმა მთელ ქურდულ სამყაროს შეატყობინეს, რომ ლიხოი კრისა, ანუ სალაროს ქურდია და მისი მოკვლისთვის ჯილდო დააწესეს. თუ ლიხოის ქურდი მოკლავდა, მაშინ ის თავისი კოლეგებისგან საყოველთაო პატივისცემას დაიმსახურებდა. ხოლო თუ მკვლელი არაქურდი იქნებოდა, მაგრამ რეპუტაციაშეულახავი აღმოჩნდებოდა, მას ქურდის ტიტულს მიანიჭებდნენ. ლიხოის მოკვლა ეკრძალებოდათ რეპუტაციაშელახულებს და მას თავად ქურდები მოკლავდნენ. ასეთ სიტუაციაში, ლიხოის, ფაქტობრივად, ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა, დასამალი ადგილი არსად იყო და დევნილი მგელივით ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა.

ნოდარ გაგოშვილი წარმოშობით თბილისელი იყო, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა და საქართველოში 18 წლის განმავლობაში არ ჩასულა. 41 წლის ლიხოი ნეპმანელი ქურდების მიმდევარი იყო. ამიტომ, არც ცოლ-შვილი ჰყავდა და არც პირადი ქონება გააჩნდა. როსტოვში ის გარდაცვლილი ქურდის, „სალომას“ მეუღლის ბინაში ცხოვრობდა, რომელიც თავად როსტოველმა ქურდებმა გამოუყვეს. 40 წლის სალომა 1969 წელს უეცრად გარდაიცვალა. მაშინ მისი 27 წლის მეუღლე – ანა ფეხმძიმედ იყო და 3 თვეში ბიჭი გააჩინა. ანასთან ერთად ამ სახლში სალომას დედა,



რიტა გიორგევნა ცხოვრობდა. 70 წელს მიღწეული ქალი ქურდის ქვრივი გახლდათ. ისიც ახალგაზრდობაში დაქვრივდა და თავისი რძლის მსგავსად, შვილი ქმრის გარდაცვალების მერე გააჩინა. რიტა გიორგევნა თავისი სილამაზითა და პატიოსნებით განთქმული იყო და ქურდები მას დედას ეძახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნოდარს ეუხერხულებოდა სალომას ახლობლებთან ცხოვრება და სხვაგან გადასვლა უნდოდა, რიტა გიორგევნა მას არ უშვებდა, შვილივით პატრონობდა და ძალიან უყვარდა. შეკრებიდან გაქცეული ნოდარი სალომას სახლში აღარ დაბრუნებულა. მან ტელეფონით დაურეკა სალომას დედას და უთხრა:

– ნოდარი ვარ, დეიდა რიტა. რაღაც მოხდა და თქვენთან ველარ დავბრუნდები. ერთი რამ უნდა გითხრათ, დეიდა რიტა, რაც არ უნდა გაიგოთ ჩემზე, არ დაიჯეროთ და კიდევ, იცოდეთ, რომ ძალიან მიყვარხართ.

– მეც ძალიან მიყვარხარ, ნოდარჩიკ. უკვე გავიგე და, რა თქმა უნდა, არ მჯერა. თავს გაუფრთხილდი.

ლიხოი სამი დღე როსტოვში იმალებოდა. შემდეგ თბილისში ჩამოვიდა და თავის ძველ მეგობართან, მხატვარ გოჩა ფერაძესთან შეაფარა თავი. ნოდარის ამბავს თბილისამდეც ჩამოეღწია და ფერაძემაც იცოდა. თუმცა, ლიხოის ცუდკაცობა მის ახლობლებს არ სჯეროდათ და დარწმუნებულები იყვნენ, ყველაფერი განგებ იყო მოწყობილი.

– ამხელა მაყუთი ნემსი ხომ არაა, რომ ასე უგზოუკვლოდ გაქრეს, – უთხრა ფერაძემ ლიხოის, – ნუთუ არავისზე ეჭვობ? ან, მთელი თანხა რატომ არ გაქრა?

– მეორე 60 ათასი სხვაგან მქონდა დამალული და წამლებმა, ალბათ, ვერ იპოვა. ეჭვი კი მაქვს, მაგრამ დამტკიცება უნდა.

1970 წლის 19 მაისს, ანუ ნოდარის მიმალვიდან ჩვიდმეტი დღის შემდეგ, სალომას დედა – რიტა გიორგიევნა თავისსავე ეზოს ჭაში დამხრჩვალი იპოვეს. ექსპერტიზის დასკვნით, ქალი ჯერ ტროსით გაგუდეს და შემდეგ ჩააგდეს ჭაში. იმავე ბინაში აღმოაჩინეს სალომას ქვრივის, ანას ცხედარი. ეგოროვა სადისტურად იყო მოკლული. სხეულზე მას 71 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული დანით. სადისტურად დაჩეხილი ანა ლოგინში შიშველი იპოვეს. ექსპერტის დასკვნით, ქალი გაუპატიურებული იყო. მისი საშოდან სავარაუდო მკვლელის სპერმა ამოიღეს და ექსპერტიზაზე გაგზავნეს. მოკლულის გვერდით 9 თვის ჩვილს ეძინა... ამ სურათის მხილველ მილიციელს თმა ყალყზე დაუდგა, კარგა ხანს მეტყველების უნარი წაერთვა. იმავე დღეს, როსტოვის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა განზრახ მკვლელობის მუხლით.

### სამხილი

როსტოვში დატრიალებული ტრაგედიის ამბავმა თბილისში მეორე დღესვე ჩააღწია. სამსახურიდან დაბრუნებული გოჩა ფერაძე ლიხოის მიესალმა და როსტოვის ამბები რომ მოუთხრო, დასძინა:

– ეს ამბები შენ გბრალდება. ამბობენ, ლიხოი ანასთან იწვაო და დედამთილთან ერთად იმიტომ მოკლა, რომ ეს ამბავი არ გამჟღავნებულიყოო. იმასაც ამბობენ, რომ სალომას ცოლს შვილი შენგან ჰყავსო.

ცილისწამებას ლიხოი არ გაუკვირვებია. თუმცა, რიტა გიორგევნას სიკვდილმა ისე გააოგნა, რომ აცახცახდა და მთელი ხმით იღრიალა. დიდხანს იტირა, შემდეგ თვალები შეიმშრალა, ამოიხვნეშა და მეგობარს უთხრა:

– გოჩა, ძმაო, უნდა დამეხმარო! შენ გარდა, ამქვეყნად ჩემი სიმართლის მხოლოდ რიტა დეიდას სჯეროდა და ისიც მოკლეს. ჯერ ერთი, რომ შებღალული სახელი მაქვს აღსადგენი და რაც მთავარია, რიტა დეიდას მკვლელი უნდა დაისაჯოს.

– ანასი?

– ის ერთი და იგივე პიროვნებაა, თუმცა ანა ძუკნა იყო.

– ძუკნა? დარწმუნებული ხარ?

– თითქმის ასი პროცენტით. გახსოვს, ადრე რომ მკითხე და არ გიპასუხე? მაშინ სწორედ ანაზე მქონდა ეჭვი. მოკლედ, უნდა დამეხმარო და ჩემთან ერთად უხილავი გამომძიებლის როლი უნდა შეასრულო.

– რა უნდა ვქნათ?

– როსტოვში უნდა გავემგზავროთ და დავამტკიცოთ, რომ მე არ ჩამიდენია ეს. ნამდვილი მკვლელი კი ვამხილოთ და დავსაჯოთ.

1970 წლის 21 მაისს გოჩა ფერაძე და ლიხოი როსტოვში ინკოგნიტოდ ჩავიდნენ. მათ კერძო ბინა იქირავეს. ნოდარმა წვერ-ულვაში

## მოკლული ქალის გვერდით 9 თვის ჩვილი ბავშვი იწვა და ეძინა

მიიწება, პარიკი გაიკეთა, მოლბერტით დადიოდა და დონის პეიზაჟებს ხატავდა. სინამდვილეში კი იმ გეგმას ახორციელებდა, რომელიც ფერაძესთან ერთად შეიმუშავა. მეგობრებმა 29 მაისს პროკურატურის გამომძიებელი სტეპანე ერემეევი გაიტაცეს და მოპარული „მოსკვიჩით" დონის ნაპირას ჩაიყვანეს. ლიხოიმ მას ჰკითხა.

– მიცანი, სტეპან საველიჩ?

– ვერა, – თავი გააქნია ერემეევმა.

ნოდარმა პარიკი და წვერ-ულვაში მოიძრო და ისევ ჰკითხა:

– ახლა?

– ლიხოი, შენ?

– კი, მე ვარ.

– შენ ხომ ყველა ქურდი და ახლა უკვე მილიციაც გეძებს. ნუთუ მართალია, რასაც ლაპარაკობენ შენზე?

– სწორედ ამიტომ ხარ აქ, საველიჩ.

– გისმენ.

– მოკლედ, ასე. როგორც ვიცი, ანასგან სპერმაა ამოღებული და მსგავსი სპერმა რომ მოგიტანო, შეგიძლია, ექსპერტიზაზე წაიღო და იდენტურობა დაადგინო?

– საიდან მოიტან?

– ეგ მე ვიცი. მაგრამ იცოდე, საველიჩ, მახე რომ დამიგო და ძაღლები დამაყენო, არ გაგახარებ. მით უმეტეს, რომ ცამდე მართალი ვარ, – უთხრა ნოდარმა გამომძიებელს, ჯიბეში ხუთი ცალი ასმანეთიანი ჩაუდო და განაგრძო, – ეს კი სიჩუმისთვის და ჩემი დახმარებისთვის გქონდეს.

მეგობრებმა ერემეევი გაუშვეს. შემდეგ, მანქანით ძველ ქალაქში წავიდნენ და ერთ-ერთ კერძო სახლთან ჩასაფრდნენ.

ერთი საათის შემდეგ ეზოს წინ მანქანა გაჩერდა, საიდანაც ორმოციოდე წლის მამაკაცი გადმოვიდა. მეგობრებმა ის გაკოჭეს და მანქანით გაიტაცეს.

– აბა, ანდრეი, ამ ქილაში შენი სპერმა ჩაასხი და სკამზე დადე, – უთხრა ლიხოიმ გატაცებულს და შუბლზე იარაღი მიადო.

ანდრეი ლუკიანოვის სპერმა ლიხოიმ გამომძიებელ ერემეევს მეორე დღესვე გადასცა და უთხრა:

– აი, სტეპან საველიჩ, შეამოწმეთ და დარწმუნებული ვარ, რომ მკვლელი ამის პატრონია.

ერთ კვირაში ერემეევმა ლიხოის ცნობა მისცა, რომელშიც ეწერა, რომ მკვლელობის ადგილიდან ამოღებული სპერმა და ანდრეი ლუკიანოვის სპერმა იდენტური იყო...

### სასჯელი

1970 წლის 3 ივნისს, როსტოვში, გოჩა ფერაძესა და ლიხოის მიერ ნაქირავებ ბინაში ქურდული შეკრება გაიმართა, რომელსაც ზუსტად იგივე შემადგენლობა ესწრებოდა, ლიხოის სასიკვდილო განაჩენი რომ გამოუტანა. თუმცა, ამჯერად ქურდულ საბრალდებო სკამზე ანდრეი ლუკიანოვი, მეტსახელად ჯინი, იჯდა.

შეკრება ლიხოიმ გახსნა და ქურდებს უთხრა:

– მაშ ასე, ძმებო, მე ჩემი პირობა შევასრულე და კრისა მოგიყვანეთ. ახლა კი საქმე გავარჩიოთ. სხვათა შორის, ანა და რიტა გიორგეევნაც ამან დახოცა.

– რაო? – თვალები კინაღამ გადმოსცვივდა ქოფაკს, რომელსაც დანარჩენებიც აჰყვნენ.

– აი, ექსპერტიზის დასკვნა, – ლიხოიმ სპერმის იდენტურობის ცნობა ქურდებს გადასცა, – ერთი სპერმა ანას საშოდანაა, მეორე კი ამ ნაბოზრის.

ქოფაკმა რომ ცნობა წაიკითხა, ოფლმა დაასხა:

– ამ ნაბოზარს ჩემი ხელით ავკუწავ.

– ამ კრისას უჯერებთ, ძმებო? – აღრიალდა ჯინი, – არაქურდული საბუთით მდებთ ბრალს?

– ამ საბუთს ექსპერტის დასკვნა ეწოდება და წყალი არ გაუვა, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაბრედი ხარ, – უთხრა კოფაკმა ჯინს. შემდეგ ქურდები მას წიხლებით შესდგნენ და ნეკნები ჩაულეწეს. ბოლოს ისევ ქოფაკმა თქვა:

– ახლა დაწვრილებით მოგვიყევი ყველაფერი, რომ წამებით არ მოგკლათ. არა და ისე გაწამებთ, რომ თუკი ამქვეყნად ვინმეს რამ ჩაუდენია, ყველაფერს შენ დაიბრალებ.

ნეკნებდალეწილი ჯინი სკამზე დაჯდა და თქვა:

– მე და ანა ჯერ კიდევ სალომას სიცოცხლეში ვიყავით საყვარლები და ანამ ის ჩემი დავალებით მოწამლა. ლიხოის 60 ათასი ანამ მოპარა და ესეც მე დავავალე. ჩვენ იალტაში ვაპირებდით წასვლას საგულაოდ. თან, ლიხოის მოშორებაც მინდოდა, რომ ობშჩიაკს მოვჯდომოდი.

ანას და რიტას რას ერჩოდი?

– როგორც ეტყობა, ანა სინდისმა შეაწუხა, დამირეკა და მითხრა, რომ მეტი აღარ შეეძლო და მონანიებას აპირებდა. მას თქვენთვის უნდოდა ყველაფრის მოყოლა და ცოცხალს ხომ არ დავტოვებდი. ჩვენ რომ ამაზე ვბაზრობდით, უცებ რიტამ შემოგვისწრო და იძულებული გავხდი, მომეკლა. შემდეგ ანას ვეცი, გავაუპატიურე და მოვკალი.

– ასე უმოწყალოდ რატომ დაჩეხე?

– არ იმსახურებდა, რომ? – ცინიკურად თქვა ჯინმა.

სამი დღის შემდეგ ჯინის გვამი მდინარე დონმა გამორიყა...

**ნიკა ლაშაურმა**

## რა მოხდა ამ დღეს

### 9 სექტემბერი

1850 – კალიფორნია გახდა ამერიკის შეერთებული შტატების 31-ე შტატი.

1886 – შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში ხელი მოეწერა კონვენციას ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ – პირველი საერთაშორისო შეთანხმება საავტორო უფლებების დაცვაზე.

1956 – ელვის პრესლი პირველად გამოჩნდა ნაციონალურ ტელევიზიაში.

1991 – ტაჯიკეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

### 10 სექტემბერი

1835 – გაიხსნა პირველი რკინიგზა გერმანიაში – ნიურნბერგი-ფიურტი, რომლის სიგრძე 10 კილომეტრი იყო.

1977 – ტუნისის იმპერატორი ხამიდა ჯანდუბი გაასამართლეს, როგორც მკვლელი. ის გახდა საფრანგეთში გილიოტინის უკანასკნელი მსხვერპლი. 4 წლის შემდეგ გილიოტინა, როგორც დასჯის იარაღი, აიკრძალა.

1981 – პაბლო პიკასოს „გერნიკა" დააბრუნეს ესპანეთში და მადრიდის მუზეუმში – „პრადოში" მოათავსეს.

### 11 სექტემბერი

1795 – კრწანისის ბრძოლა.

1881 – მწვერვალ პლატენბერგკოფის ჩამოშლით წარმოშობილმა მეწყერმა შვეიცარიაში დაანგრია სოფელი ელმი, დაიღუპა 150 და სერიოზულად დაშავდა 200 ადამიანი.

1973 – პუტჩის დროს მოკლეს ჩილეს პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე.

1985 – ამერიკულმა კოსმოსურმა აპარატმა პირველად გაიარა კომეტის კუდში და უშუალოდ დააკვირდა, შეისწავლა ის.

2001 – ტერორისტული აქტი ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში. თვითმფრინავები შეეჯახნენ სავაჭრო პალატის „ტყუპებს" და პენტაგონის შენობას.

### 12 სექტემბერი

1683 – ოსმალეთის იმპერიის არმია დამარცხდა ვენასთან ბრძოლაში ევროპულ კოალიაციასთან, აქედან დაიწყო ოსმალეთის დასუსტება.

1953 – ჯონ კენედისა და ჟაკლინ ბუვიეს ქორწილი.

1958 – ჯერ კილბიმ შექმნა პირველი ელექტრონული ინტეგრალური სქემა.

### 13 სექტემბერი

1902 – დიდ ბრიტანეთში პირველად გამოიყენეს თითის ანაბეჭდები დამნაშავის დასადგენად.

1922 – ელ-აზიზიაში (ლიბია) აღინიშნა ყველაზე მაღალი ტემპერატურა – ჩრდილში +58 გრადუსი C.

1942 – დაიწყო სტალინგრადის ბრძოლათა ეპოპეა

### 14 სექტემბერი

1812 – ნაპოლეონის ჯარები შევიდნენ მოსკოვში. იმავე დღეს რუსებმა ცეცხლს მისცეს საკუთარი დედაქალაქი.

1857 – ბრიტანეთის ჯარებმა აიღეს ინდოეთის დედაქალაქი და ამით ჩაახშეს სიფაების აჯანყება.

1886 – ჯორჯ ანდერსონმა დააპატენტა საბეჭდი მანქანის ლენტა.

### 15 სექტემბერი

1830 – გაიხსნა მსოფლიოში პირველი სარკინიგზო ხაზი – სტოკტონი–დარლინგტონი.

1916 – ბრძოლებში პირველად გამოიყენეს სატანკო ნაწილები.

1928 – ინგლისელმა მეცნიერმა ალექსანდრ ფლემინგმა ობის სოკოსგან გამოყო პენიცილინი.

1935 – ებრაელებს ჩამოართვეს გერმანიის მოქალაქეობა.

**ტრადიციების დამცველ ოჯახში გაზრდილი ადამიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო თემაა თავის წინაპრებზე, ბებია-ბაბუებზე საუბარი. „ახლა მივხვდი, როგორი განცდა ექნებოდა ბაბუაჩემს, როდესაც მე მოვევლინე ქვეყანას” – ამბობს ჩვენი რესპონდენტი ნუგზარ კვაშალი, რომელიც პირველი შვილიშვილი გახლდათ ოჯახში.**

# ვინ ჩამოიტანა თბილისში ჰიტლერისთვის დამზადებული ოქროს უნაგირი და რის შემდეგ დარწმუნდა ნუგზარ კვაშალის ბაბუა, რომ მის შვილიშვილს შავი პურის ფული ჰქონდა

**– რამდენიმე ათეული წლის წინ კვაშალების ოჯახში დაიბადა პირველი და უსაყვარლესი შვილიშვილი, რომელსაც ნუგზარი დაარქვეს...**

– ჰო... აღარ მახსოვს ეს რამდენი წლის წინ იყო *(იცინის)*... პირველი მე ვიყავი, ბოლომდე საყვარელი შვილიშვილი, ყოველ შემთხვევაში მე ასე ვგრძნობდი. რაც მე დავიბადე, იმის შემდეგ, ბებიაჩემის ადგილი დავიკავე ბაბუას გვერდით საწოლში, ბებია კი ტახტზე გადავიდა.

**– ბებია სადაური ქალბატონი იყო?**

– ბებია კახელი მყავდა, ბაბუა – გურული. ბებია იცინოდა ხოლმე: ცალ ფეხზე „კალოში” ეცვა, ცალზე – ფეხსაცმელიო.

**– აფორმებდა, ხომ?**

– პრინციპში, ძალიან ღატაკები და გაჭირვებულები რომ იყვნენ, ნამდვილად ვიცი. შემდეგ სხვანაირი ცხოვრება მოვიდა. ბაბუაჩემი ჭკვიანი კაცი იყო. სხვაგვარად, უჭკუო კაცს მისნაირი კარიერა არ ექნებოდა. თავდაპირველად, თურმე, ჩვეულებრივ, სამხედრო ფოსტას დაატარებენ ცხენზე შემჯდარი, შემდეგ – მთებში, როდესაც სამამულო ომი დაიწყო, გერმანელებს იქ დასდევდნენ თვითონ და თავისი 30 მთასვლელი. ბაბუაჩემის ჩამოტანილია თბილისში ის ოქროს უნაგირი, რომელიც ჰიტლერისთვის უნდა მიერთმიათ – თეთრი ცხენი თავის ოქროს უნაგირით. ეს რომ გავიგე, ვეხუმრებოდი: ბაბუ, ვერ მოატეხე პატარა კიდემეთქი და ძალიან სწყინდა ხოლმე. ის ჭეშმარიტი პატრიოტი იყო და ასე ესმოდა. რას ჰქვია! როგორ იფიქრებდა!

მომავალში, როგორც ყვებოდა, ქუთაისის შინსახკომის უფროსი იყო.

**– კარიერის დასაწყისში ბერიასაც ეკავა იგივე თანამდებობა, ოღონდ, სხვა ქალაქში...**

– ეს ისტორიაც ბერიას პერიოდში ვითარდებოდა, ომის წლებში. დღეს ყველა გენერალი და ყველა პროფესორია, მაშინ კი ასე არ იყო. ერთ დღეს, თბილისში მიმავალ ჯერ კიდევ უცნობ გენერალს, ვასილ მჟავანაძეს გამოუვლია. მას შინსახკომიდან დარეკვა მოუნდომებია და იქ შესულა. ბაბუას ყურადღება მიუქცევია, კაბინეტში შეუპატიჟებია, შემდეგ რესტორანში უქეიფიათ, დამშვიდობებია და დაშორებულან. ზუსტად არ ვიცი, ამ ამბიდან რამდენ ხანში მოხდა მჟავანაძის დანიშვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად. ერთ დღეს კი ვასილ მჟავანაძეს ბაბუა გამოუძახებია თბილისში. თურმე, გზაში ფიქრობს: „ნეტავ, სად მივდივარ, მიჭერენ?“ მოგეხსენებათ, რა პერიოდი ჰქონდათ გავლილი: ძმა ძმას „უშვებდა”, შვილი – მშობელს და ასე შემდეგ. მიგიყვანდნენ, არც გეტყოდნენ, რაში იყო საქმე, პირდაპირ მიგაყენებდნენ კედელთან და გხვრეტდნენ.

ბაბუას სულ 4 კლასის განათლება ჰქონია. უნდა ეშრომა და ოჯახი ერჩინა, სად იყო მაშინ სწავლის დრო. ამისთანა ბაბუები ჩემ გარდა ჩემი თაობიდან ბევრს ჰყავდა. მოკლედ, მჟავანაძესთან ამ შეხვედრის შემდეგ ბაბუა დანიშნეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ. შემდეგ, ერთი მომენტი, მის მინისტრად გადაყვანაზეც ალაპარაკდნენ, მაგრამ, ამ დროს მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ მას მხოლოდ 4 კლასის განათლება ჰქონდა და აქედან გამომდინარე, უფლებას არ მისცემდნენ, ამ თანამდებობაზე ემუშავა.

**– მომავალში რა ხდება?**

– იმხანად ხშირად ხდებოდა, რომ ძველ ჩეკისტსა და ძველ შინსახკომელს ისეთ დარგში ნიშნავდნენ თანამდებობებზე, სადაც ფული უნდა ეშოვათ, ანუ, ვაჭრობაში, რის გაგებაშიც საერთოდ არ იყო ბაბუა. ის დანიშნეს საქართველოს კოოპვაჭრობის უფროსად. სულ 2 თვის მისული იყო და სანამ გაერკვეოდა საქმეში, მაშინდელ ცენტრალურ გაზეთ „პრავდაში”აქაურმა სპეცკორესპონდენტმა დაწერა, რომ კოოპვაჭრობაში ცუდი ამბები ხდება და ყველაფერში დამნაშავე ალექსანდრე კვაშალი არისო. ბაბუამ ძალიან ინერვიულა, დაწერა პასუხიც. სწორედ ამ პერიოდში, სახლში ვართ მე და ბაბუა (მე ვარ დაახლოებით 7-8 წლის) და კარზე ზარის ხმა გაისმა. გავაღე და, ვხედავ ორი უშველებელი მამაკაცი დგას – ნაბდებში გახვეული და ტომრებმოკიდებული. ალიოშა სახლშიაო? – მკითხეს. მე შინ მივიწვიე. შემოვიდნენ და ეს ტომრები დაალაგეს. ნაბდები რომ მოიხსნეს, ისეთი ალჭურვილები იყვნენ იარაღით, მხოლოდ კინოში მინახავს მსგავსი რამ – „ვინტოვკა”, „აბრეზები”, „მაუზერები” – მოკლედ დაძეძგილები... შევიდნენ ბაბუასთან. ჯერ სიცილი ისმოდა, შემდეგ სიცილი გადავიდა ყვირილში და, ბოლოს, ბაბუამ – გამასწარით აქედანო.



**ალიოშა სახლშიაო? – მკითხეს. მე შინ მივიწვიე. შემოვიდნენ და, ნაბდები რომ მოიხსნეს, ისეთი ალჭურვილები იყვნენ იარაღით, მხოლოდ კინოში მინახავს მსგავსი რამ – „ვინტოვკა”, „აბრეზები”, „მაუზერები” – მოკლედ, დაძეძგილები... შევიდნენ ბაბუასთან. ჯერ სიცილი ისმოდა, შემდეგ სიცილი გადავიდა ყვირილში და, ბოლოს ბაბუამ – გამასწარით აქედანო**

**– კი მაგრამ, ვინ იყვნენ?**

– ბაბუა ხომ ჩეკისტი იყო, ბანდებს როდესაც დასდევდნენ ტყეში, ბაბუა შევიდოდა მარტო, დაელაპარაკებოდა ბანდის უფროსს და ეტყოდა: აგერ ვდგავართ 300 კაცი, ყველას დაგხოცავთ, ჩვენებიც დაიხოცებიან. მე გაძლევთ პირობას, თუ დაგვნებდებით, შენ ამდენ წელს მიიღებ, შენ – ამდენს, ანუ, არავინ არ დაისჯება სიკვდილითო. ხშირ შემთხვევაში, ყველა იარაღდაყრილი გამოდიოდა ამგვარი მოლაპარაკების შემდეგ. ამაზე იწერებოდა სტატიები, ფილმიც კი გადაიღეს. მოკლედ, ზემოთ აღნიშნული სტუმრები სწორედ ერთ-ერთი ასეთი დაჯგუფების წევრები ყოფილან. მათ „პრავდაში” წაუკითხავთ სტატია, უფიქრიათ, ეს ჩვენი ძმაკაცი ინერვიულებსო (მას შემდეგ ბევრ მათგანთან მეგობრობდა), ამიტომაც მოვიდნენ, ბაბუა მოიკითხეს – ხომ არ ნერვიულობო და უთხრეს: გვითხარი, სად არის „პრავდის” რედაქციაო! ამიტომაც გაყარა ისინი სახლიდან.

**ბაბუას ბოლო თანამდებობა იყო თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების უფროსი. 18 ოჯახს ინახავდა: მამაჩემის, ბიძაჩემის და ბევრი ნათესავის, ასევე, რამდენიმე მეზობლის**

მოგვიანებით, ბაბუა გადაიყვანეს ხილბოსტანვაჭრობაში სამმართველოს უფროსად. ოჯახს დაემჩნა: მე გიტარა მიყიდეს, ოჯახმა ავტომანქანა შეიძინა... ეს 1964-1965 წლებია.

ბაბუას ბოლო თანამდებობა იყო თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების უფროსი. 18 ოჯახს ინახავდა: მამაჩემის, ბიძაჩემის და ბევრი ნათესავის, ასევე, რამდენიმე მეზობლის. ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა ოჯახური წვეულებები, მოდიოდნენ მეგობრები, ჩამოდიოდნენ ნათესავები. რომ ვთქვი, ბაბუასთან ვიწექი-მეთქი, ღამით რომ ავდგებოდი, ვიღაცას გადავაბიჯებდი, ვიღაცას – დავაბიჯებდი... შემდეგ ეს თვისება მამაჩემს გადაედო. მოგვიანებით, როდესაც შემოსავალი შემოაკლდა, იმაზე ნერვიულობდა, რომ ვეღარ ეხმარებოდა დაღუპული მეგობრების ოჯახებს.

**– მამა სად მუშაობდა?**

– იგი ბაბუას გზას გაჰყვა: იურიდიულზე ჩააბარა ექსტერნად. თავიდან მუშაობდა მილიციაში, ბოლოს კი პროკურატურაში იყო ათეული წლების განმავლობაში.

**– სად ცხოვრობდით?**

– ვცხოვრობდით ქიაჩელის ქუჩაზე, „ბერიას კორპუსს“ რომ ეძახიან. კარგი მეზობლები გვყავდა – ყველა ჩეკისტები, გენერლები... კარგი ადგილი იყო.

**– თქვენს კონცერტს თუ მოესწრო ბაბუა?**

– გეტყვით. მას ჰყავდა მეგობარი, სომეხი კაცი იყო – რუბენა. ბაბუა რომ მიდიოდა, სახლში რუბენას მიტოვებდა. რუბენა საჭმელს მიკეთებდა ხოლმე და მეუბნებოდა: აი, ნუგზარჯან, აემ ქათმისგან 60 ნაჭერი უნდა გამოვიდეს. მაგარი მზარეული იყო, ძველი ჩეკისტი. ის, აქეთ ბებიაჩემის ძმა – გენერალი შაიშმელაშვილი, მოკლედ, გარშემო ყველა ახლობელი სამხრეებიანი მყავს, მე გამოვედი მხოლოდ მომღერალი.

**– თქვენ არ გიცდიათ, მათ გზას გაჰყოლოდით?**

– ვაბარებდი იურიდიულზე, მაგრამ, წერითი გამოცდა იყო ისტორიაში და... კიდევ კარგი, ვერ ჩავაბარე. რომ მითხრან, რას გააკეთებ, ცხოვრება რომ დაიწყო თავიდანო, იმავეს გავაკეთებ. რაც შეეხება ჩემს პირველ კონცერტს, ეს იყო 1969 წლის ზაფხული და კონცერტი იყო მანავში. ჩამოვიდნენ 30-მდე მანქანით: „პობედებით“, „ვოლგებით“... ბაბუა მესამე სიმღერიდან გამოსულა მოსაწევად დარბაზიდან და ძმაკაცისთვის გადაულაპარაკია: მე უკვე წყნარად შემიძლია, წავიდე, ნუგზარს შავი პურის ფული აქვსო.

მოგვიანებით ისე მოხდა, რომ მოულოდნელად ბრმა ნაწლავი ამტკივდა და ოპერაცია გამიკეთეს. ბაბუა რომ მოვიდა საავადმყოფოში, არ შემოუშვეს და ამაზე უნერვიულია – ხომ არაფერი სჭირს ბავშვს და მე მიმალავენო. იქვე დავარდნილა შემოსასვლელში. ასე გარდაიცვალა იგი 59 წლის ასაკში.

**– თქვენ როგორი ბაბუა ხართ?**

– გიჟი ბაბუა ვარ. მე ბაბუა 57 წლის ასაკში გავხდი და ამის შემდეგ შეიცვალა ჩემი ცხოვრება, არსებობა. სულ სხვანაირი გავხდი. ახლა მივხვდი, როგორი განცდა ექნებოდა ბაბუაჩემს, როდესაც მე მოვევლინე ქვეყანას.

**ეკა სალაღაია**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფორდ მონდეო", 1993 წლის, რომელსაც ჰაერმზომი („ვოზდუხამერი") გაუფუჭდა. მანქანას საგრძნობლად შეუსუსტდა გაწევა და გაცილებით მეტ საწვავს წვავს. იქნებ, მითხრათ, სად შეიძლება ამ ნაწილის განვადებით შეძენა და, საერთოდ, რა ღირს ის? ამასთანავე, მაინტერესებს, შეიძლება თუ არა მანქანის მართვა ან სხვა გზით მისი შერემონტება, სანამ ამ დეტალს შევიძენ?**

**პასუხი**: განვადება კეთდება ყველა დიდ მაღაზიაში, მათ შორის, ქუთაისის ქუჩაზე, სადაც ავტონაწილები იყიდება, ბანკის წარმომადგენლები სხედან და ეს ძალიან მარტივი პროცედურაა. რაც შეეხება ჰაერმზომის („ვოზდუხამერის") ფასს, სერიოზული განსხვავებებია ფასში იმის მიხედვით, თუ რომელი ფირმის ნაწილს იძენთ. კარგი ხარისხის ჰაერმზომი საკმაოდ ძვირია. ამიტომ, ჩემი რჩევაა, ეს ნაწილი ელიავას ბაზრობაზე, ეგრეთ წოდებულ „დაშლილებში" შეიძინოთ, სადაც, მართალია, ნახმარ, მაგრამ, სამაგიეროდ, მანქანის ორიგინალ ნაწილს იშოვით, მით უფრო, რომ ამ ავტომობილის ნაწილები საკმაოდ ბევრია. რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა მანქანის მართვა ამ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, შეიძლება. გაფუჭებული ჰაერმზომი არც ერთ სხვა დეტალს არ დააზიანებს, მაგრამ, საწვავის წვას სხვა ხერხებით ვერ შეამცირებთ. ეს არის ის ნაწილი, რომელიც კომპიუტერს საწვავისა და ჰაერის ნაზავის შესახებ აწვდის ინფორმაციას. რადგან ის გაფუჭდა, შესაბამისად, კომპიუტერიც არასწორად მუშაობს და უფრო დიდი რაოდენობით საწვავს აწვდის. ამიტომ, უმჯობესია, ეს დეტალი რაც შეიძლება მალე შეცვალოთ.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: ვარ ახალგაზრდა მძღოლი და მინდა ახალი ავტომობილის შეძენა. იქნებ, მირჩიოთ, „მერსედესის ემელის 350" „ჯიპი" შევიძინო თუ – „ბეემვეს იქს 5", 3.0 ძრავას მოცულობით?**

**პასუხი**: ამ ორ ავტომობილს შორის იმდენად რადიკალური განსხვავებაა, რომ, მიკვირს, როგორ შეიძლება მათი შედარება. ერთს გეტყვით: თუ თქვენ დინჯი ხასიათის, მშვიდი ადამიანი ხართ, ავტომობილი გირჩევნიათ გამძლეობაზე იყოს გათვლილი, ვიდრე სისწრაფეზე და, ასეთ შემთხვევაში, „ემელის ჯიპი" უნდა შეიძინოთ. ხოლო, თუ თქვენ ხანდახან მაინც გიყვართ გაზის პედალზე ფეხის მიჭერა და ავტომობილის მართვაში გარკვეულ აგრესიას დებთ, მაშინ, „იქს 5" შეიძინეთ.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფოლკსაგენ ჯეტა", 2001 წლის, ტიპ-ტრონიკი. სიჩქარეთა სხვადასხვა პოზიციაში გადატანისას (ვთქვათ „ერ", „ენ" ან „დე" პოზიციებში), ბერკეტის ჩაგდებისას პატარა ხმა აქვს, თითქოს დგაფუნობს. სახიფათოა თუ არა ეს, როგორ შეიძლება ამ გაუმართაობის გამოსწორება და, საერთოდ, რა შემთხვევებში იცვლება სიჩქარეთა კოლოფში ზეთი, ანუ, როგორ უნდა დადგინდეს, გამოსაცვლელია თუ არა ის?**

**პასუხი**: პოზიციებში გატანისას თუ ხმა აქვს და, ამავდროულად, ალბათ, ბიძგიც იგრძნობა ძარაზე, ტრანსმისიის გაუმართაობასთან გვაქვს საქმე, თუმცა კონკრეტულად რაზეა პრობლემა, ცოტა ძნელი სათქმელია, ამიტომ, უმჯობესია, ხელოსანს ანახვოთ. რაც შეეხება ზეთის შეცვლას კოლოფში, ის გარკვეული გარბენის შემდეგ, დაახლოებით, ყოველი 50.000 კილომეტრის გავლის შემდეგ იცვლება. რა მდგომარეობაშია დონე, ამის დადგენაც არ არის რთული – ეს ადვილად შესამჩნევია, რადგან, ავტომატური კოლოფი სიჩქარეების გადართვას აგვიანებს, ანუ, სიჩქარეებს დიდი ინტერვალებით რთავს. გარდა ამისა, შესაძლებელია, შუპზეც ნახოთ, თუ როგორ მდგომარეობაშია ზეთი.

**კითხვა: ვიცოდი, რომ მუხრუჭთან ერთად მოდების გათიშვა უფრო რბილად აჩერებს ავტომობილს, მაგრამ, როგორც მითხრეს, ეს მოდებას საგრძნობლად აზიანებს, თუმცა, ვერ ამიხსნეს, როგორ. იქნებ, მირჩიოთ, როგორ ჯობია ავტომობილის გაჩერება?**

**პასუხი**: უცნაურია, მაგრამ, ძალიან ბევრი იქცევა ასე და ყველას ერთი ახსნა აქვს – რომ ავტომობილი მოდებით უფრო რბილად ჩერდება. უმჯობესია, მუხრუჭით მაქსიმალურად შეანელოთ და ბოლოს დააწვეთ მოდებას, რომ არ ჩაქრეს. თუ მაინცდამაინც რბილად გაჩერება გსურთ და თან გეშინიათ, რომ ავტომობილი არ ჩაგიქრეთ, ჯობია, თავიდანვე ამოიღოთ ბერკეტი სიჩქარეებიდან, ეგრეთ წოდებული „ხალასტოი ხოდით" მიხვიდეთ, ვთქვათ, შუქნიშნამდე და მხოლოდ მუხრუჭით გააჩეროთ ავტომობილი. ამ დროს მას ნაკლები ძალა ადგება. თუ სიჩქარეებშია ავტომობილი, იქ მთელი ტრანსმისია მუშაობს და ავტომობილი უფრო დაძაბულია. რატომ არის, რომ ავტომატური კოლოფით აღჭურვილ ავტომობილებს ხშირად უცვდებათ მუხრუჭები, „კალოდკები". ეს იმიტომ, რომ „ავტომატებს" სიჩქარეები არ აქვთ და მაღალი სიჩქარიდან მხოლოდ მუხრუჭებს უწევთ ავტომობილის გაჩერება, სიჩქარეები არ ეხმარება ავტომობილის შენელებას; მეორე, როდესაც მუხრუჭს ადგამ ფეხს, ამ შემთხვევაში მოდებას არ თიშავ, ავტომობილი უფრო მეტად იჭიმება და მეტი დატვირთვა აქვს მუხრუჭს. ერთი სიტყვით, ჩემი რჩევა იქნება, რომ ავტომობილი სუფთა მუხრუჭით გააჩეროთ, რომელ სიჩქარეშიც არ უნდა იყოს; ნელ-ნელა სიჩქარეებიც ქვემოთ ჩამოწიოთ და, უკვე საბოლოოდ გაჩერებისთვის დააწვეთ მუხრუჭს, პარალელურად მოდება უნდა გამოთიშოთ და ბერკეტი სიჩქარიდან ამოაგდოთ – ასე ყველაზე ნაკლებად ხდება მოდების ცვეთა.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მიცუბიში პაჯერო". როდესაც ხიდებს ვრთავ, ხან თავისუფლად ვარდება, ხან კი ამისთვის დიდი ძალისხმევა მჭირდება. ერთხელ ხიდების გამორთვაც ძალიან გამიჭირდა, ბევრი ვიწვალე და, როგორც იქნა, გამოვრთე. რამე გავაფუჭე, არასწორად ვრთავ, თუ, ყველა „ჯიპს" ასე უჭირს ხიდების ჩართვა?**

**პასუხი**: ხიდების მექანიკურ ჩართვას თავისი სპეციფიკა აქვს. თუ ხიდების ჩართვა გვინდა, რიჩაგი კი გვეწინააღმდეგება ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ჩასართავი კბილანა ვერ პოულობს თავის ბუდეს, ანუ, კბილი კბილზეა დამიზნებული. ამისთვის ძალიან მარტივი მოქმედებაა საჭირო: ავტომობილი ან წინ ან უკან სულ ოდნავ დავწიოთ, რათა კბილი კბილს ასცდეს და თავის გზით წავიდეს და ხელმეორედ ვცადოთ ხიდის ჩართვა. ყველაზე კარგი მომენტია, როდესაც ან აღმართზე ან დაღმართზე ვდგავართ და, შესაბამისად, ავტომობილს დაგორების საშუალება აქვს. ჩვენ შეგვიძლია, ხიდების ჩამრთველ ბერკეტს მივაწვეთ და, მუხრუჭს ოდნავ შევუშვათ ფეხი, რომ ავტომობილს ოდნავ დაგორების საშუალება მივცეთ. ამ დროს ის ადვილად იპოვის ბუდეს და თავისუფლად ჩახტება თავის ადგილას. როგორც არ უნდა დარწმუნდეთ, რომ ხიდები ჩაირთო, მაინც უნდა გააკეთოთ საკონტროლო მოძრაობა. იგივე გააკეთეთ ხიდების გამორთვის დროსაც. ანუ, სულ ოდნავ დაძარით ავტომობილი და მოდება გათიშეთ, რათა ხიდების ჩასართავ კბილანას მიეცეს საშუალება, კარგად მოერგოს თავის ბუდეს. თუ ამ წესებს დაიცავთ, არასდროს გაგიფუჭდებათ ხიდების ჩასართავი მოწყობილობა და ზოგადად, არც მათი ჩართვა გაგიჭირდებათ.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

გიორგის გოდერძის
გენიალური მევიოლინე
რა ქნა წვიმამ? / ქალის სახელი
ბორბალშია თვალთვალი / თეატრშია ბუტერბროდი
ამერიკული მტაცებელი / ქსოვილის ზოლი
რაიმეზე დამდგარი შუქი მზისა
3
ბაჰრეინის დედაქალაქი
ილიას პოემა
შესანიღბი საშუალება ტიხარი
ესეც მეფეა
სათევზლური
წვერის სალებავი
ქილილა და.... / ....ცვეტაევა
მეტისმეტი / კითხვითი სიტყვა
ქალის ალმოსავლური სახელი
6
ნაბიჯით (......)!
სხეული / დეკაბრისტი
ბევრი ცხვარი
ნარკოტიკი / ლენინი, სტალინი
სპორტ. საქონლის მწარმოებ. ფირმა
ხარის სახელი
კუს თავშესაფარი
(.....)-მასკარადი
(......) მუხასა
(....) ბაბაჯანიანი / გორის გუნდი
ფალიაშვილის ოპერა
კომში გურიაში
სახელი და გვარი „უთავო მხედრის“ ავტორისა / მსოფლიო ჩემპიონატი
(........) ინკოგნიტო
1
მოგრძო ბორცვი / ამირანის დედა




ნიჟი / ფაფისებრი ნამალი კუჭისა
წვალებით შრომა
ჯერაც არ დაუმარხავთ
ბადურაშვილი
კაცის გერმანული სახელი
2
აქვს ყველა წიგნს ბევრი
(......) გემელია
უცხო, გარეშე
ოსეთი / (........) ფრეინდლიხი
ქვირფასი ქვა
მორჩა ანუ? / რა არის შტატივი?
ფრანგი მწერალი ანატოლ...
მესამე პირმა / რუსული ჯიპი
სუსტი ქარი / მოურიდებელი
ზაფხულში ბევრია
„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა (.........)“
ჩვენი ქალაქი / თოვლზე სასრიალო
ებრაული სასანთლე
1225 წ ბრძოლის ადგილი
„ბუბლიკი“ ქართულად
5
აფრიკის სახელმწიფო
მძიმე სენი
უფალთან „საუბარი“
ქალის სახელი
ბალის პატრონი ფოლკლორში
წყალზე ცურავს / მაგარი სასმელი
დამუხტული ნაწილაკი
ძალიან ბევრი
ასეთი იყო როსტევანი
ქალის ევროპული სახელი
თბილისის უბანი
გერმანელი მწერალი
მუსლიმანთა სულიერი ლიდერი
ლიტვის ფული
მტერი / პირველი პირი
4
მწვანე ღვინის სოფელი
მაღალი ხე
თეთრგვარდიელი / ცხენთა შეჯიბრი
(......) ყანჩელი
თხილიანი კანფეტი
უკრაინის ქალაქი
რომანი „(.......) იდენი“
იმგვარად / ზემოთ

Column clues:

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | 2 | | | | | | | | |
| | | | | | | 13 | | 6 | | | | | | | 1 | 2 | 2 | | | | 4 | 4 | 3 | 5 | 2 | 2 | 2 | 1 | |
| | 7 | | | | | 1 | 11 | 2 | 7 | | 11 | | | 2 | 2 | 4 | 3 | | | | 6 | 1 | 3 | 3 | 6 | 4 | 2 | 1 | |
| 7 | 1 | 19 | 20 | 20 | 20 | 1 | 6 | 7 | 8 | 17 | 1 | 11 | 12 | 8 | 8 | 1 | 15 | 22 | 22 | 21 | 1 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 4 | 3 | 3 |

Row clues:

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 4 |
| | | | 7 |
| | | 2 | 1 |
| | 3 | 3 | 2 |
| | | 8 | 3 |
| 5 | 2 | 5 | 3 |
| | 12 | 6 | 6 |
| | | 12 | 12 |
| | | 13 | 9 |
| | | 15 | 4 |
| | | | 23 |
| | | | 21 |
| | | 8 | 13 |
| | | 9 | 13 |
| | 9 | 6 | 7 |
| 1 | 6 | 7 | 8 |
| 1 | 5 | 8 | 9 |
| | | 9 | 10 |
| 4 | 4 | 4 | 7 |
| 4 | 4 | 4 | 6 |
| 4 | 4 | 4 | 5 |
| 4 | 4 | 4 | 3 |
| | 10 | 4 | 1 |
| | | 4 | 4 |
| | | 6 | 6 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | | | 8 | | | 3 | 7 |
| | | 7 | 3 | 9 | 5 | 1 | | |
| 2 | 6 | | | 4 | | | 8 | 5 |
| 3 | 7 | | 4 | | 9 | | 1 | |
| | | 4 | 6 | 2 | | 5 | | 3 |
| 9 | | 2 | 8 | | 3 | 7 | 4 | |
| 7 | | 8 | | 6 | | 3 | 5 | 1 |
| 4 | | 5 | 1 | | 8 | | 2 | |
| 6 | | 1 | | 3 | 2 | 8 | | 4 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 4 | | 2 | | |
| | | | | | 9 | | | |
| 6 | | | 8 | | | | 1 | 9 |
| | | | | 1 | | 6 | | |
| | 6 | 7 | 9 | | | 5 | | 1 |
| 4 | | | 2 | | 5 | | 3 | |
| | | | | 2 | | | | 4 |
| | 1 | | 5 | | 6 | | 2 | |
| 3 | | 9 | | 8 | | 1 | | 6 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. გოგრის ფორმით დაიწყეთ სალივანის თავის ხატვა



2. თავზე მიახატეთ თვალები და რქები



3. გამოკვეთეთ თვალები და მიახატეთ ცხვირ-პირიც



4. სალივანს მიახატეთ მხრები და ერთი ხელი



5. მიახატეთ ტანი და მეორე ხელი



6. დაასრულეთ ნახატი



7. გააფერადეთ



გალა სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რა გზით მივა ბიჭუნა ტორტთან



## იპოვე მოცემული ფიგურები ნახატზე



# მტრედი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ მტრედს მოსწყურდა, კედელზე მიხატული წყლით სავსე ფიალა დაინახა, ნამდვილი ეგონა, წყურვილს მოვიკლავო, იფიქრა. გაქანდა და კედელს შეასკდა. წყურვილის მოკვლისა რა მოგახსენოთ და ფრთამოტეხილი კი ჩამოვარდა მიწაზე.

ბრმად გადადგმული ნაბიჯი კაცს დაღუპავსო.

## რიცხვრებუსი

7,,,, ,5,, 7,,,, 10,,



# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, რამდენი სახის ალერგია არსებობს ძაღლებში და რომელია ყველაზე გავრცელებული?**

**პასუხი:** ძაღლებში არსებობს რამდენიმე სახის ალერგია, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია ტკიპას ნერწყვით გამოწვეული ალერგია. ასევე, ალერგია გარემოზე, რომელშიც ცხოველი იმყოფება და საკვებისმიერი ალერგიები. ყველაზე გავრცელებულია ტკიპის ნერწყვზე ალერგია. სამწუხაროდ, ხშირად არ ხდება მისი ობიექტური შეფასება, რადგან, ამ დროს ცხოველის ორგანიზმზე შეიძლება ვერ აღმოვაჩინოთ ტკიპა. საქმე ისაა, რომ ალერგიული რეაქციის ჩამოყალიბებაში ტკიპის ერთი კბენაც საკმარისია. კბენა შეიძლება მოხდეს ცხოველის გასეირნების დროსაც. ეს, შეიძლება, აიხსნას იმითაც, რომ ხშირად ცხოველები ერთსა და იმავე გარემოში იმყოფებიან და ტკიპები მათზე პარაზიტობენ. არც ის არის გამორიცხული, რომ ორი ერთად მყოფი ცხოველიდან ალერგია ერთს განუვითარდეს, მეორეს კი – არა. საკვებისმიერი ალერგიები ყველაზე იშვიათია ალერგიებს შორის. საკვებისმიერი ალერგიების განვითარებისთვის იმუნურ სისტემას სჭირდება გარკვეული დრო, ამიტომ, არასწორია ის აზრი, რომ, საკვების მსგავსი ალერგია შეიძლება განვითარდეს ახალი პროდუქტების მიცემის შედეგად. პირიქით, სრულიად ახალ ცილას არ შეუძლია, ცხოველში რაიმე რეაქცია გამოიწვიოს და ზუსტად ამიტომ გამოიყენება ის ალერგიული დაავადებების სადიაგნოსტიკოდ. ყველაზე ხშირად ალერგია ვითარდება ხორცის ცილაზე და ის მკაცრად ინდივიდუალურია, რადგან, შეიძლება, ერთ ცხოველს საქონლის ხორცზე ჰქონდეს ალერგია, მეორეს კი – თევზზე. რაც შეეხება ალერგიას გარემოში არსებულ სხვადასხვა ნივთიერებაზე (ატოპიური დერმატიტები), თავისი გავრცელების მიხედვით ის მეორეა. როგორც წესი, აღნიშნული ტიპის ალერგიების პირველადი გამოვლინება ხდება 10 თვიდან 3 წლის ასაკამდე.

**კითხვა: რა უნდა ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ ძაღლების ჯანმრთელობისთვის პრევენციისთვის და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება შემოდგომის დადგომასთან ერთად?**

**პასუხი:** პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის, რომ, შემოდგომის დადგომასთან ერთად, გრილ ამინდებში, განსაკუთრებით აქტიურდებიან ექტო-პარაზიტები, რწყილები და ტკიპები. მათ გადააქვთ ისეთი მეტად მძიმე დაავადებები, როგორიცაა პიროპლაზმოზი, რომელიც მიმდინარეობს საკმაოდ მძიმედ და, შეიძლება, არასახარბიელო შედეგითაც დამთავრდეს. ამიტომ, შემოდგომის დადგომისთანავე აუცილებელია, ცხოველები დავამუშაოთ რწყილებისა და ტკიპების საწინააღმდეგო სპეციალური საშუალებებით, მაგალითად, როგორიცაა წვეთები, საყელოები და ინსექტოციდური აეროზოლები.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
> **გოეთე**

**კითხვა: რა სიხშირით მოვრწყათ ჰერბერა ჯემსონა და როგორ ადგილას გვირჩევთ მის დადგმას?**

**პასუხი:** მთელი წლის განმავლობაში ჰერბერა უნდა მოირწყას ზომიერად, რადგან, ზედმეტმა სინესტემ, შეიძლება, სოკოვანი დაავადება გამოიწვიოს. სასურველია, თუ გაზაფხულზე, კვირაში ერთხელ, ყვავილის ნაკელით განოყიერდება. რაც შეეხება ადგილს, ამ მცენარეს უყვარს ნათელი, მზიანი, თბილი და კარგად განიავებული ოთახი. ზამთარში ნიადაგის ტემპერატურა უნდა ემთხვეოდეს ოთახის ტემპერატურას. ზაფხულში შეგიძლიათ, გარე კლიმატშიც ამყოფოთ.

**კითხვა: მაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა კინკანის ოთახის პირობებში გაზრდა და საჭმელად ვარგისია თუ არა მისი ნაყოფი?**

**პასუხი:** კინკანი არის ცნობილი მარადმწვანე ბუჩქი. თქვენ ძალიან იოლად შეგიძლიათ, გაახაროთ ის ოთახის პირობებში. ქოთანში ჩარგულმა კინკანმა შეიძლება ორ მეტრამდე სიმაღლესაც კი მიაღწიოს. მისი ნაყოფი პატარაა და ფორთოხლისფერია. ის საჭმელად ვარგისია და მისგან არაჩვეულებრივი მურაბაც მზადდება. ისევე, როგორც ყველა ციტრუსს, მასაც უყვარს ნათელი, მზიანი ოთახი. ზაფხულში ის გაიტანეთ გარეთ, ზამთარსა და წელიწადის სხვადასხვა სეზონზე კი ამყოფეთ ბინაში და მშვენივრად გაიხარებს.

**კითხვა: პრეტენზიული მოსავლელია თუ არა რუდბეკია და როგორ პირობებში ხარობს ის?**

**პასუხი:** იმისათვის, რომ ეს მცენარე მაღალი არ გაიზარდოს, უნდა დარგათ მზიან ადგილას, გარე გრუნტში. მისი ნიადაგი წინასწარ უნდა შეირჩეს – სასურველია, იყოს ნახევრად თიხიანი, ნოყიერი ნიადაგი, რომლის ძირითადი თვისებაა, წყლის შეკავება და შენარჩუნება მიწაში. რუდბეკია ძალიან ამტანი და გამძლე მცენარეა. ის იოლად უძლებს დიდ ყინვასაც და ზაფხულში ძალიან დიდ სიცხესაც. გაზაფხულზე და ზაფხულში მორწყეთ რეგულარულად, ზამთარში კი – ოდნავ შეამცირეთ. მცენარე მრავლდება თესლით. მისი თესლი მარტში ითესება სათბურებში, შემდეგ კი გადააქვთ ქოთნებში, გაზაფხულის ყინვების დამთავრებისთანავე ხდება მისი გარეთ გატანა. მართალია, ამ მცენარეს ხშირად უჩნდება მავნებლები, მაგრამ, თუ დროულად შეწამლავთ, თქვენს რუდბეკიას საფრთხე არ დაემუქრება. მას უყვარს განათებული ადგილი. მოვლის დროს ყველაზე მთავარია, ჭარბი წყლის დასხმით არ გამოიწვიოთ მისი ლპობა. ამიტომ, ყოველთვის ყურადღება მიაქციეთ მორწყვის რეჟიმს.

**კითხვა: რა სიხშირით მოვრწყა აბუტილონი და როგორ მოვუარო გაზაფხულზე?**

**პასუხი:** თბილ გარემოში მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში, როცა ცივა, მორწყვიდან მორწყვამდე შეშრობა დააცადეთ. აქტიური ზრდის პერიოდში, ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ თხევადი, ბალანსირებული სასუქით გაანოყიერეთ. ზამთარში დამატებითი კვება არ სჭირდება. ძალიან რომ არ გაიზარდოს, აბუტილონი გაზაფხულზე უნდა გასხლათ. თუ წვეროებს წააჭრით, ბუჩქს დაემსგავსება, თუმცა შეიძლება, გვიან აყვავდეს. ზაფხულში აქტიური ზრდის პერიოდი აქვს, ამიტომ შემოდგომის დასაწყისში შეიძლება ხელახლა დასჭირდეს გასხვლა.

**მოამზადა**
**თეოგა გოზალიშვილმა**

# მოტყუებულმა ცოლებმა ქმარზე ჯავრი ერთად იყარეს

ორი ცოლის მიერ ნაცემი ავთანდილ ს. მრავლობითი დაჟეჟილობითა და მოტეხილობებით საავადმყოფოში თითქმის ერთი თვე მკურნალობდა, მისი ორივე ცოლი კი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა, თუმცა, ქალებმა არა მხოლოდ ქმარს სცემეს, დაზიანებები ერთმანეთსაც მიაყენეს, როგორც ჩანს, ეჭვიანობის ნიადაგზე.

დაუჯერებელია, მაგრამ, ავთანდილ ს., რომელსაც შვილები ორივე ცოლთან ჰყავდა, დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ქალებს ერთ ჭერქვეშ აცხოვრებდა. დაუჯერებელია ისიც, რომ ცოლებს – დოდო ს-სა და რუსი ეროვნების მარია კ-ვას ქმარმა ერთმანეთის შესახებ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა: მარია მოატყუა, რომ დოდო მისი და იყო, რომელიც ქმარმა სამი შვილით მიატოვა, ხოლო დოდო დაარწმუნა, თითქოს მარია იმ პიროვნების შვილი იყო, რომელმაც რუსეთში ყოფნისას ხელი გაუმართა. ოჯახური „იდილია" მანამდე გაგრძელდა, სანამ დოდომ მარიაზე არ იეჭვიანა. ეჭვიანობას კი სიმართლის გამოაშკარავება მოჰყვა, რის შემდეგაც, ქალები ჯერ ერთმანეთს დაერივნენ, შემდეგ კი ორივე ერთად ქმარს გაუსწორდა. სკამით და ოჯახში არსებული სხვა ნივთებით, ავთანდილ ს-ს მრავლობითი დაზიანება მიაყენეს.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, დოდო ს. და მასთან სახლში „სტუმრად" მყოფი, რუსი ეროვნების მარია კ-ვა, ეჭვიანობის ნიადაგზე, 46 წლის ავთანდილ ს-ს ფიზიკურად გაუსწორდნენ: დოდო ს-მ, რომელიც ავთანდილ ს-სთან ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა, ქმარს სკამი ესროლა, რომელმაც ის აიცილა, მაგრამ, მას მარია კ-ვა „დაეხმარა" და ავთანდილ ს-ს მთელი ძალით ჩაარტყა თავში იქვე დაგდებული შუშის ნაჭერი. ავთანდილ ს-ს თავიდან სისხლი წამოუვიდა, თუმცა გონება არ დაუკარგავს და აქტიურად შეეცადა ქალების მოგერიებას. გამოძიების მასალებით, ჭრილობის მიუხედავად, ქალები ავთანდილ ს-ს ცემას განაგრძობდნენ. დოდო ს-მ მას ჩხუბის დროს კედლიდან ჩამოგდებული ხის „კარნიზი" წელის არეში ჩაარტყა, რითაც ნეკნების დაზიანება მიაყენა. სახლთან შეკრებილმა მეზობლებმა მოჩხუბრების გაშველება ვერ შეძლეს, რის გამოც საქმეში პოლიცია ჩაერთო, თუმცა, ვინაიდან სამივე პირი დაშავდა, ჩხუბის მონაწილეები, პოლიციის განყოფილების ნაცვლად, თავდაპირველად საავადმყოფოში აღმოჩნდნენ.

სისხლის სამართლის საქმე ცემისა და სხეულის განზრახ დაზიანების მუხლით აღიძრა. გამოძიების პირველ ეტაპზე ბრალი სამივეს წაუყენეს, მაგრამ, ჩატარებული გამოძიების შემდეგ, საბოლოოდ, ბრალდებულებად მხოლოდ ქალები ცნეს, მეზობლებისა და სხვა თვითმხილველების დაკითხვებით დადგინდა, რომ, რეალურად, კაცს ქალები სცემდნენ, ავთანდილ ს. კი იძულებული იყო მათგან თავი დაეცვა...

### ყალბი პასპორტი და რუსეთში გადახდილი გრანდიოზიული ქორწილი

დოდოზე დაქორწინებულმა ავთანდილ ს-მ რუსეთში წასვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც პოლიციამ, ნარკოტიკების მოხმარების გამო, მასზე ნადირობა გამოაცხადა. ამ პერიოდში მას ორი შვილი ჰყავდა და დოდო მესამეზე იყო ფეხმძიმედ. მაგრამ, ვინაიდან არ მუშაობდა, თან, ნარკოტიკების მომხმარებელი იყო და პოლიციაც მოსვენებას არ აძლევდა, რეალურად, ოჯახმა თავიდან მოიშორა ანუ, წასვლაში ხელი არავინ შეუშალა. როგორც გამოძიებით ირკვევა, ყალბი პასპორტით ავთანდლილ ს. ჯერ სანკტ-პეტერბურგში, შემდეგ მოსკოვში, ბოლოს კი როსტოვში გადაბარგდა და სწორედ იქ გაიცნო მასზე რამდენიმე წლით უმცროსი მარია კ-ვა. მარიას არ დაუმალავს, რომ ნარკოტიკს, ოლონდ, მარიხუანას თავადაც მოიხმარდა და სწორედ ამან შეუწყო ხელი მისი და ავთოს დაახლოებას. მოგვიანებით, შეხვედრებმა ბარებიდან მარიას სახლში გადაინაცვლა. მალე კი მარიამ ის მამას თავის საქმროდ გააცნო და გამოუცხადა, რომ, ვინაიდან ავთო უყვარდა, ცოლად უნდა გაჰყოლოდა. მამა შვილს ამაოდ არწმუნებდა, რომ ავთოსთვის თავი დაენებებინა, რადგან, ქართველი იყო და მოატყუებდა, მაგრამ, მარიამ მამის რჩევა არ გაითვალისწინა...

როგორც მარიამ უამბო გამოძიებას, მართალია, მამამისი ერთადერთი ქალიშვილის ქართველზე გათხოვებამ ძალიან დაადარდიანა, მაგრამ ამის მიუხედავად, ულამაზესი ქორწილი გადაუხადა და ავთო თავისთან, ავეჯის საამქროში ჯერ მუშად დაასაქმა, შემდეგ კი დააწინაურა კიდეც. მარიას ჩვენებითვე ირკვევა, რომ ავთოს არაფერი უთქვამს ცოლის შესახებ, თვითონ კი ამას ვერასოდეს წარმოიდგენდა. ქმარმა მხოლოდ ის უთხრა, რომ სახლში ჰყავდა და, რომელიც ქმარმა სამი შვილით მიატოვა და ზოგჯერ მათ ფულს უგზავნიდა. უცნობი მულისთვის დახმარებაზე კი, როგორც მარია ამბობს, არასდროს უთქვამს ქმრისთვის უარი მაგრამ, ყველაფერი ოთხ თვეში შეიცვალა, მას შემდეგ, რაც ავთომ ცოტაოდენი ფული იშოვა: ის ისევ ნარკოტიკებს დაუბრუნდა და სულ ცოტა ხანში იგი სიმამრის სახლში დააკავეს, ბინიდან კი ნარკოტიკი ამოიღეს. ავთო ს-ს მინიმუმ 10-წლიანი პატიმრობა გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ, ქალიშვილის ხათრით, სიმამრი გვერდში დაუდგა სიძეს და, იმდენი მოახერხა, რომ სასამართლომ მხოლოდ 4 წელი მიუსაჯა და, ისევ სიმამრის წყალობით, საპატიმრო მან ორ წელიწადში დატოვა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ, სიძე-სიმამრს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. მართალია, ისევ სიმამრის საამქროში მუშაობდა, მაგრამ, როგორც თავად დაზარალებული ავთანდილ ს. ამბობს ჩვენებაში, მას საქართველო მოენატრა და, მიუხედავდ იმისა, რომ ცოლი ორი თვის ფეხმძიმე იყო, სიმამრის სახლიდან გამოიპარა, ხელს კი სააქმროს იარაღები გამოაყოლა, რომლით მუშაობასაც საქართველოში აპირებდა.

საქართველოში ჩამოსული ავთო ს., ცხადია, ოჯახში დაბრუნდა. როგორც თავად ამბობს, მარიას ბედი აღელვებდა, მაგრამ, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, რადგან, იქაური კლიმატი მისთვის გაუსაძლისი იყო. რაც შეეხება მარიას ორსულობას, ავთო ს. ირწმუნება, რომ მან ამის შესახებ, არ იცოდა, თუმცა, არ მალავს, რომ რომც სცოდნოდა, კლიმატის გამო რუსეთში მაინც ვერ გაჩერდებოდა.

საქმის მასალებით, მარიამ ქმრის მოძებნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ბავშვი გააჩინა, მაგრამ, არ იცოდა, საიდან დაეწყო, რადგან, ყალბ პასპოსრტში ავთო ს-ს სრულიად სხვა ქალაქი და სხვა საცხოვრებელი ჰქონდა მითითებული. თუმცა, მოგვიანებით მარიას გაახსენდა, რომ ის ქმართან ერთად ფოსტაში იყო, საიდანაც ავთომ დას (რეალურად – ცოლს) ფული გაუგზავნა. ამიტომ, ნაცნობების წყალობით, ძლივს მაგრამ, მაინც შეძლო იმის გაგება, რა მისამართზე გაგზავნა ავთომ თანხა. ამ ინფომრციის გაგების შემდეგ კი მარია მითითებულ მისამართზე ყველასთვის მოულოდნელად ჩავიდა. ქალი დარწმუნებული იყო, რომ ავთოს დის სახლში მიდიოდა, მაგრამ, მითითებულ მისამართზე მისულს თავად ავთო დახვდა, რომელსაც მისი მისვლა იმდენად გაუკვირდა, რომ კარგა ხანს ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა. მაგრამ, როდესაც გაიგო, რომ მარიასგან ბიჭი შეეძინა (პირველ ცოლთან სამი გოგონა ჰყავდა), ქალი სახლში შეიყვანა, მით უმეტეს, რომ იცოდა, მარიას სხვა წასასვლელი არ ჰქონდა. თუმცა, წინასწარ გააფრთხილა, რომ, ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, მისი ოჯახისთვის ჯერჯერობით არაფერი ეთქვა მათი ცოლქმრობის შესახებ, სანაცვლოდ კი დაჰპირდა, რომ რამდენიმე დღეში მას თან გაჰყვებოდა.



ავთო ს-მ ოფიციალურ ცოლს და იქვე მოპირდაპირე სახლში მცხოვრებ მის მშობლებს მარია მეგობრის შვილად გააცნო. ცოლიც და მშობლებიც დაარწმუნა, რომ მამამისმა მას ყველაფერი გაუკეთა, რაც კი შესაძლებელი იყო და, ამიტომ, ოჯახმა ქალი თბილად მიიღო. ავთოს ოფიციალური ცოლი ისე მოიხიბლა რუსი მარიათი, ყველანაირად ცდილობდა ესიამოვნებინა, მაგრამ, არ გამოსდიოდა – მან რუსული არ იცოდა, მარიამ კი – ქართული.

დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ყველაფერი მშვიდად და წყნარად მიდიოდა. სიტუაცია მაშინ შეიცვალა, როდესაც მარიამ აღმოაჩინა, რომ ავთოსა და მის „დას" ერთ ოთახში ეძინათ. მანამადე მარიას ეს არ შეუნიშნავს, რადგან, სრულიად შეგნებულად, ავთო სახლში ძალიან გვიან ბრუნდებოდა, როდესაც მარიას უკვე ეძინა. ამ სიტუაციას დაერთო ისიც, რომ ეჭვიანობა დოდომაც დაიწყო და ქმარი გააფრთხილა, რომ რუსი სტუმარი მას „ცუდად" უყურებდა. ავთომ ცოლი დაარწმუნა, რომ რაღაცეები ეჩვენებოდა, მაგრამ „კოკა წყალზე გატყდა".

22 ივნისს დოდო ს. ბავშვების სანახავად თავის მშობლებთან წავიდა (ვინაიდან არდადეგები იყო, ბავშვები მშობლებთან ჰყავდა გაგზავნილი). თუმცა, გაჩერებაზე მისულმა აღმოაჩინა, რომ ფული სახლში დარჩა და უკან დაბრუნდა (ივარაუდა, რომ შემდეგ რეისს გაჰყვებოდა). სახლში მისულს კი მისთვის მოულოდნელი სცენა დახვდა: ავთო მარიას საძინებელში, მის საწოლზე იჯდა და ქალს ჰკოცნიდა... მოხდა, ის რაც მოსალოდნელი იყო: ქალები ჯერ ერთმანეთს დაერივნენ, შემდეგ კი, ორივე ერთად – ავთოს. სახლში შეკრებილი მეზობლები ოჯახის წევრების გაშველებას ამაოდ ცდილობდნენ. გამწარებული დოდო მათზეც იწევდა, რადგან, ბრაზობდა, რომ მეზობლები სეირს უყურებდნენ. სიტუაცია მხოლოდ პოლიციის მისვლამ განმუხტა. ქალებმა წინააღმდეგობა მათაც გაუწიეს, მაგრამ ხუთკაციანმა ბრიგადამ, როგორც იქნა, შეძლო ჩხუბის აღკვეთა.

კურიოზია, მაგრამ, ვინაიდან ავთანდილ ს. სასტიკად იყო ნაცემი, პოლიციამ ის დაზარალებულად, ხოლო მისი ცოლები დამნაშავეებად ცნო. ცემისა და სხეულის მძიმე დაზიანებისთვის ქალებს 5 წლამდე პატიმრობა ელოდათ, მაგრამ, სასამართლომ 2 წელი პირობითი სასჯელი შეუფარდა და ორივე გაათავისუფლა.

**ეკა ბარაბაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-36(662)

ოლეგას თემა რომ ამოვწურეთ, სიყვარულის მორიგმა ტალღამ მოგვიარა და კარგა ხანს ვცურავდით მასში...

ოლგასთან თითქმის ორი წელიწადი ვიცხოვრე, მაგრამ, ბოლოს ბინის ქურდობის საქმეზე დამიჭირეს და ოთხი წლით რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე საშინელ და ცნობილ ციხეში, ქალაქ ვლადიმირის ცენტრალში მიკრეს თავი.

ვლადიმირის ცენტრალი, იგივე ვლადიმირის „კრიტი“, განსაკუთრებული რეჟიმის, დახურული ციხე იყო და იქ სასჯელს იხდიდნენ სხვადასხვა დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრები, რომლებიც სახელმწიფოს საგანგებო აღრიცხვაზე ჰყავდა და აყვანილი და უმკაცრეს იზოლაციაში მოქცეული. იქ ვისხედით ქურდი-რეციდივისტები, ბანდიტები, ყაჩაღები, ბანკის მძარცველები, მკვლელები და პოლიტიკურები, ანუ დისიდენტები, როგორც მათ მაშინ უწოდებდნენ.

ქალაქი ვლადიმირი მოსკოვიდან 170 კილომეტრითაა დაშორებული და მისი ცნობილი ციხე 200 წელზე მეტი ხნისაა. იქ მილიონობით ადამიანი მჯდარა და იქიდან გაქცევის არც ერთი შემთხვევა არაა ცნობილი. განსაკუთრებული რეჟიმის მიუხედავად, ვლადიმირის „კრიტში“ ქურდებს პატივს სცემდნენ პატიმრები და ჩვენი სტატუსი იქ არ იყო შებღალული. ვლადიმირის ცენტრალი „ბელი ლებედი“ არ იყო, რომელსაც ქურდების მოსატეხი სპეციალური სტატუსი ჰქონდა, მაგრამ, არც ორთაჭალის „გუბერნსკი“ (საგუბერნიო ციხე) იყო, სადაც ქურდები თავის გემოზე ბაირამობდნენ...

– კობრას სიცოცხლე! დაბრუნდი, ძმაო, სახლში? – შემომეგებნენ ქურდები, როდესაც ოცადგილიან საკანში შევდგი ფეხი, რომელიც ქურდებისთვის იყო განკუთვნილი.

– დავბრუნდი, ძმებო! როგორ ხართ? – მივუგე კოლეგებს და თითოეულ მათგანს სათითაოდ გადავეხვიე, შემდეგ ერთადერთი ცარიელი კოიკა დავიკავე და გავაბოლე.

– რა ხდება გარეთ, როგორ მიდის ცხოვრება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ? – მკითხა სანდრო რატიანმა, იგივე „ცალხელამ“, რომელიც ვლადიმირის ცენტრალის უხუცესი პატიმარი იყო და 20 წელი იჯდა იქ.

– ბესპრეძელი ყვავის და პატიოსან ხალხს ტყუილად ხოცავენ, – მივუგე ცალხელას.

– ბესპრეძელის მეტი რა მინახავს, მაგრამ, როგორც ამბობენ, რაც დღეს ხდება, ყველასა და ყველაფერს გადააჭარბაო, – თქვა ცალხელამ, რომელსაც ბესპრეძელი საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი და მეტსახელი „ცალხელაც“ ამის გამო შეარქვეს. მანამდე კი მას „სანდრო ოქროსხელებას“ ეძახდნენ.

70 წლის სანდრო რატიანს თავისი ცხოვრების ზუსტად ნახევარი „სროკზე“ ჰქონდა გატარებული და, ბრილიანტის მსგავსად, ქურდულ სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ოქროსუბნელი ცალხელა „მედვეჟატნიკი“ იყო, მისი აქტიური მოღვაწეობის პერიოდში არ არსებობდა სეიფი, რომლის გახსნაც მას არ შეეძლო და ამიტომაც შეარქვეს „ოქროსხელება“. სწორედ მან და მისმა პაძელნიკებმა გაძარცვეს თბილისის ერთ-ერთი უმსხვილესი ქარხნის სეიფი, იქიდან 2 მილიონ მანეთზე მეტი გაიტაცეს და მიიმალნენ. ეს საქმე დღისით-მზისით, იმ დროს მოხდა, როდესაც ქარხნის მოლარე, სულ რაღაც ათიოდე წუთით გავიდა სალაროდან – მას უთხრეს, ქარხნის დირექტორი გიბარებსო, სინამდვილეში კი ის ქურდების მიერ დაგებულ მახეში გაება, რომლებმაც სატელეფონო ზარით გარეთ გაიტყუეს... სანამ მოლარე დირექტორის კაბინეტისკენ მიემართებოდა და სალაროსთან ასეულობით ქარხნის მუშა იცდიდა, სანდრო და მისი ერთი პაძელნიკი სავენტილაციო მილიდან სალაროში ჩაძვრნენ. შემდეგ სანდრომ სეიფი გააღო, ფულიანი ტომრები გაიტაცა და გაუჩინარდა... სანდრო და მისი პაძელნიკები მხოლოდ ორი წლის მერე დააპატიმრეს, იმ დროისთვის კი მათ უკვე ოცამდე ასეთი „საქმე“ ჰქონდათ ჩატარებული და რამდენიმე მილიონი მანეთი გატაცებული, რომლის 80 პროცენტი ქურდულ სალაროში შეიტანეს. სწორედ ამ საქმეების გამჟღავნების მერე შეარქვეს რატიანს „სანდრო ოქროსხელება“. ის მთელმა ქურდულმა სამყარომ გაიცნო და ქურდის ტიტულის მაძიებელი გახდა. თუმცა, ძიებაში მყოფი სანდრო ოქროსხელება მოსკოვის ბუტირკის ციხიდან გაიქცა და ორი წელიწადი ვერ მოიხელთეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმეები ამხელდნენ მას – იგი ხან საბჭოეთის ერთ ქალაქში ძარცვავდა სეიფს, ხან მეორეში, ბოლოს კი ის კიევში იმ დროს შეიპყრეს, როდესაც სანდრო ქალს გამოესარჩლა ქუჩაში და ნასვამ მამაკაცს ისეთი მოსდო ყბაში, რომ მოსტეხა და ტვინი შეურყია. გაქცევა კი იმიტომ ვერ მოახერხა, რომ მამაკაცის თანმხლებმა პირებმა ოქროსხელებას ტაბელური იარაღები მიუშვირეს და ხელბორკილები დაადეს. ტვინშერყეული მამაკაცი კიევის მილიციის სამმართველოს განყოფილების უფროსი აღმოჩნდა, მისი თანმხლები პირები კი – მისი ხელქვეითები, მილიციის ოპერები...

სანდრო რატიანის კეთილშობილებამ მას ცუდი სამსახური გაუწია. როდესაც გაარკვიეს, თუ ვინ დააკავეს, მილიციელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ოქროსხელება მოსკოვში დააბრუნეს, გაასამართლეს, 15 წელი მიუსაჯეს და ციმბირში, პერმის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების ერთ-ერთ კოლონიაში გაამწესეს. რატიანმა იქ მხოლოდ ორი წელი დაყო და იანვრის ერთ სუსხიან ღამეს „რივოკი“ აილო...

„რივოკი,“ ქურდულ ჟარგონზე, მოუმზადებელ, ალალბედზე გაქცევას ნიშნავს და სანდროს გაუმართლა: მან სამოცკილომეტრიანი თოვლიანი ტყის მასივის გავლა მაინც შეძლო, მაგრამ, ერთი წლის შემდეგ ისევ შეიპყრეს და უკან დააბრუნეს. ზონის უფროსი, პოლკოვნიკი კურიაკინი, რომელიც თავისი სისასტიკით იყო ცნობილი და მეტსახელად „სადისტს“ ეძახდნენ, კლანჭებს ილესავდა და ოქროსხელებას სამაგალითოდ და დამამცირებლად დასჯას აპირებდა.

კურიაკინის სანქციით, ზონაში დაბრუნებული ოქროსხელება წითელი აქტივისტების ბრიგადის ოციოდე წევრმა შეიპყრო. სანდროს წინააღმდეგობის მიუხედავად, მარცხენა ხელზე მას წითელი სახვევი, ანუ, „პავიაზკა“ გაუკეთეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ სანდროს ქურდად აღარ აკურთხებდნენ... ეს სცენა ათას ხუთასი კაცის თვალწინ გათამაშდა, რომელთა შორის ქურდებიც იყვნენ და მათი მიმდევრებიც, მაგრამ, ყველანი თავიანთ ბარაკებში გამოკეტეს და, ამიტომ, ოქროსხელებას ვერავინ დაეხმარა...

პავიაზკაშებმული ოქროსხელება ზეზე რომ წამოდგა, წითელი აქტივისტები უკვე გაქცეულები იყვნენ და თავიანთი ბარაკიდან ადევნებდნენ თვალყურს მოვლენების შემდგომ განვითარებას. სანდრომ მიმოიხედა. შემდეგ თავის მარცხენა, პავიაზკაშებმულ ხელს ზიზღით დახედა და ეგრეთ წოდებული სამუშაო ზონისკენ შურდულივით გავარდა, სადაც დაზგები იდგა. ხუთიოდე წუთის მერე კი, როცა იქ ნადზორები შეცვივდნენ, რკინის საჭრელ დაზგასთან გულწასული ოქროსხელება იპოვეს. იქვე ეგდო მისი პავიაზკაშებმული მარცხენა ხელიც, რომელიც სანდრომ დაზგის მეშვეობით მოიკვეთა...

ოქროსხელება უკვე პერმის საავადმყო-



ფოში იწვა, როდესაც ზონაში საშინელი ბუნტი ატყდა. სანამ საპყრობილეში დამატებითი ძალები შევიდნენ, ქურდული მასტის პატიმრები წითელ აქტივისტებს დაერივნენ და ყველა დახოცეს, ვინც კი ოქროსხელებას მიმართ განხორციელებულ ძალადობაში იღებდა მონაწილეობას. ვერ მოიხელთეს მხოლოდ ზონის უფროსი კურიაკინი, თუმცა, მას „მეტკა“ ჰქონდა დადებული ქურდებისგან და, ორი თვის შემდეგ, პერმის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში, მას ყელი გამოჭრეს. სადისტი თავის საყვარელთან მიდიოდა და მკვლელმა იქ მოიხელთა. სანდრო რატიანი კი ქურდებმა დაუსწრებლად აკურთხეს ქურდად და მას „ცალხელა“ შეარქვეს.

ქურდის არაოფიციალური სტატუსის მიუხედავად, ოფიციალურად, სანდრო რატიანი პირველი ჯგუფის ინვალიდი იყო და, მაშინდელი კანონების მიხედვით, მსჯავრის მოხდა მას მსუბუქ პირობებში ეკუთვნოდა. ამიტომ, ცალხელას რეჟიმი შეუცვალეს, საქართველოში ჩამოიყვანეს და წულუკიძის რაიონში, საერთო რეჟიმის კოლონიაში გაამწესეს. ორ წელიწადში კი, როგორც ამნისტირებული ინვალიდი, გაათავისუფლეს. თუმცა, ცალხელა არასდროს შეჰგუებია ინვალიდობას. მიუხედავად იმისა, რომ მარცხენა ხელი არ ჰქონდა, წარმატებით განაგრძობდა ქურდულ მოღვაწეობას და ძველებურად მოუხელთებელი იყო, თანაც, მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

იმ წლებში, როგორც შემდეგ გაირკვა, კომუნისტური საქართველოს მმართველი შორსმიმავალი გეგმებით ხელმძღვანელობდა, შავი სამყაროს საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევას ცდილობდა და ამისთვის ქურდების გამოყენებას აპირებდა. მისი ნდობით აღჭურვილი პირადი წარმომადგენელი ერთი ერთზე ხვდებოდა საჭირო პირს და ნიადაგს სინჯავდა, იყო თუ არა ის წამომსვლელი შეთანხმებაზე. შეთანხმების პირობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ მავანი ქურდი ან კრიმინალური ავტორიტეტი ხელშეუხებლობის სტატუსს იღებდა ხელისუფლებისგან, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე მძიმე დანაშაულს არ ჩაიდენდა, სანაცვლოდ კი თანამშრომლობის პირობა უნდა დაედო. თანამშრომლობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ მას თავის ირგვლივ კრიმინალური ელემენტები უნდა შემოეკრიბა და ეკონტროლებინა. ეს ყველაფერი კი იმით იყო შეფუთული, ვითომ იმაზე ზრუნავდნენ, რომ ქვეყანაში მძიმე დანაშაული არ მომხდარიყო, რაც ქურდებსაც აწყობდათ. შეთანხმებაში სიტყვაც არ იყო დაძრული ვინმეს ჩაშვებაზე ან სხვა მსგავს ქმედებებზე და სწორედ ეს იყო მთავარი სატყუარა გადმობირების მთელ ამ პროცესში. სინამდვილეში კი, მთელი ამ გეგმის ავტორები ფართომასშტაბიან მაფიოზურ სტრუქტურას ქმნიდნენ და მასში ქურდების ჩათრევას აპირებდნენ. ცალხელა სწორედ იმ დროს გათავისუფლდა წულუკიძიდან და საქართველოს მმართველის ნდობით აღჭურვილი პირი მას პირდაპირ სახლში მიადგა. პირისპირ საუბარმა კარგა ხანს გასტანა. ცალხელამ ყურადღებით მოუსმინა სტუმარს და უთხრა:

– მე ქურდი ვარ და ამით ყველაფერია ნათქვამი. მე ჩვენი კანონებით ვცხოვრობ და, ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, რა ფორმაც და რა კეთილშობილური მიზნებიც არ უნდა ჰქონდეს მას, არაქურდული საქციელია. არაქურდულს კი მე არ გავაკეთებ. ამ საქმისთვის თავი მაქვს გადადებული და ამ თავდადების კვალი კი სხეულზე მატყვია.

– და მაინც, დაფიქრებას გირჩევ, რატიანო! აზრზე მოდი, ვინ და რას გთავაზობს, – კბილებში გამოცრა პოლკოვნიკმა და თვალები ბოროტად აენთო.

– ვინც არ უნდა მთავაზობდეს, არა და მორჩა!

– მორჩა კი არა, ახლა იწყება, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა პოლკოვნიკმა და გაბრაზებული წავიდა.

პრინციპულობის მიუხედავად, ცალხელა სულაც არ იყო „რქიანი“ და, მშვენივრად იცოდა, რომ მილიცია მას პროვოკაციას მოუწყობდა. ამიტომ, ხმა გაავრცელა, რომ საქართველო დატოვა, სინამდვილეში კი თბილისში დარჩა, „ფსკერზე დაწვა“ და ახალი, მსხვილი საქმის მომზადებას შეუდგა. სამი კვირის შემდეგ თბილისის ერთ-ერთი მსხვილი დაწესებულების სეიფი დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა პირწმინდად გაასუფთავეს, რამდენიმე ასეული ათასი მანეთი წაიღეს და, ისე გაუჩინარდნენ, რომ არანაირი კვალი არ დაუტოვებიათ. აბა, რას წარმოიდგენდა მილიცია, რომ ინვალიდი ცალხელა კვლავ საქმეში იყო და მისი მარჯვენა ხელი ძველებურად მარჯვედ აღებდა სეიფებს. სანდრო რატიანზე მას მერე გამოაცხადეს ძებნა, როდესაც მისმა ერთ-ერთმა პაძელნიკმა თავის საყვარელთან დაიტრაბახა ძარცვის ამბავი, ქალი კი მილიციის აგენტი იყო და ყველაფერი მათ უამბო. ოთხივე მძარცველი ექვსი თვის შემდეგ სოხუმში ერთად აიყვანეს სწორედ მაშინ, როდესაც მორიგი საქმის გასაკეთებლად იყვნენ შეკრებილები და, მახვილგონივრულად მოფიქრებული გეგმის მიხედვით, შემნახველი სალაროს სეიფი უნდა გაესუფთავებინათ... დაპატიმრებულები თბილისში ჩამოიყვანეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ეგრეთ წოდებულ „შინაგან ციხეში“ გამოამწყვდიეს, ცალხელა კი პოლკოვნიკს მიუყვანეს. მან სანდროს ირონიულად შეხედა და დამცინავად უთხრა:

– გახსოვს, რა გიპასუხე, როცა მითხარი – არა და მორჩაო?! – პოლკოვნიკმა პაუზა გააკეთა და, პასუხი რომ ვერ მიიღო, დაამატა: რა, გიპასუხე და, ახლა იწყება-მეთქი. ხედავ, როგორი მართალი ვყოფილვარ? რას დადუმებულხარ, რატიანო, ხმა ამოიღე!

– მე რა უნდა ვთქვა, გისმენთ. ისეთი აღტაცებით ლაპარაკობთ, არ მინდა, სიამოვნება ჩაგიშხამოთ, – ირონიას ირონიითვე უპასუხა ცალხელამ, პოლკოვნიკი კი გაცეცხლდა და კბილებში გამოსცრა:

– სიამოვნებას გიჩვენებ, ჯოჯოხეთს რომ მოგიწყობ კამერაში.

ცალხელა ეგრეთ წოდებულ „პრეს-ხატაში“, ანუ, საწამებელ საკანში უნდა წაეყვანათ, სადაც მილიციის ჯალათები უმოწყალოდ აწამებდნენ პატიმრებს. სანდრო რატიანმა მშვენივრად იცოდა, რას ნიშნავდა პრესხატა. ამიტომ, ცალხელამ პოლკოვნიკის მაგიდიდან საკანცელარიო დანა აიტაცა და მარცხენა საძილე არტერიაზე გადაისვა.... ამ სასიკვდილო ნაბიჯმა ცალხელა საშინელი დამცირებისგან თუ არა, საშინელი წამებისგან ნამდვილად იხსნა. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში წაიყვანეს და ქირურგებმა მისი გადარჩენა მოახერხეს.

– მაგარი ვინმეა, მაგრამ, ჩვენ არ გამოგვადგება, მოეშვით. გაასამართლეთ და რუსეთში გაუშვით, იქ ჩაკვდეს! – უთქვამს საქართველოს იმჟამინდელ მმართველს ცალხელაზე. მართლაც, ცხრა თვის მერე, გამოჯანმრთელებულ რატიანს თორმეტი წელი მიუსაჯეს და გააციმბირეს...

რუსეთში დაბრუნებულ ცალხელას პატიმრები დიდ პატივს სცემდნენ, საპყრობილეების ხელმძღვანელებს კი მისი ეშინოდათ და ყოველმხრივ ცდილობდნენ, საკუთარ უწყებებში არ შეეშვათ. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ მათი კოლეგა კურიაკინი ცალხელას გამო მოკლეს და, არ უნდოდათ, ასეთი რამ მათაც მოსვლოდათ. ამიტომ, სანდრომ მრავალი საპყრობილე მოიარა, ბოლოს კი ვლადიმირის ცენტრალში მოხვდა. ოცი წელი კი იქ იმიტომ შემორჩა, რომ სხვადასხვა დარღვევის გამო პატიმრობის ვადას უხანგრძლივებდნენ.

– ოცი წელია, სვაბოდაზე არ ვყოფილვარ და ცასაც მხოლოდ ერთი საათი ვხედავ ©ხოლმე – პრაგულკის დროს, – მითხრა ცალხელამ, როდესაც მას საქართველოს ამბებს ვუყვებოდი.

– ბევრი არაფარია სანახავი. ყველგან საშინელი ბესპრედელი ტრიალებს და ყველაფერი ისეა არეული, თეთრსა და შავს ვერ





გაარჩევ, – ვუთხარი ცალხელას და „რეშო-ტკას“ შევავლე თვალი, რომლის გისოსებიც ისე იყო დადუღებული, რომ გარეთ ვერ გაიხედავდი და საკანში მხოლოდ სინათლის ვიწრო სხივები შემოდიოდა.

– საშინელებაა, ხომ? – ღიმილით მკითხა ცალხელამ და გისოსებისკენ მიმანიშნა.

– თბილისის კრიტშიც იყო ასეთი და ციხის უფროსს მოვახსნევინეთ, – ვუთხარი ცალხელას, მან კი თავი გააქნია და ირონიანარევი ტონით მითხრა:

– აქაურობასთან შედარებით თბილისის გუბერნსკი სამოთხეა. თუ არ ვცდები, იქიდან ერთი კვირითაც კი გამოაშვებინე თავი ციხის უფროსს.

– მართალია. ძია ვასიას დასაფლავებაზე უნდა წავსულიყავი და ოცი ათასი დოლარი გავუმაზე ბუთხუზას, – ვუთხარი ცალხელას და ბუთხუზას ხსენებაზე თათია გამახსენდა, რომელსაც თითქმის ოცი წლის წინ დავშორდი მეორედ და მის შესახებ არაფერი ვიცოდი.

ოფშკვითელმა ბუთხუზამ კი, რომელსაც ვერცხლისქუჩელმა ანზორამ სიგარეტი „მარლბორო“ და სანთებელა აჩუქა იმის სანაცვლოდ, რომ მე და თათია პირისპირ დავეტოვებინეთ, რეზბალნიცის საკან-პალატაში, რიგითი ნადზორრობიდან ციხის უფროსობას მიაღწია და იმდენი ფული იშოვა, რომ რამდენიმე ფეშენებელური ბინა შეიძინა თბილისის ცენტრში და პრესტიჟულ ავტომობილებს „ნასკებივით“ იცვლიდა...

ძია ვასიას ხსენებაზე ცალხელამ სინანულით გააქნია თავი და მითხრა:

– სანამ „ბელი ლებედში“ გაუშვებდნენ, ჩვენთან იჯდა და, შენ რომ წევხარ, ის კოიკა ეკავა.

– „ბელი ლებედამდე“ ჩვენ როსტოვის საეტაპო ციხეში შევხვდით ერთმანეთს და იქ ვუთხარი, შუმოკი ავტეხოთ და სოლიკამსკს ასცდები-მეთქი, მაგრამ, უარი მითხრა.

– დიდი ქურდული ბუნტი დიდ რეპრესიებსა და დანაკარგს გამოიწვევდა ჩვენს რიგებში და იმიტომ, – მითხრა ცალხელამ, – თუმცა, ვფიქრობ, რომ მაინც შუმოკის ატეხვა ჯობდა – შეიძლება, ბრილიანტი დღესაც ცოცხალი ყოფილიყო.

ვასია ბრილიანტის გახსენებაზე ერთ-ერთმა ჩვენმა კოლეგამ სპირტით სავსე „გრელკა“ გამოიღო ზაგაჟნიკიდან და ოცივე ქურდმა 50-50 გრამი სპირტით მოვიხსენიეთ ჩვენი სახელოვანი ძმა...

ალკოჰოლური სასმელების მიღება ვლადიმირის ცენტრალში უფრო გამონაკლისი იყო, ვიდრე წესი, მაგრამ, ჩვენ მაინც ვახერხებდით ამის გაკეთებას, რაშიც ქურდული სტატუსი გვიწყობდა ხელს და, ზოგიერთი ზედამხედველის წყალობით, არც გრელკაში ჩასხმული სპირტი ან არაყი შემოგვლევია. ასევე, ვიღებდით ანაშასაც და დროგამოშვებით ვბოლდებოდით, რომ მოვდუნებულიყავით. წამალს კი სათოფეზეც არ ვეკარებოდით და მკაცრად ვიცავდით ქურდულ ცნებას „ქურდისა და წამლის შეუთავსებლობის“ შესახებ.

ჩემი ზოგიერთი კოლეგისგან განსხვავებით, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ წამლის მომხმარებელი ქურდი ქურდი კი არ არის, ნარკომანია. ნარკომანობა და ქურდობა კი ისევე რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ოქრო ნაკელისგან...

ცნობილი ფაქტია, რომ, როდესაც საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანტიქურდული კამპანიის საიდუმლო გეგმა შეიმუშავა, აქ თეთრზე შავად ჩაწერეს, რომ ქურდული სამყაროს შესუსტების მიზნით, ქურდების განარკომანება იყო საჭირო. ამიტომ, ჩვენს რიგებში შემოგზავნილმა ჯაშუშებმა შემოიტანეს წამალი და ამით ქურდების მასობრივად განარკომანების პროცესს დაედო სათავე. თავდაპირველად ჩვენს მრავალ კოლეგას ჩამოვართვით ტიტული, მაგრამ, ეს ეპიდემია ისე გავრცელდა და ჩვენი ნარკომანი კოლეგები კი ისე შეინიღბნენ, რომ მათი მხილება გართულდა. თუმცა, ჩვენ, ნეპმანელი ქურდები, სიახლოვესაც არ ვიკარებდით ნარკომანებს და ეს მომენტიც გახდა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ქურდებს შორის დაპირისპირებისა და განხეთქილებისა.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი არსებობდა და კომუნისტები მყარად იდგნენ ფეხზე, როცა მორიგ სროკზე გამიშვეს და თბილისის ციხეში გამამწესეს. ქურდულ საკანში სულ ორი ჩემი კოლეგა დამხვდა, დანარჩენები კი ან მომავლები იყვნენ, ან, სულაც, მათი „შნირები“. იმ პერიოდში მე საკმაოდ ავტორიტეტული პიროვნება ვიყავი, რუსეთის არაერთი ცნობილი საპყრობილე მქონდა მოვლილი და საქართველოშიც კარგად მიცნობდნენ. ამიტომ, კამერაში რომ შევედი და ჩემი თავი დავასახელე, აქამდე უცნობმა კოლეგებმა დიდი მოწიწებით შემომხედეს და, ცდილობდნენ, ყოველმხრივ ესიამოვნებინათ ჩემთვის. მე არ მინდა იმ ჩემი ორი კოლეგის სახელის ხსენება, მით უმეტეს, რომ ორივე გარდაცვლილია, პირობითად მათ იქსი და იგრეკი ვუწოდოთ.

ერთი საათის ჩასახლებულიც არ ვიყავი საკანში, რომ იქსი ჩემთან მოვიდა და მითხრა:

– კობრა, ძმაო, რისი გაჩხერა გაგისწორდება? მორფიც გვაქვს და შავიც.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 5 | 7 | 4 | 6 | 3 | 1 | 8 |
| 8 | 4 | 3 | 1 | 9 | 5 | 2 | 6 | 7 |
| 7 | 6 | 1 | 3 | 8 | 2 | 5 | 9 | 4 |
| 4 | 5 | 2 | 6 | 7 | 8 | 1 | 3 | 9 |
| 3 | 9 | 7 | 5 | 1 | 4 | 8 | 2 | 6 |
| 6 | 1 | 8 | 2 | 3 | 9 | 4 | 7 | 5 |
| 1 | 3 | 4 | 8 | 6 | 7 | 9 | 5 | 2 |
| 5 | 8 | 6 | 9 | 2 | 1 | 7 | 4 | 3 |
| 2 | 7 | 9 | 4 | 5 | 3 | 6 | 8 | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 8 | 3 | 9 | 5 |
| 9 | 8 | 1 | 3 | 5 | 4 | 2 | 6 | 7 |
| 5 | 3 | 2 | 7 | 9 | 6 | 8 | 4 | 1 |
| 8 | 2 | 9 | 5 | 4 | 3 | 7 | 1 | 6 |
| 1 | 7 | 3 | 6 | 2 | 9 | 5 | 8 | 4 |
| 6 | 5 | 4 | 1 | 8 | 7 | 9 | 2 | 3 |
| 2 | 6 | 5 | 8 | 3 | 1 | 4 | 7 | 9 |
| 4 | 1 | 8 | 9 | 7 | 5 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 9 | 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 5 | 8 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. რონალდ მაკდონალდი. 2. 14 თებერვალი – წმინდა ვალენტინი. 3. სირჩა არაყი და პურის ნაჭერი. 4. პოლიციელები და დამნაშავეები. 5. რომის პაპი. 6. ჭადრაკის დაფას. 7. პატიმრების – ციხიდან გაქცევის მოსამზადებლად. 8. ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციას. 9. ტაქსა – ძაღლის. 10. სონატას.**

– მართლა ორივე გაქვთ? – ჩამეცინა მე. იგრეკმა, რომელიც იმ მომენტში შემოგვიერთდა, მითხრა:

– მა რა, ძმაო, გვაქვს. თქვი, რომელი გინდა და ახლავე გაგისწორებთ, თან, ჩვენც შევიშხაპუნებთ.

სახეზე ღიმილი გამიქრა, კამერაში მიმოვიხედე და ქურდებს ვკითხე:

– ეს მართლა ქურდული ხატაა თუ შეცდომით ნარკოპრიტონში მოვხვდი?

ქურდულ საკანში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და მისი მობინადრეები გაისუსნენ. ჩემი ორი კოლეგა მშვენივრად მიხვდა, რომ ჩემი სიტყვების შედეგად, შესაძლოა, მათ ქურდულ კარიერას ბოლო მოლებოდა და მკვდრის ფერი დაედოთ. მე მრისხანე მზერა შევავლე გასუსულ თანასაკნელებს და ვთქვი:

– ნარკომანები ადგილებზე დარჩნენ, დანარჩენები კი – ორი ნაბიჯით ჩემკენ!

ჩემ გარდა, ქურდულ საკანში კიდევ ცხრა პატიმარი იმყოფებოდა და ცხრავემ სასწრაფოდ გადმოდგა ჩემკენ ორი ნაბიჯი, შემდეგ ადგილებზე გაქვავდნენ და მონუსხულებივით მომაჩერდნენ. აშკარა იყო, რომ კამერაში პალაჟენიის სრული ბატონ-პატრონი ვიყავი და დანარჩენები „ავიყვანე“. მე კოიკაზე ჩამოვჯექი და ფეხზე მდგომ თანასაკნელებს ვუთხარი:

– აქ ქურდული კამერაა და არა მორფინისტების ნარკოპრიტონი. სასმელზე ბაზარი არაა, მაგრამ, თუ ვინმე ტრაკის გასაღებს კარგავს, ან არ დალიოს, ან დოზას არ გადააჭარბოს. ზოგჯერ ანაშის გაბოლებაც შეიძლება, მაგრამ, ვისაც ჩხერვა-შეშხაპუნება უნდა, აქ მისი ადგილი არაა და, ჯობია, ახლავე თქვას, აქედან აახვიოს და ქურდობაზე არც კი იოცნებოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირადად მე წამოვარტყამ მას ყურებში და აქედან გავაპანღურებ.

სიტყვა რომ დავასრულე, კოიკაზე წამოვწექი და თვალები დავხუჭე, თუმცა, არ დამიძინია და სამი საათი გაუნძრევლად ვიწექი.

საკანი ისეთი ადგილია, სადაც მუდმივად ეწევიან და საუბრობენ. ეს პროცესი მხოლოდ ღამით წყდება, თანაც, მცირე ხნით. იმ სამი საათის განმავლობაში კი, რაც მე თვალდახუჭული ვიწექი, თანასაკნელებს ეგონათ, რომ მეძინა. მათ ხმა არ ამოუღიათ და არც გაუბოლებიათ, რათა ჩემთვის ძილი არ დაეფრთხოთ.

„კარგია, რომ მოკრძალებულად იქცევიან, მაგრამ, გადამლაშებაც არ ვარგა. უხმოდ და უთამბაქოდ კარცერშიც არ ამყოფებენ პატიმრებს“, – ვთქვი გუნებაში და თვალები გავახილე. შემდეგ კოიკაზე წამოვჯექი, გავაბოლე და თანასაკნელებს ვუთხარი:

– რა სიჩუმე და სუფთა ჰაერია, თავი მთაში მგონია.

– გეძინა და ძილი არ დაგიფრთხეთ, – მითხრა ქურდმა იქსმა, იგრეკმა კი დაამატა:

– ხომ კარგად გამოიძინე, კობრაჯან?

– არ მეძინა, – ვთქვი მე და ყველას გასაგონად დავამატე: მოწიეთ, იბაზრეთ, მე რას მიფრთხით, მაგრამ, წამალი არ დამანახოთ, თორემ, ერთმანეთში ვერ მოვრიგდებით და სერიოზული ბაზარი გვექნება.

თანასაკნელები უხმოდ, ღიმილიანი სახეებით შემომცქეროდნენ, თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, რომ მათი უმრავლესობა გულში მაგინებდა და ერთი სული ჰქონდათ, იქიდან მოვეშორებინე. მაგრამ, მართალი ვიყავი და რას მეტყოდნენ, ამიტომ, გაჩუმება არჩიეს. ეს ყველაფერი კი ღიმილით შეფუთეს და ამიტომაც ჰქონდათ გაბადრული სახეები.

იმავე საღამოს მთელი ციხე ლაპარაკობდა: კობრა ნარკომანებს არ სწყალობსო. ერთერთმა ნაცნობმა პატიმარმა კი საღამოს პრაგულკაზე მითხრა:

– მორფინისტები შეშინებულები არიან, კობრა გვერჩისო.

– მორფინისტებთან რა საქმე მაქვს, მე ჩვენები გავაფრთხილე, წამალს არ გაეკაროთ-მეთქი.

ჩემი ნაცნობი პატიმარი ძალიან გამოცდილი პრისტუპნიკი იყო. ის ციხესა და შავ სამყაროს მშვენივრად იცნობდა და, მიუხედავად იმისა, რომ ქურდი არ იყო, ქურდულად ცხოვრობდა. ქურდის ტიტული კი თავადვე არ ისურვა, რადგან, მიაჩნდა, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა და ამ პასუხისმგებლობის აღება არ უნდოდა. მას გაეღიმა და მითხრა:

– ჩემგან რა ჭკუა გესწავლება, მაგრამ, ზოგადად რომ ვთქვათ, პატიმართა ოთხმოცდაათი პროცენტი ნარკომანია, მათში კი ქურდებიც შედიან, არაქურდებიც და დაშვებულებიც.

– ვიცი და იმიტომაც დავუგდე სიტყვა.

– გაგიჩალიჩებენ. აქ დიდხანს არ გაგაჩერებენ.

– ეგეც ვიცი, მაგრამ, ქურდი ვარ და ვალდებული ვარ, ქურდულად მოვიქცე, – მივუგე ნაცნობ პატიმარს და ჩვენი საუბარი ამ თემაზე ამით დასრულდა.

გუბერნსკში სულ რაღაც ორიოდე თვე გამაჩერეს. ერთ მშვენიერ დღეს კი „ქვევით ჩამწიეს“, საბუთები გამიფორმეს და ეტაპით რუსეთში გამიშვეს, ერთი სიტყვით, თვიდან მომიშორეს, რადგან იმ ორი თვის განმავლობაში, რაც მე გუბერნსკში დავყავი, თბილისის ციხეში ძალიან ცოტა ნარკოტიკი შევიდა. ამ ფაქტმა კი ნარკობარიგებისა და მათი მფარველი „ძაღლების“, ციხის ადმინისტრაციისა და ნარკოტიკების მომხმარებელი პატიმრების გაღიზიანება გამოიწვია. ამიტომ, ჩემი მოშორება გადაწყვიტეს და გამაციმბირეს... სამწუხარო კი ის იყო, რომ მთელ ამ საქმეში ჩემი კოლეგების – იქსისა და იგრეკის ხელი ერია, მარტივად რომ ვთქვათ, ისინი „ძაღლებს“ შეეკვრნენ. იქსი ორი თვის მერე წამლის „კაიფში გაიპარა“ ქურდების საკანში. იგრეკი კი ექვსი თვის მერე გათავისუფლდა ციხიდან და ერთ-ერთ სხოდკაზე ის არაქურდად დატოვეს. ამის გამო, ტიტულაყრილი იგრეკი ჯერ გალოთდა, შემდეგ გაბომჟდა, ბოლოს კი ქუჩაში, ბასიაკების თავშესაფარში დალია სული...

ადამიანურად, იქსი და იგრეკი, რა თქმა უნდა, ცოდოები არიან და მათი ტრაგიკული ბედი სიბრალულსა და თანაგრძნობას იმსახურებს. თუმცა, ქურდულად ეს მიუღებელია და რადგან ქურდული გვირგვინი დაიდგეს თავზე, ღირსეულადაც უნდა ეტარებინათ. ბრილიანტობასა და ცალხელობას ყველას ვერ მოსთხოვ და იმიტომ არიან ისინი გამორჩეული პიროვნებები, რომ გამორჩეული თვისებებით იყვნენ დაჯილდოებულები. მაგრამ, თუ ქურდი ხარ, ქურდული კანონებით უნდა იცხოვრო და ქურდული ღირსება არ უნდა დაკარგო. სულმნათი ცალხელა ჩემ თვალწინ გარდაიცვალა და, ისე დალია სული, რომ, არამც თუ არ ჩაუდენია არაქურდული საქციელი, არამედ, თავშიაც არ გაუვლია ასეთი რამ...

ცალხელას გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ სროკიც დამიმთავრდა, ვლადიმირის ცენტრალიდან გავთავისუფლდი და ოლგასთან, მოსკოვში დავბრუნდი. ოთხი წელი ქალი არ მყავდა ნანახი, ერთი სული მქონდა, ოლგა საწოლში ჩამეწვინა და ნეტარებას მივცემოდი. „ეგრევე საქმეს შევუდგები“, – გავიფიქრე გუნებაში და ოლგას ბინის ზარს თითი მივაჭირე. კარი რომ გაიღო, ზღურბლზე ორმოციოდე წლის მამაკაცი გამოჩნდა, რომელსაც ხელში დაახლოებით ორიოდე წლის გოგონა ეჭირა

– ვინ გნებავთ? – მკითხა ბავშვიანმა მამაკაცმა.

– ოლგა, – მივუგე მამაკაცს.

– თეატრშია და საღამოს მოვა. შემობრძანდით და დაელოდეთ, სტუმარი ღვთისაა.

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – ვკითხე მამაკაცს.

– მეუღლე ვარ.

– ეს მზეთუნახავი გოგონა კი, ალბათ, თქვენი და ოლგას ქალიშვილია, ხომ? – ვკითხე ოლგას მეუღლეს.

– დიახ, შემობრძანდით.

ოლგას მეუღლეს ხელი გავუწოდე და ვუთხარი:

– მე ვალერა ვარ, ოლგას თბილისელი ნათესავი. მოსკოვში გავლით ვარ და ცოტა დრო მაქვს. სხვა დროს გეწვევით. მშვიდობით!

– ნახვამდის, ნახვამდის! – მომიგო ოლგას მეუღლემ და, სანამ კიბეებზე არ დავეშვი, კარი არ მოუხურავს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №12-36(662)

## სრულიად საიდუმლოდ

გიგისთან შეხვედრამ ნინი მაინც ააფორიაქა, თუმცა, თავს ირწმუნებდა, რომ მის მიმართ გრძნობა აღარ ჰქონდა. კაფეში, თომას გვერდით, კიდევ ცდილობდა ნაძალადევ მხიარულებას, მაგრამ, მარტოდ დარჩენილმა მოიწყინა. დივანზე ფეხებმოკეცილი იჯდა და ბალიშზე ჩახუტებული ფიქრობდა. გიგის მიმართ წყენამ არ გაუარა – ამაში დარწმუნდა, მაგრამ, მაინც დარჩა გრძნობა, რომელშიც საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა. თუმცა, გიგისთან შერიგებას, მასთან ურთიერთობის აღდგენასაც არ ჰქონდა აზრი...

ტელეფონმა საკმაოდ გვიან დარეკა. ნინიმ მექანიკურად შეხედა საათს და, დარწმუნებულმა იმაში, რომ თომა ურეკავდა, აღარ დაელოდა, რას ეტყოდა და თვითონ დაასწრო:

– თომა, იცი, ახლა რომელი საათია? დაძინებას ვაპირებდი.

– ჯერ ხომ არ გძინავს? თანაც, მე თომა არ ვარ... – გიგის უცნაურად ჩახლეჩილი ხმის გაგონებაზე ნინი შეკრთა.

– უკაცრავად, მგონი, ნომერი შეგეშალათ, – ჩაილაპარაკა გოგომ ნაძალადევი სიმშვიდით.

– ამჯერად უნიჭოდ ცრუობ. მშვენივრად იცი, რომ არც ნომერი შემშლია და არც უცხო ვარ.

– რა გინდა, გიგი? – ამოიოხრა ნინიმ.

– გაწუხებ? თუმცა, შენ ხომ დასაძინებლად ემზადებოდი და მეც ცუდი სიზმარივით გამოგეცხადე... შენი ნახვა მინდა.

ნინი რამდენიმე წამით გაჩუმდა და ბიჭმა მისი დუმილი თავის სასარგებლოდ გამოიყენა:

– მოვალ შენს სახლთან და ჩამოდი, სალაპარაკო მაქვს.

– არა.



– არა? ანუ, არ დამელაპარაკები თუ არ მოვიდე?

– ერთიც და მეორეც. აღარ ღირს ჩვენი გარდაცვლილი გრძნობების რეანიმაცია – კარგს არაფერს მოიტანს და იმიტომ.

– შენ ასე იმიტომ ამბობ, რომ იმ რემბოთი ჩამანაცვლე. ნინი, თუ გეტყვი, რომ შენ მიმართ გრძნობა ისევ მაქვს?

– მართლა? უცნაურია... იქნებ, დააკონკრეტო, გრძნობა ნინის მიმართ გაქვს თუ იმ ნაშის ეშხი გკლავს, ინტერნეტის საშუალებით რომ ცდილობდი, შეგება?! მე შენი ნამდვილი სახე დავინახე. უკვე ზუსტად ვიცი, როგორი ხარ.

– არაფერიც არ იცი! – იბღავლა გიგიმ, – არ შეიძლება, იცოდე. ორი თვეც არ გაგწვდა ჩემი სიყვარული, მაშინვე სხვას დაუწყე კეკლუცობა. კმაყოფილი ხარ შენი საქციელით? გამოგივიდა, ძალიან ცუდად ვარ!

– ნუ ყვირი, – გაბრაზდა ნინიც, – დაქვრივებული ცოლი კი არ ვიყავი, რომ გარდაცვლილი საყვარელი ქმარი მეგლოვა. შენ გასაგებად მითხარი, რომ აღარ გჭირდებოდი. ახლა რა პრეტენზია გაქვს, ვერ ვხვდები. თუ იმან გაგალიზიანა, ცოტა რომ გავერთე შენთან. თუ ასეა, ბოდიშს მოგიხდი და ამით დავამთავროთ.

– არა. ასე მარტივად არ გამოვა. დღესვე უნდა გნახო, – გაჯიუტდა გიგი.

– მთვრალი ხარ? – როგორც იქნა, მიხვდა გოგო და გაეცინა, – თურმე, რაში ყოფილა საქმე! ალკოჰოლის გავლენაა შენი ასეთი აწრიალება, მაგრამ, გაგივლის. იმედი მაქვს, პახმელიაზე მაინც აღარ გემახსოვრები.

– ნინი, გეყოფა... მივდივარ და თხუთმეტ წუთში შენს სახლთან ვიქნები. თუ არ ჩამოხვალ, მე ამოვალ და ყველას გავაღვიძებ, მთელ კორპუსს! – მუქარაზე გადავიდა გიგი.

– თუ ახლავე არ გათიშავ ტელეფონს და თავს არ დამანებებ, პატრულს გამოვუძახებ. აუცილებლად გავაკეთებ ამას! – უკან არ დაიხია ნინიმაც და მობილური საერთოდ გამორთო.

გიგიმ ტელეფონი იატაკზე ისროლა და მუშტი გამეტებით დასცხო მაგიდის ზედაპირს:

– გამითიშა, ძუკნა!..

– ჰა, ჰა, ისეთ რამეს ნუ იტყვი, რასაც მერე ინანებ! – თითი გამაფრთხილებლად დაუქნია ზუკამ, – გითხარი, არ დაურეკო-მეთქი?! ახლა რა გააკეთე? ნინისთან დასაბრუნებელი ყველა გზა მოიჭერი. გაბრაზებულს, მით უმეტეს, მთვრალს, არ უნდა დაგერეკა.

– გაჩუმდი, ახლა ნამდვილად არ ვარ შენს გუნებაზე! – გააფრთხილა მეგობარი ერთიანად აჭარხლებულმა გიგიმ და შეიგინა.

– მდაა, აჯობებს, წავიდე, – ჩაილაპარაკა ზუკამ და ქურთუკს წამოავლო ხელი.

– ფეხი არ მოიცვალო! – თვალები დაუბრიალა გიგიმ, – დაჯექი და ხმა არ ამოიღო!

– ღამის ორი საათია, სახლში უნდა წავიდე და დავიძინო. ხვალ სამსახურში ვარ წასასვლელი.

– ფეხი არ გადგა-მეთქი! – ხმას აუწია გიგიმ, – თუ გეძინება, სავარძელზე დაიძინე. ისეთი გამწარებული ვარ, ფეხებზე დავიკიდებ პატრულსაც და ნინის გავაგებინებ, როგორ უნდა ჩემს ემოციებზე თამაში!

ზუკამ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი:

– ნწ, ნწ, პატრულს ფეხებზე დაიკიდებს ბიჭი!.. წინასწარი პატიმრობის საკანში გინდა ღამის გათენება? თან, მაგასაც არ დაგვჯერდებიან... საპროცესოთი თუ გადარჩი, კიდევ არა უშავს, თუ არა, წვრილმანი ხულიგნობისთვის ერთი წელი აკიდებული გაქვს. გააჩნია, იქ მივარდნილი კიდევ რას დააშავებ. ვახოც გაგაგდებს სამსახურიდან...

– გაჩუმდი! – იბღავლა გიგიმ, იატაკზე ჩაჯდა და თავი ხელისგულებში ჩარგო, – რატომ ვარ ასე ცუდად? დავიჯერო, ნინი ისევ მიყვარს?

– არა, არ გიყვარს. უბრალოდ, შენს პატივმოყვარეობას ცუდად შეეხნენ – სულ ეს არის. თან, მთვრალიც ხარ. ძალიან ბევრი დალიე. იცი, საუკეთესო ვარიანტი რა იქნება შენთვის? დაწვე და გამოიძინო. დილით კი, შეხედავ, რა...

– ჭკუას მარიგებ? რა გენაღვლება, შეისრულე გულის წადილი, სექსი გქონდა ლიზასთან... ჩემი პრობლემები ფეხებზე გკიდია.

ზუკა წამოენთო, გიგის მივარდა და მაგრად შეანჯღრია:

– ერთხელ კიდევ ახსენებ ლიზას და დედას გეფიცები, გცემ. მართლა გცემ, თანაც, ისე მაგრად, რომ ნინი კი არა, საკუთარი მშობელი ვერ გიცნობს!

ზუკას ისეთი სახე ჰქონდა, გიგი მიხვდა, რომ ეს უბრალოდ მუქარა არ იყო, აუცილებლად შეასრულებდა სიტყვას. ამიტომ, მოეშვა და დამნაშავესავით გაიღიმა:

– კარგი, ამჯერად დაგიჯერებ. ვაღიარებ, რომ ზედმეტი მომივიდა, მაგრამ, ნინის ასე ადვილად თავს არ დავანებებ.

– მაგაზეც ხვალ ვილაპარაკოთ. ახლა კი დაიძინე.

***

ლიზა ტელევიზორის გადამრთველით ხელში დივანზე მიწოლილ ქმარს მიუახლოვდა და მოეხვია... ლევანს არ უცდია მისი მკლავების მოშორება, მაგრამ, საპასუხო ალერსისგან თავი შეიკავა. ქალმა არ შეიმჩნია, პირიქით, კალთაში ჩაუჯდა და მიეხუტა.

– რატომ დაგაგვიანდა? – ჰკითხა კაცმა, – რომ დაგირეკე, მითხარი, ნახევარ საათში სახლში ვიქნებიო და იმის მერე ორი საათი გავიდა.

– მანქანა გამიფუჭდა და სახელოსნოში შევიარე, – სწრაფად მიუგო ლიზამ.

– რა მოუვიდა მანქანას, რატომ არ დამირეკე?

– ისეთი არაფერი. საბურავი დაეშვა. მაგრამ სახელოსნოში ხალხი იყო და ცოტა ლოდინი დამჭირდა. ბოდიში, რომ არ დაგირეკე. ვიფიქრე, დიდხანს არ გაგრძელდებოდა და...

– კარგი. ისე, სხვა დროს დამირეკე, ისევ შენთვის აჯობებს.

ლიზამ დააპირა, რაღაც მკვახე ეთქვა, მაგრამ, ბოლო მომენტში თავი შეიკავა. გაახსენდა, ამ ეტაპზე მორჩილი ცოლის როლი რომ უნდა ეთამაშა.

– არ გინდა, სადმე წავიდეთ? – ჰკითხა ალერსიანი, შემპარავი ხმით.

– არა, – თავი გააქნია კაცმა.

– რატომ?

– დაღლილი ვარ და სახლში ყოფნა მირჩევნია.

– მეც დავიღალე. მოდი, სილნაღში წავიდეთ, ჩვენს სასტუმროში. დაუვიწყარ ღამეს გაჩუქებ, – ლიზამ ცალი ხელი გაითავისუფლა, საკინძე გაიხსნა და კეკლუცად გაიცინა.

ლევანმა ირონიულად შეხედა ცოლს.

– რა იყო, ლიზა, ასე შეგაშინა ჩემი დაკარგვის საფრთხემ, უფრო სწორად, ჩემი ფულის დაკარგვის საფრთხემ? ასეთი ინიციატივა უწინ არასდროს გამოგიჩენია. ყოველთვის მე გეხვეწებოდი, შენ კი უარს მეუბნებოდი.

– შევიცვალე, – მხრები აიჩეჩა ლიზამ, – ადამიანები იცვლებიან, ზოგი – უარესობისკენ, ზოგიც – უკეთესობისკენ. მე უკეთესობისკენ შევიცვალე. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ. ვერ ამჩნევ?

– როგორ არა, ვამჩნევ და ვფიქრობ, რას მივაწერო შენი ასეთი შემობრუნება.

– რად უნდა მაგას ფიქრი? შემეკითხე და გიპასუხებ, – ქალმა თვალებში ჩახედა ქმარს.

– ლიზა, შეგიძლია, ცოტა ხნით მარტო დამტოვო, საკუთარ თავთან?

– შემიძლია, მაგრამ, არ მინდა. მომენატრე. შენი ალერსი მომენატრა, შენი ხელების, სხეულის სითბო... – ლიზამ პერანგის ღილები ქმარსაც შეუხსნა და ყელში აკოცა. ლევანს შეაჟრჟოლა...

– ლიზა, არ გინდა, ახლა ამის გუნებაზე არ ვარ...

– მინდა, შენც გინდა, ორივეს გვინდა – მე შენს თვალებში ვხედავ ამას... დავივიწყოთ ყველაფერი, ყველა პრობლემა და სიგიჟის ღამე მოვაწყოთ... იცი, როგორ მომენატრე?.. მინდიხარ, ძალიან მინდიხარ... – აჩურჩულდა ქალი და კაციც დანებდა.

– სილნაღში აღარ გინდა? – ჰკითხა ქალს.

– არა, არა, შენთან აქაც კარგად ვიქნები, ოღონდ მომეხვიე, მაგრად, ძალიან მაგრად მომეხვიე... ისე, რომ მთელი სხეული მეტკინოს და ვიგრძნო, რომ შენი ვარ...

– ოხ, ლიზა, ლიზა... – ლევანმა ცოლი აიტაცა და საძინებლისკენ გააქანა...

***

ქეთი საკუთარ თავს არ უტყდებოდა იმაში, რომ მისი და ვახოს ურთიერთობა უარესად დაიძაბა. ცოლ-ქმარი თითქოს სიჯიუტეში გაეჯიბრა ერთმანეთს – არც ერთი არ აპირებდა, შერიგებისკენ ნაბიჯი გადაედგა. მტრებივით უბღვერდნენ ერთმანეთს. ვახოს აშკარად დაეტყო, ოჯახში ცუდი სიტუაცია რომ ჰქონდა. სამსახურში მისული, კაბინეტიდან არ გამოდიოდა. წარბშეკრული და მუდმივად მოღუშული, თანამშრომლებს არ ეკონტაქტებოდა, მხოლოდ თიკოს თუ ეტყოდა ერთ-ორ სიტყვას, ისიც იშვიათად...

ოფისში შესულ გიგისა და ზუკას თიკო შეშფოთებული დაუხვდათ.

– სად ხართ ამდენ ხანს? ეს წუთია, ვაპირებდი თქვენთან დარეკვას!

– რა მოხდა, ვახომ გვიკითხა? ჰო, სულ რაღაც ნახევარი საათით დავაგვიანეთ, მერე რა, ქვეყანა ხომ არ დანგრეულა?

თიკომ ტუჩი აიბზუა:

– ვახოს, მგონი, აღარც თქვენ ახსოვხართ და აღარც საქმე. კაბინეტშია შეკეტილი. ორჯერ დავუკაკუნე კარზე და ხმა არ გამცა. აქ კი ორი კლიენტი ელოდება, – თიკომ ჰოლის სიღრმეში მდგარი სავარძლისკენ გაიშვირა ხელი, – მე ხომ ვერ მივიღებ შეკვეთას?! მიდით, დაელაპარაკეთ იმ ხალხს.

ზუკა კლიენტებისკენ გაემართა. გიგიმ თიკოს გამოუწია ყელი ორი თითით და შეეხვეწა.

– პახმელიაზე ვარ, თავი მისკდება, ყავა მომიდუღე, რა...

– ჰმ, ყავა მოუნდა ვაუბატონს... ჯანდაბას, მოგიდუღებ, ოღონდ, მერე იქნებ ვახოსთან შეხვიდე... დაელაპარაკე, რამე უთხარი. ვერ ატყობ, რაღაც რომ უჭირს?

გიგი დაიჭყანა:

– ეე, მაგას, მგონი, ცოლთან აქვს პრობლემები და მე რას ვუშველი?! გაჭირვებით კი მეც მიჭირს. საშინელ გუნებაზე ვარ და ამ ყველაფრის მიზეზი, თქვენც ბრძანდებით, ქალბატონო თიკო.

– მე რა შუაში ვარ, შენ ხომ არ გაგიჟდი? – გაბრაზდა თიკო.

– იმ შუაში ხარ, რომ ქალი ხარ. მეც, ვახოსაც, ზუკასაც და კიდევ უამრავ მამაკაცს, სწორედ ქალების გამო გვაქვს პრობლემები.

– ჰმ, აბა, ერთი ქალებსაც გვკითხე! მაგ პრობლემებს თქვენ თვავდ ქმნით და მერე ჩვენც გვახვევთ თავზე. არასდროს არ იცით, რა გინდათ.

– რა გვინდა და, სიყვარული, გაგება... ის, რომ ჩვენი ესმოდეთ, – ჩამოთვალა გიგიმ.

– იტყუები, თქვენ სიყვარული არაფერში გჭირდებათ. უამრავი მაგალითი მაქვს იმისთვის, რომ ამაში ეჭვი აღარ მეპარებოდეს. მხოლოდ თავს გვაჩვენებთ, რომ გინდათ, ვინმეს უყვარდეთ. მაგრამ, როცა გაქვთ ეს სიყვარული, როგორ იქცევით? ფეხქვეშ თელავთ მას. ასე რომ, ახლა მომცილდი, სხვაზე გაბრაზებულმა შენზე არ ამოვანთხიო მთელი ბოღმა.

– ვაა, ყველას როგორი აკრეფილი აქვს! – ხელები გაშალა გიგიმ, – რა გითხარი, გოგო, ისეთი, გამძვინვარებული ლომივით რომ აიშალე ფაფარი?

– თავი დამანებე, რა, საქმეს მიხედე! გიგიმ ხელი ჩაიქნია და ოთახში შევიდა. თიკო მობილურს დაუბრუნდა. ცოტა ხნის წინ აკრეფილი მესიჯი კიდევ ერთხელ გადაიკითხა, გაგზავნა და ამოიოხრა...

***

ქეთიმ ბოლო პაციენტიც გაუშვა და ხალათი გაიხადა.

– მივდივარ მე და შენც მორჩი საქმეს. წამოდი, სახლში მიგიყვან! – გასძახა ნატას.

– უკვე? ტრადიციას ვუღალატოთ? ყავა არ დავლიოთ და „წასვლისა“ არ გავაბოლოთ?

– არა, მეჩქარება, სახლში ადრე უნდა მივიდე. ვახოს ისევ არ ველაპარაკები და, არ მინდა, ზედმეტი საბაბი მივცე ჩხუბისთვის. იცი, რა მითხრა? შეგიძლია, ჩემგან საერთოდ წახვიდეო.

– უჰ, მაგამდე მივიდა საქმე? გოგო, ეგ ცუდია, ხომ იცი შენ?!

– მართლა? მეც ვხვდები, რომ ცუდია. როგორი იდიოტია, ხომ წარმოგიდგენია?! რამდენიმე დღეა, ზედ არ მიყურებს, იქით იბერება. მერედა, რისთვის? როგორ გავბედე და ლიზას როგორ შევხვდი.

– ამისთვის ანგრევთ ოჯახს? – თვალები გაუფართოვდა ნატას, – ქეთი, შენ ხომ ჭკვიანი ქალი ხარ? რა გინდა, თოვლის გუნდა ზვავად აქციო და ყველაფერი გაანადგურებინო?

– არ ვიცი, არ ვიცი... იქნებ, კარგიც იყოს, თუ წავა. მეტი აღარ შემიძლია, – თავი გადააქნია ქეთიმ და  და შუბლი მოისრისა.

– ეგ ახლა ამბობ ამას. საქმარისია, ვახომ ფაქტის წინაშე დაგაყენოს, რომ ტირილით დაისიებ თვალებს. ინანებ კიდეც, მის შესაჩერებლად არაფერი რომ არ გააკეთე.

– ვერ შევეხვეწები. თუ არ ვუნდივარ, წავიდეს, – ჯიუტად ჩაილაპარაკა ქეთიმ, – ჩემთვის სულერთია...

– არ არის სულერთი, თორემ, არ მეტყოდი, სახლში დროზე უნდა მივიდეო. ნუ ბავშვობ, დღესვე შეურიგდი ვახოს!

– დამელაპარაკოს და შევურიგდები, – თავისაზე იდგა ქეთი. ნატამ ხელი ჩაიქნია:

– ინანებ, იცოდე...

– იცი, რას გეტყვი? ახლა რომ მე მაგას შევეხვეწო, მერე სულ თავზე დამაჯდება. ისედაც დიქტატორობისკენ აქვს გადახრა.

– შენი საქმის შენ იცი, მე ჩემი გითხარი...

***

... ვახო ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა სახლში. შინ მისულ ქეთის ქმარი საკუთარი ნივთების შეგროვებასა და ჩანთაში ჩალაგებაში გართული დახვდა. შეშინებულმა ძიძამ დიასახლისს ანიშნა, შეხედე, რას შვრებაო და სწრაფად გავიდა მეორე ოთახში. ქეთიმ ერთხანს ადროვა, მერე ვეღარ მოითმინა:

– რას აკეთებ?

– მივდივარ. შენ ხომ ეს გინდოდა? – მიუგო ვახომ, ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს. ქეთის გული შეუქანდა, მაგრამ, ნაძალადევად მაინც გაიცინა:

– ძალიან კარგი. შეიძლება, გავიგო, სად მიბრძანდები?

– რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, ჩემი არსებობით და ზედმეტი შეკითხვებით აღარ შეგაწუხებ. ბავშვს ვნახავ ხოლმე, ფულსაც მოგაწვდით; მაშინ მოვალ, როცა შენ სახლში არ იქნები...

ქეთის საშინლად მოუნდა, ქმარს მივარდნოდა, მოხვეოდა და მთელი ხმით ეყვირა, არსად გაგიშვებ, ძალიან მიყვარხარო, მაგრამ, შინაგანმა სიჯიუტემ სძლია... თითქოს მის ნაცვლად ვიღაც სხვა ქალი მოქმედებდა... კარადასთან მივიდა, ვახოს პირის საპარსი გამოიღო და ჩანთაზე ზემოდან დადო:

– ეს არ დაგრჩეს, მე არაფერში მჭირდება...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# იპოვეთ თქვენი მეორე ნახევარი?

*ირგვლივ იმდენი ჭკვიანი, მიმზიდველი, საინტერესო და წარმატებული საპირისპირო სქესის წარმომადგენელია... დარწმუნებული ხართ, რომ სწორი არჩევანი გააკეთეთ? რით არის „ის" განსაკუთრებული? ნამდვილად ასეთ პარტნიორზე ოცნებობდით? კითხვებს გულწრფელად უპასუხეთ:*



**1. როცა თქვენს რჩეულს სხვებს ადარებთ, ფიქრობთ:**

ა) რომ ის საუკეთესოა და ყველაზე ჭკვიანიც;

ბ) სხვაზე ნაკლები არაფრით არის;

გ) გააჩნია, როგორ იქცევა. ხან კარგი მგონია, ხანაც – ურჩხული;

დ) ჩემია, თორემ, სხვებზე უარესია.

**2. ვინ არის ოჯახში ლიდერი?**

ა) რა თქმა უნდა, ის!

ბ) ამაზე არ მიფიქრია;

გ) ხან მე, ხან – ის. გააჩნია, რა საკითხს ვწყვეტთ;

დ) როგორც მე მინდა, ყველაფერი ისე ხდება.

**3. ძველ შეყვარებულს შეხვდით. როგორი იქნება თქვენი ემოცია?**

ა) არანაირი. ვგიჟდები ჩემს მეორე ნახევარზე;

ბ) ჩვეულებრივი. ცოტათი ნოსტალგიური;

გ) გული დამწყდება. არ უნდა დავშორებოდი;

დ) გული ამიჩქარდება. შეიძლება, ისევ მიყვარს.

**4. უყვებით ერთმანეთს თქვენს წარსულზე?**

ა) არა. რა მნიშვნელობა აქვს წარსულს. მთავარი აწმყოა;

ბ) დიახ და არ მსიამოვნებს მისი რომანტიკული თავგადასავლების მოსმენა;

გ) ხანდახან და ვხალისობთ;

დ) არავითარ შემთხვევაში! ეს ურთიერთობას გააფუჭებს.

**5. რა პრეტენზია აქვს თქვენ მიმართ თქვენს მეორე ნახევარს?**

ა) რომ მე სუსტი და უუნარო ვარ;

ბ) არანაირი. სულ მაქებს;

გ) რომ ძალიან პრეტენზიული და კაპრიზული ვარ;

დ) რომ უხეში და უყურადღებო ვარ.

**6. ერთხელ მაინც გიფიქრიათ, რომ თქვენი ერთად ყოფნა შეცდომაა?**

ა) არასდროს;

ბ) მგონი, არა;

გ) ხანდახან გამივლის ხოლმე ეს ფიქრი გონებაში;

დ) კი, მიფიქრია ამაზე.

**შეაფასეთ შედეგები**

*თუ პასუხების უმრავლესობაა „ა": პარტნიორის ერთგული ხართ და მისი გულმხურვალე თაყვანისმცემელი. უსიტყვოდ ემორჩილებით მის ყველა გადაწყვეტილებას. ალბათ, გირჩევნიათ, მის ჩრდილქვეშ იყოთ, ვიდრე თავად იბრწყინოთ. შეხედეთ მოვლენებს ფხიზლად. ეს თქვენი არჩევანია, მაგრამ, ჯობია, პარტნიორმა დაინახოს და დააფასოს ის, რასაც თქვენ მისთვის აკეთებთ.*

*თუ პასუხებში ჭარბობს „ბ": თქვენი კავშირი ჰარმონიულია. თქვენ გვერდით გყავთ თანამოაზრე. არ გაქვთ კრიზისული სიტუაციები და კონფლიქტები. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ უნდა გქონდეთ საკუთარი აზრი – ეს ნორმალურია. ამიტომ, ყოველთვის ნუ წახვალთ კომპრომისზე.*

*პასუხებში ჭარბობს „გ": მბრძანებლური ხასიათი გაქვთ. ჩაბღაუჭებული ხართ ლიდერის პოზიციას და პარტნიორის ყველა ინიციატივას თავშივე ახშობთ, მეგობრებთან კი წუწუნებთ, რომ ყველაფერი თქვენს კისერზეა. ეს ფარსია. ზუსტად ისეთი სუსტი პარტნიორი გყავთ, როგორიც ყოველთვის გინდოდათ. უფრო ძლიერთან ვერ იცხოვრებთ, მაგრამ, იყავით უფრო ალერსიანი და თბილი მის მიმართ, თორემ, დაკარგავთ.*

*პასუხების უმრავლესობაა „დ": ერთმანეთისთვის ხართ შექმნილნი და ამას ყველა ამჩნევს. ბევრი საერთო გაქვთ. ხელმძღვანელობთ პრინციპით: „მე – შენ, შენ – მე". ასე აგვარებთ პრობლემებს და ეს კარგია.*

**ნაოჭების გამსწორებელი**

დიასახლისებისთვის საყვარელი ნივთი არ არის – თუმცა, ის ყველა დიასახლისს აქვს, თანაც აუცილებელ ატრიბუტად, ზოგს – ძვირფასი, ზოგსაც შედარებით უბრალო, მაგრამ ფუნქცია ყველასი ერთია – გაასწოროს „ნაოჭები". რომ ტანსაცმელში მომხიბვლელად გამოვიყურებოდეთ...



ძველ რომში ტანსაცმლის გასაუთოებლად იყენებდნენ ბრტყელ, გახურებულ ქვებს. შემდეგ ქვები ტაფებმა შეცვალა...

მოგვიანებით გაჩნდა ჯოხი, რომელიც ჰგავდა ცომის გასაბრტყელებელს და სპილენძისგან ამზადებდნენ. მას ნახშირზე აცხელებდნენ და ქსოვილს ისე აუთოებდნენ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა სასიამოვნო იქნებოდა დაუთოების პროცესი. ფრანგებს ყველაზე მეტი ფანტაზიის უნარი აღმოაჩნდათ. მათ შექმნეს პირველი ნაცრის უთო. მასში ყრიდნენ გავარვარებულ ნახშირს და ისე აუთოებდნენ.

მეცხრამეტე საუკუნემ უთოს „ბედ-იღბალში" მკვეთრი გარდატეხა მოახდინა. საფრანგეთის მეფემ, შარლ მეათემ სპეციალური კანონით, თავისი ფავორიტისთვის შეუკვეთა უთოს ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც ფირმა „ბაკარამ" დაამზადა. ის მთლიანად ბროლის იყო. იმაზე არაფერია ცნობილი, კარგად აუთოვებდა თუ არა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში გერმანიაში გაჩნდა პირველი უთოები „სპირალზე". თითქმის იმავე პერიოდში შეიქმნა „წყლის უთოები". ნახშირის მაგივრად, შიგნით მდუღარე წყალი ისხმებოდა.

1882 წლის 6 ივნისიდან კი თანამედროვე უთოების ეპოქა დაიწყო, როცა ამერიკელმა ჰენრი სილმა პირველი ელექტრონული უთო დააპატენტა.

**კომპიუტერი თუ...**

1980-იანი წლების დასაწყისში პატარა კუნძულ ანტიკიტერის სიახლოვეს, რომელიც კრეტასა და საბერძნეთს შორის მდებარეობს, არქეოლოგებმა საიდუმლოებით მოცული ხელსაწყო აღმოაჩინეს. მას ანტიკიტერიული მექანიზმი უწოდეს. ხელსაწყო რომაული ხომალდის ნანგრევებში იყო. ხომალდი ძველი წელთაღრიცხვით 80-60 წლებით თარიღდება.

2005 წელს კომპიუტერისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით გაირკვა, რომ მექანიზმი სხვა არაფერია, თუ არა ასტრონომიული ხელსაწყო ადამიანების პირადი ჰოროსკოპის შესადგენად. მისი საშუალებით რეალურად იყო შესაძლებელი ადამიანის მომავლის წინასწარ განჭვრეტა მინიმუმ ათი წლით ადრე.

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ასეთ ხელსაწყოს ბევრი მეცნიერი ინატრებდა. მას წარმოუდგენელი შესაძლებლობები აქვს.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

დანით მუცელი გავუფატრე... მაგრამ, ეს უნებლიეთ გამოვიდა, მართლა უნებლიეთ. აღარც კი მახსოვს, დანისკენ ხელი რატომ გამექცა. ეს შეცდომა იყო. ჯინო გადარჩა – მაინც მსუბუქად დამიჭრია. სახლში ერთიორი თვე იწვა და გამოჯანმრთელდა. სამაგიეროდ, მე ვიჯექი ციხეში წელიწად-ნახევარი. გამოვედი და... ჩემ გარშემო მთელი სამყარო შეიცვალა. პრინციპში, მე არ შევცვლილვარ, სხვები შეიცვალნენ და, მაიძულეს, მეც შევცვლილიყავი. როგორ მოხდა ეს? – დღესაც ამას ვეკითხები ჩემს თავს. ო, ეს ადამიანები და მათი მცდარი შეხედულება ცხოვრებაზე!..

მოკლედ, სანამ ციხეში ვიყავი, სერაფინოს რომანი გაუბია სესტილიასთან. სესტილია ჩემი საყვარელი იყო, მასზე არ ვგიჟდებოდი. ლამაზი იყო, მაგრამ, დიდად არ მინერვიულია, სერაფინოსთან რომ მიღალატა. ისე კი, ყველაფერი გაცილებით რთულად იყო... ადამიანები ჩემგან გმირობას თუ არა, რაღაც მსგავსს ელოდებოდნენ. ეს ამბავი ბარში მითხრეს. ყველა იქ იყო. თან, ისე შემომხედეს, რომ პირი გავაღე და მექანიკურად წამოვისროლე, „ახლა მე მაგათ ვაჩვენებ!“ ეს უკვე ის იყო, რასაც ჩემგან ელოდნენ. მე ხომ უკვე „ძველი ბიჭი“ ვიყავი, კაცი დავჭერი და ციხეში ვიჯექი. საღამოს ჯულიას ძმა შემხვდა. ჯულია სესტილიაზე  მსუქანიც იყო და დაბალიც, მაგრამ, თურმე, სერაფინო მასზე აპირებდა დაქორწინებას, სანამ მე დამიჭერდნენ, თვითონ კი სესტილიასთან დაიწყებდა კურკურს. საშინელებაა, როცა შენგან იმის გაკეთებას ელოდებიან, რისიც გეშინია. ჰო, გეშინია – მე როგორ უნდა შემეშინებინა სერაფინო, ეს გოლიათი, რომელსაც ხელის ერთი გაქნევა ეყოფოდა ჩემს გასანადგურებლად. მაღალიც იყო, მხარბეჭიანიც, ქალივით უთმო და კუნთებიანი. მერე რა, რომ ამ კუნთებს არაფერში იყენებდა... უცებ რომ გადაეწყვიტა ჩემი ცემა?! მოკლედ, მაგარ შარში ვიყავი. სიმწრისგან ხელისგულებიც კი გამიოფლიანდა. ჯულიას ძმამ მითხრა, რომ ყველაფრის ორგანიზებას საკუთარ თავზე იღებდა, დანასაც თვითონ მომიტანდა საჭირო მომენტში. „აჰა, ესე იგი, მოვკლა-მეთქი“, – ვთქვი ისეთი ნაძალადევი და ყალბი სიმშვიდით, თავადვე გამიკვირდა. მთელი ჩემი არსება ყვიროდა და აპროტესტებდა იმას, რაც ასე უცხო იყო ჩემთვის. როგორ ამეხსნა ამ ხალხისთვის, რომ ის დაჭრა სრულიად შემთხვევით გამომივიდა. სესტილიაზე შეყვარებული მაინც რომ ვყოფილიყავი, კიდევ ჯანდაბას, მაგრამ არანაირად არ მიღირდა სესტილიას მკერდის გამო კატორღაში მოხვედრა. ისე, მკერდი მართლაც კარგი ჰქონდა, მაგრამ, ციხეში, მით უმეტეს, კატორღაში თავის შერგვა მეტისმეტი იყო.

ბარში ხალხი ციხიდან ჩემი გამოსვლის აღსანიშნავად შეიკრიბა: ჯულია, სერაფინო, სესტილია, მაურიციო, ძმები პომპენიები, ტერიბილი  თავისი გარმონით, კიდევ რამდენიმე ადგილობრივი და მე. გეგმა ყველამ იცოდა, თანაც, ჩემზე უკეთესად. ავტორი ჯულიას ძმა გახლდათ. მე ისე უნდა შემეშინებინა სერაფინო, რომ სასწრაფოდ შეერთო ცოლად ჯულია. ვინ უყურებდა იმას, რომ მე სერაფინოს შეშინება არ შემეძლო, ან, ვის აინტერესებდა?! მერედა, ვისი გულისთვის, სესტილიასთვის?! მაგრამ, ლოგიკა წარსულში დარჩა. დღეს მე „მაგარი ბიჭი“ ვიყავი, ძველბიჭური იმიჯით და საკუთარი ღირსება უნდა

# უნდა შეაშინო

## ალბერტო მორავია

დამეცვა, რომელიც ვიღაც არარაობა სერაფინომ შეურაცხყო...

... სერაფინო და მე ერთმანეთს თითქმის არ ვუყურებდით. თავი ცოტათი მედიდურად მეჭირა. სესტილია მორიდებით თავდახრილი იჯდა, რაც მისთვის საკმაოდ უცხო იყო; ჯულია კი, პირიქით, ზომაზე მეტად აქტიურობდა: სერაფინოს ლამის კალთაში ჩაუჯდა, ის კი უსიტყვოდ წრუპავდა რომს. არანაირი რეაქცია არ ჰქონდა ჯულიას მოურიდებელ, ხმამაღალ სიცილზე. მერჩივნა, პირიქით ყოფილიყო, ანუ, ჯულიასავით სესტილია მოქცეულიყო – იქნებ, მეეჭვიანა და მრისხანება მომძალებოდა, მაგრამ – არა! მრისხანებისა და ბრაზის მაგივრად, ისეთმა შიშმა შემიპყრო, ლამის გული ამერია. ბარში ატმოსფერო დაიძაბა. ყველა რაღაცას ელოდა. მივხვდი, რომ მათ ჩემი ყოყმანი აღიზიანებდათ... როგორ მინდოდა, უკანმოუხედავად გავქცეულიყავი ბარიდან, მაგრამ ამის ნაცვლად მივედი სერაფინოსთან და ვუთხარი:

– შენ რატომ არ სვამ? არ გაგიხარდა ჩემი ციხიდან გამოსვლა? ჩვენ აქ სწორედ ამიტომ შევიკრიბეთ. ყველა ვმხიარულობთ, შენ კი სულ ჩუმად ხარ.

– არა, ლუიჯი, – საწყალი ბავშვივით ჩაილაპარაკა სერაფინომ, – უბრალოდ, ცოტა მუცელი მტკივა...

– მუცელი? ჯობია, პირდაპირ თქვა, რომ სესტილიასთან რომანი გააბი და საყვარელი დამაწერე. იცი, ამისთვის რას გიზამ?! სესტილიას თავს დაანებებ, გაიგე? ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი!

სერაფინომ სესტილიას შეხედა, შეიძლება, იმ იმედით, რომ ქალი გააპროტესტებდა ამას, მაგრამ, სულ ტყუილად – ის ისევ თავდახრილი იჯდა. სერაფინო უცებ ადგა და ბარიდან გავიდა. შვებით ამოვისუნთქე. ვიფიქრე, ამით ჩემი მისია შევასრულე-მეთქი, მაგრამ, ჯულიას ძმამ მაშინვე იყვირა.

– ასე უშვებ? გაეკიდე, ლუიჯი, სწრაფად!

მიუხედავად იმისა, რომ სხეული აშკარად არ აპირებდა დამორჩილებას, ავდექი, ჯიბიდან დანა ამოვიღე, გავშალე და სერაფინოს დავედევნე, თან ვნატრობდი, გარეთ გასულს იქ არ დამხვედროდა... ის კი ნელი ნაბიჯით მიჩანჩალებდა ფართო, განათებულ ქუჩაზე. წამოვეწიე... გაშლილი დანით...

– შენ იცი, ჯინოს რაც გავუკეთე? – მივაყენე კედელთან, ის კი ნაცემი ძაღლივით მომაჩერდა.



– ვიცი...

– შენც იმავეს გაგიკეთებ. თუ სესტილიას თავს არ დაანებებ, მოგკლავ!

– ვიცი... აღარ გავეკარები სესტილიას, აღარ გავეკარები... ღმერთმა დამიფაროს...

უკვე დამთავრებული იყო ყველაფერი.

– მარტო ეგ არ კმარა, ცოლად ჯულია უნდა შეირთო, – ამას რომ ვამბობდი, დანიანი ხელი ცხვირწინ მივუტანე, თან, ვფიქრობდი, ღმერთო, მიშველე-მეთქი. სერაფინოს ჩემთვის მაჯაზე რომ მოეკიდა თავისი ღონიერი თითები, აუცილებლად დამიმტვრევდა ძვლებს, მაგრამ, მე ხომ „მაგარი ბიჭი“ ვიყავი, როგორ გამიბედავდა... ისეთი შეშინებული და დამფრთხალი მიყურებდა, როგორც კურდღელი. საქმე ჩემს დანაში კი არ იყო, არამედ, ყალბ იმიჯში, რომლისაც მე არ მჯეროდა, მაგრამ, სერაფინომ დაიჯერა... დანა უხერხულად შევატრიალე ხელში და, უნებლიეთ (როგორც ჯინოს შემთხვევაში), წარმოდგენა არ მაქვს, როგორ, დანის წვერი ლოყაზე შეეხო... სისხლი რომ დავინახე, ლამის გული წამივიდა. იმან მიშველა, რომ სერაფინომ დამასწრო, მუხლები მოეკეცა და მიწაზე გაიშხლართა. ბარიდან ხალხი გამოცვივდა. ჯულია სერაფინოს მივარდა, მისი თავი კალთაში ჩაიდო, ეფერებოდა და თან იცინოდა. მე კაცები ხელს მხარზე მიტყაპუნებდნენ – მოწონებით... არ დამიჭირეს – ადგილობრივი პოლიციელები ჩემი თაყვანისმცემლების სიაში აღმოჩნდნენ... სერაფინომ ჯულია შეირთო ცოლად. ამითაც არ დამთავრდა: ცოლი მეც შევირთე – სესტილია, რა თქმა უნდა. მე ხომ კაცი მოსაკლავად გავიმეტე მის გამო. ახალმა იმიჯმა მაგარ შარში გამხვია... ახლა სესტილია ჩემი ცოლია და მალე ბავშვსაც ველოდებით. ზოგჯერ ვფიქრობ, ხომ არ აჯობებდა, სერაფინო მომეკლა და სესტილიაც ზედ მიმეყოლებინა?!

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**ის საოცრად ნიჭიერი პიანისტია, ვირტუოზი, დადებითი ემოციებით სავსე არა მხოლოდ სცენაზე, არამედ, სცენის მიღმაც – პირად ურთიერთობაში. ირმა გიგანი ჯერ კიდევ 5 წლის იყო, როდესაც სოლო კონცერტი გამართა და მას შემდეგ არაერთი წარმატება მოუტანა საკუთარ თავს, ოჯახსა და ჩვენს ქვეყანას. დღეს ირმა უკვე კონსერვატორიის სტუდენტია და ახლო მომავალში არაერთი კონცერტის გამართვას გეგმავს როგორც უცხოეთში, ასევე, საქართველოში.**

# როგორ გარემოში უწევს ცხოვრება ირმა გიგანს და რაში უგებენ ის და მამუკა ჩარკვიანი ერთმანეთს თვალებით

**ირმა გიგანი**: წელს სკოლა ექსტერნად დავამთავრე და ჩავაბარე კონსერვატორიაში, ქალბატონ მანანა დოიჯაშვილის კლასში. ძალიან მიყვარს ჩვენი კონსერვატორია, არაჩვეულებრივი გარემოა, პროფესიონალი პედაგოგები; მათთან ბავშვობიდან მიწევს ურთიერთობა, ბავშვებს ხომ თითქმის ყველას ვიცნობ – ჩემი სამეგობროა. ახლა უკვე ვემზადები კონცერტებისთვის, ოღონდ, ჯერჯერობით თარიღი არ ვიცი. ასევე, ვგეგმავ კონცერტს რუსეთში. შეიძლება, ისრაელშიც მქონდეს კონცერტი. 2009 წელს ბატონ ავნერ ბირონთან ერთად ისრაელში ჩავწერე დისკი – მისი დირიჟორობით შევასრულე მოცარტის 21-ე კონცერტი და, ასევე, სოლო პროგრამა. ამის შემდეგ ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, ხშირად დაგვიკრავს ერთად და კიდევ ვაპირებთ ერთად კონცერტის ჩატარებას. საბედნიეროდ, 5 წლის ასაკიდან არაჩვეულებრივ მუსიკოსებთან, პიროვნებებთან მიწევს ურთიერთობა. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობითა და საუბრით კი ხელოვანი ძალიან ბევრ რამეს სწავლობს. ბატონ ავნერთან ერთად ჩატარებული კონცერტი, განსაკუთრებით კი – მუშაობის პროცესი, ძალიან დასამახსოვრებელი იყო. არ შემიძლია, არ გამოვყო და სიცოცხლის ბოლომდე არ ვიყო ბატონ თენგიზ ამირეჯიბის მადლობელი, რომელიც წელს გარდაიცვალა და მასზე საუბარი ძალიან მიჭირს. მე მქონდა ბედნიერება, მასთან მესწავლა ოთხი წლის განმავლობაში – კვირაში ორჯერ მქონდა მსოფლიო დონის მასტერკლასები. ჩემთვის, ასევე, დიდი პატივია, რომ ვარ მის მოსწავლესთან, ქალბატონ მანანა დოიჯაშვილთან და მის სკოლას ვაგრძელებ.



**ამ მხრივ, ძალიან განებივრებული ვარ. ბავშვობაში დამიწერა ეს ლექსი, ძალიან გულის ამაჩუყებელია; შემდეგ მამუკამ სიმღერა გააკეთა და ძალიან კარგი გამოვიდა**

**– რომელიმე კონცერტს გამოყოფდი?**

– ჩემთვის ყველა კონცერტი მნიშვნელოვანია და, ვცდილობ, შეძლებისდაგვარად, არც ერთ კონცერტზე არ ვთქვა უარი, რადგან, როცა რეკავენ ეს უკვე ბედნიერება და დიდი პატივია ჩემთვის. 5 წლის ვიყავი, როდესაც სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მქონდა სოლო კონცერტი და აქედან დაიწყო ყველაფერი. 6 წლის რომ გავხდი, იტალიაში წავედი, გრან-პრით ჩამოვედი და დამეწყო კონცერტები. მოსკოვში, თურქეთში, საფრანგეთში მქონდა კონცერტები; ისრაელში დისკი ჩავწერე; თბილისშიც ბევრი კონცერტი მქონდა. საბედნიეროდ, ყველა ქვეყნაში ძალიან თბილად მხვდებიან. წელს გერმანიაში ვიყავი და იქ ისეთი ტაში, სითბო, გულთბილი სიტყვები მივიღე... საქართველოში როცა გაქვს კონცერტი, მაინც სახლში ხარ, შენი ქვეყანაა და, ამიტომ, კიდევ უფრო გემატება პასუხისმგებლობა. ალბათ, ბუნებრივი იქნება, რომ ვთქვა: აქ დაკვრა უფრო მიყვარს. თუმცა, კონცერტებს ვერ გამოვყოფ, რადგან, ყველგან ერთნაირი ემოციითა და პასუხისმგებლობით გავდივარ.

**– როგორც ვიცი, ბატონი ჯანსული მოგყვება ხოლმე უცხოეთში გასტროლზე.**

– ბაბუ ისრაელში გამომყვა და ეს ჩვენთვის განსაკუთრებული დღეები იყო – იერუსალიმში ვიყავით, ქრისტეს საფლავთან საოცარი ემოცია გვქონდა... მე არც მეგონა, თუ ბაბუ ჩემ გამო წამოვიდოდა და ერთი თვე გაძლებდა უცხო ქვეყანაში. გაოცებული ვიყავი, რადგან, არ შეუძლია საქართველოს გარეშე, სულ ბუზღუნებს ხოლმე. ისეთი ემოციებით დაგვხვდა ხალხი... თან, იერუსალიმი მოვილოცეთ და ძალიან კმაყოფილები ვიყავით ორივე. ბაბუც და ბებიაც ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივრები არიან, მამაზე და დედაზე აღარაფერს ვამბობ. როდესაც ბავშვი 5 წლიდან სერიოზულად უდგება საქმეს, თან, ასეთ პროფესიას ირჩევს, ძალიან მნიშვნელოვანია იღბალი, ანუ, ისეთი მშობლები უნდა გყავდეს, რომლებიც ამ ყველაფერში ხელს შეგიწყობენ. მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მშობლები „შემხვდა," რადგან, არ ვიცი, არსებობს თუ არა რამე, რაც ჩემთვის არ გაუკეთებიათ დედას და მამას. ბაბუსთან და ბებოსთან რომ მოვდივარ, ეს კიდევ სულ სხვა სამყაროა. პატარა კონცერტებს ვმართავ ხოლმე და მერე საჩუქრებს ვიღებ ბაბუს ლექსით.

**– მახსოვს ერთი საოცრად თბილი ლექსი, რომელიც ბაბუამ მოგიძღვნა და მერე მასზე მამუკა ჩარკვიანმა სიმღერა დაწერა.**

– ამ მხრივ ძალიან განებივრებული ვარ. ბავშვობაში დამიწერა ეს ლექსი, რომელიც ძალიან გულისამაჩუყებელია, შემდეგ მამუკამ სიმღერა გააკეთა და ძალიან კარგი გამოვიდა.

**– როგორი ურთიერთობა გაქვს მამუკასთან?**

– ახლოს ვართ, რადგან, ბევრ რამეში გვესმის ერთმანეთის. მე ამას მუსიკას ვაბრალებ, რადგან, მუსიკა ისეთი რამ არის, ყველას და ყველაფერს აერთიანებს. თან, მე და მამუკა ამ კუთხით ვგავართ ერთმანეთს. როცა ვუსმენთ, ორივე ერთსა და იმავე რამეს ჩავავლებთ ხოლმე და ამას თვალებით ვხვდებით.

**სიყვარული ისეთი რამ არის, რომ ყველაფერს ეხება: მუსიკასაც და ადამიანსაც**

**– როცა პატარა იყავი და რამდენიმე საათი გიწევდა მეცადინეობა, არ გიჭირდა 5 წლის ბავშვს ამის გაკეთება?**

– რომ ვთქვა, არ მეზარებოდა მეცადინეობა-მეთქი, მოგატყუებ. მქონდა ისეთი ასაკი, როდესაც ძალიან ვიღლებოდი, მინდოდა მეგობრებთან ერთად ყოფნა, დაბადების დღეზე წასვლა. ნამდვილად არ მიმუშავია რვა-ათი საათი, ფიზიკურადაც არ შემიძლია. ზოგი ამას ახერხებს და ეს ძალიან დასაფასებელია, მეც რომ შემეძლოს, ძალიან ბედნიერი ვიქნები. როცა კონცერტები მაქვს, ძირითაადად, ოთხი-ხუთი საათი ვმეცადინეობ ხოლმე. როცა ხვდები, წინ რა გელის, ასევე, სცენაზე გასვლის გამო, ძალიან ბევრ რამეს თმობ. მე პატარა ასაკშივე გავაანალიზე ეს ყველაფერი და, მივხვდი, რა იყო ჩემთვის უკეთესი. თან, ჩემს მშობლებს ჩემთვის არასდროს არაფერი დაუძალებიათ; ჩემს პროფესიასთან დაკავშირებით რასაც ვაკეთებდი, ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ინიციატივით ხდებოდა. დედაჩემისგან და მამაჩემისგან რასაც მაქსიმალურად ვიღებდი – ეს იყო ხელშეწყობა, თანაც, ისეთი, რომ თავს ვალდებულად მივიჩნევდი, დავმჯდარიყავი და მემეცადინა. ახლაც ასე ვარ და, ალბათ, სულ ასე ვიქნები. მაგრამ, უპირველესად, ყველაფერი ჩემი სურვილიდან მომდინარეობდა, მეორე – ოჯახური სიტუაციიდან, რადგან, ჩვენს ოჯახში მუდმივად არის პოეზია, მუსიკა და ამის გარეშე ჩემთვის ნამდვილად წარმოუდგენელი იქნებოდა. 24 საათის განმავლობაში საოცარ გარემოში ვიზრდებოდი და ამ კუთხითაც ძალიან განებივრებული ვიყავი. ჩვენს ოჯახში ყოველი დღე განსაკუთრებული და თბილია. ყოველი დილა იწყება და მთავრდება იმით, რომ ერთმანეთს ვეუბნებით, როგორ გვიყვარს ერთმანეთი. შესაბამისად, ჩვენთან სტუმარი რომ მოდიოდა, ეს სიყვარული ხვდებოდა და ასე აქვს გატარებული მთელი ცხოვრება ბებოსაც, ბაბუსაც, დედასაც, მამასაც და მთელ ჩემს ოჯახს. ეს კი, არ შეიძლებოდა, არ დასტყობოდა პოეზიასა და მუსიკას, აქედან გამომდინარე, მეც შემიტყუეს ამ სფეროში.

**– მეგობრებთან ერთად ყოფნას ახერხებ?**

– ვერ ვიტყვი, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად ძალიან ხშირად ვარ. საბედნიეროდ, ნიჭიერი მეგობრები მყავს, თან, ძალიან კარგი ადამიანები და, ვცდილობ, მათთან ერთად გავატარო დრო. ისინი ჩემთან დადიან კონცერტებზე, მე – მათთან და ასე მაინც ვახერხებთ ერთად ყოფნას. თუმცა, ხშირად მიწევს სადღაც წასვლაზე უარის თქმა.

**– როგორი ბავშვი იყავი? ძალიან მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ.**

– ბავშვობიდან მახსოვს დედაჩემი სულ ამბობდა: სახლში მუშკაა, სცენაზე – ირმაო.

**– რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან?**

– ხასიათით. სახელებსაც ეტყობა, რითაც განსხვავდებიან. ხასიათი ცოტა სვანური მაქვს და ეს ჩემთვის საამაყოც არის, ჰოროსკოპით „ვერძი" ვარ და, შესაბამისად, საშინლად ჯიუტი. ხანდახან მხვდება ეს წინ, ხანდახან – არა და ვცდილობ, ეს თვისება გამოვასწორო. საერთოდ, მშვიდი ვარ და, ვფიქრობ, რომ ჩემში ბევრი პიროვნებაა თავმოყრილი. როცა ადამიანს შეუძლია, რახმანინოვი სხვანაირად დაუკრას, შოპენი – სხვანაირად, ბეთჰოვენი კი – სხვანაირად, ეს იმას ნიშნავს, რომ, შეიძლება, მას სხვადასხვანაირი ხასიათი ჰქონდეს. ანუ, ცვალებადი ადამიანი ვარ და ეს ჩემს დაკრულსაც ეტყობა. გარდა ამისა, ძალიან ემოციური ვარ, თუმცა, ამაში სიბრაზეს არ ვგულისხმობ.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებში?**

– არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი. იმდენად ვარ მუსიკაში ჩართული, ამ თემაზე არ ვფიქრობ. სიყვარული ისეთი რამ არის, რომ ყველაფერს ეხება – მუსიკასაც და ადამიანსაც.

**ნათია უტიაშვილი**

**ქართველი მომღერალი ელგა ფორჩხიძე უკვე ათი წელია, უცხოეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მიუხედავად გადატვირთული გრაფიკისა, მაინც ახერხებს წელიწადში ერთხელ სამშობლოში ჩამოსვლას და ახლობლების მოსიყვარულებას. ელგამ თბილისში დაამთავრა თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი, მანამდე კი სამუსიკო ათწლედში სწავლობდა. ასევე, დამთავრებული აქვს კონსერვატორიასთან არსებული ექსპერიმენტული სკოლა. ქართულ ესტრადაზე 90-იან წლებში გამოჩნდა, ანუ, სწორედ იმ პერიოდში, როცა არავის ემღერებოდა. მან არაერთ კონკურსსა და ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და არაერთი ჯილდოსა და პრიზის მფლობელიც გახდა. დღეს ის საფრანგეთში მღერის და ამბობს, რომ თავისი ამბიციითა და მიზანდასახულობით ჯერ კიდევ ბევრის მიღწევა აქვს დაგეგმილი.**

# რატომ ათენებს ღამეებს ცნობილ ფრანგულ კაბარეში ელგა ფორჩხიძე და რაზე უთხრა მას უარი რონალდინიოს დაცვამ

**ელგა ფორჩხიძე**: სცენაზე მაშინ დავდექი, თბილისში საშინელი 90-იანი წლები რომ იყო. ის დრო ახლა უფრო მტკივნეულად მახსენდება და მწარედ განვიცდი. ანუ, საუკეთესო წლები ჩემს ქვეყანაში, უმძიმეს ვითარებაში გავატარე. შოუბიზნესი ენთუზიაზმზე იყო აწყობილი, რომელ დაფინანსებაზე იყო საუბარი! რამდენიმე სიმღერა მქონდა ჩაწერილი და სამი სიმღერა ახლაც ტრიალებს ქართული რადიოს ტალღებზე. ჩემი პროდიუსერი გახლდათ მამუკა სააკაშვილი და, არ დამავიწყდება, 2001 წელს, სწორედ მისი დახმარებით აღმოვჩნდი ბელორუსიაში, სადაც საერთაშორისო ფესტივალი ტარდებოდა და ერქვა „ზოლოტოი შლაგერ"; 2002 წელს კი მოსკოვიდან მივიღე მოწვევა და სამი თვით წავედი. იქ ქართულ რესტორან „ტიფლისში" ვმღეროდი, რომლის მფლობელიც გახლდათ ელგუჯა ქებურია. სამი თვით კი წავედი, მაგრამ, ხუთი წელი დავრჩი ***(იცინის).*** სამწუხაროდ, ცუდი პერიოდი დამემთხვა – 2006 წელი. საბუთები კი მქონდა წესრიგში, მაგრამ, აქ უფრო პოლიტიკური ამბები მოქმედებდა და არავინ იხედებოდა შენს საბუთებში. დიდი წარმატება მელოდა მოსკოვში. კონკურსზე „ზოლოტოი გოლოს როსიი" სამი პრიზი ავიღე და საკმაოდ კარგ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ დიდ სცენაზე. არ დაგავიწყდეთ, ეს სამი პრიზი: „მაყურებლის სიმპათია", კონტრაქტი დისკის ჩასაწერად და ერთ-ერთი ცნობილი დიზაინერისგან 10 000 ევროს მომსახურების ბარათი სწორედ იმ რთულ და დაძაბულ დროს მომცეს, როცა მოსკოვიდან ქართველებს დევნიდნენ.

**– ანუ, ეს ის დროა, როცა მოსკოვში ქართული ღვინო და „ბორჯომი" აკრძალეს?**

– დიახ, სწორედ ის დრო იყო, როცა რუსეთში აკრძალეს ქართული პროდუქციის, ღვინისა და „ბორჯომის" გაყიდვა და, ამ დროს, ქართველი რუსეთის კონკურსზე იღებ სამ პრიზს, თანაც, აბსოლუტურად დამოუკიდებლად და ყოველგვარი დახმარების გარეშე. ეს ადვილი არ გახლდათ. მივხვდი, უფრო მეტის გაკეთება შემეძლო მხოლოდ ჩემი ნიჭითა და შრომით.

**– იღბალიც ხომ საჭიროა ნიჭთან და შრომასთან ერთად?**

– დიახ, იღბალიც დიდ როლს თამაშობს და ამას ვუმადლი, დღეს რომ პარიზში ვარ. მოკლედ, კონკურსის შემდეგ ცოტა ხნით თბილისში დავბრუნდი, მოსკოვში კი პროდიუსერი რუსლან მაკაროვი მელოდებოდა, რომ დისკი ჩაგვეწერა. მაგრამ, იქ ჩასულს ვიზა გამიუქმეს, ამიტომ, ათ დღეში დავტოვე მოსკოვი და წავედი უკრაინაში, სადაც ერთი წელი ვიმუშავე. მაშინ 28 წლის ვიყავი და ვხვდებოდი, საქართველოში რომ დავბრუნებულიყავი, წინ ვერ წავიწევდი, უცხოეთში კი უფრო მეტის გაკეთება შემეძლო ჩემი ქვეყნისთვის. წარმოიდგინეთ, უცხოეთში რომ ქართულად მღერი და მათ ჩვენს კულტურას აზიარებ, ამით რამხელა საქმეს აკეთებ.

**– ახლა საფრანგეთში მღერი. როგორ მიგიღო ფრანგმა მსმენელმა პატრიოტი ქართველი მომღერალი?**

– ეს ბატონ ელგუჯა ქებურიას დამსახურებაა. ერთხელ მითხრა, საქართველო ყოველთვის მიგიღებს, სამშობლოში ყოველთვის დაბრუნდები, მაგრამ ახლა შენ საფრანგეთში უნდა იყოო. მან საფრანგეთში დიდი სახლი აჩუქა ქართველებს, სადაც ულამაზესი რესტორანი – „ქართული სახლი" იყო გახსნილი და იქ იკრიბებოდნენ ჩვენი თანამემამულეები. იქ მოდიოდნენ პიერ რიშარი, მირეი მატიე, ჟან პოლ ბელმონდო, ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსები, მსახიობები, ფეხბურთელები, მაგალითად – რონალდინიო.

**– მათ პირადად თუ იცნობ?**

– სხვათა შორის, ძალიან უშუალო და თბილი ხალხია. არ უჭირთ კონტაქტი, გამოლაპარაკება, სურათის გადაღება, თბილი მისალმება. რონალდინიოსთან მინდოდა ფოტოს გადაღება, მივედი და ვთხოვე. ღიმილით დამთანხმდა, მაგრამ, აპარატი რომ ამოვიღე, დაცვა გადამიდგა და არ დამრთო ნება. რონალდინიომ გამიღიმა – რა ვქნა, დაცვა არ გვიშვებს და „აფხეო," ანუ, მერეო. მე კიდევ ვიხუმრე: არა უშავს, მოვა დრო, მოხვალ ჩემთან, მთხოვ სურათის გადაღებას და მერე მე გეტყვი „აფხეს"-მეთქი ***(იცინის).*** მეგობრები დამცინოდნენ – სურათის გადაღება რომ არ მოინდომა, ხომ მოიხიბლა შენი ქართული ტემპერამენტითო ***(იცინის).*** იმ რესტორანში ვმღეროდი მთელი სამი წელი. ახლა ეს რესტორანი დროებით დაკეტილია. თავიდან ძალიან გამიჭირდა ადაპტაცია. არც ენა ვიცოდი და ესეც გარკვეულ პრობლემებს მიქმნიდა. თუმცა, ფრანგულ სიმღერებს ვმღეროდი და ყველას ეგონა, ამ ენაზე გამართულად ვლაპარაკობდი. ახლა ენაც ვისწავლე და მოვერგე კიდეც ამ ქვეყანას. ეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ასაკი არ არსებობს.



როცა მოსკოვში ქართული ღვინო და „ბორჯომი" აკრძალეს და, ამ დროს, ქართველი რუსეთის კონკურსზე იღებ სამ პრიზს, თანაც, აბსოლუტურად დამოუკიდებლად და ყოველგვარი დახმარების გარეშე, ეს ადვილი არ არის

**– და, ქვეყანა, სადაც აუცილებლად შეყვარებული უნდა იყო.**

– ***(იცინის)*** თქვენ მე პირადულზე მესაუბრებით, მე კი ვამბობ, რომ ამ ქვეყანას ასაკი არ გააჩნია და აქ ჩამოსული სულ ახალგაზრდა ხარ, სულ შეყვარებული და სულ ამაღლებული განწყობის. პირადულში მართლაც არაფერი ხდება. თაყვანისმცემლებს, მადლობა ღმერთს, არ ვუჩივი, მანებივრებენ და ისინი ბევრნი არიან, ხანდახან ვიმალები ხოლმე ***(იცინის),*** მაგრამ, კონკრეტული ადამიანი ჩემს ცხოვრებაში ჯერ არ გამოჩენილა.

**– ესე იგი, მამაკაცებთან მიმართებაში ცოტა კრიტიკული ხარ?**

– ძალიან უნდა მოვიხიბლო მამაკაცით და ძალიან უნდა მომეწონოს, რომ ის ჩემს ცხოვრებაში შემოვუშვა, ასეთი კი ჯერ არ ჩანს. მიმაჩნია, რომ, თუ ადამიანს რამის გაკეთება უნდა და დიდი სურვილი აქვს, აუცილებლად გამოუვა. დამიჯერეთ, უცხოეთში ჩამოსულს დიდი წინაღობები გხვდება წინ, თუნდაც მორალური და თუნდაც ემოციური. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ, მიზანი დავისახე და ძალების მობილიზება შევძელი. მე ჩემს სათქმელს ამ ქვეყანაში სიმღერით ვამბობ და ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ შემაშინებს.

**– საფრანგეთი ის ქვეყანაა, სადაც ყველა ქალის ოცნება ახდება?**

– ქალის ოცნება ყველა ქვეყანაში შეიძლება ახდეს. ხომ ამბობენ, პარიზი სიყვარულის ქალაქიაო, მე კიდევ, ვამბობ, რომ პარიზი დეპრესიული ქალაქია. ძალიან ცოტა მზეა და ყველაზე მეტ ბედნიერ ფრანგს მაშინ ნახავთ, როცა მზე ანათებს. მთელი ზაფხული ქურთუკი არ გამიხდია, ძალიან ციოდა და ეს განწყობაზე დეპრესიულად მოქმედებს. ასე რომ, სადაც მზე და სითბო არაა, იქ დეპრესია ჩნდება.

**– ანუ, გამოდის, რომ ცხრა თვე დეპრესიაში ხარ?**

– ***(იცინის)*** დაახლოებით. სხვათა შორის, ახლა მივხვდი ჩემი ქრონიკული დეპრესიის მიზეზს. აქ თუ არ იცხოვრე, ისე ამას ვერ გაიგებ. მინდა, კარგად მოვერგო ამ ქვეყანას, კარგად ვისწავლო ფრანგული და მერე მქონდეს დიდი სცენის ამბიცია. ახლა კი ძალიან ცნობილ ფრანგულ კაბარეში ვმღერი, რომელიც უკვე სამოცდაათი წელია, არსებობს. აქ მღეროდა დღეს ცნობილი ძალიან ბევრი მომღერალი. კვირაში ხუთი ღამე არ მძინავს, მაგრამ, არ ვიღლები, პირიქით, ფოიერვერკივით ვარ ***(იცინის).*** ზუსტად ვიცი, ეს კაბარე გზას გამიკვალავს დიდი სცენისკენ. როგორც გითხარით, პარიზს ასაკი არ აქვს; აქ მუსიკას ყველა უსმენს; აქ არასდროს დააგვიანებ, მთავარია, მიზანი და ამბიცია გქონდეს და ამისთვის იბრძოდე. მე ამ ქვეყანაში კარიერას ნაბიჯ-ნაბიჯ ვიწყობ. სულ ვამბობ, ნებისმიერი მუსიკოსისა და მომღერლისთვის „გრემია" ყველაზე დიდი ჯილდო. ეს ოცნება მეც მაქვს, მაგრამ, არ ვიცი როდის შევძლებ წითელ ხალიჩაზე „გრემით" ხელში გავლას და შემდეგ ამ ჯილდოთი ჩემს ქვეყანაში ამაყად ჩამოსვლას.

**ნონა დათეშიძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რატომ იჭერდნენ გია კერესელიძის ვუნდერკინდობის გამო გრიშა ჩიგოგიძეს და როგორ გადაიღო მან ჯერ კიდევ 9 წლის ასაკში ანიმაციური ფილმი

*„უფალი ყოველთვის ადამიანის გვერდით არის, მთავარია, ჩვენ არ დავკარგოთ არასდროს იმედი. პირიქით, მუდმივად უფლისკენ უნდა გადავდგათ ნაბიჯები. ფილმი „ნინო", რომელზეც ახლა ვმუშაობ, სწორედ ამისთვის არის – უფლის სადიდებლად – უფლისკენ, სიყვარულისკენ ნაბიჯის გადასადგმელად. მახსოვს, ერთ დღეს ძალიან ვღელავდი, წმიდა ნინოს ხატთან ვიდექი და ვლოცულობდი: „დამეხმარე, წმიდა ნინო!.." უცებ მშრალი კანდელიდან წვეთი ჩამოვარდა და შუბლზე დამეცა – ეს ჩემთვის ნიშანი და დიდი ნუგეში იყო: ვიცი, ყველაფერი გამოვა და ძალიან კარგ ფილმს გადავიღებთ. მსახიობების დიდი ნაწილი შერჩეულია, კოსტიუმებიც იკერება, არაჩვეულებრივი დეკორაციები გააკეთა ორმა ნიჭიერმა ადამიანმა: მარიამ ჭიჭიკეიშვილმა და ნათია ქადაგიშვილმა... ფილმის გადაღებაც თავის დროზე დაიწყება," – ეს არის ამონარიდი რეჟისორ გია კერესელიძის ინტერვიუდან, რომელიც ფილმს იღებს წმიდა ნინოზე. მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ დიდი და ყველასთვის საყვარელი წმიდანის შესახებ ფილმის გადაღება მთელი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რაც მთავარია, ამ საშვილიშვილო საქმეში თითოეულ ჩვენთაგანს შეგვიძლია მონაწილეობის მიღება – ფილმის საბანკო ანგარიშზე თუნდაც მცირედი თანხის ჩარიცხვით. ამიტომაც, გთავაზობთ საბანკო რეკვიზიტებს: PNC BANK. ARTMANGIA Pictures, LLC Checking – 5309073446 Swift-PNCCUS33.*




**გასაუბრებაზე ქალთან გავედი და, რომ ნახა ჩემი საბუთები, იტირა: ეს რა გიქნესო. მოკლედ, ბოდიშები მომიხადეს, მოქალაქეობაც მომცეს და, საერთოდ, ხელისგულზე მატარეს: მამაჩემი, და, ძმა – მთელი ჩემი ოჯახი ჩამოიყვანეს**

### ოჯახი

**გია კერესელიძე**: დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ ოჯახში იზრდება ადამიანი. დიდება უფალს ყველაფრისთვის, განსაკუთრებით კი – მშობლებისთვის. დედა იყო არაჩვეულებრივი, ნიჭიერი მხატვარი, ისიც კინოში მუშაობდა. ფილმი „ქვევრი" ხომ გახსოვთ? აი, დედამ დახატა ამ ფილმის ტიტრები – ქართული სტილით, სამოციანების დიზაინით. შემდეგ მიშა კობახიძესთან მუშაობდა ფილმებზე – „ქორწილი" და „ქოლგა". მოკლედ, თავიდან ბოლომდე ხელოვნებაში იყო ჩართული, მამა კი კინორეჟისორი გახლდათ. როდესაც საქართველოში დაიწყეს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების გადაღება, ის ერთ-ერთი პირველი იყო. მის პირველ მხატვრულ ფილმს კი ერქვა „მხოლოდ 17 კილომეტრი". მაგრამ, იმ დროს მე დავიბადე და, ამიტომ, დოკუმენტური ფილმების გადაღებაზე გადავიდა, რადგან, ოჯახს რჩენა სჭირდებოდა და ამ კუთხით უფრო მეტი სამუშაო ექნებოდა. სწორედ ამ ფილმის გადაღებისას გაიცნო დედაჩემი, რომელმაც ტიტრები დაუხატა. შეუყვარდათ ერთმანეთი და მერე მე გავჩნდი. მამა დღესაც ცოცხალია, დედა კი გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს. მამა ერთ-ერთი ცნობილი ჯაზმენი იყო. ძველი თაობის ხალხმა, ვისაც ჯაზი უყვარდა, ყველამ იცის კოტე კერესელიძე, რომელიც ჯაზს ძალიან კარგად უკრავდა გიტარაზე. ბენი გუდმენი რომ იყო ჩამოსული, მასთან ერთადაც დაუკრა. გუდმენის გიტარისტმა სიმები აჩუქა მამას და ამის გამო „კაგებემ" დაიჭირა – „შპიონური" ამბების გამო; მოკლედ, პრობლემები შეუქმნეს. მამა არასდროს ყოფილა კომუნისტი, პარტიის წევრი, ამერიკაზე აფანატებდა ყოველთვის და, როგორც ჩანს, ამ გარემომ შემდეგში ჩემს მომავალზეც იმოქმედა. გადასარევ მუსიკაზე ვარ გაზრდილი – მამა ერთ-ერთი ძლიერი კოლექციონერი იყო, რომელსაც ჯაზის ფირფიტები ჰქონდა. ოჯახში მუდმივად ხელოვანი ხალხი მოდიოდა, საოცარი აურა იყო – ბოჰემური სიტუაცია: მუსიკა, ხელოვნება, საინტერესო ხალხი, ისეთ თემებზე საუბრობდნენ... მეც სულ მაინტერესებდა და ხელოვნებით ნელ-ნელა ვიმუხტებოდი. დედა და მამა ერთი გუნდივით იყვნენ. მამა, რომ სცენარს წერდა, დედა ეხმარებოდა – დედას აზრს ეკითხებოდა: რას ფიქრობდა. ერთმანეთს ფანტასტიკურად უგებდნენ...

### 9 წლის ასაკში გადაღებული პირველი ანიმაციური ფილმი

4 წლის ასაკიდან ვხატავდი და დედაჩემს სულ დავყავდი კონკურსებზე. 9 წლის რომ გავხდი, მამამ დაბადების დღეზე პატარა, 8-მილიმენტრიანი კამერა მაჩუქა და მულტფილმი გადავიღე... მანამდე კი დედას და მამას ვკითხე, როგორ უნდა გადავიღო მულტფილმი-მეთქი. კადრებად და მერე ნელ-ნელა უნდა ამოძრაოო. მოკლედ, ორწუთიანი ფილმი გავაკეთე. რომ გავამჟღავნე და ეკრანზე გავუშვი – ეს იყო საოცარი გრძნობა და მგონი, მაშინ დავავადდი კინოთი, ხელოვნებით. ეს არის ჯადოსნობა... არაჩვეულებრივი გრძნობა, როდესაც შენით რაღაცას აკეთებ, მერე კი იმას აცოცხლებ და ეკრანზე მოძრაობს. პრემიერა სახლში მქონდა: სუფრა იყო გაშლილი და ბევრი ხალხი – მოვიდა. შეფასების მომენტიც ძალიან სასიამოვნო იყო. ხალხს მოსწონს – ეს იგი, ეს უნდა ვაკეთო, – ამან უფრო მეტი სტიმული მომცა. მამამაც მითხრა: ფილმი ისეთი რამ არის, მისი მონაწილე ხდებიო. ამიტომაც არ შეიძლება ცუდი ფილმების გადაღება – სიბოროტის მუხტი მაინც გადმოდის ადამიანზე. ამის გამოც გადავწყვიტე, რომ მეკეთებინა კეთილი, კარგი ფილმები – ეს ჩემი პრინციპია... ძალიან გამიმართლა კიდევ იმაში, რომ მოვხვდი არაჩვეულებრივ პედაგოგთან, გრიშა ჩიგოგიძესთან, პიონერთა სასახლეში, „პიონერფილმში," სადაც კინოში ჩემი მეორედ დაბადება მოხდა, ანიმაციის, ფილმების მხრივ. ჩემი კარიერა სწორედ აქედან დაიწყო. გრიშა ჩიგოგიძე გენიოსი ადამიანია, რომელმაც გაზარდა კარგი და კეთილი ადამიანების უამრავი თაობა. არაჩვეულებრივი დრო იყო და დიდი სიყვარულით ვიხსენებ. დღესაც არსებობს ეს სტუდია, სადაც მუშაობს ბატონი გრიშა ჩიგოგიძე და, გული მწყდება, რომ ამ გენიოს ადამიანს მიზერული ხელფასი აქვს. არადა, ის, რომ დღეს პიონერთა სასახლე არსებობს, მისი დამსახურებაც არის. ამ სტუდიაში გადავიღე ფილმი „სახიფათო გართობა" – ერთწუთიანი პოლიტიკური ფილმი, რომელმაც, სხვათა შორის, საერთაშორისო ფესტივალებზე უამრავი პრიზი აიღო. კიდევ, გადავიღე ფილმი, რომელსაც „ყვავილის მოედანი" ჰქვია: ყვავილზეა, რომელიც ასფალტიდან შუა ტრასაზე ამოვა. დიდი სატვირთო დაამუხრუჭებს – არ გადაუვლის, ეს კი საცობს შექმნის. უცებ ჩნდება მილიციელის ჩექმები – მოდის და ყვავილი შეშინებულია: რას მიზამენო. პოლიციელი გაიღიმებს და ცარცით წრეს შემოუხაზავს და ყველა მანქანა გვერდს უვლის. კარგი მესიჯი იყო და ბუმი მოჰყვა ამ ფილმს, კარგი პრიზები აიღო... მოკლედ, „პიონერფილმი" გახდა ჩემი სახლი: სულ იქ ვიყავი, არც სკოლაში დავდიოდი, კინოს გარდა არაფერი მაინტერესებდა და, კიდევ – ხატვის. შემდეგ ანიმაციის წრე გაიხსნა და მე ამიყვანეს პედაგოგად, როგორც ვუნდერკინდი, რომელიც ჯერ ისევ სკოლაში სწავლობდა. ამას ერთი ამბავი მოჰყვა – გრიშა ლამის დაიჭირეს: ბავშვი სკოლაში სწავლობს და თქვენ მასწავლებლად დანიშნეთო. კი, მაგრამ, ეს ბავშვი გენიოსია და, რა მნიშვნელობაა აქვს, რამდენი წლისააო. ხელფასი მქონდა 20 მანეთი, მაგარი თანხა იყო: მხოლოდ ნაყინს კი არ იყიდდი, გაიგულავებდი და გოგონებსაც დაპატიჟებდი. ბოლოს ეს დავა იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ მეც ისეთ ასაკს მივუახლოვდი, რომ ხელი ჩაიქნიეს: ჯანდაბას, ასწავლოსო. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, პედაგოგობა მაინდამაინც არ მომწონდა – ბევრი დრო მიჰქონდა, მე კი საქმის კეთება მერჩივნა. როცა უმაღლესში გამოცდების ჩაბარებაზე მიდგა საქმე, მამა ამბობდა: სარეჟისოროზე უნდა ჩააბაროსო, დედა – სამხატვრო აკადემიაშიო. გამოგიტყდებით და, აკადემიაში უფრო ლამაზი გოგონები იყვნენ, თუმცა, იმას არ ვამბობ, რომ თეატრალურში არ იყვნენ ლამაზები. უბრალოდ, აკადემია უფრო განსხვავებული, ეგზოტიკური, „ფირმენი" იყო და, გარემოც – შემოქმედებითი. თეატრალურში გელა კანდელაკის ჯგუფში უნდა ჩამებარებინა და, იმის მაგივრად, რომ მასთან მევლო გამოცდებზე, აკადემიაში დავდიოდი. სახლში მოვდიოდი და ვამბობდი: ოთხიანი მივიღე, ხუთიანი, ოთხიანი და, ბოლოს – სამიანი. გადაირივნენ – სამიანი როგორ მიიღეო. მამაჩემმა გელას დაურეკა, მან კი უთხრა: შენი შვილი საერთოდ არ მინახავსო. სახლში ისეთი ამბავი ატყდა, მახსოვს, ტუალეტში ჩავიკეტე. ბოლოს დედაჩემსა და მამაჩემს შორის კამათი ატყდა. შემდეგ წელს, კიდევ ერთმა უნიჭიერესმა და გენიოსმა პედაგოგმა, მსოფლიო რანგის მხატვარმა მამია მალაზონიამ, გახსნა ანიმაციის ფაკულტეტი. ეს რომ გავიგე, ვთქვი: „ავრორას" ჩემთვის უსროლია-მეთქი, – თან კინოა, თან აკადემია, თან – ანიმაცია, მოკლედ, ის, რაც მე მინდოდა და ჩავაბარე. ჩემმა ფილმმა – „მზეზე უფრო" – ბევრი პრიზი აიღო. 1990 წელს ამერიკაში ჩავედი ფესტივალზე, რომელმაც ძალიან კარგად ჩაიარა. ამ დროს საქართველოში დაიწყო ომი, რუსეთით უნდა გადმოვფრენილიყავი და, მოკლედ, დავრჩი – ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების მეორე ნაწილი – ეპოპეა.

Stop&Shop
STOP SHOP
ვაჟა ფშაველას №79

**25 ლარად Relax & Tone** არის მსუბუქი, ეფექტური და მოსახერხებელი მოწყობილობა, რომელიც კუნთებზე, მყესებზე, თეძოებზე, ბარძაყებსა და ხელის ქვედა ნაწილებზეა ორიენტირებული. მისი უნიკალური მოძრავი ფუნქცია ღრმად აღწევს კანის შიდა ფენებში არასასურველი ცხიმებისა და კალორიების დასაწვავად.

**მისამართი:**
**ვაჟა-ფშაველას №79**
**ტელ 2 182-186: 598 28-34-70.**



### ამერიკული ეპოპეა

ფაქტობრივად, ქუჩაში დავრჩი... 90-იანი წლები, ფლორიდა, კაციშვილს არ ვიცნობდი, ქართველი კი არა, რუსი ემიგრანტიც არ იყო. ინგლისური ძალიან ცუდად ვიცოდი, ჯიბეში მხოლოდ 400 დოლარი მედო. ნულიდან დავიწყე ყველაფერი... ისევ ხელოვნებამ მიხსნა: ვხატავდი და მერე ჩემს ნახატებს ვყიდდი, გამოფენებს ვაწყობდი. შემდეგ ერთი პროტესტანტული ოჯახი გავიცანი, რომელმაც შვილივით მომიარა და მათთან ხუთი თვე ვცხოვრობდი, ორი წელი კი – არალეგალადაც. იმ დროს ბევრი ამერიკელი გოგონა გამოჩნდა, რომლებსაც ფიქტიური ქორწინების გაკეთება უნდოდათ, მაგრამ, მე არასდროს მდომებია ქალალდის გამო ვინმეს გამოყენება. ერთი გოგონა იყო, ჯიჯი. მასთან ურთიერთობის დროს გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე და, უნდა გადამეწყვიტა, რომელთან დავრჩენილიყავი. ჯიჯისთან მივედი და ვუთხარი: მაპატიე, კარგი გოგო ხარ, მაგრამ, არ შემიძლია ამის გაკეთება-მეთქი. ჩემი ცოლი რუსია და უფრო მისკენ მიმიწევდა გული, უფრო კარგადაც ვუგებდი და ენის პრობლემაც არ გვქონდა. ჯიჯის მამა ამერიკაში ძალიან ცნობილი და წარმატებული ადვოკატია. ჯიჯი ძალიან კარგი გოგო აღმოჩნდა და ჩემი დახმარება გადაწყვიტა. სანამ მამამისთან მივიდოდი, მანამდე ყველა ადვოკატი მეუბნებოდა: აილე შენი ბარგი-ბარხანა და აქედან გაიქეცი. მაგრამ, ამათთან რომ მოვედი და ჩემი საბუთები ნახეს, გაიცინეს. გულზე მომხვდა, ქალალდი უკან გამოვართვი და ვკითხე – სასაცილოა არის-მეთქი. ბოდიში მომიხადეს: იმაზე ვიცინით, აქამდე რომ გეუბნებოდნენ, არაფერი გამოგივაო. შენი საქმე 99 პროცენტით გამოვა, 1 პროცენტი ის არის, შენი ქალალდები რომ აილო და წახვიდე აქედანო. ისეთი ქეისი შექმნეს, დამნაშავეები ამერიკელები გამოიყვანეს: ასეთი ნიჭიერი ადამიანი ასეთ მდგომარეობაში რომ ჩააგდეთ, საერთოდ, რას ფიქრობთ, ამერიკა რით განვითარდა – ნიჭიერ ხალხს თავშესაფარს, რომ არომევს და აქედან უშვებსო?! გასაუბრებაზე ქალთან გავედი და, რომ ნახა ჩემი საბუთები, იტირა: ეს რა გიქნესო. მოკლედ, ბოდიშები მომიხადეს, მოქალაქეობაც გამიკეთეს და, საერთოდ, ხელისგულზე მატარეს – მამაჩემი, და, ძმა, მთელი ჩემი ოჯახი ჩამოიყვანეს დედაჩემის გარდა, რომელიც ომის დროს გარდაიცვალა – ოპერაცია გაუკეთეს და, ფაქტობრივად, მოკლეს. ამის მერე ჩემი კარიერა ძალიან კარგად აეწყო: USA TODAY-ში ვმუშაობდი, ცნობილი გაზეთია. იქ ვიყავი რეკლამების მთავარი განყოფილების სინიორ გრაფიკ-დიზაინერი, სერიოზული თანამდებობა მქონდა. ჩვენს ქვეყანასაც თუ უნდა განვითარება, ნიჭიერ ხალხს უნდა შეუწყოს ხელი, სხვანაირად არაფერი გამოვა. დღეს ფილმს ვაკეთებ – „ნინოს“

**„ვერ გავაკეთებ“ – აი, ამან დამწყვიტა საქართველოში ყველაზე მეტად გული. ბევრი მოდის და ამბობს: ეს ჰოლივუდის დონეა, ჩვენ ვერ „გავქაჩავთო“. პროდიუსერი ვერ ვნახე, პირდაპირ გეუბნებით, „მანდრაჟი“ აქვთ**

და საქართველოდან არანაირი დახმარება არ არის. არადა, ბევრმა არც კი იცის ნინოს ისტორია, არც ის, რომ სიტყვა „ნინო“ ნიშნავს „თევზს“. ძალიან საინტერესო ფილმი იქნება, უმაგრესი სცენარით, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ვწერდი და რომელმაც რუსეთის კინოინდუსტრიის მოწონება დაიმსახურა. სურვილი აქვთ, რომ გადაიღონ, მაგრამ მე ქართველი ვარ... ერთადერთი პრობლემა ფინანსებია, თუმცა, არც არის ეს პრობლემა, რადგან ვიცი, რომ გადაწყდება. პრობლემა არ არსებობს, არსებობს საკითხისადმი ჩვენი მიდგომები, წუწუნი. „ვერ გავაკეთებ...“ – აი, ამან დამწყვიტა საქართველოში ყველაზე მეტად გული. ბევრი მოდის და ამბობს: ეს ჰოლივუდის დონეა, ჩვენ ვერ გავქაჩავთო. პროდიუსერი ვერ ვნახე, პირდაპირ გეუბნებით, „მანდრაჟი“ აქვთ. ან, მეორე ვარიანტია: ეს არ არის ის ხალხი, რომელმაც ამ ფილმზე უნდა იმუშაონ. ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ, როდესაც ვესაუბრე ბიზნესმენებს, მათ, ვინც ამ სფეროში ტრიალებს, მითხრეს: ჩვენ მოგცემთ ფულს, ოღონდ, ჯერ სხვამ ჩადოსო. ეს მოდის იქიდან, რომ ადამიანები მცირედ მორწმუნეები არიან და არ სჯერათ ღმერთის. მე სულ ვლოცულობ იმაზე, რომ შეიკრას ის გუნდი, რომელიც უფლისგან იქნება. ვინც რეალურად დამეხმარა, ეს არის ბატონი გელა სული, რომელიც 23 წელი ამერიკაში ცხოვრობდა. მას შევხვდი, ამ პროექტში დიდი მომავალი დაინახა და ბევრი საუბრის გარეშე გამოგვიყვეს სტუდია, სადაც ქასთინგი ჩატარდა და დიდი დახმარება აღმომიჩინეს. ახლა კინოსტუდია „ქართული ფილმისგან“ ვქირაობთ ოფისს და აქ მიდის მასალის დამუშავება. ქასთინგზე უამრავი ხალხი გადავიღეთ, კიდევ ვეძებთ მსახიობს ნანა დედოფლის როლზე, ასევე, რიფსიმეს როლზე ლამაზ გოგონას... ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, ამერიკიდანაც გვაქვს დაფინანსება, მაგრამ, ის ფინანსები, რომ ფილმი დაიძრას, თავის დროზე მოვა და, იმედი მაქვს, რომ ამას ქართველი გააკეთებს, თუმცა, ჯერჯერობით კონკრეტული არავინ ჩანს. რაც მთავარია, უფალმა უნდა აირჩიოს ის კაცი, მე არ ვირჩევ... უწმიდესმა ისეთი რამ იწინასწარმეტყველა ფილმზე – თქვა, რომ ეს ქვეყნისთვის ძალიან დროული და საჭიროა. აღფრთოვანებული იყო ნიცათი, ასევე, სცენარით, მთელი ნამუშევრით. თავიდანვე გვითხრა, რომ წმიდა ნინოს როლზე არ უნდა ეთამაშა მსახიობს, რათა, შემდეგ მას არ ეთამაშა სხვა ფილმში და სხვა სახე არ შეექმნა... უკვე გვაქვს ფილმის კინოთეატრებში ჩვენებაზე შემოთავაზება ბრაზილიიდან და საბერძნეთიდან, რუსეთი ისედაც დაინტერესებულია. რაც მთავარია, სწორი გზით მივდივართ, თუმცა, ბევრი დაბრკოლებებია. მაგრამ, ერთმა ბერმა მითხრა: გიხაროდეს, რომ დაბრკოლებები გაქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ფილმი უფლის სადიდებლად კეთდებაო...

**ნათია უტიაშვილი**

(მე-14 გვერდიდან)

უთხრა მამას: ვანო, ერთი მაინც აილეო. დახედეს ვაზას და ერთი „ტრიუფელიც“ აღარ იყო. გაიცინეს, მაგრამ, მამამ სულ მუჯლუგუნებით გამომიყვანა იქიდან. მერე, დრო რომ გავიდა, მოვუყევი ბატონ ილიას ეს ამბავი, თუ როგორ „გავილახე“ იმ „ტრიუფელების“ გამო ***(იცინის).***

ძალიან საინტერესო ისტორია მახსენდება ნიკო მუსხელიშვილთან დაკავშირებით: მოსკოვში მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებას ვესწრებოდი. საქართველოს დელეგაციამ ვერ მოახერხა მოსკოვში ჩამოსვლა. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიას მაშინ აკადემიკოსი ვლადისლავ კელდიში ხელმძღვანელობდა, მან გახსნა კრება და მოხსენება დაიწყო ფრაზით: მინდა გითხრათ, რომ ჩემს მასწავლებლად ნიკო მუსხელიშვილს მივიჩნევ. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ჯეროვნად ვერ გავაცნობიერე დიდი აკადემიკოსის ნათქვამი. როცა თბილისში ჩამოვედი, სერგი დურმიშიძემ შემიყვანა ნიკო მუსხელიშვილთან და ეს ამბავი მოუყვა. ბატონმა ნიკომ ამოიღო სიგარეტი, გააბოლა და სერგის უთხრა: ისე, სერგი, ეს რომ თქვა კელდიშმა, თავის თავსაც ხომ დიდი პატივი სცაო? იუმორით თქვა ეს სიტყვები, მაგრამ, მასში დიდი აზრი იყო ჩადებული. ბატონი ნიკოც და ბატონი ილიაც გამორჩეული ადამიანები იყვნენ, მათ სიტყვას საოცარი ფასი ჰქონდა. მეტსაც გეტყვით – კრემლშიც კი უწევდნენ ანგარიშს.

**– დღეს მეცნიერების ცხოვრება სულ სხვაა, რამე ძველი ხიბლი თუ შემორჩა?**

– კაცს მეცნიერი რომ ჰქვია, უკვე დასჯილია. ძნელი საქმეა მეცნიერება. სულ შექმნაზე უნდა იყო მომართული, მაშინაც კი, როცა არც ჯამაგირი გაქვს მაღალი, არც ხელსაწყო, არც რეაქტივი. აქ ხომ ისე არაა, რომ, ბევრს იმუშავებ და კომპენსაციას მიაღწევ. დღევანდელი ახალგაზრდა მეცნიერები, ძალიან პრაგმატულები

# რა „გაუნადგურა“ მეცნიერებათა აკადემიის ახალმა პრეზიდენტმა ილია ვეკუას წყნეთში და რატომ დააკავეს ის ატლანტის ოკეანეში

არიან და ვერც გაამტყუნებ – ისეთი სამსახური ურჩევნიათ, სადაც მაღალი ანაზღაურებაა. უკვე ორთვე-ნახევარია აქ ვარ. მადლობა ღმერთს, რომ მეცნიერებათა აკადემიაში კიდევ არის დარჩენილი ძალა, ის მაღალი დონე, რომელიც ძალიან სჭირდება ჩვენი მეცნიერების განვითარებას. ეს არის კარგი პირობა, მასზე, როგორც ბაზისზე, შეიძლება, აშენდეს ქვეყნის მომავალი. ჩემი მიზანია, რომ ძველი ღირსება დაუბრუნდეს მეცნიერებათა აკადემიას, მეტს არაფერს ვჩივი. ყველას უნდა დავუმტკიცოთ, რომ ეს არის ძლიერი სამეცნიერო ცენტრი მთელ რეგიონში.

**– თქვენს ქალიშვილზე, თამარ კვესიტაძეზე მინდა გკითხოთ, ის წინა ხელისუფლებასთან დაახლოებული მხატვარი-არქიტექტორი, ბათუმის ცნობილი „ალი და ნინოს“ ავტორია. მოგწონთ მისი „ალი და ნინო“? ეს ქანდაკება თავის დროზე საზოგადოების დიდი მითქმა-მოთქმის თემად იქცა...**

– თამარს არ ჰქონია განსაკუთრებული სიახლოვე ხელისუფლებასთან. მოსწონდათ, ეძახდნენ და აკეთებინებდნენ რაღაცეებს – ხელოვანს ამაზე როგორ უნდა ეთქვა უარი?! „ალი და ნინო“ თვითონ არ დაურქმევია იმ ქანდაკებისთვის, ასე სხვამ დაარქვა, რის გამოც თავად ძალიან უკმაყოფილო იყო. მახსოვს, როცა პირველად მითხრა, ეს უნდა გავაკეთოო, მე ვუპასუხე: რას ამბობ, გადაირიე? ქალი და კაცი ერთმანეთში გადიოდეს, ეს როგორ იქნება-მეთქი? მერე, როცა მაჩვენა, რაც გააკეთა, მივხვდი, რომ არ ვიყავი სწორი. ერთხელ, ექვსი ნახატი გააკეთა და მკითხა, მაინტერესებს, ყველაზე მეტად რომელი არ მოგწონსო. ეს რატომ გაინტერესებს-მეთქი? იმიტომ, რომ ის ყველაზე კარგი იქნებაო, – მიპასუხა ***(იცინის).*** მე მის პროფესიულ არჩევანში არასდროს ჩავრეულვარ; არც ჩემი მეორე შვილის – ედიშერის, რომელიც ასევე მეცნიერების გზას გაჰყვა. დემოკრატი მამა ვარ. რომც არ ვიყო, ვინ ჩაგრევს, ყველას თავისი არჩევანი აქვს ცხოვრებაში. სანამ მეცნიერი გავხდებოდი, ჩემს ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი ეკავა სპორტს, კერძოდ, ათჭიდს. ვიყავი სპორტის ოსტატი, საქართველოს ათჭიდის ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრობის კანდიდატი. დედაჩემი ვერ იტანდა სპორტს, რადგან, ჩვენს ეზოში სამი სპორტსმენი ცხოვრობდა: ერთი მოკრივე იყო და ლოთი; მეორე მოჭიდავე იყო და ხულიგანი; მესამე ფეხბურთელი იყო და ცოტა ქურდობდა და, ამიტომ, დედას ეგონა, რომ ყველა სპორტსმენი ერთნაირად ცხოვრობდა. როცა საქართველოს ნაკრებში ამიყვანეს, მივარდა კომიტეტში და ყველა დალანძლა. ქალბატონო, ეს გადახტა და ჩვენ და თქვენ რა შუაში ვართო? – უთხრეს. დედის მიმართ პროტესტის ნიშნად, მე კატეგორიულად არ მოვინდომე ექიმობა, რასაც, ასევე, „შეეწირა“ ჩემი ინტერესი ფიზიკისადმი, რაც ჩემს ახალგაზრდობაში ძალიან მოდური იყო. შემთხვევით არ მოვხვდი ფიზიკაში, თუმცა, ეს არასდროს არ მინანია, ის ცხოვრებაც საინტერესო იყო, რაც ჩემი პროფესიის წყალობით გავიარე.

**თამუნა სამადაშვილი**

**მალე ერთი წელი გახდება, რაც ლიკა ევგენიძე ნიუ-იორკში ცხოვრობს და „რუსთავი 2-ის“ „ახალი შუადღის“ განვითარებას შორეული შტატებიდან ადევნებს თვალყურს. ამერიკის მოქალაქეობის მიღება არც ისე ადვილია და ლიკაც ზედმიწევნით იცავს ბიუროკრატიულ წესებს. ქვეყნის დატოვების გარეშე ერთწლიან ყოფას ისიც დაემთხვა, რომ ლიკა ევგენიძესა და ნიკა ალასანიას მეორე შვილი შეეძინათ. პატარა ალექსანდრე, უფროსი დის მსგავსად, ცხოვრების პირველ თვეებს შორეულ ამერიკაში ატარებს და სამშობლოს მონახულებას საახალწლოდ აპირებს.**

# რის გამოტოვებას არ აპატიებს საკუთარ თავს ლიკა ევგენიძე და რით იღებს ის სიამოვნებას

**ლიკა ევგენიძე**: გასული წლის ნოემბერში ჩამოვედი ამერიკაში და ნოემბერში გადის აქ ყოფნის ერთი წელი. ნოემბრის ბოლომდე აქ ვიქნები, რადგან, არ მინდა, რამე აირიოს – აქ ყოფნის ზუსტად 365 დღეა საჭირო და მერე შევიტან საბუთებს. საახალწლოდ უკვე ჩამოვალ. მომენატრა თბილისი, ჩემი ოჯახის წევრები, მეგობრები. დედაჩემი იყო ჩემთან ჩამოსული, მაგრამ, ყველას ნახვა მინდა. ამის შემდეგ ისევ უნდა დავბრუნდე, რადგან, გასაუბრება მაქვს გასავლელი.

**– როგორც ვხვდები, ბიუროკრატიული თვალსაზრისით, მოქალაქეობის მინიჭების საკმაოდ რთული პროცედურა აქვთ.**

– რთული არა, უბრალოდ, დრო სჭირდება და მაქსიმალურად ითხოვენ წესების ზედმიწევნით შესრულებას. უნდა დაიცვა დღეების რაოდენობა. თან, აქ ისეთი სისტემაა, რაც უფრო დიდხანს არ ჩამოდიხარ, მით უფრო მეტი დროის გატარება გიწევს ქვეყნის დაუტოვებლად. ამიტომ, მერჩივნა, ამ ერთი წლით ახლა ჩამოვსულიყავი, ვიდრე სამი ან ხუთი წლით – მომავალში.

**– ანა-სოფიას დაბადების დროსაც ამერიკაში იყავი, მაგრამ, უცხო ქვეყანაში ცხოვრება ორი ბავშვით, სადაც დედა, მეზობელი, მეგობარი ისე ვერ მოგეხმარებიან როგორც თბილისში, არ არის ძალიან რთული?**

– ჩემთვის მაინც თბილისური სიტუაციაა, რადგან, ნიკას მშობლები აქ არიან და ძალიან მეხმარებიან. აბსოლუტურად არ მქონია ეგ პრობლემა და, ხანდახან, რომ წარმოვიდგენ რას ან როგორ გავაკეთებდი ისინი რომ არა, გული მისკდება. დეიდაჩემია ზუსტად ასეთ მდგომარეობაში – სან-ფრანცისკოში ცხოვრობს ორი ბავშვით. ქმარი იქ სწავლობდა და ესეც ჩავიდა, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ორსულადაა და სრულიად მარტო ზრდის ორ ბავშვს. ძალიან რთულია. გამიმართლა, რომ ნიკას დედა ყველაფერში მეხმარება.

**– ნიკა?**

– ვაიმე, ნიკა ისე მეხმარება, არ ვიცი, ასე რომ არ იყოს, რა მეშველებოდა. ანა-სოფიაზეც ძალიან მეხმარებოდა და ალექსანდრეზეც ზუსტად თანაბრად გვაქვს ფუნქციები გადანაწილებული – ღამით ერთმანეთს ვცვლით, რიგრიგობით გვძინავს. საერთოდ, მამა აუცილებლად უნდა იყოს ჩართული შვილის აღზრდაში. ძალიან მალე გადის დრო, უსწრაფესად იზრდებიან ბავშვები, გუშინდელივით მახსოვს თვეების ანა-სოფია და ახლა უკვე მართლა დიდი გოგოა. ამიტომ, თუ ყველაფერში არ მიიღე მონაწილეობა, დამთავრდა ის დრო უკვე წასულია, ვერ დააბრუნებ და ბევრი რამ გამოგრჩება. გული გწყდება ყველა იმ პატარა დეტალსა და მომენტზე, რომელიც გამოტოვე, ვერ დაინახე, თუნდაც მშობიარობაზე დასწრება. მიმაჩნია, რომ ქმარი ამ მომენტს აუცილებლად უნდა დაესწროს და გაიზიაროს ეს სასწაული, მართლა რაღაც ჯადოქრობა. სულ სხვა განცდაა, როცა მამაც ესწრება შვილის პირველ ამოსუნთქვას.

**– ორივეს დაბადებას დაესწრო ნიკა?**

– დიახ. ალექსანდრეს დაბადებას დედაჩემიც დაესწრო. აქ ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს ორი ადამიანის დასწრების უფლებას აძლევენ, საკეისროს შემთხვევაში – ერთის. სხვათა შორის, დედაჩემი საერთოდ არ არის პანიკიორი და მშიშარა, მაგრამ, მერე მითხრა, ძალიან რთული ყოფილა შვილის მშობიარობაზე დასწრებაო.

**– არ მოგენატრა თბილისი, ყოველდღიური პირდაპირი ეთერი, თუ, ჯერ დედობით ტკბები?**

– ეს ერთმანეთს არ გამორიცხავს. ძალიან მენატრება მუშაობა, მაგრამ, იმხელა სიამოვნებას მანიჭებს შვილებთან ურთიერთობა, იმხელა ბედნიერებაა მათთან დაკავშირებული ყოველდღიური სიახლე, რომ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

**– ხომ არ იყო აქედან რაიმე შემოთავაზება?**

– იყო რაღაც ლაპარაკი, მაგრამ, როდესაც ჩამოვალ, მერე გავერკვევი რაღაცეებში. ალბათ, ისევ ჩემს არხზე, იმავე გადაცემაში დავბრუნდებოდი. თუ გახსოვს, ახალი ჩამოსული



**ზუსტად თანაბრად გვაქვს ფუნქციები გადანაწილებული. ღამით ერთმანეთს ვცვლით, რიგ-რიგობით გვძინავს**

რომ ვიყავი, ამაზე ვილაპარაკეთ კიდეც – აქ მინდოდა, მესწავლა, გამეღრმავებინა ჩემი ცოდნა; მაგრამ, ძალიან რთულია – ორსულობა, ბავშვი, ხან რა ხდება, ხან რა და ამისთვის დროს ველარ პოულობ. თან, აქ სწავლა არ ხდება ისე, რომ დღეში ორი საათით მიხვედი და სახლში დაბრუნდი. თუ რეალურად სწავლა

**ნიუ-იორკი ისეთი ქალაქია, მარტოც ძალიან კარგად გაერთობი**

გინდა, ის ძალიან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. ჯერჯერობით, ასეთი სწავლის დრო ნამდვილად არ მაქვს, ბავშვებს ვჭირდები, მაგრამ, ვნახოთ, იქნებ მომავალში შევძლო.

**– როგორც ვიცი, ძალიან ბევრი ქართველი ხართ ერთად, დიდი წრე გაქვთ...**

– დიახ, ჩვენი უამრავი მეგობარია აქ, ამერიკელი მეგობრებიც გვყავს – ნიკას თანაკლასელები, ინსტიტუტის მეგობრები, მაგრამ, ქართველებთან ურთიერთობაც სულ გვენატრება. ორივე წრე გვყავს და ეს მნიშვნელოვანია ჩვენთვის. აქაც თბილისივით არის – ძალიან უყვართ ერთმანეთთან სტუმრობა, პარასკევსა და შაბათს ყოველთვის რაღაცას გეგმავენ. თუ მაინცდამაინც მეგობრებთან ყოველდღიური ურთიერთობა გინდა, არც ამის პრობლემაა – ლანჩზე ყველა გამოდის სამსახურიდან და ერთმანეთს ხვდებიან. თან, ნიუ-იორკი ისეთი ქალაქია, მარტოც ძალიან კარგად გაერთობი. უამრავი პარკია და ბავშვთან ერთად დასვენების საუკეთესო საშუალება გაქვს. საბავშვო ეტლით მთელი ქალაქის შემოვლა შეგიძლია, იმიტომ, რომ ყველგანაა პანდუსები, ეტლით სასიარულო ზოლი. თბილისში კიბეს რომ შეეჩეხები და ერთ ხელში ბავშვი უნდა დაიჭირო, მეორეში – ეტლი, ასე არ არის. აქ ქუჩაში ყველანი ბავშვით ან ცხოველით დადიან. ყველა უბანს აქვს დიდი პარკი. ყველანაირი პირობაა შექმნილი უნარშეზღუდული ადამიანებისთვის, რომ სრულფასოვნად იცხოვრონ და დისკომფორტი არ შეექმნათ გადაადგილებაში.

**– გასართობად სად დადიხართ, გაქვთ რამე ამორჩეული ადგილი?**

– აქ იმდენი ადგილია, რომ ასე ადვილად ვერ შეარჩევ. თბილისში ყველა კაფე და კლუბი რომ იცი, იქ ასე არ ხდება. ყოველ პარასკევს რომ სხვადასხვა ადგილას იარო, ვერაფრით ამოწურავ, სულ სხვადასხვა ადგილებში დავდივართ. რომელიმე ერთი ადგილი რომ მქონდეს ამორჩეული, ასე არ არის. თვე-ნახევრისაა ალექსანდრე და გასართობად სიარულის სურვილი დიდად არც მიჩნდება, ვცდილობ, სულ შვილებთან ერთად ვიარო, ჰაერზე მყავდეს. კაფეში წასვლის პრობლემაც არ არის, რადგან, იქ სიგარეტს არავინ ეწევა და, შეგიძლია, ბავშვებთან ერთად დაისვენო.

**– მეორე შვილზე განსხვავებული განცდები გაქვს?**

– აბსოლუტურად განსხვავებულია მეორე შვილის აღქმა. პირველზე დაბნეული ხარ, შეშინებული, არაფერი არ იცი, ხარ მოლოდინში, რომლისთვისაც მერე ფეხის აწყობაც გიჭირს. პირველ შვილთან ერთად შენ თვითონაც იზრდები, მეორეზე კი უკვე მშობელი ხარ; იცი, რას ელოდები, რამხელა სიყვარული მოდის შენს ცხოვრებაში. გაცილებით მობილიზებული და მოწესრიგებული ხარ, სირთულეებს მომზადებული ხვდები. თვითონ ფეხმძიმობის პერიოდიც სხვაა და მერეც. დაბნეული აღარ ხარ. გამიმართლა, რომ მტირალა არც ერთი არ ყოფილა და, თუ რამე არ აწუხებთ, მშვიდად არიან. ალექსანდრე რეჟიმშია, ღამითაც ჭამისთვის იღვიძებს და ღამე მონაცვლეობაც მეხმარება, რომ გამოვიძინო, დავისვენო. გამიმართლა, რომ პოსტ-მშობიარობის დეპრესია, ნერვული ფონი საერთოდ არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ გიგანტური ზომის დაიბადა – 4 კილოგრამი და 700 გრამი და 55 სანტიმეტრი გაჩნდა, ორი თვის ბავშვისხელა *(იცინის).*

**– მესამეზე ფიქრობ?**

– ზოგადად, პერსპექტივაში – კი, მაგრამ, ჯერჯერობით, ნამდვილად არა, ყოველ შემთხვევაში, მანამ სანამ სკოლაში არ წავლენ და დამოუკიდებლად რაღაცეების კეთებას არ მიეჩვევიან. მერე, ალბათ, მესამესაც გავაჩენ.

**სალომე გველესიანი**

# რა ოცნება ვერ აისრულა თამთა ჭელიძემ წლების განმავლობაში და ვისთან ერთად ისვენებდა ის მთაში კომფორტულად

***მომღერალი და მსახიობი თამთა ჭელიძე ბოლო დროს მსმენელისა და მაყურებლის თვალს მიეფარა და, კარგა ხანია, მის შესახებ ახალი აღარაფერი გვსმენია. ჩვენც დავინტერესდით და დავუკავშირდით თამთას, რომლის ინტერვიუდანაც შეიტყობთ, თუ რას საქმიანობს ის და რით არის დაკავებული.***

**თამთა ჭელიძე:** ახალი ამ ეტაპზე ის არის, რომ მართვის მოწმობა ავიღე, მანქანასაც ვყიდულობ და ვარ ერთ ამბავში. ძალიან გამიჭირდა მოწმობის აღება, რთული იყო, მაგრამ, შევძელი. ხომ იცი, თუ რამე გულით გინდა, ბოლოს მაინც გამოგივა. ბოლო სამი თვე სწორედ ამ საქმით ვიყავი დაკავებული. ისეთ დღეში ჩავვარდი, ფიზიკურად ვერ ვახერხებდი ვერაფრის გაკეთებას. პირველი მცდელობა ექვსი წლის წინ მქონდა, მაგრამ იმის დრო არ მრჩებოდა კარგად რომ მესწავლა და შევეშვი. მანქანაც მყავდა ერთი წელი, მაგრამ, მართვის მოწმობა რომ ვერ ავიღე, გავყიდე. მას მერე ხუთი წელი გავიდა და, იმის იმედით დავიწყე მომზადება, რომ, იქნებ ვინმე კეთილ ადამიანს ეჩუქებინა ჩემთვის მოწმობა. არავინ რომ არ მაჩუქა და არ დამეხმარა, მერე სერიოზულად მივუდექი ამ საკითხს, ვისწავლე და ჩავაბარე გამოცდები. საერთოდ, იშვიათად ვარ საკუთარ თავში დარწმუნებული, მაგრამ, რატომღაც, მგონია, რომ ძალიან მაგარი მძღოლი ვიქნები.

**– რაც შეეხება შემოქმედებით მხარეს, რამე სიახლეს ხომ არ გვიმზადებ?**

– ერთი სიმღერა ჩაწერის პროცესშია და, სექტემბრის ბოლოსკენ, ალბათ, დავასრულებ კიდეც მასზე მუშაობას. სოლო სიმღერაა.

**– მას შემდეგ, რაც შენ, ვერიკო ტურაშვილმა და ნინო ძოწენიძემ ერთობლივი სიმღერა ჩაწერეთ, რომელიც მალევე გაჰიტდა, თითქმის ყველგან ერთად გხედავდათ ხალხი. კიდევ ხომ არ გაქვსთ ამ წარმატებული პროექტის შემდეგ რამე ახალი ერთობლივი გეგმა?**

– ჯერჯერობით არა, მაგრამ, რატომაც არა, შეიძლება, გამოჩნდეს ისეთი სიმღერა, რომელსაც ერთად სიამოვნებით ჩავწერთ.

**– ზაფხული სად გაატარე?**

– საირმეში დავისვენე ძალიან კარგად. ჩემთან ერთად იყვნენ დედაჩემი, მამაჩემი და ჩემი შვილი. ოჯახური დასვენება მოვიწყვეთ, რაც უკვე ტრადიციასავით გვაქვს. ჩვენი დასვენება ყოველ ზაფხულს მთითა და ზღვით შემოიფარგლება.

**– პირად ცხოვრებაში ხომ არ გაქვს რამე სიახლე?**

– არა, სიახლე არაფერია. ჩემს პირად ცხოვრებაში მართლა ძალიან სიმშვიდე და სიწყნარეა.

**– რადგან ჩვენს საუბარს ლიზაც (თამთას შვილი) ესწრება, მას ვკითხავ: როგორი დედაა თამთა?**

**ლიზა**: თამთა ძალიან მეგობრული დედაა და ბრაზიანი საერთოდ არ არის.

**თამთა**: იტყუება! პრინციპში, გააჩნია სიტუაციას: ლიზას მიმართ მეგობრული დედაც ვარ და არამეგობრულიც, ისევე, როგორც ბრაზიანი, ან – პირიქით. როცა მეგობრობის დრო არის, მე და ლიზა მეგობრები ვართ, მაგრამ, ყოველთვის არა.

**– ლიზა რამდენი წლისაა?**

– ოქტომბერში რვის გახდება, მესამე კლასში გადავიდა.

**– დედის ნიჭი თუ გამოჰყვა სიმღერაში?**

– კი, მღერის.

**– გინდა, რომ სერიოზულად დაინტერესდეს სიმღერით და მომღერალი გახდეს?**

– არა, რას ლაპარაკობ! ლიზას უნდა, ვეტექიმი გამოვიდეს. რატომ, არ ვიცი, მაგრამ, წლებია, ამას ამბობს. პრინციპში, თუ უნდა, გამოვიდეს, მსახიობობასა და მომღერლობას ვეტექიმობა კი ჯობია.



საერთოდ, იშვიათად ვარ საკუთარ თავში დარწმუნებული, მაგრამ, რატომღაც, მგონია, რომ ძალიან მაგარი მძღოლი ვიქნები

**– სახლში თუ გყავთ ცხოველები?**

– სახლში მხოლოდ თუთიყუში და წყლის კუ გვყავს, თუმცა თუთიყუში გაგვიფრინდა.

**– თამთა, მიზანდასახული ადამიანი ხარ?**

– როგორ გითხრა... პატარა წინააღმდეგობაზეც კი ეგრევე ვჩერდები.

**– ბავშვობაში თუ გქონდა ისეთი ოცნება, რომელიც დღემდე გახსოვს?**

– ბავშვობიდან ვოცნებობდი ძალიან ლამაზ სიყვარულზე და მოგზაურობაზე. მოგზაურობა ისევ ჩემი ოცნებაა, რომელიც დღემდე ვერ ავიხდინე.

**– პირველი თუ აიხდინე? ანუ, ლამაზი სიყვარული.**

– რა ვიცი, ერთხელ თუ ორჯერ ავიხდინე და, იმედი მაქვს, დიდი სიყვარული აუცილებლად მელოდება წინ.

**მარიკა ხიდურელი**

## როგორ იწინასწარმეტყველა დევიდ დათუნამ ბარაკ ობამას პრეზიდენტობა და ვის ხედავს ის საქართველოს მომავალ პრეზიდენტად

ქართული წარმოშობის ცნობილი ამერიკელი მხატვარი დევიდ დათუნა გამოთქვამს იმედს, რომ მისი საქველმოქმედო ფონდის ამუშავების საკითხის გადაწყვეტაში საქართველოს მომავალი პრეზიდენტისგან მხარდაჭერა ექნება. დევიდ დათუნას აზრით, საქართველოს მომავალი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გახდება.

თავის დროზე, დევიდ დათუნამ გამარჯვება უწინასწარმეტყველა ბარაკ ობამას და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დაამზადა პრეზიდენტის პორტრეტი, რომელსაც უწოდა „ყველაზე დიდი საარჩევნო ბიულეტენი”. ობამას პორტრეტი გამოფენილი იყო ნიუ-იორკში, ჩელსის გალერეაში. იმ არჩევნებში ობამა მეორე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად. ასევე, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, დევიდ დათუნამ ვლადიმირ პუტინის პორტრეტი შექმნა, სახელწოდებით – „პუტინი – მონა ლიზა”, რითაც ხაზი გაუსვა პუტინის იდუმალ ფიგურას მსოფლიო პოლიტიკაში და ამ არჩევნებზე რუსეთში ვლადიმირ პუტინი მესამედ გახდა რუსეთის პრეზიდენტი. დღეს კი კონცეპტუალისტი მხატვარი არჩევნებამდე ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნით ადრე აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი გახდება გიორგი მარგველაშვილი. ჩვენთვის ექსკლუზიურად ცნობილი გახდა, რომ ახალი პრეზიდენტის პორტრეტის დამზადებას დევიდ დათუნა არ გეგმავს, თუმცა, იგი უკვე მუშაობს საქართველოს დროშაზე, რომელსაც 2014 წლისთვის საჩუქრად გადასცემს ქართველ ხალხს. დროშა ავტორისთვის ჩვეულ სტილში – ოპტიკური ლინზების ინსტალაციების გამოყენებით იქნება შექმნილი.



შეგახსენებთ, რომ დევიდ დათუნა გეგმავს საქველმოქმედო ფონდის გახსნას საქართველოში, რომელიც ღარიბი ოჯახებიდან გამოსულ ნიჭიერ ბავშვებს გაუწევს დახმარებას. დათუნა დიდი ხანია, თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა კერძო საქველმოქმედო ორგანიზაციასთან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთში. კერძოდ, უკანასკნელი რამდენიმე წელი დევიდ დათუნა აქტიურად თანამშრომლობს სუპერმოდელ ნატალია ვოდიანოვასთან, ფონდს „შიშველი გულები” – სწირავს თავის ნამუშევრებს, რომლებიც ასობით ათას დოლარად იყიდება. ამა წლის ოქტომბერში უკვე დაგეგმილია ერთი ასეთი საქველმოქმედო აუქციონის მოწყობა და შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება ბავშვებს. „დადგა ის დრო, რომ ანალოგიური საქმე წამოვიწყო საქართველოში, თუმცა, მთავრობის დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე, ვფიქრობ, ეს შეუძლებელი იქნება. მსურს, რეალური საქმეები ვაკეთო, ამიტომაც, ამ საკითხს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. იმედი მაქვს, ბატონი მარგველაშვილი გამიგებს,” – განუცხადა ექსკლუზიურად ჟურნალ „თბილისელებს” დევიდ დათუნამ.

***ავტორისგან: რა თქმა უნდა, შეუძლებელია არჩევნების შედეგების წინასწარმეტყველება, წინასწარ იმის ცოდნა, თუ ვინ გახდება პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი, მაგრამ, არსეობს იმედი, რომ, ის ადამიანი, რომელსაც აირჩევს საქართველოს მოსახლეობა, დაინტერესდება ამ საკითხით.***

**უშანგი რუხაძე**



**მართალია, მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტია აღარ წარმოადგენდა იმ მასშტაბის იმპერიას, როგორიც რამდენიმე საუკუნის წინ იყო, თუმცა, ამ პერიოდისთვისაც, ის კვლავ ითვლებოდა ევროპისა და აზიის სუპერსახელმწიფოდ. სწორედ ამ სახელმწიფოს ისტორიაში ჩაიწერა ოქროს ასოებით ქართველი დედოფლის – მართა-მარიამის სახელი. მართა-მარიამი იყო საქართველოს მეფის, ბაგრატ მეოთხის ქალიშვილი და ბიზანტიის ორი იმპერატორის მეუღლე. ის ატყვევებდა მნახველებს იმ ფიზიკური მონაცემებით, რომელიც მას ბუნებამ დაანათლა.**

# როგორ „მოახერხა“ ქართველმა დედოფალმა, მართა-მარიამმა, ბიზანტიის ორი იმპერატორის მეუღლეობა

მართა 1050 წელს დაიბადა. დაახლოებით 6 წლის იყო, როდესაც პირველად ჩაიყვანეს ბიზანტიაში, რადგან, ბიზანტიის მაშინდელმა დედოფალმა მძევალი მოითხოვა საქართველოს მეფისგან. ქართველ პრინცესას სამშობლოში მართა ერქვა. ისტორია ისე წარიმართა, რომ დედოფალი თეოდორა მართას ჩასვლითანავე გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ მართასა და მთელი ქართული დელეგაციის სამეფო სასახლეში შებრძანების პროცესს ესწრებოდა გიორგი მთაწმინდელი, რის შემდეგაც მას წარმოუთქვამს სიტყვები, რომლებიც წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მას უთქვამს: „უწყოდეთ ყოველთა, რამეთუ, დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა”. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დაახლოებით 15 წლის შემდეგ ბიზანტიას ახალი დედოფალი მოევლინებოდა და ეს იქნებოდა მართა-მარიამი. პატარა პრინცესა მალევე დაბრუნდა საქართველოში. გავიდა წლები და, 1064 წელს, იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ ბაგრატ მეოთხეს ქალიშვილის, მართას ხელი სთხოვა სარძლოდ – ქართველი პრინცესა მომავალი იმპერატორის, მიხეილ დუკას მეუღლე უნდა გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ბიზანტიაში უცხოელი დედოფლის ჩაყვანის ძალიან ცოტა შემთხვევა არსებობდა. ბიზანტიელები ცდილობდნენ, საგანგებოდ შეერჩიათ უცხოელი პრინცესები.

1065 წელს შედგა ნიშნობა. წესისამებრ, მართას ბიზანტიაში მარიამი უწოდეს. ამის შემდეგ ბიზანტიის ქართველ დედოფალს ისტორიაში მართა-მარიამის სახელით ვიხსენიებთ. ქორწილი შედარებით გვიან გადაიხადეს, რამდენიმე წლის შემდეგ. ამის მიზეზი იყო იმპერატორის კონსტანტინე დუკას ჯანმრთელობის მდგომარეობა – იმპერატორი ლოგინად ჩავარდა და დიდხანს ავადმყოფობდა, 1067 წელს კი კონსტანტინე გარდაიცვალა, მაგრამ, ტახტი არა მიხეილმა, არამედ, რომანოზ მეოთხე დიოგენემ დაიკავა. ამ მოვლენამ გადასწია მართა-მარიამის ქორწილი. სავარაუდოა, რომ რაღაც დროით იგი სამშობლოშიც დაბრუნდა.

1071 წელს მიხეილ მეშვიდე დუკამ ბიზანტიის იმპერატორის ტახტი დაიკავა. ამის შემდგ მალევე შედგა მიხეილ დუკას ქორწინება მართა-მარიამთან. 1074 წელს კი მათ შეეძინათ მომავალი უფლისწული – კონსტანტინე პორფიროგენეტი. ბიზანტიელები განცვიფრებულნი იყვნენ დოდოფლის სილამაზით. ჩვენ გვაქვს მართა-მარიამის რამდენიმე აღწერილობა და ყველგან ამაღელვებელი სიტყვებია ნათქვამი მის გარეგნობასა და ხასიათზე. ერთ-ერთი ყველაზე სრული აღწერილობა შემონახულია ანა კომნენოსის ნაწარმოებში. ანა კომნენოსი იმპერატორ ალექსი კომნენოსის ქალიშვილი გახლდათ. ის დანიშნული იყო კონსტანტინე დუკაზე, ანუ მართა-მარიამის შვილზე და ამის გამო მას ხშირი ურთიერთობა ჰქონდა მარიამთან. ის ასეთ სიტყვებს წერს: „მარიამი იყო ლამაზი და ტანადი, როგორც კიპაროსი, თეთრი, როგორც თოვლი, პირისახე ჰქონდა არცთუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდივით გაფურჩქნილი ალისფრად. ახლა თვალის ბრწყინვალებას აღარ იკითხავთ?! ვინ შეძლებს ამის აღწერას! წამწამები გრძელი და განსაცვიფრებელი, თვალები – ცისფერი. მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სანდომიანობა, ყველაფერი ეს აღემატება ფერწერასა და ხელოვნებას“... ანა კომნენოსი იმასაც ამატებს, რომ, თუ ვინმე თვალს მოჰკრავდა მას სეირნობის დროს, შეშდებოდა ამ სილამაზის მნახველი.

მართა-მარიამის ცხოვრება ბიზანტიაში საკმაოდ ტრაგიკულადაც წარიმართა. საქმე ისაა, რომ მიხეილ მეშვიდე დუკა სულაც არ აღმოჩნდა ისეთი მონარქი, რომელსაც შეეძლო, იმპერია კრიზისიდან გამოეყვანა. ქვეყანაში კიდევ უფრო მძაფრდებოდა პოლიტიკური დაპირისპირება. მიხელ მეშვიდე 1078 წელს ტახტიდან ჩამოაგდო ნიკიფორე მესამე ბოტანიატმა, რის შემდეგაც ის ბერად აღკვეცეს.

ბიზანტიის სათავეში მოსულმა ნიკიფორე მესამემ უცნაური ნაბიჯი გადადგა – ყოფილ დედოფალს ხელი სთხოვა. მართა-მარიამმა საგანგებოდ მოითხოვა პატრიარქისგან, რომ მისთვის ნიკიფორეზე ქორწინების უფლება მიეცა. ვინაიდან მისი მეუღლე – მიხეილ დუკა

> **ამ შეთქმულებას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ 1081 წლის ქართველების შეთქმულება, რამაც კომნენოსები ბიზანტიის სათავეში მოიყვანა**

უკვე ბერობაში იყო წასული, მან თანხმობა მიიღო.

იმპერატორმა ნიკიფორემ იქორწინა მართა-მარიამზე და ყოფილი დედოფალი უკვე ახალი იმპერატორის მეუღლე გახდა. მაშინდელ ბიზანტიაში ბევრი ჭორი ტრიალებდა იმის შესახებ, თუ რატომ გადადგა მარიამმა ეს ნაბიჯი. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად ამ ნაბიჯით დედოფალს სურდა, შვილისთვის შეენარჩუნებინა ტახტი, მაგრამ, მისი გათვლა არ გამართლდა, რადგან, მართა-მარიამისა და ნიკოფორეს თანაცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც კი ბოტანიატმა ხელთ იგდო ძალაუფლება, გადაწყვიტა, რომ სხვა პიროვნება გამოეცხადებინა მემკვიდრედ, რამაც მასა და დედოფალს შორის ურთიერთობა დაძაბა და, საბოლოოდ, მართა-მარიამი ქმრის მოწინააღმდეგეთა ბანაკის ლიდერი გახდა, იმ ბანაკისა, რომელმაც მალე ნიკიფორე ბოტანიატი ჩამოაგდო და სათავეში მოიყვანა ის დინასტია, რომელმაც ერთი საუკუნის განმავლობაში მართა სახელმწიფო. ეს იყო კომნენოსების დინასტია. მარიამმა ძალიან ჭკვიანურად და ფარულად მოახდინა შეთქმულების ორგანიზება.

ეს ყველაფერი კი ასე მოხდა: მართა-მარიამმა კარგად უწყოდა ალექსი კომნენოსის ამბიცია – კომნენოსს სურდა, ხელთ ეგდო იმპერატორის ტახტი. ალექსი კომნენის სწრაფვა საიმპერატორო ტახტისკენ სამართლებრივად გამართლებული რომ ყოფილიყო, ამისთვის, მართა-მარიამმა თავისზე რამდენიმე წლით უმცროსი კომნენოსი იშვილა. ამ დროისათვის ეს უკანასკნელი დასავლეთის ჯარების სარდალი, ანუ, დიდი დომესტიკოსი იყო. ალექსი უკავშირდება ბიზანტიაში მოღვაწე მეორე ქართველსაც – გრიგოლ ბაკურიანისძეს. ამ შეთქმულებას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ 1081 წლის ქართველების შეთქმულება, რამაც კომნენოსები ბიზანტიის სათავეში მოიყვანა.

გრიგოლ ბაკურიანისძე იყო აღმოსავლეთ ჯარების სარდალი, ანუ, სხოლათა დომესტიკოსი. ორი სარდალი შეთანხმდა, რომ ბოტანიატის წინააღმდეგ ერთად იბრძოლებდნენ. აღსანიშნავია ბაკურიანისძის ფრაზა, რომელიც მან კომნენოსთან შეხვედრისას წარმოთქვა: შენ თუ დღეს არ დაიწყებ მოქმედებას, მე ხვალ თავად ვეახლები იმპერატორს და მოვახსენებ, რომ შენ შეთქმულებას გეგმავო. ისტორიამ ბევრი შეთქმულება იცის, რომელიც კრახით დამთავრებულა. ამის მიზეზი, უმრავლეს შემთხვევაში, იყო შეთქმულების დროში გაწელვა, ამასობაში კი შეთქმულებას ვიღაცა გასცემდა. სწორედ ამას შიშობდა გრიგოლ ბაკურიანისძე და აფრთხილებდა კომნენოსს. ალექსიმ დაუყოვნებლივ გაილაშქრა კონსტანტინეპოლზე, ჩამოაგდო ნიკიფორე მესამე ბოტანიატი და თავად გამეფდა.

ამის შემდეგ თანამდებობები ასე გადანაწილდა: მართა-მარიამის დამსახურებით, იმპერატორი გახდა ალექსი კომნენოსი, ხოლო თანაიმპერატორად – კონსტანტინე დუკა. გამოდის, რომ მართა-მარიამი იყო მოქმედი იმპერატორის დედობილი და თანაიმპერატორის დედა; გრიგოლ ბაკურიანისძეს კი ალექსი კომნენოსის თანამდებობა ერგო: იგი გახდა დასავლეთ ჯარების სარდალი – დიდი დომესტიკოსი. ის სამხედრო უწყებაში მეორე კაცად ითვლებოდა იმპერატორის შემდეგ.

ამის შემდეგ კი მოვლენები ასე განვითარდა: ქვეყნის სათავეში მოსვლიდან ძალიან მალე ალექსი კომნენოსის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო და მასში ჩართული აღმოჩნდა კონსტანტინე დუკა. მართა-მარიამის შვილმა თავისი პრივილიგიები დაკარგა. ამის შემდეგ კონსტანტინე გარდაიცვალა. მართა-მარიამმა კი კიდევ დიდხანს იცოცხლა. სხვათა შორის, ის ესწრებოდა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას.

როდოპის მთაზე უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს სამონასტრო კომპლექსი. ბერძენმა არქეოლოგებმა მიაკვლიეს საფლავსაც, რომელშიც იყო ბეჭედი წარწერით: „მარია ბოტანიატი”. ასე წარიმართა სილამაზით ცნობილი ქართველი დედოფლის ცხოვრება საბერძნეთში; დედოფლისა, რომელიც თავისი სილამაზით ატყვევებდა გარშემო მყოფთ, რომლის წინაშეც უძლურნი იყვნენ თვით ბიზანტიის იმპერატორები.

**ეკა სალაღაია**

**გასულ წელს კახეთში, კერძოდ ლაგოდეხის რაიონში, ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულის ორი დიდი ყორღანი გაითხარა, საიდანაც არქეოლოგებმა ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია აიღეს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის, ზურაბ მახარაძის თქმით, მსგავსი მასშტაბის ყორღანი ბოლო 40 წლის განმავლობაში არ შესწავლილა. რა არის მიწის ზემოთ, ყველამ ვიცით, მაგრამ, რა არის მიწის ქვემოთ, ეს არა მხოლოდ არქეოლოგებს, ალბათ, ყველა ცნობისმოყვარე ადამიანს აინტერესებს. ამიტომ, გადავწყვიტეთ არქეოლოგებთან ერთად ჩავიხედოთ მიწაში, საიდანაც ძალიან საინტერესო ამბებს გავიგებთ.**

# როგორ აღმოაჩინეს ლაგოდეხის სამარხებში ეტლები, უძვირფასესი ქარვის მძივები, ნაქსოვი ტილოები, მუმიფიცირებული ბელადები და მათთვის შეწირული მონები და ცოლები

**– ბატონო ზურაბ, როგორც ვიცი, გასულ წელს კახეთში საექსპედიციო ჯგუფთან ერთად გაემგზავრეთ და გათხარეთ ყორღანები – სამარხები, საიდანაც ძალიან მნიშვნელოვანი ნივთები და ინფორმაცია მოიპოვეთ. მოგვიყევით ამის შესახებ. ალბათ, ჯერ თვითონ ის ფაქტია საინტერესო, როგორ გაჩნდა ასეთი ტიპის სამარხები კახეთში.**

– საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიცია 2012 წელს ოთხი თვის განმავლობაში მუშაობდა ლაგოდეხში, სოფელ ჭაბუკიანთან, სადაც გაითხარა ძველი წელთაღიცხვით მესამე ათასწლეულის ორი დიდი ყორღანი. ყორღანი, მოგეხსენებათ, არის ბელადების სამარხი. საუბარია ბრინჯაოს ხანის ტომებზე, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. რასაკვირველია, ყველა ტომს ჰყავდა თავისი ბელადი და, აი, ამ ბელადებისთვის აკეთებდნენ დიდ სამარხებს. ასეთი სამარხები მხოლოდ კახეთში არ არის, საქართველოს სხვადასხვა მხარეშია.

**– ამხელა გორებს როგორ აშენებდნენ?**

– წარმოიდგინეთ, ეგვიპტის პირამიდები დაახლოებით ასეთი კონსტრუქციისაა, ოღონდ, აქ პატარ-პატარა გორებია მიწით, ქვითა და თიხით ნაშენები. ეს რომ ააშენო, ამისთვის უზარმაზარი შრომაა საჭირო. ოჯახი ამას ვერ აუგებდა თავის მიცვალებულს, ამაში მთელი ტომი იღებდა მონაწილეობას და მერე ეს სამარხი ხდებოდა იმ ტომის სალოცავი. ეს არის მდიდრული ინვენტარის სამარხები და ძალიან საინტერესო არქიტექტურული ნაგებობაა. მდიდრული ყორღანები ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში იგებოდა საქართველოში. ადრეც გაითხარა ალაზნის ველზე, წნორთან. თუ გახსოვთ, ცნობილი „ოქროს ლომი"– ესეც ამ დროის არის. ეს სამარხი, რომელიც ჩვენ გავთხარეთ, სწორედ ამ პერიოდისაა და გამოირჩევა თავისი ზომებით – 100 მეტრი დიამეტრითა და 12 მეტრი სიმაღლით, რომელსაც ზემოდან ქვის ჯავშანი ჰქონდა გადაფარებული. რომ ამოვთხარეთ, შიგნით აღმოჩნდა ხის ნაგებობა – ჩვენ მას „დასაკრძალავ კამერას" ვუწოდებთ. ამ ეგრეთ წოდებული დარბაზის შიდა ფართობი ცხრა-ნახევარი მეტრი ექვს მეტრზეა, რომელსაც აქვს მუხის სამი საყრდენი სვეტი და, ამ მორებში, ნაგებობებს შორის, ჩაყოლებულია ტილო. ამას გარდა, შიგნით იყო ორი ოთხთვალა – დასაკრძალავი ეტლი. როგორც წესი, ასეთ სამარხებში არის ერთი ეტლი, მაგრამ, სხვა შემთხვევებში, მაგალითად, როცა მონებს აყოლებდნენ ან ცოლს დაუკლავდნენ და მიუწვევდნენ, იყო ორი ეტლი, თუმცა, მთავარი მიცვალებული არის ბელადი, ვისთვისაც იგებოდა ეს ყორღანები. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ყველაფერი შესანიშნავად არის შენახული.



**– მართლა საინტერესოა. როგორ ინახებოდა ათასწლეულების განმავლობაში ნიადაგში ხე, ქსოვილი?**

– ეს ადგილი ალაზნის ველზეა. ნესტიანი ადგილია, მაგრამ, ისეთი მიკროკლიმატია შექმნილი, რომ, არა მარტო ხე, სხვა დანარჩენი მნიშვნელოვანი მასალებიც კარგად არის შენახული, მათ შორის – ხილი.

**– როგორი იყო პირველი შთაბეჭდილებები, როცა გათხრები დაასრულეთ?**

– ამ შემთხვევაში სამარხი იყო გაძარცული ძველ დროსვე, ამიტომ, ეს ჩონჩხები არეული და ნაკლული დაგვხვდა. აი, ამ გაძარცვის ფონზე, ჩვენ 23 ოქროს ნივთი გვაქვს ნაპოვნი როგორც ჩანს, მძარცველები რომ მიათრევდნენ, დაუცვივდათ. ჩვენი დასკვნებით, სამარხი გაიძარცვა არა ჩანგრევამდე, არამედ, ჩანგრევის მერე – რასაც მისწვდნენ, ის აიღეს და, ამიტომ, ჩვენდა საბედნიეროდ, ბევრი რაღაც დაგვხვდა. იმდენად კარგად არის გაძარცული, შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ის ადამიანიც ესწრებოდა დაკრძალვას, ვინც კარგად იცოდა სად, რა იყო

**– ეტლისა და ოქროს გარდა, რას ატანდნენ მიცვალებულს? თქვენ თქვით, რომ მონასაც აყოლებდნენ და ცოლსაც უკლავდნენ და გვერდით უწვენდნენო. ეს მართლაც შოკის მომგვრელი ფაქტია.**



ბელადებს ატანდნენ ყველაფერს: საჭმელს, სასმელს, იარაღს, სამკაულს, მონას, ცოლს...

– დიახ, ბელადებს ატანდნენ ყველაფერს – საჭმელს, სასმელს, იარაღს, სამკაულს, მონას, ცოლს... რადგან, იმ დროის წარმოდგენის მიხედვით, ადამიანი ჩვეულებრივად განაგრძობს ცხოვრებას საიქიოში და, რაც ამქვეყნად სჭირდება კაცს, იქაც ის დაჭირდება – ასეთი აზროვნება ჰქონდათ.

**– ისე, ამდენი საუკუნის შემდეგაც, დღესაც არსებობს ცოტა უცნაური ტრადიციები...**

– დიახ, მაგალითად, დღესაც, საფლავზე რომ მივდივართ, ერთ ჭიქა ღვინოს წავუქცევთ და შესანდობარს ვამობთ – მიუვიდესო. რა უნდა მიუვიდეს, სული ზეცაშია, მიწაში მხოლოდ სხეულია. ეს, უბრალოდ გადმონაშთია იმ დროიდან.

**– კიდევ რა ნახეთ ყორღანებში?**

– როგორც უკვე გითხარით, გვაქვს ოქროს, ლითონის ნივთები, ხისა და თიხის ჭურჭელი ორნამენტებით, ხის სავარძელი, უნიკალური ქარვის მძივი... სხვათა შორის, ამ პერიოდის ქარვა არა მხოლოდ ჩვენთან, ახლო აღმოსავლეთშიც არსად არის, ეს ყველაზე ადრეული ქარვის მძივი აღმოჩნდა; ასევე, უმაღლესი ხარისხის ქსოვილი, ტყავი, რომელიც, როგორც წესი, საუკუნეების განმავლობაში არ ინახება; ხილით სავსე კალათები – თხილი, წაბლი (სამი ტომარა ავკრიფეთ) რკო, ტყის კენკრა – ონტყოფა, კვრინჩხი... ცხადია, გამოფიტულია, მაგრამ, ფორმა და ფერი შენარჩუნებული აქვს ამ მიკროკლიმატის წყალობით. სხვა სამარხებშიც ატანდნენ ამ ყველაფერს, თუმცა, არსად არ არის შემორჩენილი. ნიადაგსა და პირობებს გააჩნია, თორემ, 43 საუკუნე მიწაში... როგორც ჩანს, ამ ნიადაგმა და კონსტრუქციამ შეინარჩუნა და ამით არის განსაკუთრებული ეს სამარხები.

**– შემდეგი ეტაპი, ალბათ, უკვე ლაბორატორიული კვლევებია?**

– ახლა მიდის ამ ყველაფრის შესწავლა. ჩვენი რესტავრატორები დამტვრეული ჭურჭლის აღდგენაზე მუშაობენ; ლითონის ნივთები გერმანიაში გვაქვს გაგზავნილი ლაბორატორიაში; პალეობოტანიკოსი განსაზღვრავს და დაასკვნის, თუ რა ჯიშის ხილია და ასე შემდეგ. პალეოლოგი სწავლობს მტვერს, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია იმდროინდელი ჰავა აღვადგინოთ, ანუ, დავადგინოთ, რა გარემო იყო ირგვლივ, როგორი ტყე – ფოთლოვანი, წიწვოვანი თუ საერთოდ არ იყო; არის კიდევ ანტროპოლოგი, რომელიც იმ ძვლებითა და თავის ქალებით, რაც მოვიპოვეთ, განსაზღვრავს, რა სქესის, ასაკის იყო ის ადამიანი, რა დაავადება ჰქონდა...

**– ბევრმა, შეიძლება, არ იცის, რას ნიშნავს მუმიფიცრებული ბელადი. ამიტომ, ესეც აგვიხსენით.**

– მტვრის აღების დროს პალეოლოგმა, თავის ქალებზე აღმოაჩინა თაფლის კვალი, ანუ, როგორც ჩანს, თაფლში იყო მიცვალებული. ამ ყორღანების აგებას ხომ დიდი დრო უნდოდა, ეს არ არის ორი-სამი დღის საქმე, ამიტომ, უხდებოდათ მიცვალებულის თაფლში შენახვა, რათა არ გახრწნილიყო. როგორც ჩანს, ეს იყო მუმიფიცირების ერთ-ერთი მეთოდი.

**– კიდევ რას თხრით?**

– ეს არის სამარხი – გაითხარა და მორჩა! მაგრამ, ჩვენ გვაქვს კიდევ ნასახლარები. მაგალითად, კასპის რაიონში, კავთისხევში ვიყავით. იქ არის ასეთი ნაგებობა „ციხეაგორა". 30 წელი ითხრებოდა და, შეიძლება, კიდევ ერთი ოცდაათი წელი დასჭირდეს მის გათხრას. მრავალფენიანი ნასახლარია. ექვსი მეტრი კულტურული ფენებია, დაწყებული ადრეული ბრინჯაოს ხანით, დამთავრებული ელინისტური ხანის ტაძრებით – სატაძრო კომპლექსია ქრისტეშობამდე; აგრეთვე, მარანია 48 მოხატრული ქვევრით და გალავნით შემორტყმული, იმის ქვეშ კი არის ნასახლარი... ასე ნელ-ნელა თხრი და ჩადიხარ ქვემოთ. ერთი შეხედვით არ ჩანს ის, რაც უნდა გაითხაროს, ეს მხოლოდ მშენებლობების დროს ჩნდება. მაგალითად, თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი რომ გაჰყავდათ, იქ ჩვენც ვმუშაობდით და ბევრი ძეგლნაგებობა აღმოჩნდა. არის აღმოჩენის სხვა მეთოდებიც, მაგალითად, კოსმოსიდან გადაღებული, რომელიც თავისი მოხაზულობით გიჩვენებს, რომ იქ რაღაც არის. ამასაც ვიყენებთ – ვარკვევთ და მერე დაზვერვებს ვატარებთ სპეციალური ხელსაწყოთი და, თუ დადგინდა, ვთხრით.

**– წარმომიდგენია, რამხელა სიამოვნებაა რაღაცას რომ აღმოაჩენ და მერე რომ იკვლევ – რომელი საუკუნისაა, რა მასალისგან დამზადებული, როგორ იქმნებოდა, რა ისტორია დგას თითოეული ნივთის უკან...**

– მუშაობა გრძელდება. ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, ალბათ, კიდევ ორი წელი მაინც დასჭირდება. ეს არის მეცნიერება, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. დასკვნები რომ გამოქვეყნდება და ცნობილი გახდები საერთაშორისო დონეზე – ეს არის ყველაზე კარგი კაპიტალი ჩვენთვის. თვითონ არქეოლოგია ძვირად ღირებული სიამოვნებაა.

**ეკა პატარაია**

**საქართველოს ნაკრები რამდენიმე დღის წინ ბრაზილიიდან – რიო-დე-ჟანეიროდან გამარჯვებული დაბრუნდა – მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ქართველმა ძიუდოისტებმა პრინციპულ და ძლიერ მეტოქეს – რუსეთის ნაკრებს სძლიეს და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვეს, რისთვისაც მათ სოლიდური ფულადი პრიზიც ხვდათ წილად. ნაკრებს გადამწყვეტი გამარჯვება დუშელმა ადამ ოქრუაშვილმა მოუტანა, რომელიც დღეს ჩვენი რესპონდენტია.**

# რა ტრავმა მიიღო ბავშვობაში ადამ ოქრუაშვილმა და როგორ სძლია ქართველმა ძიუდოისტმა უძლიერეს რუს მეტოქეს

**– ადამ, გილოცავთ გამარჯვებას! მეც და ყველა ქართველი გულშემატკივარიც, ძალიან ვართ გახარებულები. გვითხარი, როგორ მიმდინარეობდა ჩემპიონატისთვის მზადება, რა ხდებოდა, რას ელოდით ამ ასპარეზობისგან?**

– რა თქმა უნდა, ძალიან დაძაბული რეჟიმი გვქონდა: ვარჯიში, დატვირთვა, ფსიქოლოგიურადაც კარგად ვიყავით მომზადებულები. დასკვნითი შეკრება გვქონდა ყვარელში. მთელი გუნდი მაქსიმალურად ვიყავით მოტივირებულები – ჩვენც, მწვრთნელებიც, ექიმებიც. ყველანაირად გვიწყობდნენ ხელს და, გვინდოდა, მაქსიმალური შედეგი გვეჩვენებინა რიოში. მანამდე დიდხანს ვემზადებოდით, თუმცა, ბოლო ორი კვირა განსაკუთრებით დატვირთული გვქონდა.

**– ალბათ, ძალიან რთული პერიოდი გქონდათ.**

– რა თქმა უნდა, პროფესიონალური სპორტი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ბევრ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ მწვრთნელები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ დატვირთვა გადაენაწილებინათ და გაეადვილებინათ ვარჯიში. ათი დღით ადრე ჩავედით რიოში, რომ აკლიმატიზაცია გაგვევლო და გაგვადვილებოდა შემდეგ ასპარეზობა.

რიოში მანამდეც ვყოფილვარ, მაგრამ, ცოტა ადრე წავედით, რომ იქაურ ამინდს, კვების რეჟიმს, დროს შევჩვეოდით. მოვიგე სამი შეხვედრა; ამერიკელ ტედი ლინერს შევხვდი ფინალში გადასასვლელად, მაგრამ, სამწუხაროდ, დავმარცხდი და შემდეგ მესამე ადგილისთვის განვაგრძე ბრძოლა. ძალიან განვიცდი და გულდაწყვეტილი ვარ, რომ ინდივიდუალურ ასპარეზობაში ვერ შევძელი მედლის მოპოვება, მაგრამ, სამაგიეროდ, გუნდურ ჩათვლაში გავხდი ჩემპიონი.

**– გუნდურ ჩათვლაში რომელ ნაკრებებს შეხვდით?**

– პირველი მეტოქე იყო საფრანგეთი და დავამარცხეთ ფრანგები; მერე მონღოლ ძიუდოისტებს მოვუგეთ. დიდი ამბით ველოდით იაპონიის უძლიერეს ნაკრებთან შეხვედრას, მაგრამ, ამ ჩემპიონატზე მოხდა სენსაცია – იაპონიის ნაკრები დამარცხდა უზბეკეთის ნაკრებთან, არავინ ელოდა ასეთ შედეგს! არადა, ფინალში გასასვლელად იაპონიასთან უნდა გვეჭიდავა. უზბეკეთის ნაკრებს ძალიან ადვილად მოვუგეთ და ფინალში შევხვდით რუსებს. რა თქმა უნდა, ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან, რუსეთის ნაკრები უძლიერესია და, თან, წინა წლის ჩემპიონია. ძალიან დაძაბული შეხვედრები იყო: პირველი და მეორე წავაგეთ, მერე კი ჭრიკიშვილმა შეიტანა გარდატეხა ანგარიშში და ეს არასდროს დამავიწყდება, ისეთი განცდა იყო; შემდეგ – ლიპარტელიანმა... არ დამავიწყდება მათი სახეები და განცდები. რომ ვუყურებდი, ვფიქრობდი, რომ უკან დასახევი გზა არ მქონდა, უბრალოდ, ჩემი შესვლის და წაგების შანსი არ იყო. მოვიგე სუფთა გამარჯვებით – ალექსანდრ მიხაილოვს მოვუგე, რომელიც საკმაოდ ტიტულოვანი და ძლიერი სპორტსმენია, ჩემი გამარჯვება გარდამტეხი იყო – საქართველო ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

**– რა ხდებოდა ტატამზე, ტრიბუნებზე?**

– თბილისიდან იყვნენ გულშემატკივრები ჩამოსული. ტრიბუნები საკმაოდ ახლოსაა ტატამთან და, ყველა შეძახილი, რეპლიკა და სიტყვა გვესმოდა, ემოციურად გვგულშემატკივრობდნენ. დიდ მუხტს გვაძლევდა ეს, რომ მათი იმედები გაგვემართლებინა.

**– საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული პოლიტიკური ვითარება, არ იგრძნობოდა შეჯიბრისას?**

– ჩვენსა და რუს სპორტსმენებს შორის ასეთ რამეს არ ჰქონია ადგილი, ძალიან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, ვიცნობთ ერთმანეთს, ვმეგობრობთ კიდეც. შეხლა-შემოხლა და ჩხუბი არ ყოფილა. პოლიტიკა – პოლიტიკაა, სპორტი – სპორტია. ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, უბრალოდ, იმიტომ იყო დაძაბული შეხვედრა, რომ ძლიერი მეტოქეები იყვნენ, თან, შარშანდელი ჩემპიონები.



არასდროს, არაფრის გამო არ მიჩხუბია, გოგოს გამოც კი და, არც ვიჩხუბებ

**– თქვენი ასპარეზობა როგორ წარიმართა, მიხაილოვს მანამდეც შეხვედრიხარ?**

– დიახ, წინა დღეს შევხვდი მაგ შეჯიბრზევე და გაფრთხილებებით მოვუგე. ვცდილობდი, მისთვის არანაირი შანსი არ მიმეცა. ბოლოს საშინელი დაღლა ვიგრძენი, მაგრამ, მთელი ძალები მოვიკრიბე და ვეცადე, დამემარცხებინა – მე ვწყვეტდი ჩემი გუნდის ბედს და, ამიტომ, ფსიქოლოგიური მომენტიც იყო. ძალიან გახარებული ვიყავი, ემოციებს ვერ ვმალავდი. ეს დღე ცხოვრებაში არ დამავიწყდება. ბიჭებიც ძალიან მგულშემატკივრობდნენ. სხვანაირი, თბილი ურთიერთობა გვაქვს, შეკრული გუნდი ვართ – შურისა და კონკურენციის მომენტი არ არის.

**– მწვრთნელმა რა გითხრათ, სანამ საჭიდაოდ გახვიდოდით?**

– მწვრთნელთან ახლო კონტაქტი არ მქონია, უფრო – ბიჭებთან. ერთმანეთს ვამხნევებდით, ვთათბირობდითსავით... ჩემპიონატი რომ დამთავრდა, წავედით და ბარში აღვნიშნეთ. ორი ღამე არ გვძინებია სიხარულისგან ***(იცინის).*** ასეთ დროს რა დაგვაძინებდა!

**– რუს სპორტსმენებთან ხშირად გიწევთ შეხვედრები?**

– საკმაოდ, ჩემპიონატებზეც და ისედაც. ამჟამადაც არის თბილისში ჩამოსული ერთი რუსი სპორტსმენი და ძალიან გვიხარია. ომის დროსაც გვამხნევებდნენ. ორივე მხარეს მიგვაჩნია, რომ ომი საშინელებაა. რიოში ერთადაც ვსეირნობდით, ვსაუბრობდით შეხვედრებს რაც შეეხება, ხშირად გვიწევს ერთხელ იყო ჩელიაბინსკში ჩემპიონატი, სადაც ჯერ ფრანგები დავამარცხეთ, მერე რუსებს შევხვდით, მოვუგეთ ფინალში და ჩემპიონები გავხდით.

**– პუტინი გინახავთ ტრიბუნაზე?**

– რა თქმა უნდა, იყო მოსული და აქტიურად, ემოციურად გულშემატკივრობდა. კარგი სპორტსმენია, უყვარს ძიუდო და დიდ ყურადღებასაც აქცევს, აფინანსებს ამ სახეობას. სპორტში კარგად ერკვევა.

**– ადრეულ ამბებსაც გკითხავ: რატომ მოგინდა, ძიუდოისტი გამხდარიყავი?**

– პირველი კლასიდან დავიწყე ვარჯიში – მამაჩემიც ძიუდოისტია და, ალბათ, ამიტომ. მაშინაც ასეთი დიდი ვიყავი ***(იცინის),*** მაგრამ, მალე ფანჯრიდან გადმოვვარდი და ტვინის შერყევა მივიღე. ექიმებმა მამაჩემს უთხრეს, რომ ვერასოდეს ვერც ერთი სპორტით პროფესიონალურად ვერ დავკავდებოდი! მაგრამ, მერე მოვმჯობინდი, ისევ დავიწყე ვარჯიში, შემამოწმეს ექიმებმა და... ისევ დავკავდი სპორტით. სკოლამდე დუშეთში, მჭადიჯვარში ვიზრდებოდი, პაპაჩემთან და იქ დავიწყე პირველად ძიუდოზე სიარული. ისე, მწვრთნელები სულ ამბობენ, რომ მეტი შემიძლია და ზარმაცი სპორტსმენი ვარ ***(იცინის).*** სულ მეხვეწებოდნენ ხოლმე, ივარჯიშეო, თუმცა, დაძალება მაინც არ მჭირდებოდა. მაინც გუნდური შეხვედრები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინდივიდუალური.

**– რა ტიტულების მფლობელი ხარ?**

– ევროპის ორგზის პრიზიორი ვარ და მრავალი ტურნირი მაქვს მოგებული.

**– ჩხუბისთავი ბავშვი იყავი?**

– არასდროს არაფრის გამო არ მიჩხუბია, გოგოს გამოც კი და, არც ვიჩხუბებ. თავიდან კარგად ვსწავლობდი, მაღალი ნიშნები მქონდა, მერე მაგრად ავუშვი. საერთოდ, ჩემებური შეხედულებები მაქვს ყველაფერზე – თუ არ მინდა, ვერავინ ვერაფერს დამაძალებს. სკოლა აქ დავამთავრე.

**– რიოს დათვალიერება თუ მოასწარი და ყველაზე მეტად რა მოგეწონა?**

– პირველად არ ვყოფილვარ რიოში. ძალიან ლამაზი ქალაქია. ჩვენგან განსხვავებული ხალხია, ვერ ვიტყვი, რომ რამით გვგვანან. ჰყავთ ულამაზესი ქალბატონები და, რამაც გამაოცა, არის ის, რომ ძალიან თამამები არიან, ადვილად შემოდიან კონტაქტში. ხშირად ქალები თვითონ არიან ურთიერთობის ინიციატორები, რაც სასიამოვნოა ***(იცინის).*** ულამაზესი პლაჟებია რიოში, ოკეანე. თუმცა, ნუდისტურ პლაჟზე არ ვყოფილვარ ***(იცინის).*** იქ ყველა პლაჟი ნუდისტურია. კრიმინალური ქალაქია რიო და გაგვაფრთხილეს, ფაველაზე არ ახვიდეთ; და თუ მაინც ახვალთ, ძვირფასეულობას, ფულს, ტექნიკას ნუ წაიღებთ, საშიშიაო. მაინც ავედი. იქ ნარკობარიგა არ მინახავს, მარტო ერთმანეთზე ხუხულასავით მიდგმული სახლები ვნახე. საერთოდ, ბევრგან ვარ ნამყოფი, მაგრამ გამორჩეულად რომი მიყვარს – ქალაქი-მუზეუმია.

**– ესე იგი, უცხოელ ცოლსაც შეირთავდი.**

– არა, არასოდეს! ჩემი მეუღლეც და შვილებიც უნდა იყვნენ ქართველები. ის კი არა, ორ კვირაზე მეტი ხნითაც ვერ წავალ ვერსად.

**ქეთი დიდებულიძე**

**ვარლამ ნიკოლაძე თბილისიდან 90-იან წლებში წავიდა. თურქეთში მოტყუებით ჩასული, სრულიად მარტო დარჩა და უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდა. ქართველმა, რომელმაც ერთი თურქული სიტყვაც არ იცოდა, შემდგომში თურქეთში საკუთარი თეატრი დააფუძნა; მთელ მსოფლიოში ცნობილ თურქულ სერიალებში როლები მიიღო. მას ოთხი ქორწინებიდან ხუთი შვილი ჰყავს. ამბობს, რომ გამორჩევით ქალიშვილი – ტატა უყვარს; უფროსს კი – გიორგის, რომელსაც ქართველი საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს, ხშირად ეჩხუბება და შემოქმედებას უწუნებს.**

# როგორ გახდა ვარლამ ნიკოლაძე „ვარლამ ხოჯა" და თურქული სერიალების მაფიოზი



დამირეკეს და მითხრეს: „ვარლამ ხოჯა" (ხოჯა „მასწავლებელს," „ბატონს" ნიშნავს), ასეთი და ასეთი როლი გვაქვს და, თუ ითამაშებთ. თუ ამ როლს თქვენ არ ითამაშებთ, სერიალს წარმოებაში არ ჩავუშვებთო

**ვარლამ ნიკოლაძე**: მაშინდელი სიტუაცია 90-იანების შენს თაობას, ალბათ, კარგად არ ემახსოვრება. აღარ მინდოდა მანდ ყოფნა – პატარა ქალაქია და პატარა ქალაქში უამრავი სისულელე მოხდა. მერე, იმის გამო, რომ იმ პროცესებში აქტიურად ვიყავი ჩართული, დამაბრალეს ათასი სისულელე – დასახვრეტთა სიები ჰქონდა შედგენილიო. ძალიან მეტკინა გული. თბილისიდან ერთხელ ტელევიზიის ჟურნალისტები იყვნენ ჩამოსულები, ჩემზე და ჩემს თეატრზე სიუჟეტი გააკეთეს და ბოლოს მეუბნება ჟურნალისტი: რა კარგი და თბილი ადამიანი ხართ და, მართალია, თქვენზე რომ ამბობენ, დასახვრეტთა სია ჰქონდა შედგენილიო? კი-მეთქი, – მშვიდად ვუპასუხე, – ერთკაციანი სია იყო და ის მყავდა შეყვანილი, ვინც ეგ ჭორი მოიგონა-მეთქი ***(იცინის).*** ახალ, 1992 წელს უკვე თურქეთში შევხვდი. ისე მწყდება თბილისზე გული... არაჩვეულებრივია, სულ სხვანაირია თბილისი – საბჭოთა, შავბნელ დროსაც კი, მაგრამ, დღეს რომ ჩამოვდივარ, აბსოლუტურად სხვა სურათს ვხედავ. თავიდან ყოველთვე მიწევდა გადასვლა-გადმოსვლა, ტურისტული ვიზით ვიყავი და ძალიან გავწვალდი. თბილისში საშინელება ხდებოდა, მახსოვს, ხალხს საჭმელი არ ჰქონდა. ერთხელ, ჩემს შვილთან მივდიოდი და თავისუფლების მოედანზე, მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავედი. ჩემ წინ ხნიერი კაცი მიდიოდა, საკმაოდ შელახული ლაბადით. კიბეზე რომ ჩავედით, დაიხარა და კინაღამ ზედ გადავაწყდი. იმ კაცს არც შეუმჩნევია, რომ დავეჯახე, ძირს დაგდებული პურის პატარა ნაჭერი აიღო, სულიც არ შეუბერავს, ისე ჩაიდო პირში და შეჭამა – კინოში ნანახი კადრივით მახსოვს. არც მერე იყო კარგი სიტუაცია – ნაწილი გრიალებს, უმრავლესობა კი ისეა გამათხოვრებული, აღარ იცის, თავი რით ირჩინოს.

> **ტყავის ქურთუკების დუქანში დამლაგებლად ვმუშაობდი, რომ ლუკმაპური მეშოვა. მერე ვიღაცას შევეცოდე, ნახა, რომ სიმღერა და დაკვრა ვიცოდი და წამიყვანა ახალგახსნილ ამერიკულ ბარში**

**– თქვენ ამბობდით, რომ მგზნებარე ანტიშევარდნაძისტი იყავით.**

– ახლაც ვარ. არავინ არ ვიყავით მზად, რომ დამოუკიდებლად გვეცხოვრა, თორემ, მიტინგებზე ჩვენც ძალიან აქტიურად დავდიოდით. არავინ არ იცოდა, როგორ უნდა ემართა ქვეყანა და ყველა ნაღმზე ავფეთქდით. ზვიადმა იცოდა, იატაკქვეშეთიდან როგორ უნდა ებრძოლა, მაგრამ, დღის შუქზე რომ გამოვიდა, გაუჭირდა მერე. გენიალური კაცია ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ გარემოცვა არ მომწონს მისიც. მიტინგებს რაც შეეხება, მუდმივად დავდიოდი, მიმყავდა კიდეც მიტინგი, თუმცა, 9 აპრილის ღამეს იქ არ ვყოფილვარ, ამერიკაში ვიყავი წასული – მაშინ გვქონდა ბედნიერება, შტატებში წავსულიყავით. ჩვენთან ერთად იყო ხელოვნების სკოლიდან წამოსული ნინიკო სურგულაძე – გაგიჟდა ხალხი, ლაიზა მინელის სჯობდა. მოკლედ, ვართ გახარებულები, ბედნიერები და, ტელევიზორში ვხედავ 9 აპრილის კადრებს, გარდაცვლილებში გამოაცხადეს მზია ჭინჭარაძეც – ჩემი ახლობელი, გამოვვარდი თავქუდმოგლეჯილი, თორემ, ვაპირებდი იქ დარჩენას.

**– ომშიც ხომ არ დაგიპირებიათ წასვლა?**

– არა! ტირის თოფის გარდა ხელში არანაირი იარაღი არ მჭერია არასოდეს – პნევმატური თოფით ხშირად მომიგია.

**– თურქეთში როგორ აღმოჩნდით?**

– მე ამერიკაში მინდოდა წასვლა, მქონდა შანსები... სახლიდან ფაქსებს ვგზავნიდი გაეროში, ბუტროს ბუტროს გალისთან... წერილებს ***(იცინის)...*** არც ერთი არ მისულა ადრესატამდე, ყველა სუკმა დაბლოკა. თურქეთში ნაცნობებმა წამომიყვანეს. მანამდე მთელი ერთი წელი სახლში ვიყავი გამოკეტილი – მომატყუეს, სასტუმრო გვაქვს, ქართული კულტურის ცენტრს ვხსნითო, მერე თვითონ დაიკარგნენ და მე დავრჩი აქ – უფულოდ, ერთი სიტყვა არ ვიცოდი თურქული და უკან დასაბრუნებელი ფულიც არ მქონდა. ტყავის ქურთუკების დუქანში დამლაგებლად ვმუშაობდი, რომ ლუკმაპური მეშოვა. მერე ვიღაცას შევეცოდე, ნახა, რომ სიმღერა და დაკვრა ვიცოდი და წამიყვანა ახალგახსნილ ამერიკულ ბარში. ბარის მეპატრონე დღემდე ჩემი უახლოესი ადამიანია. მატერიალურად გაუსაძლისი იყო პირველი ორი წელი, თან, თურქეთი დიდი ქვეყანაა, არის ფუნდამენტალისტური განწყობებიც და არის აბსოლუტურად ევროპული ნაწილიც – ჭრელი ქვეყანაა. სუფრის გაშლა, სიმღერა აქ დიდად არ უყვართ ასეთი რაღაცეები, რამდენიც გინდა, უკარი და უმღერე ***(იცინის),*** მაინცდამაინც დიდი რეაქცია არ აქვთ.

**– თურმე, მეძავებით სავსე სასტუმროში ცხოვრობდით...**

– კი, ასე იყო. ორდოლარიან, საშინელ სასტუმროში ვცხოვრობდი, რომელიც, ძირითადად, პროსტიტუციით იყო დაკავებული. სხვათა შორის, ქართველი მეძავებიც ბევრნი იყვნენ იქ. ვუყურებდი და ნერვები მეშლებოდა, მაგრამ, რას ვეტყოდი, ხომ არ მივიდოდი და ვცემდი?! აქ ქართველი ქალი ვინც ჩამოდის, უმრავლესობა მაგ საქმით არის დაკავებული; ძალიან იშვიათად, რომ ვინმე პატიოსნად შრომობდეს და ჭიკარტებსა და ნიორს ყიდდეს! უკვე აღარ შემეძლო იქ გაძლება. მერე იმ ბარის მეპატრონემ ბარის თავზე მიქირავა შესანიშნავი დუპლექსი – დიდი მადლობელი ვარ ბატონი ერქანის.

**– თურქული საერთოდ არ იცოდით, არა?**

– არც ერთი სიტყვა, მაგრამ, შემდეგ აღმოვაჩინე, რომ 500-მდე თურქული სიტყვა ვიცი – თურმე, ქართული რომ მგონია – „ფენჯერ", „საათ", „ქირა" და ასე შემდეგ, თურქული სიტყვები ყოფილა. უკვე სამ თვეში თარჯიმნობას ვწევდი „ბაინდერ ჰოლდინგის" ხელმძღვანელობისთვის.

**– ამჟამად იზმითში ვცხოვრობო, მითხარით.**

– ბევრგან ვცხოვრობდი მანამდე – ტრაპიზონში, სტამბულში, იზმირში... სტამბულში ცხოვრება საშინელებაა: მუდმივად პოლიტიკური პროტესტი, ყოველდღე არეულობა – სულ დადიან, აბრახუნებენ დოლებზე, ყვირიან. გავიქეცი სტამბულიდან. იზმითი ზესტაფონისხელა ქალაქია, მაგრამ, აქაურ დონეზე როდის მოვა საქართველო, არ ვიცი! რომ გვგონია, ქართველები უფრო განვითარებულები ვართ, არ არის ეგრე საქმე.

**– თქვენ „ეზელსა" და რამდენიმე ცნობილ თურქულ სერიალში ითამაშეთ.**

– „ეზელში" მაფიოზის როლი ვითამაშე – პირველ სერიალში როლი ჩემმა სტუდენტებმა შემომთავაზეს. ძალიან საინტერესო სცენარი იყო, კრიალოსნების დამამზადებელ ბრმა ოსტატს ვთამაშობდი, რომელიც ბატონს რჩევებს აძლევდა ***(იცინის).*** დამირეკეს და მითხრეს: „ვარლამ ხოჯა" („ხოჯა" მასწავლებელს, ბატონს ნიშნავს), ასეთი და ასეთი როლი გვაქვს და თუ ითამაშებთ. თუ ამ როლს თქვენ არ ითამაშებთ, სერიალს წარმოებაში არ ჩავუშვებთო. ამ ბრმის როლთან დაკავშირებით საინტერესო რაღაც შემემთხვა: ერთხელ ავტოფარეხიდან მანქანით გამოვდივარ და წინ გადამიდგნენ მეზობლები (საერთოდ, ასეთი რამ იქ არ ხდება). მოვიდა ერთი, მიყურებს, მაკვირდება, მერე მხარზე ხელი მომითათუნა და თანაგრძნობით მკითხა: „აბი (რაც ძალიან პატივსაცემი მიმართვაა თურქეთში), ალბათ, ძალიან ძნელია მანქანის მართვა, არა?" ***(იცინის).*** თურმე, ნუ იტყვით, ისე მითამაშია ეს როლი, მართლა ბრმა ვეგონე ***(იცინის).*** „ეზელში" მაფიოზის როლი მქონდა, რომელიც ახალი სახეა – გვიან შემოდის სერიალში და მანამდე არსებულ ყველა სერიოზულ მაფიოზს ანადგურებს. უმაღლესი რეიტინგი ჰქონდა „ეზელს". იყო კიდევ რამდენიმე როლი სერიალებში.

**– ქუჩაშიც გცნობენ, ალბათ...**

– დიახ. განსაკუთრებით „ეზელის" მერე – მოდიოდნენ, მელაპარაკებოდნენ... ბავშვები, დიდები – ყველანი.

**– სულ კრიმინალის როლებს რატომ გაძლევდნენ, ქართველებზეა ასეთი სტერეოტიპი?**

– არა, უბრალოდ, ეს ჩემი „მურტალი სიფათის" გამო ხდება ხოლმე ***(იცინის).*** სახეზე რომ შემომხედავს ადამიანი, ალბათ, ვერც წარმოვუდგენივარ სხვა როლში. ვიხვეწებოდი, რამე კომედიური როლი მომეცით-მეთქი – მისტერ პიტკინივით ***(იცინის).*** იმდენი ვიშრომე, მაგიდას ვახტებოდი და ჰაერში ვჩერდებოდი... არა და არ მეღირსა. სერიალში იმპროვიზაციას მივმართე და თურქები გაგიჟდნენ – რა მაგარი არტისტი ხარო ***(იცინის)*** – ბანქო დავხიე ნერვიულობისგან სცენაში...

**– შვილებზე მინდა გკითხოთ: ვიცი, რომ ხუთი შვილი გყავთ...**

– დიახ, ხუთი შვილი მყავს ოთხი ქორწინებიდან და ყველა მეუღლეს ძალიან ნორმალური ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან – აბა, სხვაგვარად როგორ იქნება?! ჩემი ვაჟი, დათოც აქ მუშაობს, კინემატოგრაფისტია. ყველაზე მეტად ტატა მიყვარს – ქალიშვილთან მაინც სხვა დამოკიდებულება აქვს მამას, სხვა სითბოა გოგო. გიორგის რაც შეეხება, სულ ვეჩხუბები – ნიჭიერია, მაგრამ, რაღაცეები არ მომწონს მის შემოქმედებაში. ვეუბნები, ეგრე თუ გააგრძელებ, აღარავინ მოგისმენს-მეთქი. მეჩხუბება ხოლმე – შენ რა გესმისო. უხ, მე მაგათი მამა! ***(იცინის).***

**ქეთი დიდებულიძე**

# ბრძნული აზრები

**ლაბრიუიერი**: სრულყოფილია ის, ვინც უანგაროა.

**ლაროშფუკო**: ადამიანები თავს იწონებ-ენ, როცა ისე იქცევიან, თითქოს მათთვის უცხო იყოს ყოველგვარი თავმოწონება.

**ვოლტერი**: არა ფულის უკმარობა, არამ-ედ, ადამიანთა და ნიჭიერ ადამიანთა უკმარობა ხდის სახელმწიფოს სუსტად.

**ეგზიუპერი**: ყოველ ბრბოში არიან ადამიანები, რომლებიც არაფრით გამოირჩევიან, მაგრამ, ისინი მშვენიერების მოციქულნი არიან, ოღონდ, ეს თვითონაც არ ესმით.

**მანი**: ადამიანი საკუთარი თავისთვის ცოცხლობს თუ სიცოცხლისთვის, ეს თვითონაც არ იცის და ზუსტად და მტკიცედ ვერც ვერავის ეცოდინება. არსებობს ეგოისტური თავგანწირვა და თავგანწირული ეგოიზმი.

**მოლიერი**: რაც უფრო მეტს სწავლობს ადამიანი, მით უფრო გაუწვრთნელი რჩება ბოლოს.

**შექსპირი**: „ზოგ ნაკლს გვძენენ ღმერთნი, რომ ადამიანს ახსოვდეს მუდამ თავის ბუნება."

**ჩესტერფილდი**: ბრიყვები, იმავე დროს, უდიდესი მატყუარებიც არიან. სიმართლისმოყვარეა თუ არა ადამიანი, გამოიცნობა იმის მიხედვით, თუ რამდენად ჭკვიანია იგი.

**ჩეხოვი**: კეთილ ადამიანს ზოგჯერ ძაღლისაც კი რცხვენია.

**ცვაიგი**: ადამიანებს, რომელთა მოქმედება დამოკიდებულია მათ განწყობილებაზე, არ შეიძლება, რამე სერიოზული პასუხისმგებლობა დააკისრო.

**ანაქარსისი**: ბოროტი კაცი ნახშირს ჰგავს: თუ არ დაგწვავს, გაგმურავს მაინც.

**ბებელი**: შუა საუკუნეებში მნიშვნელობას ანიჭებდნენ შთამომავლობას; ჩვენს დროში მთავარ როლს თამაშობს ფული; მომავალში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ადამიანის, როგორც ასეთის, ღირებულებას.

**ბალზაკი**: სულმოკლე ადამიანები თავის გრძნობებს, კარგსაც და ცუდსაც, წვრილმანი საქციელით იკმაყოფილებენ.

**ჭაბუა**: ადამიანს მიაჩნია, რომ სიცოცხლის განმავლობაში რაღაცას მისდევს და, იმას კი ვერ იცნობიერებს, რომ, კი არ მისდევს, არამედ, გასაქირს, სიკვდილს გაურბის! მერე გაუთავებელი ლტოლვა ბეზრდება, აუცილებლობას ურიგდება და საიქიოში წასვლისთვის მზადებას იწყებს. ყოველივე ეს ქვეცნობიერი პროცესებია.

**უაილდერი**: ან შემთხვევითია ჩვენი სიცოცხლე და სიკვდილი, ანდა, ერთსაც და მეორესაც გეგმა უდევს საფუძვლად.

**აინშტაინი**: ოცნებასთან ხუმრობა სახიფათოა: დამსხვრეულმა ოცნებამ, შეიძლება, კაცს ცხოვრებაში უბედურება მოუტანოს.

**სენეკა**: ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და ყველაფერში ეძებს გამორჩენას თავისთვის, არ შეიძლება, ბედნიერი იყოს. თუ გსურს, შენთვის იცხოვრო, იცხოვრე სხვათათვის.

**საბატინი**: თუ ქალი სხვას ეკუთვნის, ის ხუთგზის უფრო სასურველია, ვიდრე ის, ვისი დაპყრობაც ადვილად შეგიძლია – უცნაური წესია.

# თუ გამოიცნობთ

1. ცდილობდა რა თავისი სწრაფი კვების რესტორნებში მშობლებისა და ბავშვების მიზიდვას, კომპანია „მაკდონალდსი" მთელ რიგ საბავშვო დღესასწაულებს აწყობდა, რომელთა მთავარი გმირი გახდა მხიარული კლოუნი (ჯამბაზი), რა თქმა უნდა, იმავე გვარით, მისი სახელი კი ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტის სახელს ემთხვევა. **რა ჰქვია ჯამბაზს?**

2. ლეგენდის მიხედვით, ის მესამე საუკუნეში დაიბადა იტალიის ქალაქ ტერნში, 269 წელს, რომის მაშინდელმა იმპერატორმა კლავდიუს მეორემ ბრძანება გასცა, ამ ქრისტიანი ღვთისმსახურისთვის თავი მოეკვეთათ, უპირველესად, იმიტომ, რომ რომაელ მებრძოლებს იმპერატორის მიერ დაწესებულ აკრძალვათა დარღვევაში უწყობდა ხელს. **დაასახელეთ თარიღი, როდესაც მისი კანონიზება – წმიდანად შერაცხვა – მოხდა.**

3. პეტრე პირველმა სანკტ-პეტერბურგში ავსტერიები გახსნა, რომ მშენებარე ქალაქში სიარულისას, იქ შესულიყო და ნაეხემსა. ის, რასაც უფასოდ მიართმევდნენ პეტრეს, მისი ჩვეული საუზმე გახლდათ. იმითვე უმასპინძლდებოდნენ იქ შესულ ყველა კარგად ჩაცმულ ადამიანს. მაგრამ, თუ დამატებით რაიმეს მოითხოვდნენ, ფული უნდა გადაეხადათ. უფასო მენიუში ერთი და იმავე მცენარისგან დამზადებული მხოლოდ ორი დასახელების პროდუქტი შედიოდა. **დაასახელეთ ისინი.**

4. გასული საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც ჰოლივუდში ღირებულებათა და გემოვნებათა ბრძოლა დაიწყო, კინოსტუდიები დათანხმდნენ მიეღოთ „ჰეისის კოდექსი", რომელიც ამერიკულ დაუწერელ კანონს საზღვრავდა. მასში თავისებური უცნაურობები შედიოდა. მაგალითად, მოქმედ პირთა ორი კატეგორიიდან, რომლებიც მაღალანაზღაურებად ფილმებში გვხვდებოდა, ეკრანზე მხოლოდ ერთ მათგანს შეეძლო, მოეკლა მეორე. ამ კანონის დარღვევა მხოლოდ „ბონი და კლაიდმა" შეძლო. **დაასახელეთ მოქმედი პირების ეს კატეგორიები.**

5. მსოფლიოში სარეკლამო სააგენტოები ცდილობენ, მიიზიდონ ცნობილი ადამიანები, რომლებიც, ძირითადად, ორ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდნენ: 1. უნდა იყოს ცნობილი სახე და 2. მაქსიმალურად შეუბღალავი რეპუტაციის მქონე. იტალიაში, მაგალითად, სარეკლამო სააგენტოებისთვის ყველაზე სასურველ ადამიანებში მესამე ადგილზე სახელგანთქმული „ლა სკალას" დირიჟორი, კლაუდიო აბადო, მეორეზე კი – ბესტსელერ „ვარდის სახელის" ავტორი უმბერტო ეკოა. ამ სიის პირველ ადგილზეა ადამიანი , რომლის მიწვევა სარეკლამო პროექტებში ვერც ერთმა სააგენტომ ვერ მოახერხა. **დაასახელეთ ის.**

6. ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ ინგლისის მეფე კარლ პირველმა ბრძანება გასცა, გამარჯვებული მონარქის გვირგვინზე ამოეტვიფრათ ტექსტი: „ამ სამფლობელოთი და მისი ქვეშევრდომებით მე ვაწარმოებ ბრძოლას და უსისხლოდ ვიმარჯვებ". **რას ვუწოდებთ მონარქის ამ „სამფლობელოს"?**

7. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ამერიკაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფები სხვადასხვა ლიტერატურას ანიჭებენ უპირატესობას: ბავშვები – კომიქსებს, ქალები – მელოდრამატულ რომანებს, მოზარდები – ფანტასტიკას. **დაასახელეთ, ვისი საყვარელი წიგნებია „ლითონის ჭრის მოკლე კურსი" და „სახელმძღვანელო დამწყები ზეინკლებისთვის"?**

8. დაახლოებით 200 წლის წინ ინგლისმა 2 500 ფუნტი სტერლინგი გამოყო იმ პირთა ვინაობის დასადგენად, ვინც ამ სახელმწიფოსთვის არასასურველ დოკუმენტზე მოაწერა ხელი. ზოგიერთ მათგანს უკვე განაჩენიც კი გამოუტანეს – სიკვდილით დასჯა. ამიტომ, მათი სახელები წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო. **რას მოაწერეს მათ ხელი?**

9. მემკვიდრეობითი დაავადება – ქონდროდისტროფია – ადამიანებში ძალიან იშვიათად გვხვდება. ამ სინდრომით დაავადებულებს მოკლე კიდურები აქვთ. აღსანიშნავია, რომ ამ დაავადებამ განსაზღვრა გარკვეულ ცხოველთა ერთ-ერთი ჯიშის ჩამოყალიბება. **რომლის?**

10. მეთექვსმეტე საუკუნის შუაწლებში იტალიელები კანტატას უწოდებდნენ იმ მუსიკალურ ნაწარმოებს, რომლებიც მხოლოდ ვოკალურად, ხმით სრულდებოდა. **რას ეძახდნენ ვოკალის მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ ინსტრუმენტებით შესრულებულ ნაწარმოებს?**

*პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* ჰავაიურ ენაში მხოლოდ 12 ასოა, მათ შორის 7 თანხმოვანი: H, K, L, M, N, P და W.

* 1812 წლის ომის დროს მოსკოვის მაღალ საზოგადოებაში ფრანგულ ენაზე ლაპარაკისთვის ჯარიმას ახდევინებდნენ.

* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიო საზღვაო „დაჭერებიდან" თევზი 85 პროცენტია, ვეშაპი – 6 პროცენტი, მოლუსკები და კიბოსნაირები – 8 პროცენტი, დანარჩენი კი – წყალმცენარეები.

* მეოცე საუკუნის 20-იან წლებში პოეტმა-კონსტრუქტივისტმა სელვინსკიმ წინადადება წამოაყენა რუსულ ენაში პუნქტუაციის რეფორმის შესახებ. მაგალითად, კითხვისა და ძახილის ნიშნები წინადადების ბოლოდან გადმოეტანათ წარმოთქმისთვის უფრო შესაფერის პოზიციაში – თუნდაც შუა სიტყვაში.

* ხელის ჩამორთმევის რეკორდი პოლიტიკოსებს შორის თეოდორ რუზველტს ეკუთვნის: მან ერთ-ერთ საახალწლო მიღებაზე თეთრ სახლში 8 513 ადამიანს ჩამოართვა ხელი.

* პირველი ბიგმაკი ქალაქ პიტბურგში გამოჩნდა 1968 წელს. ის 7 კომპონენტისგან შედგებოდა, რომელთა შორის ერთ-ერთს რომანტიკული სახელი – „ათასი კუნძული" დაარქვეს.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. ლc1-g5!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




მედიცინის დას ბრძოლის ველიდან გამოჰყავს ორმეტრიანი დაჭრილი მეომარი.... ძლივს მოჰყავს.

– დამტოვე და თავი გადაირჩინე! – ეუბნება მებრძოლი.

– არ დაგტოვებ!




– მძიმე ვარ, დამტოვე!

– არა, მედპუნქტამდე მიყვანას შევძლებ...

– ცხენიდან მაინც მომხსენი...

***

– აბა, ჩემო შვილებო, რა მოგიტანოთ ცხრა მთას იქიდან?

– მე სარკე, მამიკო...

– მე – სავარცხელი...

– მე კი – ალისფერი ყვავილი...

– რას ამბობ?! სხვა რამე დამაბარე, წინა წასვლაზე ძლივს გადავრჩი, მაგ წითელი ყაყაჩოს გამო კინაღამ დამაპატიმრეს...

***

ყველა არხს პორნოარხი ჯობია... არანაირი მკვლელობა, დევნა, ჩხუბი, კამათი – უყვართ ერთმანეთი და არიან ბედნიერები...

***

ჩემი სურვილი რომ მოისმინეს, ოქროს თევზი მოკვდა, კეთილი ფერია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წევს, ჯინმა კი სულიერი ტრავმა მიიღო...

***

– სანდრო, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ძალიან გაგათამამეთ... ახლა კი ნამდვილად უნდა დაგსაჯოთ...

– თქვენ გამათამამეთ და მე უნდა დავისაჯო?!

***

ქართველი უცხოეთში ისვენებს. ამოიწურა ვადა და უნდა გამოემგზავროს. 12 საათი და 30 წუთია და პორტიეს ურეკავს.

– რას ჰგავს ეს?! თქვენ დილის 6 საათზე უნდა გაგეღვიძებინეთ და ახლა რომელი საათია? თვითმფრინავზე უკვე დამაგვიანდა!

– სამწუხაროა, ბატონო, მაგრამ, თქვენ სასტუმროში 8 საათზე მოხვედით...

***

„ვიკიპედია“: მე ყველაფერი ვიცი!
„გუგლი“: მე ყველაფერს მოვძებნი!
„ფეისბუქი“: მე ყველა ვიცი!
„ინტერნეტი“: თქვენ უჩემოდ არაფერი ხართ!
დენი: გაჩუმდით, საცოდავებო!

***

პარადოქსი: არჩევნები იმიტომ კი არ ტარდება, რომ ადამიანმა რომელიმე კანდიდატს მისცეს ხმა, არამედ, იმიტომ, რომ ვიღაცეებმა უკანონოდ არ მიითვისონ ხმები...

***

– გამარჯობა, სიხა! ჩემთან ამოდი, სახლში მარტო ვარ... მამაჩემი კია, მაგრამ, ფეხი იღრძო და თავის ოთახში წევს, ადგომა არ შეუძლია...

– სამწუხაროდ, ვერ მოვალ, მეც ვწევარ.... ზუსტად ის ადგილი მტკივა, რაზეც მამაშენმა ფეხი იღრძო...

***

ინგლისელი მამაკაცი დგება დილით. ცოლი უკვე სამზარეულოში ფუსფუსებს, ორი კვერცხი უკვე შემწვარია და მაგიდაზე დევს, ყავაც მოადულა. ისაუზმა ინგლისელმა და სამსახურში წავიდა.

ფრანგი მამაკაცი დგება დილით. ორი კვერცხი შეწვა, ორი ყავა მოადულა – ერთი ცოლს მიართვა. ისაუზმა და სამსახურში წავიდა.

ქართველი მამაკაცი დგება... ცოლი უკვე სამსახურშია...

***

მიხო და მარო ტელევიზორს უყურებენ: მაღალ მთაზე ასულან მოგზაურები და კოცონს ვერ ანთებენ. „ჟანგბადის ნაკლებობაა, ცეცხლი არ ინთება“, – ამბობს ერთ-ერთი.

– გესმის, მარო, განათლებული ხალხი რას ამბობს? ჟანგბადის ნაკლებობააო. შენ კიდენა, დაიჟინებ ხოლმე: ფეჩს ვერ ვანთებ, შეშა გვინდა, შეშა მაიტაო...

***

– ჩემი კომპიუტერი პრინტერს ვერ ხედავს,




მონიტორიც კი მივატრიალე, მაგრამ, მაინც წერს, რომ ვერ ხედავს...

– თითით უჩვენე, თითით...

***

– აჰ, თქვენ ციმბირიდან ხართ? ამბობენ, თქვენთან გზებზე დათვები დადიანო...

– ტყუილია ეგ ყველაფერი, სადაა ჩვენთან გზები...

***

მხოლოდ ზღაპრებში უყვართ ქალი თავისი სიამაყისა და მტკიცე ხასიათის გამო... ცხოვრებაში კი – გემრიელი კერძების, დამყოლი და თვინიერი ხასიათის წყალობით უყვარდებათ.

***

– რით განსხვავდება ფასიანი სექსი უფასოსგან?

– ფასიანია, როდესაც ქალთან სექსი გაქვს და შემდეგ ფულს უხდი; უფასოა, როცა ქალს ჯერ მანქანას, ოქროსა და ბრილიანტის სამკაულებს, ძვირფას ტანსაცმელს ჩუქნი და შემდეგ გაქვს სექსი.

***

– ქურდების დასაფრთხობად სახლში ნათურებს ანთებულს ვტოვებ.

– მე ტელევიზორს ვტოვებ ჩართულს...

– მე კიდევ, კარში ვტოვებ ფურცელს: „საყვარელო, გველი ტერარიუმიდან გამოიპარა, ვერ ვიპოვე... იქნებ შენ მოძებნო“.

***

– გოგო, ვიღაც მსუქან, ბანჯგვლიან ცხოველთან დაუნახიხართ... ვინაა?

– ჩემი საქმროა, საქორწილო საჩუქრად ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო მაჩუქა საბერძნეთში...

– სად იშოვე ეს საყვარელი და ფუმფულა საოცრება?

***

– მამი, პრეზერვატივი რისთვისაა საჭირო?




– იმიტომ, რომ ბევრი ბავშვი არ გაჩნდეს.

– და, როგორ იყენებენ?

– როგორ და... მოკლედ, წეროს ნისკარტზე წამოაცმევენ ხოლმე...

***

ტაქტიანმა ქალმა, ღრმა დეკოლტეთი მამაკაცთან შეხვედრისას, მზერა სხვაგან უნდა გადაიტანოს, რომ უხერხულობა თავიდან აიცილოს და მისცეს კაცს დაკვირვების საშუალება...

***

შეუხედავმა ქალბატონმა ეტლი გააჩერა, მეეტლეს მისამართი უთხრა და, სანამ დაჯდებოდა, ჰკითხა:

– თქვენი ცხენი ხომ არ დაფრთხება, მშიშარა ხომ არ არის?

– არა, ქალბატონო, ნუ გეშინიათ, დაბრძანდით, უკან არ მოიხედავს...

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# კულისებში შესული „ცეკას“ პირველი მდივანი და ტაშით დანგრეული დარბაზი

ძნელი მოსაძებნია საქართველოში კაცი, ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ერისიონი“ რომ არ უყვარდეს. „რუსთავი“ და „სუხიშვილები“ ხომ ჩვენი, ქართველების წყალშეუვლად სავიზიტო ბარათია, მაგრამ, „ერისიონი,“ თავისი სწრაფი ცეკვის მანერით, განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებს და, ბატონი ჯემალ ჭკუასელიც ხომ განსხვავებული პიროვნებაა თავისი გურულობითა და დახვეწილი იუმორით.

ახლა საქმეზე გადავიდეთ.

გასული საუკუნის ბოლო წლებია.

ედუარდ შევარდნაძე ქუთაისში ხვდება ადგილობრივი „ცეკას“ კოლექტივს.

საქმიანი ღონისძიების შემდეგ, როგორც წესია, გაიმართა კონცერტი.

კონცერტში მონაწილეობას იღებს ანსამბლი „ერისიონი“, ჯემალ ჭკუასელის ხელმძღვანელობით.

ყველაფერი დასახული გეგმით წავიდა.

კმაყოფილია საქართველოს „ცეკას“ პირველი მდივანი; კმაყოფილი კი არა, აღფრთოვანებულია ამ უზადო ანსამბლის შემოქმედებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად მოიხიბლა, რომ, კონცერტის შემდეგ იკადრა და თვითონ შევიდა კულისებში.

„სტოიკაზე“ დადგა მთელი ანსამბლი, „სტოიკაზე“ დგას თავად ჯემალ ჭკუასელი. ხუმრობა ხომ არაა – „ცეკას“ პირველი მდივანი თავისით შევიდა ანსამბლის „სამზარეულოში“.

დაძაბული სიტუაციაა.




შევარდნაძემ ჯემალს ხელი ჩამოართვა:

– მიხარია, მიხარია, ჩემო ჯემალ, რომ ქართველებს ასეთი უბადლო და შესანიშნავი ანსამბლი გვყავს.

– დიდი მადლობა, ბატონო ედუარდ! დიდი მადლობა ესოდენი დაფასებისთვის... – და, გამოვიდნენ სცენაზე ერთად.

დაანგრია ტაშმა და აპლოდისმენტებმა დარბაზი.

ედუარდი ჯემალს ღიად ელაპარაკება მაყურებლის თვალწინ:

– ბატონო ჯემალ, თქვენ გურული ბრძანდებით?

– დიახ, ბატონო ედუარდ! – გაიბადრა ჯემალი.

ტაშმა იქაურობა გააყრუა...

– კარგიაა... – ჩაიცინა „ცეკას“ მდივანმა, – კი მაგრამ, ის უნდა მეკითხა...

– რა, ბატონო ედუარდ?

– ნოდარ დუმბაძეც ხომ გურული იყო?

– რა თქმა უნდა... – პასუხობს ჯემალ ჭკუასელი.

ტაშმა იმატა. იმატა კი არა, სადაცაა კედლები ჩამოიქცევა, მაგრამ, არ ეშინიათ – „ედიკა“ აქააო.

შევარდნაძე განაგრძობს:

– ილიკო და ილარიონიც ხომ გურულები იყვნენ?

– აბა, რა, ბატონო ედუარდ! – აჰყვა სიცილში ჯემალი.

კვლავ დაინგრა დარბაზი ტაშისკვრით.

– ხოდა, შე კაცო (ედუარდს იუმორი არ ღალატობდა), ეს ქუთაისელები რომ ტაშს უკრავენ, რა უხარიათ?!!

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თუმცა, მალე ქუთათურებმა ახალი ძალით დასცხეს ტაში...

„ძალაა, ძამა, აღმართს რო ხნავს, აპა!!!“

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ უგებდნენ ქართველები ჩინელებს ფეხბურთში ცხვარსა და ოცლიტრიანს

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, ვარ ძველებურად.

დედა, ამ ბოლო დროს ფეხბურთმა გამიტაცა ძალიან. საღამოობით ვიკრიბებით და ვთამაშობთ ბიჭები. კობა იტყვის ხოლმე: დავაი, წვრილთვალებიანები მრგვალთვალებიანებზეო და ვიწყებთ. როცა ნიძლავის გარეშე ვთამაშობთ, ჩვენ ვიგებთ ხოლმე, მაგრამ, თუ ცხვარზე და ოციანზე, ეს ქართველები ვეფხვებად გადაიქცევიან ხოლმე და ყოველთვის გვიგებენ, „ცხვარი და ოციანი“ ქართული ტერმინია და ერთ ცოცხალ ცხვარს და ოც ლიტრ ღვინოს ნიშნავს. ცხვარს გამარჯვებულები კლავენ და ჭამენ, ღვინოს კი სვამენ და უგონოდ თვრებიან სპორტსმენები.

დედა, მე საქართველოს ნაკრების კულშემატკივარი ვარ, მაგრამ, ძალიან ბევრი წელია, არავისთვის მოუგიათ, ფარერების ნაკრებს თუ არ ჩავთვლით – მათ ყოველთვის უგებენ, ალბათ, იმიტომ, რომ ფარერების ნაკრებში არც ერთი ფეხბურთელი არ არის, უბრალოდ, იმ დროს ქვეყანაში ვისაც სცალია, ისინი თამაშობენ ხოლმე.

ამას წინათ სტადიონზე ვიყავი. მართალია, ლამზირა მთელი ღამე მწყევლიდა ბილეთში 5 ლარის გადახდის გამო, მაგრამ, მე ძალიან მინდოდა წასვლა. რა თქმა უნდა, წავაგეთ ის თამაში, მაგრამ კიდევ ახალი რაღაცეები შევიტყვე ქართველებზე. სტადიონზე გულშემატკივრობა ქართველებისთვის ნამდვილი სამოთხეა; ისეთი ტექნიკით, მონდომებით და ხმამაღლა იგინებიან, ხანდახან მოგეწონება კიდეც. აქ ბევრ ისეთ ცუდ სიტყვას გაიგებ, თვითონაც რომ არ გაუგიათ მანამდე. თუ რომელიმე ძლიერი ნაკრები ჩამოდის, სტადიონი ბოლომდე ივსება და ქართველი ფეხბურთელებიც ათმაგი ჟინით თამაშობენ, თუმცა, რომ იცოდნენ, რომ ამ მაყურებლის ნახევარზე მეტი უცხოელი ფეხბურთელების სანახავად მიდის ხოლმე, ალბათ, გულები დაუსკდებათ საწყლებს.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

ქართული ფეხბურთი უკვე სასაცილო თემადაა ქცეული. წინათ მსოფლიო დონის ფეხბურთელები ჰყოლიათ ქართველებს და მსოფლიოს გრანდები იწვევდნენ თურმე თავიანთ კლუბებში სათამაშოდ, ახლა კი, როცა აზერბაიჯანულ კლუბში მიდის სათამაშოდ რომელიმე, ტალანტს ეძახიან. გამოთქმაც არსებობს ასეთი: ფეხბურთი ინგლისში დაიბადა, ბრაზილიაში გაიზარდა და საქართველოში მოკვდაო.




ჩვენი ნაკრების მწვრთნელად ვინ აღარ დანიშნეს, მათ შორის, მსოფლიო დონის რამდენიმე მწვრთნელიც კი იყო, მაგრამ, ერთ-ერთი ისე გააგიჟეს, ხელფასსაც არ დალოდებია, ისე გაემგზავრა პირველივე რეისით სამშობლოში. თურმე, თამაშის დღეს სამ ფეხბურთელს უთქვამს, მაგარ „პახმელიაზე“ ვართო. კიდევ ბევრს მოგწერდი, დედა, ქართულ ფეხბურთზე, მაგრამ, ბიჭები მელოდებიან და სათამაშოდ მივდივართ. დღეს ჩინელები ვაპირებთ, ძაღლზე და ბრინჯის არაყზე შევთავაზოთ თამაში. ვნახოთ, მოვიგებთ თუ ვერა.

ძალიან მენატრებით ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**



HAIRLINE
INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE
გვანდეთ
თქვენი
იმიჯი!
230 00 30
ქავთარაძის ქუჩა 16
www.hairline.ge



გვ. 22

რა სიამოვნებაზე ვერ ამბობს უარს იულია ქავთარაძე და როგორ მოხვდა უკრაინელი სექსსიმბოლო „ცეკვავენ ვარსკვლავებში“



გვ. 19

რატომ მოაწყო ბერა ივანიშვილმა მერიკო ადარვას გამო ალაფურშეტი და როგორ ცეკვავდა და ხტუნაობდა ის პრემიერის სასახლეში



გვ. 71

როგორ იწინასწარმეტყველა დევიდ დათუნამ ბარაკ ობამას პრეზიდენტობა და ვის ხედავს ის საქართველოს მომავალ პრეზიდენტად



გვ. 75

როგორ გახდა ვარლამ ნიკოლაძე „ვარლამ ხოჯა“ და თურქული სერიალების მაფიოზი


საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – ბ

# თბილისელ ... ბ

...ebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №37 (663) * 9-15 სექტ... ფასი 1,50 ლარი